პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 აპრილი ოთხშაბათი 2011
№085 (13382) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 77 წელიწადი თაობებთან ერთად

# აბრამოვიჩი და ლიგა: რომანი არ გამოდის



მანჩესტერი და ბარსელონა ნახევარფინალში გავიდნენ
რეალს და შალკეს დღეს ველით

9

მანჩესტერელთა ვეტერანი მეკარე ედვინ ვან დერ სარი ამ შეხვედრაშიც შეუდარებელი იყო



## ნინოს კიდევ ერთი ჯილდო

სალუქვაძე ჩანჯოუდან ბრინჯაოთი მოდის

10

# ქართული ფეხბურთის ჩვეულებრივი უჩვეულობანი

## დაუნიშნავი პენალტები, კარატე და სტუმარი ადრე ქვის ხანიდან







რა იყო და როგორ სამტრედიაში: ვერსიები

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თემა განსჯისათვის

# იქნებ ღირს დაფიქრება

ქვემოთ შემოთავაზებული იდეა ბევრს გავანდე, რჩევა და აზრი დავეკითხე, საჯაროდ კი ახლა გამომაქვს. იმედია, სპეციალისტები და ფეხბურთის ქომაგები საქმიანი წინადადებებით და კონკრეტული მოსაზრებებით გამოგვეხმაურებიან. ვიმსჯელოთ!

იდეის არსი ასეთია: ყოველწლიურად ფეხბურთში ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გამორჩეული ორი გუნდის ბაზაზე შეიქმნას ორი - „ლიხსიქითა“ და „ლიხსაქეთა“ ნაკრები გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან მონაცვლეობით (მატჩების სიხშირე და ვადები დადგინდება) ლიხსიქითა და ლიხსაქეთა სტადიონებზე. ვფიქრობთ, ნაკრების საბაზო გუნდში თამაშის შესაძლებლობა უნდა მიეცეს 18-წლამდელებსაც (შეთანხმებული კვოტით), რომელსაც შეარჩევს საბაზო (ნაკრების) გუნდის მწვრთნელი (შესაძლებელია ქომაგთა რეკომენდაციის გათვალისწინებაც).

მატჩები დამკვიდრდება ტრადიციად და დიდი ალბათობით: ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს მიეცემათ კარგი შესაძლებლობა, უფრო პრინციპულსა და შედარებით მაღალი დონის თამაშებში დააკვირდნენ ნიჭიერ ფეხბურთელებს; რაც დრო გავა, ასპარეზობა უფრო პრესტიჟული გახდება; გაჩნდება დამატებითი მოტივაცია, გუნდებმა ეროვნულ ჩემპიონატში მიაღწიონ უკეთეს შედეგს და მოიპოვონ ნაკრების საბაზო გუნდის სტატუსი; ფეხბურთელებს მიეცემათ ოსტატობის ამაღლებისა და საქართველოს ნაკრებში მოხვედრის დამატებითი შესაძლებლობა; მატჩები უთუოდ მოიზიდავს მრავალრიცხოვან მაყურებელს; ასეთი თამაშები არ დარჩება სპონსორთა ყურადღების მიღმა; ორივე ნაკრების გაერთიანებული გუნდი, თუ სურვილი იქნება, ამხანაგურ მატჩებს გამართავს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის გუნდებთან; ამასთან, ყოველწლიურად ჩატარდება მატჩი ლიხსიქითა და ლიხსაქეთა გაერთიანებულ გუნდსა და საქართველოს ჩემპიონს შორის გაზეთ „ლელოს“ გარდამავალ თასზე. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები გაერთიანებულ ნაკრებში არ ითამაშებენ.

მაშ, ასე: მზად ხართ დისკუსიისთვის? ჩვენ მზად ვართ!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

● ხმაურიანი ეპიზოდი





ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტოები

# კარატე, ქვა, დაუნიშნავი პენალტები...

## სამტრედიაში გოლის გარდა ყველაფერი იყო

"სამტრედია"-"სპარტაკის" მატჩს უხმაუროდ არ ჩაუვლია. შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა და ამ შედეგმა არც მასპინძლები დააკმაყოფილა და არც – სტუმრები. რაც ყველაზე საინტერესოა, თამაშში მრავლად იყო სადავო მომენტიც და ვნებათაღელვაც.

ყველაზე თვალში საცემი ის ეპიზოდია, როცა არბიტრმა **დავით ხარიტონაშვილმა** "სამტრედიას" კარში პენალტი არ დანიშნა. არადა, მასპინძელთა მცველმა **ხუმარაშვილმა** "სპარტაკის" შემტევი **ბუზალაძე** სპორტის საბრძოლო სახეობის ილეთით შეაჩერა. თავის მხრივ, სტუმართა კარში დაუნიშნავ თერთმეტმეტრიანზე "სამტრედიას" ქომაგებსაც ჰქონდათ პრეტენზია. ამას გარდა, მავანმა სამტრედიელმა ვაიგულშემატკივარმა "სპარტაკის" თავკაც **ბადრი კვარაცხელიას** ქვა ესროლა.

მომხდარზე კომენტარის გასაკეთებლად ორივე კლუბის წარმომადგენლებს მივმართეთ.

**დავით ბურკაძე,** "სამტრედიას" გუნდის უფროსი: *"ჩვენმა ფეხბურთელმა "სპარტაკის" მოთამაშე უდავოდ აკრძალული ილეთით შეაჩერა, მაგრამ მსაჯმა პენალტი ალბათ, იმიტომ არ დანიშნა, რომ მანამდე სპარტაკელმა თავად დაარღვია თამაშის წესი – ბურთი ხელით გაისწორა (არადა, კუთხური დაინიშნა. რედ.). ფაქტია, რომ თავიდან ხარიტონაშვილი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ დაიძრა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურსასმენის საშუალებით სიტუაციაში თანამსაჯმა გაარკვია. მსაჯობის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, ხარიტონაშვილი საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად მიმაჩნია. "სამტრედია" არაობიექტური მსაჯობით არაერთხელ დაზარალებულა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბოლო ტურებში აღარ ვიჩაგრებით".*

**ბადრი კვარაცხელია,** "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი: *"ლაინსმენმა კოკაიამ ხარიტონაშვილი შეცდომაში შეიყვანა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. არ მინდა, სხვა რამ ვიფიქრო, მაგრამ სწორედ ეს კოკაია იყო სამტრედიაში, მეორე წრის მატჩში, 0:0-ზე 95-ე წუთზე არარსებული ჯარიმა რომ დააფიქსირა ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან, რასაც გოლი მოჰყვა.*

*არ მიყვარს მსაჯობაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს მეცხრე თამაში იყო, რომელშიც მსაჯების შეცდომების გამო ქულები დავკარგეთ. ამ დაკარგული ქულების ნახევარი რომ გვქონდეს, მინიმუმ მეხუთე-მეექვსე ადგილებზე ვიქნებოდით. ხარიტონაშვილი გამოცდილი მსაჯია და კარგად გაუძლვა ამ მატჩს, მაგრამ მას მაღალი დონის ლაინსმენები უნდა ჰყოლოდა გვერდით.*

*პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებიც ითხოვდნენ პენალტს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ იმ ეპიზოდში თერთმეტმეტრიანი არ იყო. ბოიომომ ვარდნა სუფთად შეასრულა და ვიდეოჩანაწერიდანაც კარგად ჩანს, რომ კონტაქტი არ ყოფილა. სამტრედიაში რომელი მსაჯი არ დანიშნავს რეალურ პენალტს?*

*რაც შეეხება ქვის სროლას, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, გულშემატკივრის საქციელი არ არის და ვანდალიზმია. ჩვენ რომ ვყოფილიყავით მასპინძლები და ვინმეს ქვა ესროლა მეტოქე გუნდის მწვრთნელისთვის, კოლეგას პირველი დავუდგებოდი მხარში.*

*როგორ შეიძლება, სულ ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდებოდნენ მსაჯები? ჩემი შრომა ჯანდაბას, ჩემი ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელები მეცოდებიან. ჩვენ სუფთად ვთამაშობთ და სულ "სპარტაკია" შეცდომების მსხვერპლი. არ მინდა, დავიჯერო, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება. რბილად რომ ვთქვა, ეს უსამართლობაა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი



ჯაბა კანკავა სანაკრებოდ მზად იქნება

# კანკავა მცირე ხნით იუქმებს

გაირკვა მიზეზი, რის გამოც უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში **ჯაბა კანკავა** "კრივბასს" დონეცკის "მეტალურგთან" მატჩში ვერ დაეხმარა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს ფეხი დაუჩირქდა და მცირე ქირურგიული ჩარევა გახდა აუცილებელი. რამდენიმე დღის განმავლობაში მას ვარჯიში აკრძალული აქვს, მაგრამ საგანგაშო არაფერია, მოედანს მალე დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს. არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება, შეხვედრა 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60: 92-11-66: 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35

"არგენტინის სახლისა" და "ზეპარ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის გმირი

# ნუ ინერვიულებ, შენი თამაში ითამაშე




## დინამოს ზესტაფონელმა გაუტანა. ერთადერთმა და ნამდვილმა

**მატჩის მინურულს "დინამოს" კარში გატანილი გოლით "ზესტაფონმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ჩემპიონატის ერთ-ერთ საკვანძო შეხვედრაში კი გადამწყვეტი ბურთი იმერელთა 19 წლის ნახევარმცველმა გიორგი ჭანკოტაძემ შეაგდო. "ზესტაფონის" თავკაცი გია გეგუჩაძე კრიტიკულ მომენტში თამამად ენდო და მანაც ეს ნდობა სრულად გაამართლა. ასე გაიცნო გულშემატკივარმა "ზესტაფონის" კიდევ ერთი ნიჭიერი აღზრდილი, რომელსაც "ლელოს" მკითხველსაც უფრო ახლოს გავაცნობთ.**

**- თავიდანვე გოლის მომენტი გაიხსენოთ. ზუსტად ისე დაარტყი, როგორც ჩაიფიქრე თუ ყველაფერი თავისით გამოვიდა?**

- ფიქრისთვის ბევრი დრო არც მქონია. მივიღე თუ არა საბა ლომიას გადაცემა, უცებ გავიფიქრე, რომ აუცილებლად უნდა გამეტანა და ღვთის მადლით, მიზანსაც მივაღწიე. ის კი ნამდვილად არ დამიგეგმავს, კონკრეტულად რომელ კუთხეში უნდა წასულიყო ბურთი. ეს ჩემი ცხოვრებისა და კარიერის უბედნიერესი დღე იყო.

**- ელოდი, რომ მოედანზე გასვლა მოგიწევდა?**

- ბუნებრივია, დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ იმედი ნამდვილად მქონდა. ფსიქოლოგიურად კარგად შევემზადე და თამაშის დაწყებისთანავე საკუთარ თავს მოედანზე ვხედავდი. კარგად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, თუ მწვრთნელი ჩემს თამაშს საჭიროდ მიიჩნევდა.

**- რა დაგავალა გია გეგუჩაძემ მოედანზე გასვლის წინ?**

- მითხრა, ნუ ინერვიულებ და შენი ფეხბურთი ითამაშეო. მარცხნიდან შეტევა დამავალა, შოთა გრიგალაშვილმა კი ცენტრში გადაინაცვლა. თუმცა ისე მოხდა, რომ გოლისას შეტევის მარჯვენა ფლანგზე აღმოვჩნდი.

**- ლომიასთან იდეალურად ჩანხარ შეთამაშებული.**

- დიდი ხანია, დუბლებში ერთად ვთამაშობთ და ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა წყვილმა მთავარ გუნდშიც შეძლო თავის გამოჩენა. დუბლებში საბას უმეტესად ჩემი პასებით გააქვს ხოლმე, ახლა კი პირიქით, მისი გადაცემით გავიტანე. შესანიშნავი პასი იყო და ვალდებული ვიყავი, კომბინაცია გოლით დამესრულებინა. მე და საბამ მეორე დღეს "დინამოს" დუბლშემადგენლობის წინააღმდეგაც ვითამაშეთ. ის შეხვედრა ფრედ დასრულდა.

**- "ზესტაფონის" მთავარ გუნდში ერთადერთი ზესტაფონელი ხარ.**

- ასეა და ძალიან ბედნიერი ვარ, მშობლიური ქალაქის გუნდში რომ ვთამაშობ. მინდა, აქ არაერთი სეზონი გავატარო და "ზესტაფონის" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე. სხვათა შორის, რუსთავში დავიბადე და ბავშვობა იქ გავატარე, ზესტაფონში კი ბოლო ხუთი წელია, ვცხოვრობ. ამის მიუხედავად, ჩემი ოჯახი ზესტაფონიდანაა და თავს ნამდვილ ზესტაფონელად მივიჩნევ. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი ზურაბ ბოჭორიშვილს, რომელიც "ზესტაფონის" ასაკობრივ გუნდებში ჩემი მწვრთნელი იყო, და, რა თქმა უნდა, გია გეგუჩაძეს, რომელმაც დიდი ნდობა გამომიცხადა და საოცარი მოტივაცია მომცა.

**- ოდესმე თუ ყოფილხარ საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების კანდიდატი?**

- სამწუხაროდ, არა. ბედნიერი ვიქნები, თუ ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს მომცემენ.

**- "დინამოსთან" არც სადებიუტო უმაღლესლიგური მატჩი ჩაგიტარებია და გოლიც არ ყოფილა პირველი.**

- დიახ, უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჯერ კიდევ შარშანწინ, ახალციხის "მესხეთთან" მატჩში მქონდა და ძირითად გუნდში არც ამ სეზონში მითამაშია პირველად, გოლი კი წინა სეზონში ზუგდიდის "ბაიას" გავუტანე. პირველი გუნდის სრულუფლებიან წევრად კი "დინამოსთან" შეხვედრამდეც ვგრძნობდი თავს. ხანდახან უმაღლესი ლიგის მატჩების განაცხადშიც ვხვდებოდი და "ზესტაფონის" შემადგენლობაში ესპანურ შეკრებაზეც ვითამაშე, რამაც ახალი გამოცდილება შემძინა.

**- ასეთი მნიშვნელოვანი გოლის შემდეგ დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატში თამაშისთვის განწყობა ხომ არ გაგიჭირდება?**

- არავითარ შემთხვევაში. კარგად ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად კიდევ ბევრი შრომა დამჭირდება და მანამდე ვალდებული ვარ, საკუთარი შესაძლებლობები ისევ დუბლებში დავამტკიცო. ისიც ვიცი, რომ შრომა დამიფასდება და საკუთარ შანსს მოთმინებით დაველოდები.

**- "დინამოს" დამარცხებამ "ზესტაფონი" ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად აქცია.**

- ფავორიტობა ბევრს არაფერს ნიშნავს, ჩემპიონობამდე სხვა მატჩების მოგებაც გვჭირდება. კარგია, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია. დიდი იმედი მაქვს, რომ გაუთვალისწინებელ ქულებს აღარ დავკარგავთ. "ზესტაფონი" ჩემპიონობას იმსახურებს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. მიზნის მისაღწევად გუნდი და ქომაგები გაერთიანებულები ვართ. ზესტაფონელი გულშემატკივარი ჩვენთვის ნამდვილად მეთორმეტე მოთამაშეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეგიონი

ალბათ, ყველას გახსოვთ, **მიხეილ სააკაშვილმა** ფეხბურთის ფედერაციის მაშინ ჯერ კიდევ ახალ თავკაც **ზვიად სიჭინავას** „გურიას" სტადიონის რეკონსტრუქცია რომ „წამოაცდენინა" და თან გრიგოლეთის საფეხბურთო კომპლექსის მიხედვაც დაავალა. არადა, სიჭინავა უახლოეს მომავალში გრიგოლეთით დაინტერესებას არ აპირებდა — წინასაარჩევნოდ გურიაში გაპიარების შემდეგ (რა დროსაც, სხვათა შორის, „წამოსცდა", ამ ბაზის შესყიდვა მე მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეო) გურიის ზღვისპირა კომპლექსი „გრძელვადიანებში", ანუ უფრო მოგვიანებით „გასაკეთებელ პროექტებში" გადაიტანა. აი, რას ამბობდა ქვეყნის პრეზიდენტის ჩარევამდე ფედერაციის თავკაცი: *„რაც შეეხება გრიგოლეთის ბაზას... ჩემთვის მნიშვნელოვანია, სად მოემზადებიან ნაკრები გუნდები და კლუბები, და მეორე — ამ ეტაპისთვის ჩვენი უმთავრესი მიზანი ქუთაისისა და ბათუმის ბაზების მოწყობაა. თუმცა არც გრიგოლეთს დავივიწყებთ. რაც შეიძლება ბევრი სტადიონი და საწვრთნელი ბაზა უნდა გვქონდეს. გრიგოლეთის რეკონსტრუქციაც აუცილებლად დაიგეგმება. შევადგენთ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების 5-წლიან პროგრამას. შესაძლოა, გრიგოლეთი 2010 წლის პროექტებში არ შევიდეს, მაგრამ 2011 ან 2012 წლის გეგმებში ნამდვილად იქნება. საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა რაიონში ავაშენებდი სტადიონს, მაგრამ ახლა გარკვეული გრაფიკი გვჭირდება".*

თუმცა სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადების შემდეგ ლანჩხუთში სჯეროდათ, რომ ყველა გრაფიკს უნდა გადმოეწია, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი პირის განცხადება პიარი არ იყო, როგორც აქამდე, თუნდაც „გურიასთან" მიმართებაში. როცა ქუთაისის სტადიონი გაკეთდა და სიჭინავამ სააკაშვილს ბათუმისა და ფოთის გეგმების შესახებ ამცნო, ქვეყნის პრეზიდენტმა მკაფიოდ უთხრა — „გურია" და გრიგოლეთის ბაზა არ გამოგვრჩესო!

მოგეხსენებათ, ახლახან საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს შეხვდა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ შეხვედრის შემდეგ კონკრეტული პროექტების განხორციელება დაიწყება.

*„დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ახალი მოედანი გაკეთდება, თუმცა ჯერ ქალაქებს ვერ დავაკონკრეტებ"* — აღნიშნა სიჭინავამ.

მართალია, ქართული ფეხბურთის მესაჭემ ქალაქების დაკონკრეტება არ ისურვა, მაგრამ ჩვენ დავინტერესდით, მოხვდა თუ არა მათ შორის ლანჩხუთის „გურიას" მთავარი არენა. რატომღაც ბოლო დროს ლანჩხუთი ფეხბურთის კუთხით ჩრდილში მოექცა. არადა, ასეთ მოქცევას თუნდაც კლუბის ტრადიციები ნამდვილად არ იმსახურებს.

იმის გასარკვევად, არის თუ არა სახელმწიფო პროგრამაში „გურია" და მიხეილ სააკაშვილის მიერ შეხსენებული ლანჩხუთის სტადიონი, სააკაშვილ-სიჭინავას შეხვედრის მონაწილეს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილს** დავუკავშირდით:

***— თქვენ ესწრებოდით შეხვედრას ქვეყნის პრეზიდენტსა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს შორის, სადაც საუბარი იყო სტადიონების რეაბილიტაციაზე. არის თუ არა მათ შორის ლანჩხუთის სტადიონი, რომელიც დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია?***

*— ამ ეტაპზე ვიწყებთ ბათუმის, ფოთისა და სამტრედიის სტადიონებს. 2012 წლის ბოლოსკენ სტადიონების მშენებლობა დასრულებული გვექნება და მათ შორის იქნება ლანჩხუთიც.*

SOS!

# გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა

გაპარტახებული „ევგრაფი შევარდნაძე" სახელმწიფო პროექტში „ჯერ" ვერ მოხვდა




## სტალინგრადი ლანჩხუთში



## აქ თუ დაჯექი, ველარ ადგები



თუმცა მომავლის პერსპექტივა „ევგრაფი შევარდნაძეს" დიდად არ წაადგება, ერთ დროს ქვეყნის მასშტაბით თავმომწონე არენა სავალალო მდგომარეობაშია, უმეტეს ადგილზე კი მაყურებლისთვის დაჯდომა — სახიფათო. ჯერ კიდევ **მერაბ ჟორდანიას** პრეზიდენტობისას ამბობდნენ, რომ „ევგრაფი შევარდნაძეს" ფიფა-უეფას ფინანსური დახმარებით კეთილმოაწყობდნენ, მაგრამ ჟორდანიას ისე დაატოვებინეს პოსტი, ყოველივე მხოლოდ იდეად დარჩა. **ნოდარ ახალკაცის** დროსაც ლაპარაკობდნენ ამაზე, მაგრამ ლანჩხუთი მის ოპოზიციაში იდგა და გასაგებია, რომ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. ზვიად სიჭინავას მოსვლას და მის განცხადებებს გურული ქომაგი იმედით შეხვდა, თუმცა ლანჩხუთი თანდათან უკანა პლანზე გადადის. არადა, „გურია" სიჭინავასთვის არცთუ შორეულ წარსულში პრიორიტეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, ამას თავად ამბობდა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

***P.S. ისე, კარგი იქნება, სტადიონების გარემონტების გრაფიკის შემდგენლებმა, თუ ქალაქებში არ ჩავლენ, ეს ფოტოები მაინც ნახონ!***

ლეგიონერები

## მუჯავანაძე დისკვალიფიკაციას გადაურჩა, ცხადაძე 1000 მანათს – ვერა



კახა ცხადაძე

ბაქოს "ინტერის" ქართველ მცველ **კახა მუჯავანაძეს** "ნეფთჩისთან" დედაქალაქურ დერბიში მიღებული მეორე ყვითელი ბარათი გაუუქმეს. აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა, რომ მას ხელით განზრახ არ უთამაშია. გაძევების გაუქმებასთან ერთად, გაუქმდა მუჯავანაძის დისკვალიფიკაციაც.

"ინტერის" ქართველი მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობისთვის 1000 მანათით დააჯარიმეს.



კახა მუჯავანაძე

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები




# რევიშვილი მაგრად დგას

მახაჩყალის "ანჟისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესოთა შორისაა. ოთხ ტურში მან სამჯერ შეინახა კარი მშრალად და ამ მონაცემით მხოლოდ "კრასნოდარისა" და "რუბინის" მეკარეები უტოლდებიან. სამაგიეროდ, "ჩემპიონატ.რუს" შეფასებებით, რევიშვილი დღეისთვის რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეა, რადგან მათ შორის ყველაზე მაღალი ქულა (6,25) აქვს და ოთხი ტურის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მე-2-მე-4 ადგილებს იყოფს.

ნუკრიმ ბოლო ტურში "ტომთანაც" მშვენივრად ითამაშა და "სოვეტსკი სპორტმა" მახაჩყალელთა შორის საუკეთესო ბალი 4,0 (5-ბალიანი სისტემით) რევიშვილსა და "ანჟის" კაპიტან **რობერტო კარლოსს** მიაკუთვნა.

"ჩემპიონატ.რუს" სიაში 31-ე ადგილზეა "კრასნოდარის" კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი** (5,88 ქულა), 37-ზე - **გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე** კი - 45-ზე.

"ევროსპორტ.რუმ" კი "როსტოვის" კარში **გოჩა ხოჯავას** გატანილი გოლი ტურის გოლად აღიარა.

*"ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" შედეგს შესაშური მონდომებით აღწევს და ამას ეფექტურადაც ახერხებს. "როსტოვთან" გასვლაზე გუნდმა ისეთი გოლები გაიტანა, ყველას გემოვნებას რომ დააკმაყოფილებდა. რომ არა ეს გუნდი, მეოთხე ტური უფერული იქნებოდა. "ვოლგამ" კვლავ სამი გოლი გაიტანა, მაგრამ ყველაზე ლამაზის ავტორი ხოჯავა იყო. გია გრიგალავამ ცენტრში ბურთი ჩაჭრა, შემდეგ იაშინმა საჯარიმოსთან ქართველი პლეიმეიკერი მოძებნა – ხოჯავამ საჯარიმოს კუთხიდან მოულოდნელად დაარტყა და "ცხრიანში" იდეალურად გაიტანა"* – წერს "ევროსპორტ.რუ".

**მერაბ მამულაშვილი**

# კორღალიძე მოლდოვის ჩემპიონატს აფერადებს




მოლდოვაში სეზონი გახურდა, **ლევან კორღალიძის, დავით გამეზარდაშვილისა და მამუკა ლომიძის** "დაჩია" ჩემპიონატს ლიდერობს და ტური ისე არ ჩაივლის, კარგი ამბები არ შევიტყოთ.

კორღალიძე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში: ინტერნეტ-ტელევიზია "სპორტი" ყოველთვიურად "მარადონა ტროფით" მოლდოვის ჩემპიონატში ყველაზე თავგამოჩენილ მწვრთნელს ან ფეხბურთელს აჯილდოებს.

მარტში საუკეთესო და, შესაბამისად, მარადონას სახელობის პრიზის მფლობელი "დაჩიას" პლეიმეიკერი კორღალიძე გახდა. მოლდოველი ჟურნალისტების აზრით, ლევანი თვის ყველაზე "მკვეთრი ფერი" იყო.

მედიის წარმომადგენლები სწორედ მის დირიჟორულ თვისებებსა და შედეგიან თამაშს მიაწერენ "დაჩიას" ლიდერობას.

ჟურნალისტების გამოკითხვაში კორღალიძემ 184 ხმა მიიღო და მოლდოვის ნაკრებისა და რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდარის" თავდამსხმელ **იგორ პიკუშჩაკს** (166 ხმა) გაასწრო.

აღსანიშნავია, რომ კორღალიძემ "მარადონა ტროფი" სეზონში უკვე მეორედ მოიპოვა. ასე რომ, თუ ტემპი არ შეანელა, ის მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის უდავო კანდიდატი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# დემეტრაძეს დღემდე ეჭიდავებიან

## უკრაინაში ჯერაც TOP ფორვარდია

**გიორგი დემეტრაძე** უკრაინის ჩემპიონატში 2008 წლის შემდეგ აღარ თამაშობს. ამის მიუხედავად, ჩემპიონატის ტოპ-ფორვარდებს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდის შედეგიანობის გაუმჯობესება დღემდე უჭირთ.

ასე, მაგალითად: სერბმა თავდამსხმელმა **მარკო დევიჩმა** ხარკოვის "მეტალისტის" შემადგენლობაში 52-ე გოლი გაიტანა. ის ნატურალიზებული ფეხბურთელია და უკრაინის ნაკრებში 10 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

დევიჩი უკრაინის უმაღლეს ლიგაში 11 წელია თამაშობს, "მეტალისტში" კი მეექვსე სეზონს ატარებს. აღმოჩნდა, რომ მან მხოლოდ ახლა გაიტანა უკრაინის ჩემპიონატში იმდენი გოლი, რამდენიც გიორგიმ შვიდ სეზონში – ეს მოვლენა უკრაინულ მედიაში ამიტომ გამოარჩიეს.

უკრაინის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირებში დემეტრაძე 27-ე ადგილზეა. უინტერესო არ უნდა იყოს, რომ გიორგის დარად მხოლოდ ცხრა მოთამაშემ შეძლო "პოკერის" (ერთ შეხვედრაში ოთხი გოლის) შესრულება.

ამ სიაში ყველაზე სწრაფად გატანილი გოლების მიხედვით გიორგი მეორე ადგილზეა: 2000 წლის 27 აგვისტოს (მაშინ კიევის "დინამოში" თამაშობდა) ტერნოპოლის "ნივას" მე-2 წუთზე შეუგდო. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელ **ბრანდაუს** აქვს, რომელმაც 2005 წელს ხარკოვის "მეტალისტი" პირველივე წუთზე დაამწუხრა.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოელი ფეხბურთელები და მწვრთნელები საქართველოში

# ლეგიონის გაგვიძვირდა...

## კლებადობის ტენდენცია

ეს სეზონი ახალი დაწყებული იყო, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელი ფეხბურთელების კლებადობის ტენდენციაზე რომ ვისაუბრეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინა ჩემპიონატში (უმაღლეს ლიგას ვგულისხმობთ) ჩვენთან 25-მა უცხოელმა ფეხბურთელმა ითამაშა. ამ სეზონის დაწყების წინ კი ხუთიღა შემოგვრჩა: პორტუგალიელი **ედნილსონი,** ბრაზილიელი **რობერტინიო,** კამერუნელი **ჯუისი** (სამივე-„დინამო“), კამერუნელი **ბოიომო,** კოტ'დივუარელი **კლოვისი** (ორივე-„სპარტაკი“). უცხოელ ფეხბურთელთა ნაკადის შემცირებას მაშინ ერთადერთი მიზეზი მოვუძებნეთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ზვიად სიჭინავას** რეკომენდაციით, XXII ჩემპიონატში ყოველი ახალი ლეგიონერის დამატებაზე კლუბს ფედერაციის ბიუჯეტში 15000 ლარი უნდა შეეტანა. ოღონდ, ეს თანხა უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის იყო განკუთვნილი, რამეთუ პირველ და მეორე ლიგის გუნდებს ბევრად ნაკლები უნდა გადაეხადათ (შესაბამისად, 5000 და 2000 ლარი). სწორედ ამის გამოც იყო, რომ ერთობ პესიმისტური პროგნოზი გავაკეთეთ: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერთა მოზღვავებას არ უნდა ველოდოთ-თქო. ასეც მოხდა: ზემოთ ნახსენებ ხუთეულს კიდევ ექვსი უცხოელი ფეხბურთელი დაემატა და დღესდღეობით უმაღლეს ლიგაში 11 ლეგიონერი ასპარეზობს. ყველაზე მეტი „დინამოსა“ ჰყავს: 28 წლის სერბი მცველი **მარკო მაროვიჩი,** 30 წლის ჩეხი მცველი **ირჟი ჰომოლა,** 24 წლის სერბი ნახევარმცველი **სამირ ჰაჯიბულიჩი,** 28 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი **ედნილსონი,** 21 წლის კამერუნელი შემტევი **დონალდ ჯუისი,** 22 წლის ბრაზილიელი გარემარბი **რობერტინიო** და 24 წლის ბოსნიელი თავდამსხმელი **პეტარ ელიჩი.** შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ლეგიონერად ითვლება „დინამოს“ ახალწვეულთაგან, უდავოდ საუკეთესო, **ზურაბ არზიანი** — 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი რუსეთის მოქალაქეა.


ანატოლი პისკოვეცი


ზურაბ არზიანი

კიდევ ერთი უცხოელი „ზესტაფონში“ გამოჩნდა, თუმცა 25 წლის ხორვატ მცველს **გორან გრუიცას** საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ჯერჯერობით არ ჰქონია. მოკლედ, ლეგიონერებზე დაწესებულმა ლიმიტმა მეტ-ნაკლებად ამბიციური გუნდების ხელმძღვანელები სერიოზულად დააფიქრა: თითოეულ უცხოელ ფეხბურთელზე 15000 ლარის გადახდას, ისევ ქართველების დამატება რომ ამჯობინეს, ალბათ, არავის უნდა გაჰკვირვებოდა. თანაც, ლეგიონერებსაც ხომ გააჩნია, — რამდენჯერ ყოფილა, როცა დიდი „ზარ-ზეიმით“ ჩამოყვანილ უცხოელ ფეხბურთელს... „ელემენტარული რალაცებიც“ კი არ სცოდნია. თუმცა, ამ საკითხზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია და ასეთ „ვითომ-ლეგიონერებს“ ერთი-ორჯერ ... სპეციალური რუბრიკაც („სიცრუის დეტექტორი“) მივუძღვენით. უფრო ზუსტად, აქ ჩამოსული უცხოელები რომ „გვაბრუებდნენ“ ხოლმე - ჩემი ქვეყნის ყველა ასაკობრივ ნაკრებში მაქვს ნათამაშები და ეროვნულშიც რამდენიმე მატჩი ჩამიტარებიაო (მერე იმათ მონაყოლს გადავამოწმებდით და აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ვიღებდით). თუმცა, რაღა ზოგადად ვსაუბრობთ: „დინამოს“ ნახევარმცველმა ედნილსონმა ინტერვიუში გვითხრა, პორტუგალიის ნაკრებში რამდენიმე მატჩი მაქვს ნათამაშებიო, მაგრამ თარიღი და მეტოქეები... ვერაფრით გაიხსენა. ახლა კი, ეს არცთუ ურიგო საყრდენი ნახევარმცველი აფრიკის თასზე მოასპარეზე... გვინეა-ბისაუს ნაკრებშია მიწვეული. არადა, ედნილსონს „მთლად ურცხვად“ არ მოუტყუებივართ: პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა და ეროვნულ გუნდშიც რამდენჯერმე იყო გამოძახებული, უბრალოდ, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია.

## სხვადასხვა დონე

XXII ჩემპიონატი იმითაც არის „განსაკუთრებული“, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოხდა, როცა უმაღლეს ლიგაში უცხოელი სპეციალისტი არ მოღვაწეობს! არადა, პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს არაერთ უცხოელ მწვრთნელს უმუშავია ჩვენთან და მათ შორის ისეთებიც ყოფილან, ქართულ ფეხბურთში გარკვეული კვალი რომ დაუტოვებიათ; თუმცა, საპირისპირო შემთხვევებიც (თანაც, უფრო მეტი) მრავლად გვახსოვს, როცა უცხოეთიდან ჩამოყვანილი „გაპიარებული“ მწვრთნელები ჩვენს სპეციალისტებს არათუ ვერაფერში ჯობდნენ, კვალიფიკაციაში ბევრად ჩამოუვარდებოდნენ კიდეც. ხვდებით, ალბათ, რომ საკლუბო დონეზე ვსაუბრობთ, თორემ იმავე **კლაუს ტოპმიოლერისა** თუ **ექტორ კუპერის** „მოღვაწეობის“ დროს საქართველოს ნაკრებს რა წინსვლაც ჰქონდა, იმედია, ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს. **იოჰან ბოსკამპი** (ჰოლანდია), **ვლადიმერ ზემლიანოი, ალექსანდრ შტელინი, ვიქტორ კაშჩეი, ანატოლი პისკოვეცი** (ყველა-უკრაინა), **ივო შუშაკი** (ხორვატია), **ლუის ცაკარიასი** (პერუ), **დუშან უჰრინი** (ჩეხეთი), **რაინერ ცობელი** (გერმანია), **ანდრეი ჩერნიშოვი** (რუსეთი), **ჯანი კარნევალე** (იტალია), — აი ის უცხოელი მწვრთნელებიც, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წარმატებით რომ მუშაობდნენ საქართველოს ჩემპიონატში. თუმცა, ამ სეზონში ერთი ლეგიონერი მწვრთნელი კიდევ „შემოგვრჩა“: იმის მიუხედავად, რომ „გაგრა“ პირველ ლიგაში დაქვეითდა, ამ გუნდის უკრაინელმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა კვლავაც საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა. ისე, კლუბის ხელმძღვანელებმა ნამდვილად მართებული გადაწყვეტილება მიიღეს, ამ გამოცდილ სპეციალისტს კონტრაქტის გახანგრძლივება რომ შესთავაზეს: ანატოლი პისკოვეცის ხელმძღვანელობით „გაგრა“ დამაჯერებლად ლიდერობს პირველი ლიგის გათამაშებას და, ალბათ, სასწაული უნდა მოხდეს, გუნდი უმაღლეს ლიგაში რომ არ დაბრუნდეს. ამას გარდა, „გაგრამ“ სხვა, უფრო ზუსტად „ნაღდი“ სასწაული უკვე მოახდინა, როცა თასის მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს“ აჯობა ორრაუნდიან დაპირისპირებაში და ამჟამად ნახევარფინალშია გასული! როგორ გგონიათ, პირველ ლიგაში მხოლოდ პისკოვეცია ერთადერთი ლეგიონერი? ჯერ მარტო „გაგრაში“ სამი ლეგიონერი ასპარეზობს: 29 წლის **მიკოლა ნაკონეჩნი,** 25 წლის **ვლადიმირ ორდინსკი** (ორივე-უკრაინა) და 18 წლის **აბაიომო ოვონიკოკო** (ნიგერია). ამათ გარდა, პირველ ლიგაში სხვა ლეგიონერებიც ასპარეზობენ: განაცხადში ყველაზე მეტი უცხოელი კიდევ ერთ ლიდერს, მარტვილის „მერანს“ ჰყავს: 36 წლის **ადონის პაპადოპულოსი** (საბერძნეთი) პირველ ეტაპზე მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ, 20 წლის **მელოდეკი ზონი** (კოტ'დივუარი) და ასევე 20 წლის **ლორენცო ლარკი** (ლიბერია) მეორე წრეში, ფაქტობრივად, აღარ სჩანან ძირითადში, სამაგიეროდ, 20 წლის **ჟოელ იატრო** და 22 წლის **მუგნინი ტაპე** (ორივე — კოტ'დივუარი) ამ გუნდის წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნევიან.

## რეკორდსმენი და გეოგრაფია

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ჩემპიონატში 250-მდე უცხოელ ფეხბურთელს უთამაშია; რა თქმა უნდა, გამორჩეული ოსტატებიც გვახსოვს, ჩვენს პირველობას ეშხსა და ლაზათს რომ მატებდნენ: **ზაურ ხაპოვი** (რუსეთი), **რობერტას ფრიდრიკასი, არვიდას კონციავიჩუსი, ვირგილიუს ბალტუშნიკასი, რიმას მაჟეიკისი** (ყველა-ლიტვა), **დე პორასი** (არგენტინა), **ტიაგო, კარლოსი, ვიეირა, აკინო ფრაგა** (ყველა-ბრაზილია), **ანდრეი პოროშინი** (უკრაინა), **პოლ კესანი, დიდიე ოვონო, ჟორჟ აკირემი, ერნესტ აკუასაგა** (ყველა-გაბონი), **ერიკ-რომეო ჩასემი** (კამერუნი), **დენი დონდტი** (ბელგია), **მილოშ კრშკო** (სლოვაკეთი), **ნედ ზელიჩი** (ავსტრალია) და ასე შემდეგ; ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა ამ 21 წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატში სხვა ერონების ფეხბურთელებსაც უასპარეზიათ: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უზბეკეთი, ნიგერია, განა, პერუ, ეკვადორი, ჩერნოგორია, კორეა, ჩეხეთი, კონგო, სერბეთი, მაკედონია, ზამბია, კოტ'დივუარი, პორტუგალია, საფრანგეთი და ასე შემდეგ. ამ სეზონში, ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ლეგიონერთა გეოგრაფია რომ გაიზარდოს; მანამდე კი, რეკორდსმენი-ლეგიონერები ვახსენოთ: უკრაინელმა ანდრეი პოროშინმა სამი სეზონის განმავლობაში 27 გოლი გაიტანა (საუკეთესო შედეგია), ხოლო ანდერსონ აკინომ წინა სეზონში 31 მატჩში 26 გოლი გაიტანა და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და „ლელოს“ ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელიც. თუმცა, აბსოლუტური რეკორდსმენი მაინც ცხინვალის „სპარტაკის“ 28 წლის მცველი ფრიდოლინ ბოიომო გახლავთ: სამ ქართულ გუნდშიც იასპარეზა (მანამდე ჯერ „სიონში“ თამაშობდა, მერე — „ზესტაფონში“) და საერთოდაც ერთადერთი ლეგიონერია, ვინც ხუთ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ბოიომოს კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის — პირველი ლეგიონერია, ვინც საქართველოს ჩემპიონატში ასზე მეტი (სულ-104) მატჩი ჩაატარა!..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# როზერტო მანჩინი: შევცდი!



შაბათს „მანჩესტერ სიტის“ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი ელის — ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება, მაგრამ, ბედი არ გინდა, მაინცდამაინც ახლა დაუშავდა **კარლოს ტევესი**. მოგეხსენებათ, ორშაბათს, პრემიერლიგის 32-ე ტური „ენფილდ როუდზე“ „ლივერპულისა“ და „სიტის“ შეხვედრით დასრულდა. ეს გახლდათ მატჩი, რომელშიც ისტლენდელებს ძალიან არ გაუმართლათ. ამას ანგარიში 3:0-იც ადასტურებს. მერსისაიდელთაგან სამიდან ორი გოლი ახალშეძენილმა **ენდი ქეროლმა** შეაგდო, სტუმრების მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** კი ნაგებაზე მეტად, ალბათ, ტევესის დაშავება ეწყინა. არგენტინელი მე-16 წუთზევე შესაცვლელი გახდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მანჩინიმ განაცხადა, რომ ტევესის თამაში არათუ შაბათს, არამედ კიდევ ორი კვირის განმავლობაში გამორიცხულია. მანჩესტერული დერბის შემდეგ „სიტის“ „ბლექბერნსა“ და „ვესტ ჰემთან“ აქვს სათამაშო.

*„კარლოსს ორთავა კუნთი ეტკინა, რაც შაბათისთვის მდგომარეობას ძალიან გვირთულებს. ახლა მის გარეშე მოსამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ხუთი დღე გვრჩება. ძალიან ვეცდებით ტევესი შემდგომი ორი თამაშისთვის მაინც გამოვაჯანმრთელოთ, მაგრამ ეს ძნელი იქნება. ალბათ, მოვლენებს არ დავაჩქარებთ, რადგან მაისში სხვა თამაშებიც გვაქვს და ჯობს თავდამსხმელმა იქ გამოიჩინოს თავი“.*

ქეროლის გარდა „მანჩესტერ სიტის“ კარში ჰოლანდიელმა **დირკ კუიტმაც** შეაგდო, თუმცა სტუმართა მეკარე **ჯო ჰარტი** რომ არა, მერსისაიდელები, ალბათ, კიდევ უფრო მეტ გოლს გაიტანდნენ. მანჩინიმ უხარისხო თამაშის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად იკისრა და განაცხადა, რომ ოქტომბრის მერე ყველაზე დიდ ფიასკოში ფეხბურთელები უდანაშაულონი არიან.

*„მე შევცდი - ვაჟკაცურად თქვა ისტლენდელთა თავკაცმა - თამაში ჩამ გამო წავაგეთ. მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ შეცდომას დროულად მივხვდი. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არასწორად ვხელმძღვანელობდი გუნდს. ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან. გარდა ამისა, „ლივერპულმა“ პირველი 20 წუთის განმავლობაში დიდებულად ითამაშა. ჩვენ მათ სივრცეები დავუტოვეთ და მათაც ამ უპირატესობით ისარგებლეს. ისინი ძალიან აგრესიულები იყვნენ. ამ დღეს გუნდს სამი დასვენებული ფეხბურთელი მივაშველე, მაგრამ ყურადღების კონცენტრაცია გვაკლდა. თუმცა, არ ვნერვიულობ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილსაც მოვიპოვებთ და ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალშიც გავალთ“.*

ორი გოლის გატანისთვის დიდი ქება დაიმსახურა ენდი ქეროლმა. რა არ დაწერეს გაზეთებმა: „დენდი ენდი“ თუ „ფერნანდო... ვინ?“ — აქაოდა, მასთან შედარებით ტორესი ვინლა არისო. თავად ფეხბურთელმა თქვა:

*„დიდებული დღე იყო. „ლივერპულში“ ჩემი პირველი გოლი გავიტანე და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა“.*

„წითლების“ მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა**, რომელმაც ამ დღეს 18 წლის დებიუტანტი **ჯონ ფლენაგანი** ათამაშა, თქვა, რომ ეს იანვრის ანუ მწვრთნელის პოსტზე დაბრუნების შემდეგ მისი საუკეთესო თამაში იყო.

*„ფლენაგანმა კი ინგლისის ნაკრების ნევრ ჯეიმს მილნერის წინააღმდეგ ითამაშა და წარბიც არ შეუხრია“.*

სამომავლო ფიქრი

# ზეედორფი ანუ კაცი ლიგა



საკვირველი ამბავი თუ გნებავთ, ეს არის: „მანჩესტერ სიტიმ“ „მილანს“ ჰოლანდიელი ვეტერანის, **კლარენს ზეედორფის** შეძენაზე ჩამოუგდო სიტყვა. ისტლენდელებს ზაფხულში 35 წლის ნახევარმცველის შეძენა გადაუწყვეტიათ. ეს ინფორმაცია გაზეთმა „დეილი მეილმა“ მოიპოვა. მანვე გაიგო, რომ ზეედორფის დამატებას სასარგებლო ნაბიჯად პირადად „სიტის“ თავკაცი **რობერტო მანჩინი** მიიჩნევს.

როგორც ჩანს, ვეტერანის შეძენას ის აზრი აქვს, რომ მომავალი სეზონიდან „მანჩესტერ სიტი“ შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაში გამოვიდეს, ზეედორფს კი ლიგაში თამაშის უდიდესი გამოცდილება აქვს. თავად განსაჯეთ, ნახევარმცველს ამ შეჯიბრებაში 117 მატჩი აქვს ჩატარებული. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში აქვს მოპოვებული. პირველად ზეედორფმა ჩემპიონთა თასი 1995 წელს აღმართა, როდესაც „აიაქსში“ თამაშობდა. მეორედ მან იგივე 1998 წელს, „რეალის“ მაისურით მოახერხა, მესამედ და მეოთხედ კი უკვე „მილანის“ შავ-წითელი ფორმა ეცვა — ეს, შესაბამისად, 2003 და 2007 წლებში მოხდა. სხვათა შორის, გასული კვირის მიწურულს ის ამბობდა, რომ მართალია „მილანთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ „როსონერისთან“ ახალ ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი.

*„ჩემ შესახებ უამრავი ჭორი მესმის - თქვა ზეედორფმა - თუმცა, უპირველეს ყოვლისა „მილანს“ დაველოდები. არ არის გამორიცხული, რომ ისევ „სან სიროზე“ განვაგრძო თამაში. შემოთავაზებები კი ბრაზილიიდანაც მაქვს და ევროპის სხვადასხვა კლუბიდანაც. ოღონდ, სანამ სატრანსფერო ამბებზე დავფიქრდები, მინდა მთელი ყურადღება სკუდეტოსთვის ბრძოლას დავუთმო“.*

და ვინ არის „მანჩესტერ სიტის“ კონკურენტი ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში? უპირველეს ყოვლისა, „ტოტენჰემ ჰოთსპური“, რომელსაც დღეს მძიმე დღე აქვს: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალს“ ხვდება, პირველ შეხვედრაში კი 4:0 აქვს წაგებული. თუ ვერც „რეალს“ მოუხერხა რამე და ვერც „სიტის“ აჯობა პრემიერლიგაში, მაშინ **ჰარი რედნაპის** გუნდი მომავალ სეზონში ევროასპარეზს მიღმა დარჩება. ბრაზილიელი მეკარე ეურელიო გომეში შიშობს, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საუკეთესო ფეხბურთელები, **გარეთ ბეილი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გუნდიდან გაიქცნენ.

გომეში ამბობს: *„როდესაც ჩემპიონთა ლიგაში გამოდიხარ, ყველა ფეხბურთელს შენთან ყოფნა უნდა, ყველა „სფურზის“ წევრობაზე ოცნებობს. აი, ლიგის გარეშე კი ახალი ვარსკვლავების დამატებაც გაჭირდება და ძველების შენარჩუნებაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბეილის დატოვება გახლავთ“.*

„სფურზის“ მიმართ დაუნდობელია კალენდარიც. რედნაპის შეგირდებს პრემიერლიგაში უძლიერესებთან დარჩა სათამაშო: „ჩელსისთან“, „არსენალთან“, „ლივერპულთან“ და ზემოთ ნახსენებ „მანჩესტერ სიტისთან“. მაგრამ გომეში იხტიბარს არ იტეხს:

*„თუკი ამ გუნდებს გასულ სეზონში ვაჯობეთ, ამ სეზონში რატომაც არ უნდა ვაჯობოთ?“*

პრემიერლიგური ბიზნესი

# ტრადიცია და ამბიცია, სტენ!

როგორც კი „არსენალის“ შეძენასთან დაკავშირებულ საბუთებს გააფორმებს, **სტენ კროენკი არსენ ვენგერს** ახალი ფეხბურთელების საყიდელ ფულს მისცემს. მოგეხსენებათ, ამერიკელმა მილიარდერმა თავისი წილი 63 პროცენტამდე გაზარდა — **დენი ფრიზმანისა** (16,1 პროცენტი) და ლედი **ნინა ბრეისველ სმიტისგან** (15,9 პროცენტი) 233,2 მილიონი ფუნტის აქციები იყიდა და თავისას დაამატა. კლუბისთვის, რომელსაც 2005 წლის შემდეგ ტიტული არ მოუგია, სატრანსფერო ბაზარში 40 მილიონის „გატანება“, კროენკის აზრით, ძალიან დიდი საქმე იქნება. ახალი მეპატრონის გამოჩენის შემდეგ „არსენალის“ ერთი აქციის ფასი 11, 75 ფუნტი გახდა და კლუბის საერთო ღირებულებამ 731 მილიონ ფუნტს მიაღწია.

63 წლის კროენკს ამერიკულ სპორტულ კლუბებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან თქვა:

*„აღფრთოვანებული ვარ, „არსენალში“ ფულისა და ენერგიის დახარჯვის საშუალება რომ მომეცა. მინდა გუნდმა ახალი ჯილდოები მოიპოვოს. იმედი მაქვს, რომ პიტერ ჰილ-ვუდი პატივს დაგვდებს და თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს“.*

სტენ კროენკი უმდიდრესი ადამიანია, რომელიც „არსენალის“ მენილე 2008 წლიდან გახლავთ. ახლა მას ჩრდილოლონდონური კლუბის დარჩენილი წილის გამოსყიდვაც უნდა, თუმცა ცნობილია, რომ თავისი ჯიბიდან ფულის დადებას არ აპირებს. მოგეხსენებათ, „არსენალის“ ერთ-ერთი მთავარი აქციონერი, აქციათა 27 პროცენტის მფლობელი არის უზბეკი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი**, რუსული „მეტალოინვესტის“ მთავარი ფიგურა. ამბობენ, რომ უსმანოვი ჯერჯერობით ფიქრობს, გაყიდოს თუ არა „არსენალის“ წილი.

არსენ ვენგერი: *„სტენ კროენკთან რამდენიმე წელიწადია რაც ვთანამშრომლობ და დარწმუნებული ვარ, რომ მას „არსენალის“ გაძლიერება გულით სწადია. კროენკს კარგად ესმის, რა ტრადიციისა და ამბიციის კლუბთანაც აქვს საქმე და იცის, რომ ჩვენ ისეთი საფუძვლის ჩაყრა გვჭირდება, რომელიც მომავალში ხანგრძლივ წარმატებებს უზრუნველყოფს“.*

„არსენალის“ თავმჯდომარე **ჰილ-ვუდი**: *„დირექტორატის წევრები და მე ვგრძნობთ, რომ უპირველეს ყოვლისა გუნდის სული უნდა დავიცვათ. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ მართალია მისტერ კროენკი „არსენალში“ შედარებით ახალი კაცია, მაგრამ უკვე დაამტკიცა, „მეთოფეთა“ ისტორიისა და ტრადიციების პატივისცემა. „არსენალი“ ხომ სპეციფიური კლუბია. იმედი მაქვს, რომ ის პოზიციას არც მომავალში შეიცვლის“.*

კლუბის აღმასრულებელი შეფი **აივან გაზიდისი**: *„არსენს ჩვენთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. რაც ახლა ხდება აშკარად ეპოქის დასასრული გახლავთ, თუმცა ეს ახალი ეპოქის დასაწყისიც არის. არა მგონია, ახალმა მეპატრონემ მოღვაწეობა რადიკალური ცვლილებებით დაიწყოს. მისტერ კროენკი სპორტში ჭიპმოჭრილი ადამიანია“.*



კროენკი (მარცხნივ) და ჰილვუდი

არსენალი

# კლიშის მომავალი

„არსენალის“ მარცხენა მცველმა **გაელ კლიშიმ** განაცხადა, რომ ამ ზაფხულს გუნდიდან არ წავა. ეს საკითხი კი იმიტომ წამოიჭრა, რომ ბევრი მიმომხილველის აზრით, „მეთოფეები“ ვერც ამ სეზონში მოიგებენ ჯილდოს და გულაცრუებული **არსენ ვენგერი** ფეხბურთელთა მოზრდილ ჯგუფს გამოცვლის. ამბობენ, რომ იმ ფეხბურთელთა შორის, რომელთაც ვენგერი გაყიდის, კლიშიც იქნება, თუმცა ფრანგი, რომელიც მომავალ წელს თავისუფალი აგენტი გახდება, მონადინებულია, რომ ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. კლიშიმ თქვა:

*„აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდოდა ოსტატობა დამეხვეწა. ეს ნებისმიერი მოთამაშისთვის ბუნებრივი სურვილია. იმხანად ბევრი გუნდი მიწვევდა, მაგრამ ვენგერმა დამარწმუნა, რომ ჯობდა „არსენალში“ გადავსულიყავი და მას მერე ერთსა და იმავეს ვიმეორებ: ჩემი აწმყო და მომავალი „მეთოფეებთან“ არის დაკავშირებული. რაც შეეხება ახალ კონტრაქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას, ის, მთლიანად ჩემს აგენტს მივანდე, თავად კი ფეხბურთზე გავაკეთე სრული კონცენტრაცია. ვიცი, ბევრს ჭორაობენ, თითქოს სადღაც მივდივარ, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ყოველთვის ვოცნებობდი ისეთ გუნდში მეთამაშა, სადაც თავს კარგად ვიგრძნობდი. დიდი ხელფასი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფრის გადამწყვეტი ფაქტორი არ არის. ჩემი ოცნება ინგლისის ჩემპიონობაა“.*

სახალისო ამბავი

# მტირალა



ნემანია ვიდიჩი

როგორი ხასიათის კაცია სერბი ფეხბურთელი **ნემანია ვიდიჩი**? ამ კითხვაზე ნებისმიერი გულშემატკივარი სხარტ პასუხს გაგცემთ: შეუვალი მცველი, რომლის წყალობითაც სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდის დაცვა მტკიცედ იგერიებს მონინააღმდეგეთა შეტევებს, ძლიერი ადამიანია! მაგრამ, თურმე, სინამდვილეში სულ სხვანაირად ყოფილა საქმე. 29 წლის, 189 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრალური მცველი თავად აღიარებს, რომ... მტირალაა. მას რომანტიკულ ფილმ „რვეულზე“ ბევრი უქვითინია.

ვიდიჩმა თქვა: *„ვიცი, რომ ჩემი თამაშის შემყურე ბევრს უგულო, მტკიცე ნერვების მქონე, შეუვალი მებრძოლი ვგონივარ, მაგრამ ვაგლახ, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი გახლავართ. ცხოვრებაში ნებისმიერ სევდიან ამბავზე თვალი მიცრემლიანდება. იყო ასეთი ფილმი, „რვეული“, რომელმაც ძალიან შემძრა. მარტო ვიჯექი სიბნელეში და ამბავმა ძლიერ ჩამითრია. კინაღამ ავქვითინდი... კინაღამ“*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

მილანი

# ბერლუსკონი: ჯერ სკუდეტო, მერე რონალდო

## იბრა უფრო მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე ნაპოლის ძირითადი შემადგენლობა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მორიგ სამმატჩიან დისკვალიფიკაციაზე იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან ბევრი იწერება. შეგახსენებთ, „ფიორენტინა"-"მილანის" პაექრობაში შვედმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ არბიტრს, რისთვისაც გააძევეს მოედნიდან - მეორე დღეს, ზლატანის საქციელი სადისციპლინო კომიტეტის განსჯის საგანი გახდა და სასჯელმაც არ დააყოვნა: სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია. იბრას არავინ უკარგავს იმას, რაც გუნდისთვისაც გააკეთა და ჟურნალისტებსაც კარგად ესმით, რომ „მილანის" ლიდერობა მისი დამსახურებაც გახლავთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაალალატა გუნდი და უპრინციპულესი პაექრობების გამოტოვება უწევს. გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ზლატანს **ადრიანო გალიანი** ესაუბრა და გონს მოსვლისკენ მოუწოდა - ამ ამბავს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი" პრაქტიკულად ადასტურებს კიდეც:



სილვიო ბერლუსკონი

*„იბრაჰიმოვიჩთან ნამდვილად მქონდა შეხვედრა, მაგრამ საუბარმა ნორმალურ ატმოსფეროში ჩაიარა და არავითარი დაძაბულობა ჩვენ შორის არ ყოფილა. ჟურნალისტებს უყვართ ბუზისგან სპილოს ქცევა და ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუმცა, იმას არ უარვყოფ, რომ არ მოვუწონე შვედს საქციელი და ვუთხარი, რომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საქმეს. უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია გუნდისთვის და არ შეიძლება, რომ ასეთი აბსურდული მიზეზების გამო, პრინციპული პაექრობები გამოტოვოს. დავუწესებთ თუ არა ფინანსურ ჯარიმას? - ამ საკითხზე ჯერ არ გვიმსჯელია და პასუხს ვერ გაგცემთ. არ არის გამორიცხული, რომ დავაჯარიმოთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს სერიოზული სასჯელი იყოს ფეხბურთელისთვის. თუ ადამიანმა არ გაიაზრა მომხდარი და გააცნობიერა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, ვერანაირი ჯარიმა მას ვერ გამოასწორებს. იბრას კარგად ვიცნობ, მჯერა, რომ ასეთ შეცდომას აღარასოდეს გაიმეორებს".*

საინტერესო სტატია გამოაქვეყნა „კორიერე დელო სპორტმა", რომელშიც ზლატან იბრაჰიმოვიჩის წლიურ ჯამაგირზეა საუბარი. თავად განსაჯეთ, „ნაპოლის" ძირითადი შემადგენლობა, ანუ ის თერთმეტი ფეხბურთელი, რომლებიც სხვებზე ხშირად ხვდებიან სასტარტოში, ერთობლივად სეზონში 11 მილიონ ევროს გამოიმუშავებენ, მაშინ, როდესაც მხოლოდ იბრაჰიმოვიჩი წელიწადში 12 მილიონ ევროს იღებს. დიახ, იბრა ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა ევროპაში, მისი საქციელი კი რბილად რომ ვთქვათ უპასუხისმგებლოა და გამართლება არ აქვს. ცნობისთვის, **ედინსონ კავანი**, რომელმაც უკვე 25 გოლი გაიტანა მიმდინარე სეზონში, მხოლოდ 1.8 მილიონ ევროს იღებს - „ნაპოლის" ძირითადი შემადგენლობის სხვა ფეხბურთელების უმეტესობა კი წლიურად 500 000-ს სჯერდება.

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „მილანის" მესვეურები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში **კრიშტიანო რონალდოს** გადაბირებას შეეცდებიან. პორტუგალიელი შემტევი სამეფო კლუბის ლიდერია და ძნელად წარმოსადგენია, რომ ესპანელებმა მასთან განშორება მოისურვონ. თუმცა, **სილვიო ბერლუსკონი** ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამაში მისი სიტყვები დაგარწმუნებთ: *„ჯერჯერობით, მხოლოდ მიმდინარე სეზონის ფინიშზე ვართ კონცენტრირებული და გვჯერა, რომ ჩემპიონები სწორედ ჩვენ გავხდებით. „ინტერის" და „ნაპოლის" მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ ადგილს სწორედ ჩვენ ვიმსახურებთ. ეს უშუალო შეხვედრებშიც დამტკიცდა, მთავარი კონკურენტები სამბურთიანი უპირატესობით დავამარცხეთ. მართალია, ჯერ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდზე არ ვფიქრობთ, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა - თუ სკუდეტო მოვიგეთ, კრიშტიანო რონალდოს ვიყიდით. დიახ, ამის საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს და სიტყვებს რომ ჰაერზე არ ვისვრი, ყველას კარგად მოგეხსენებათ".*

„მილანი" საყოველთაო ყურადღების ცენტრშია - ჟურნალისტები შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გაესაუბრონ. „ფიორენტინასთან" მატჩის წინ, „როსონერის" თავკაცმა ხაზგასმით განაცხადა, რომ თამაში გადამწყვეტი იქნებოდა სკუდეტოსთვის ბრძოლაში - გამარჯვების შემდეგ კი „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და შემდეგი განუცხადა: *„დიახ, მართლაც უპრინციპულესი თამაში მოვიგეთ და დიდი ნაბიჯი გადავდგით სკუდეტოსკენ. ფლორენციაში უპირობო გამარჯვებას ვერავინ დაგეგმავს და შესაბამისად, აღებულ ქულებს ოქროს ფასი აქვს. მით უმეტეს, „ვიოლამ" საკმაოდ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და სერიოზული ბრძოლის გადატანა მოგვიხდა. კმაყოფილი ვარ შეგირდების თამაშით და ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდით. იბრაჰიმოვიჩის საქციელი? - ველაპარაკე ზლატანს და მითხრა, რომ მსაჯისთვის არ შეუგინებია, თავისთვის ლაპარაკობდა. სიმართლე გითხრათ, აღარც ჩავძიებივარ ამ ამბავს, რადგან გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება. ნებისმიერ შემთხვევაში, ფეხბურთელებს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ".*

**ლაშა ნიკლაური**

მეკარეები

# ჰანდანოვიჩი: პრემიერლიგაში მეკარეების დეფიციტია

## ბუფონი არსად მიდის

სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ **ჯანლუიჯი ბუფონმა** შესაძლოა ზაფხულში დატოვოს „იუვენტუსი" და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. ეს ხმები მას შემდეგ უფრო გახშირდა, რაც ჯიჯიმ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად კარში ჩამდგარმა **მარკო სტორარიმ** კიდევ ერთხელ გამოავლინა საკმაოდ მაღალი ოსტატობა. განსაკუთრებით კარგად სტორარი „რომასთან" პაექრობაში წარმოჩნდა, რის შემდეგაც ჟურნალისტებთან საუბარში პროვოკაციული განცხადებაც კი გააკეთა. მისი თქმით, მხოლოდ ბრმას არ შეუძლია იმის დანახვა, რასაც მოედანზე აკეთებს და იქვე, იმედი გამოთქვა, რომ „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ბრმა არ არის. „რომას" თავკაცმა **ვინჩენცო მონტელამ** მისი გუნდის ტურინელებთან მარცხი მთლიანად მარკო სტორარის „გადააბრალა" - რომ არა მეტოქეთა კიპერის ბრწყინვალე გარჯა, მინიმუმ ქულას ავიღებდითო. მოკლედ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს მარკო სტორარის სახით, სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯიჯი არ აპირებს ტურინიდან აბარგებას და ამის შესახებ მკაფიო განცხადებას აკეთებს:

*„ტურინში თავს იმაზე უფრო ბედნიერად ვგრძნობ, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ კარიერა სხვა გუნდში გავაგრძელო და შესაბამისად, „იუვენტუსში" ვაპირებ დარჩენას. მით უმეტეს, კლუბთან კიდევ 2.5-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის გაწყვეტის აზრსაც ვერ ვხედავ. შემოთავაზებები ნამდვილად მაქვს, ერთ-ერთი დაინტერესებული გუნდი „მანჩესტერ სიტია" და მოლაპარაკების დაწყებასაც მთავაზობენ, მაგრამ ჩემი სურვილის შესახებ უკვე გითხარით და პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ".*

სატრანსფერო ჭორები „უდინეზეს" არაერთი ფეხბურთელის შესახებაც ვრცელდება და ეს არ გახლავთ გასაკვირი, რადგან ფრიულელები მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობენ.



სამირ ჰანდანოვიჩი

შესანიშნავად თამაშობს მეკარე **სამირ ჰანდანოვიჩი**, რომელიც ჯანლუიჯი ბუფონისგან განსხვავებით, სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ გუნდი გამოიცვალოს და მაგალითად, ინგლისის პრემიერლიგაში გადაბარგდეს. მოვუსმინოთ „უდინეზეს" სლოვენიელ კიპერს: *„ინგლისის ჩემპიონატის თამაშებს ხშირად ვადევნებ თვალს და სიმართლე გითხრათ, იქაური ატმოსფერო ძალიან მომწონს. შესაბამისად, წინააღმდეგი არ ვიქნები, რომ პრემიერლიგის გუნდის ღირსება დავიცვა. მით უმეტეს, ჩემი დაკვირვებით ალბიონზე მაღალი კლასის მეკარეების დეფიციტია და ადგილის დამკვიდრება არ უნდა გამიჭირდეს. თუმცა, ჯერ მიმდინარე სეზონის დასრულებაზე ვარ კონცენტრირებული და სატრანსფერო საკითხებზე, უფრო კონკრეტულად ივნისის თვეში ვისაუბროთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერვიუ. არიენ რობენი



არიენ რობენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი ვერ გააქვს

# სამხრეთ აფრიკა განსაკუთრებული იყო

**"ბაიერნის" ნახევარმცველი არიენ რობენი ორიოდე დღის წინ ფიფას ოფიციალური საიტის დამთვალიერებლებთან ერთად დაჯდა ვებსივრცეში და მათ შეკითხვებს გულწრფელად უპასუხა. ბუნებრივი იყო, რომ შეკითხვები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ თემატიკას შეეხო. უმთავრესად ხალხი მაინც ორი საკითხით ინტერესდებოდა – ფეხბურთით და პირადი ცხოვრებით. საიტის ადმინისტრაციამ მთელი ეს კონფერენცია შეაჯამა და მკითხველს ის ინტერვიუს სახით შესთავაზა. ინტერვიუში ფეხბურთელი იხსენებს კარიერის საუკეთესო მომენტებს და მოკლედ ლაპარაკობს ოჯახურ ცხოვრებაზე. მაშ ასე, თქვენ წინაშეა არიენ რობენი...**

**- რომელი გრძნობა უფრო ძლიერი იყო 2010 წლის ჩემპიონატის ფინალში დამარცხების შემდეგ, გულის დაწყვეტა, რომ გადამწყვეტი მატჩი წააგეთ, თუ სიამაყე, რომ ფინალში გასვლა შეძელით?**

- რაღაც საშუალო. როცა ვიხსენებ, რომ ჩემი ნაკრები ფინალში გავიდა, ვამაყობ, რადგან მიმაჩნია, რომ დიდი მიღწევაა. თუმცა როცა საბოლოო ნაბიჯამდე ასე ცოტა გაკლდება, საშინელებაა შინ ხელცარიელი გამგზავრება.

**- რას ნიშნავს თქვენისთანა გამოცდილი ფეხბურთელისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი? განსხვავებულ გრძნობებს განიცდით იმის გამო, რომ თქვენი სამშობლო გიყურებთ?**

- რა თქმა უნდა! შენი ქვეყნის სახელის დაცვა უზარმაზარი პატივია და არა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ან რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე. მსოფლიოს პირველობას კი მთელი პლანეტა უყურებს. შარშან ჩვენ მთელი ჰოლანდია ჭკუაზე გადავიყვანეთ. ყველას აინტერესებდა ჩვენი შედეგები. ასეთ ამბებში მონაწილეობა ჯადოსნური იყო.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის წინ "ბაიერნის" რიგებში ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეთ. როგორ მოახერხეთ ამ რამდენიმე თვის გადატანა? თანაც, თქვენ ხომ ტრავმით თამაშობდით?**

- ფეხბურთელს გონებაში ყოველთვის რჩება ბოლო მატჩი. "ბაიერნისთვის" ეს იყო ლიგის ფინალი, ნაკრებისთვის - მსოფლიოს ჩემპიონატის. და მაინც, წინა სეზონს როცა ვიხსენებ, ყველაფერი დაუჯერებლად მაგარი იყო. უბრალოდ ორივე ფინალი რომ მომეგო, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა. ბედნიერება იმით, რომ ჩვენ იქამდე მივაღწიეთ, აჭარბებს ფინალების წაგების წუხილს. ამ შეხვედრებს არასოდეს დავივიწყებ.

**- თქვენ უნივერსალური მოთამაშე ხართ. მაინც რომელ პოზიციაზე გრძნობთ თავს ყველაზე კომფორტულად?**

- სწორედ იქ, რომელზეც ახლა ვთამაშობ - მარჯვენა ფლანგზე. ფეხბურთელებს ხანდახან მაინც უხდებათ "არასამუშაო" ფეხით გარჯა, მაგალითად, ასე ვიყავი "ჩელსიში". "რეალში" უფრო მეტად სწორედ მარჯვნივ ვთამაშობდი. რახან ცაცია ვარ, ამიტომ ადვილად გამომდის ცენტრისკენ გადანაცვლება და იქ თამაში.

**- შეიძლება თქვენი იოჰან კრუიფთან შედარება?**

- არა მგონია. კრუიფი ჰოლანდიაში ლეგენდაა. ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და ამის წყალობით დღემდე ყველგან ცნობენ, სადაც უნდა გაემგზავროს. არ არის საჭირო ჩემი მასთან შედარება. ის განსაკუთრებული იყო...

**- ბავშვობაში ვინ იყო თქვენი საყვარელი ფეხბურთელი?**

- რომარიო. ის მაშინ "ეინდჰოვენში" თამაშობდა.

**- ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფეხბურთელებიდან ვინ ტოვებს თქვენზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას?**

- ძნელი სათქმელია. ჩემს თაობაში არის რამდენიმე ფეხბურთელი, რომლითაც ჰოლანდიას შეუძლია იამაყოს, მაგრამ ისინი უკვე 26-27 წლისები არიან. თუკი საქმე უფრო ახალგაზრდებზე მიდგება, მაშინ "აიაქსის" მარჯვენა მცველი გრეგორი ვან დერ ვილი.

**- რა არის იმ ჩემპიონატების მთავარი განსხვავება, სადაც გითამაშიათ?**

- ყველა ჩემპიონატში არის თავისებური კულტურა, ინდივიდუალური ნიშნები. ზოგადად კი ფეხბურთი ყველგან განსხვავებულია. ინგლისში ძირითადად ფიზიკურ ძალას ექცევა ყურადღება, ესპანეთში - ტექნიკურ მონაცემებს, რადგან ამ ქვეყანაში ყველას ლამაზად უნდა ფეხბურთის თამაში. გერმანიაში საფეხბურთო სტანდარტები ასევე ძალიან მაღალია. "ფიზიკაში" ყველას ყველაფერი წესრიგში აქვს, ამასთან, წარმოუდგენლად დისციპლინებულნი და კარგად ორგანიზებულნი არიან.

**- კარიერის საუკეთესო წლები სად გაატარეთ?**

- სასიამოვნოდ მახსენდება ყველა კლუბი, სადაც მითამაშია. შეუძლებელია რომელიმე მათგანი გამოვყო. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან გექნება კარგი და ცუდი პერიოდი. მშვენიერი სეზონები გავატარე "ჩელსისა" და "რეალში", ახლა კი "ბაიერნში" თამაშიც მსიამოვნებს.

**- დაასახელეთ საუკეთესო მცველი, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ.**

- კონკრეტულად ერთს ვერ გამოვყოფ. ჩემი მეტოქეები ჩემგან ყოველთვის მონდომებით იცავდნენ თავს, თუმცა ყველა მათგანს აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი წერტილი, რომელსაც მე ვიყენებ ხოლმე.

**- კარიერის საუკეთესო გოლს თუ გაიხსენებთ?**

- სამწუხაროდ, ვერც ამ შეკითხვაზე გავცემ კონკრეტულ პასუხს. საუკეთესო გოლები ისინია, რომელიც გუნდისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მაგალითად, "ბაიერნისთვის" შარშან "ფიორენტინასთან" და "მანჩესტერ იუნაიტედთან" მნიშვნელოვანი ბურთები შევაგდე, ასევე თასზე "შალკეს" წინააღმდეგ. ეს გოლები გადამწყვეტი გამოდგა ჩემი გუნდისთვის.

**- როგორ ახერხებთ ბალანსის დაცვას სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის?**

- ჩემთვის ოჯახს განსაკუთრებული როლი აქვს ცხოვრებაში. კარიერის განმავლობაში რამდენჯერმე მომიხდა ერთი ქალაქიდან მეორეში საცხოვრებლად გადასვლა, ოჯახი ყოველთვის თან მომყვებოდა, რაც რთულია. მაშინ, როცა სახლის კარებს ზურგს უკან ვხურავ, ფეხბურთი და სამუშაო მავიწყდება. შინ მე ფეხბურთელი არიენ რობენი არ ვარ, მაშინ მე ქმარი და მამა არიენი ვხდები. მათზე მნიშვნელოვანი ჩემთვის არავინ არსებობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



## ტრეზეგე მარსელში გადავა

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას ესპანური "ერკულესიდან" 33 წლის **დავიდ ტრეზეგეს** გადაბირება შეეცდება. თუ ეს მოხდება, ვეტერანი თავდამსხმელისთვის ეს იქნება მხოლოდ მეორე კლუბი შინაურ პირველობაზე. შეგახსენებთ, რომ ლიგა 1-ის ერთადერთი კლუბი, რომლის ღირსება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფეხბურთელს დაუცავს, "მონაკოა", სადაც 1995-დან 2000 წლამდე ასპარეზობდა. ტრეზეგემ მონაგასკელთა რიგებში 5 წელიწადში 93 მატჩში 52 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც 10 წელი "იუვენტუსს" მიუძღვნა (245 მატჩი, 138 გოლი). მიმდინარე სეზონში კი პრიმერას აუტსაიდერ კლუბში თამაშის მიუხედავად, მის ანგარიშზე 20 მატჩში 10 გოლია.

## პსჟ-ს აუქციონზე გაიტანენ

ამერიკული საინვესტიციო ფონდი "კოლონი კეპიტალი" "პარი სენ-ჟერმენის" აქციათა 95,8%-ს ფლობს. საფრანგეთის დედაქალაქში ამერიკელები 2006 წელს გამოჩნდნენ და მას შემდეგ კლუბში 100 მილიონ ევრომდე ჩადეს, თუმცა თავადაც იცით, რომ ამ პერიოდში პსჟ-ს რაიმე ხელშესახებ წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მეტიც დრო და დრო ის ცხრილში აუტსაიდერთა შორისაც კი ჩნდებოდა. გაზეთ "პარიზიენის" ინფორმაციით, ხსენებული ფონდის ევროპული განყოფილების დირექტორმა **სებასტიან ბაზენმა** უკვე მიმართა საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ კლუბის სარფიანად გაყიდვაში ხელი შეუწყონ.

## უკრაინამ შეხვედრის თარიღი დათქვა

უკრაინის ნაკრები გამალებით ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის და საამისოდ ფეხბურთის ფედერაციაც მაქსიმალურად მობილიზებულია. ის ფაქტი, რომ უკრაინელები ესტონელებთან თამაშს აპირებდნენ, ჯერ კიდევ მარტის მიწურულს იყო ცნობილი, თუმცა თარიღი გარკვეული ჯერ არ იყო. გუშინ ფიფას საიტზე უკვე გადაწყვეტილად დაიწერა, რომ ეს ნაკრებები ერთმანეთს 11 ოქტომბერს ტალინის "ა ლე კოკ არენაზე" შეხვდებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტურის მიმოხილვა

# შემდეგი გაჩერება ელ კლასიკო

## ზედმეტი ბურთები: მოედანზე და ვილიარეალის კარში

ესპანეთის ჩემპიონატის სრულ მიმოხილვას, ტრადიციულად, ორშაბათის მატჩით დავიწყებთ, რომლითაც არაგონელებმა ოდნავ გამოიკეთეს მდგომარეობა, „ხეტაფეს" 2:1 მოუგეს და გავარდნის ზონას ზუსტად 3 ქულით დაშორდნენ. ყველა გოლი პირველ ტაიმში გავიდა, თავიდან „სარაგოსას" 29 წლის არგენტინელმა ნახევარმცველმა **ლეონარდო პონსიომ** წამოილო ბურთი ცენტრიდან და შორიდან დაარტყა, ეპიზოდს მეკარე **უსტარის** შეცდომაც დაერთო და ანგარიში გაიხსნა. „ხეტაფემ" შეუტია და... კონტრშეტევა გაეპარა, **ბუტაპარმა ბერტოლო** მოძებნა - 2:0. ტაიმის მიწურულს კაპიტანმა **კასკერომ** მეტოქის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ერთი ბურთი გაქვითა. მეორე ტაიმში **მიჩელის** გუნდმა ერთხელ „უჩხვლიტა" მწარედ მასპინძლებს, შემდეგ კი უპირატესობა „სარაგოსასი" იყო და **ხავიერ აგირეს** გუნდმაც დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბოლო წუთებზე, როცა თამაში მიმდინარეობდა, „სარაგოსას" სათადარიგოთა სკამიდან ვილაცამ მეორე ბურთი შეაგდო, მეორეს კიდევ ერთი მოჰყვა... რამაც სტუმართა ბანაკში აღშფოთება გამოიწვია. მატჩის შემდეგ ხავიერ აგირეს ბოდიშის მოხდამაც მოუწია ამის გამო.

„სარაგოსას" შეტევები დიდად ტრიოს, პონსიო-**გაბი-ანდერის** შემოქმედებაზეა დამოკიდებული. ძალიან კარგად შეეწყო პრიმერას 22 წლის მარცხენა მცველი **ივან ობრადოვიჩი**, სერბი დღითი დღე „იზრდება".

**ხავიერ აგირე** (სარაგოსა): „წინასწარ ზეიმი არ შეიძლება, რომელ შემობრუნებაზე ლაპარაკი, როცა ჩვენ ისევ მე-17 ადგილზე ვართ, როგორც ერთი კვირის წინ... როგორც სამი თვის წინ. კალენდარიც რთული გვაქვს, მომავალ ორშაბათს ისეთ გუნდს ვხვდებით, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის".

### ლეო VS რონალდო... დუელი 31

როგორც იქნა, „დუელი" ისევ ვიხილეთ, ორივემ ითამაშა (**მესიმ** 90 წუთი, **რონალდო** მეორე ტაიმში შევიდა), ორივემ გაიტანა. ვინ, როგორ ითამაშა?

მესი: „ალმერიასთან" ოთხმატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა, თანაც დუბლი შეასრულა. არგენტინელმა ჯერ **ვილიას** მოპოვებული პენალტი გამოიყენა, შემდეგ კუთხურიდან **ტიაგო ალკანტარას** დაასვა ბურთი თავზე, ბოლოს კი მეტოქის მცველის შეცდომით ისარგებლა და **დიეგო ალვეში** ხახამშრალი დატოვა. 2 გოლი და საგოლე პასი.

რონალდო: 61-ე წუთზე გამოჩნდა და 9 წუთში გოლი გაიტანა - მან გრანეროსგან შორეული პასი მიიღო, **სან ხოსეს** თავზრუ დაახვია და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

| – | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლები | 2 | 1 |
| დარტყმა | 4 (2) | 2 (1) |
| საგოლე პასი | 1 | 0 |
| დაკარგვა | 15 | 6 |
| მოპოვება | 1 | 3 |
| goal.com | 7,5 | 6,5 |

შემდეგი შეხვედრა ელ კლასიკო!

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| ასაკი | 23 | 26 |
| სიმაღლე | 170 | 185 |
| წონა | 65 | 75 |
| კასტროლის რეიტ. | 1 | 2 |
| ქულები | 1239 | 986 |
| რეალის (ბარსას) წინ. | 9 | 6 |
| გოლები | 7 | 0 |
| პასები | 5 | 0 |
| მოგება | 6 | 1 |
| წაგება | 2 | 4 |
| გაფრთხილება | 3 | 3 |

### პირველი... გოლი სეზონში

„ბარსელონას" შემტევმა ნახევარმცველმა ამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა პრიმერადივიზიონში და ეს მან ერთი დღით ადრე მოახერხა, ვიდრე 20 წლის გახდებოდა. ტიაგოზე უკვე ბევრი დაწერილა: ის მსოფლიოს ჩემპიონ **მაზინიოს** ვაჟია, თუმცა ესპანეთისა და იტალიის (დედით იტალიელია და იტალიაშია დაბადებული) მოქალაქეა, თამაშობს ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2008/09 წლების სეზონში მან პირველად მოირგო „ბარსას" ფორმა, მაისში „მალიორკასთან" მატჩის ბოლო წუთებზე **ეიდურ გუდიონსენი** შეცვალა. შემდეგ სეზონშიც მხოლოდ ერთხელ ითამაშა ტიაგომ, მაგრამ სწორედ იმ შეხვედრაში გაიტანა პირველი გოლი ესპანეთის ჩემპიონატში. ამ სეზონში მან უკვე 8 თამაში ითამაშა.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

(Goal.com. 3-4-3)

**მეკარე**

**ხუან კალატაიუდი** (ერკულესი): რომ არა ის, სტუმარი „ესპანიოლი" აუცილებლად შეძლებდა უამრავი მომენტიდან ერთის გამოყენებას მაინც.

**მცველები**

**რაულ ალბიოლი** (რეალი): **ფერნანდო ლორენტეს** აჯობა.

**ლორა** (სპორტინგი): „ოსასუნას" ფორვარდები „სპორტინგის" საჯარიმოს არ გააკარა.

**ფილიპე ლუიში** (ატლეტიკო): გაიტანა სუპერგოლი, აიკლო მარცხენა ფლანგი.

**ნახევარმცველები**

**ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა): გაიტანა გადამწყვეტი გოლი, ძალზე სწრაფად მკვიდრდება გუნდში.

**კაკა** (რეალი): მართალია, ორივე გოლი პენალტით გაიტანა, თუმცა ხანდახან ის სწორედ ძველ კაკას გვაგონებდა.

**ჯონათან დე გუზმანი** (მალიორკა): შუახაზი დაიპყრო, გაიტანა ბრწყინვალე გოლი „სევილიას" კარში.

**ანხელ დი მარია** (რეალი): ბასკეთში შეუდარებელი იყო.

**თავდამსხმელები**

**ხუან მატა** (ვალენსია): „ვილიარეალის" კარში დუბლი შეასრულა, მოედანზე საუკეთესო იყო. ტურის გმირი.

**როზერტო სოლდადო** (ვალენსია): 2 თამაშში 6 გოლი! აი, შედეგიანობაც ამას ჰქვია.

**ლეო მესი** (ბარსელონა): 2 გოლი და საგოლე პასი. მერე რა, რომ „ალმერიაა"...

### ტურის ფრაზები

*„მეტოქის ყველა ფეხბურთელს ბოდიშს ვუხდი. აუცილებლად გავარკვევ ვინ ისროლა ბურთი ჩვენი სათადარიგოთა სკამიდან და დავსჯი. მართალია, ფეხბურთი კეთილშობილ ქალთა პანსიონატი არ არის, მაგრამ სამართლიანი თამაშის პრინციპი უნდა შევინარჩუნოთ"*, - **ხავიერ აგირე** „ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე.

*„მადლობა ღმერთს, ამ საშინელი კუნძულიდან ქულა მაინც მიგვაქვს შინ"*, - **გრეგორიო მანსანო** „მალიორკასთან" 2:2-ის შემდეგ.

*„ეჭვიც არ შეგეპაროთ, „ბერნაბეუზე" მოსაგებად მივდივართ"*, - **ხოსეპ გვარდიოლა** „ალმერიასთან" მატჩის შემდეგ.

*„ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ არის რაღაც, რაც ვერ ამიხსნია, რაც „რეალმა" უკეთ შეძლო"* - „ბილბაოს" ფეხბურთელი **პაბლო ორბაისი**.

*„ძალიან გამიჭირდა ფორლანის სათადარიგოთა სკამზე დატოვება, მაგრამ ეს საჭირო იყო"*, - **კიკე ფლორესი** „რეალ სოსიედადთან" მატჩის შემდეგ.

*„ბიჭებმა სადღაც დაკარგეს თავიანთი ნაქები მებრძოლი ხასიათი. კიდევ კარგი, არ წავაგეთ"*, - მარსელინო „ლევანტესთან" 1:1-ის შემდეგ.

*„ფანებს სწორედ ასეთი თამაშები სჭირდებათ"* - **უნაი ემერი** ვალენსიურ დერბიში 5:0 გამარჯვების შემდეგ.

### ტურის მსხვერპლნი

„რასინგის" ფორვარდმა **ივან ბოლადომ** სწორედ ის მარცხენა მუხლი დაიზიანა, რომელზეც ახლახან ოპერაცია გადაიტანა.

**ხოსე მანუელ პინტოს** გმირობა ძვირი დაუჯდა, მან ტრავმირებული კოჭით ითამაშა „ალმერიასთან" მატჩში და დაზიანება კიდევ უფრო გაიმიზეზა.

**როისტონ დრენტე** „ესპანიოლთან" მატჩში მიღებული დაზიანების მეორე დღეს ჩვეულებრივად გამოცხადდა ვარჯიშზე, თუმცა მოედანზე გასვლა ველარ შეძლო.

**ბოიან კრკიჩი** „ალმერიასთან" ისე დაშავდა, რომ სეზონი ნაადრევად დაასრულა.





ტურის საუკეთესო ფეხბურთელს, ხუან მატას ვილიარეალის კარში მორიგი გოლი გააქვს

**ტურის სტატისტიკა**

25 გოლი, 2,5 გოლი მატჩში

**მასპინძლებმა მოიგეს 5 შეხვედრა, 4 ფრედ დასრულდა, 1 კი სტუმრებმა მოიგეს.**

53 ყვითელი ბარათი და 1 გაძევება

**ყველაზე, ყველაზე...**

**მეტი დარტყმა კარისკენ:** 20 - ატლეტიკო

**დარტყმა (ზუსტი):** 11 - ატლეტიკო

**მეტი ჯარიმა:** 23 - სარაგოსა

**მეტი კუთხური:** 13 - ვალენსია

**მეტი თამაშგარე:** 9 - სარაგოსა

**მეტი ბურთის ფლობის პროცენტი:** 73% - ბარსელონა

**მეტი მაყურებელი:** 80 452 - კამპ ნოუ

**ცოტა მაყურებელი:** 15 000 - ონოესტადი

| TOP-10 დონ ბალონის მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 211 (28) | 7,54 |
| 2. რონალდო | რეალი | 200 (28) | 7,14 |
| 3. როსი | ვილიარ. | 205 (29) | 7,07 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 217 (31) | 7,00 |
| 5. ზ. ვალერო | ვილიარ. | 201 (29) | 6,93 |
| 6. კასორლა | ვილიარ. | 207 (30) | 6,90 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 212 (31) | 6,84 |
| 8. რეიესი | ატლეტიკო | 190 (28) | 6,79 |
| 9. დ. ალვეში | ბარსელონა | 189 (28) | 6,75 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 174 (26) | 6,69 |

### გეპატიჟებით ყველას!

შაბათს, საქართველოს დროით შუაღამე რომ დადგება, „სანტიაგო ბერნაბეუზე" სეზონის მეორე „ელ კლასიკო" დაიწყება. დაე, თქვან, რომ ლა ლიგაში ყველაფერი გადაწყვეტილია, ჩვენ კი მაინც გვჯერა, რომ დიდი მატჩი გველის...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი



თომას კრაფტი ბაიერნის პრეზიდენტს შემოსწყრა, ლევერკუზენთან მას სავარაუდოდ ისევ სკამზე დასვამენ

# კრაფტმა ჰიონესს შეუტია

### იონკერის ამოცანა გასაგებია: დარჩენილ ხუთ ტურში ჰანოვერზე მეტი ქულა

მაშ ასე: **ლუის ვან გაალი** „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის, რეკორდმაისტერს სეზონის დარჩენილ 5 შეხვედრაში მისი ასისტენტი **ანდრეას იონკერი** მიხედავს, ზაფხულიდან კი გუნდს სათავეში **იუპ ჰაინკესი** ჩაუდგება. მანამდე ჯერ კიდევ დიდი დრო და „ბაიერნისთვის" ხუთი უმნიშვნელოვანესი თამაშია. 29 ტურის შემდეგ „ბაიერნი" მეოთხე ადგილზეა და 48 წლის ჰოლანდიელი იონკერის ამოცანა ცხადზე უცხადესია: მან გუნდი მესამე ადგილზე უნდა გაიყვანოს, რათა „ბაიერნი" საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დარჩეს.

*„როცა გადაწყდა, რომ ვან გაალი წავიდოდა და დროებითი მწვრთნელის პოსტი შემომთავაზეს, ჯერ ლუისს ვკითხე, ხომ არ გეწყინება, რომ დავთანხმდე-მეთქი და მხოლოდ მისი დასტურის შემდეგ ვუთხარი „ბაიერნის" ხელმძღვანელებს, რომ თანახმა ვიყავი, გუნდი ჩამებარებინა,* - ასე დაიწყო რეკორდმაისტერის დროებითმა თავკაცმა პრესკონფერენცია, მერე კი მიზნებზე ისაუბრა - *ცხადია, ჩვენი ამოცანა მესამე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. დარჩენილი მატჩებიდან „ჰანოვერზე" მეტი ქულა უნდა ავიღოთ."*

იონკერის აზრით, მისმა მენტორმა ვან გაალმა „ბაიერნში" ძალიან კარგად იმუშავა და მისთვის გამოცანაა, რატომ მოუხდა დროზე ადრე წასვლა. ლუისისგან განსხვავებით, იონკერი მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებთან ხშირად ილაპარაკებს და მათ რჩევებს აუცილებლად გაითვალისწინებს. ცხადია, რომ მას ასეთი პირობები თვითონ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** წამოუყენეს.

რეკორდმაისტერს კვირას ურთულესი თამაში ელის მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან", რომლის მოგებაც „ბაიერნისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით უცნობია, დატოვებს თუ არა იონკერი პირველ ნომრად ახალგაზრდა **თომას კრაფტს** - გამორიცხული არაა, რომ ჰიონესმა და რუმენიგემ მას კარში **ჰანს-იორგ ბუტის** დაბრუნება უბრძანონ.

რაკი კრაფტი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბაიერნში" ახალი სკანდალია მოსალოდნელი. როგორც იცით, ვან გაალის გათავისუფლების შემდეგ, ჰიონესმა თქვა, ჩვენთან მონასტერი მას მერე აირია, რაც ლუისმა კარში კრაფტი ჩააყენაო. თომასი ბოლო დროს ბევრ შეცდომას უშვებს და „ნიურნბერგთანაც" (1:1) საბედისწეროდ შეცდა, რაზეც ჰიონესმა თქვა, ამის ყურება დიდხანს არ შეიძლებაო. ახალგაზრდა მეკარემ ულის პასუხი „ფრანკფურტ ალგემაინე ცაითუნგისთვის" მიცემული ინტერვიუდან გასცა.

*„პრეზიდენტი გუნდის მეკარეზე ასეთ რამეს არ უნდა ამბობდეს. ვაღიარებ, რომ „ნიურნბერგმა" გოლი ჩემი შეცდომის მერე გაგვიტანა, მაგრამ იმ შეხვედრის ვერმოგებაში მხოლოდ ჩემი დადანაშაულება დიდი შეცდომაა,"* - ამბობს კრაფტი.

სწორედ ამიტომ ვარაუდობენ ჩვენი გერმანელი კოლეგები, რომ „ლევერკუზენთან" „ბაიერნის" კარს ისევ ბუტი დაიცავს...

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# ნახევარფინალის კარი ღიაა: შალკე უნდა შევიდეს!

### სამუელ ეტოო: ოცნების უფლება ხომ გვაქვს? კი ბატონო, იოცნებეთ...

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**შალკე (გერმანია) VS ინტერი (იტალია)**

13 აპრილი. გელზენკირხენი. აუფ შალკე. 22:45

**პირველი მატჩი 5:2**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-1-3-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, შარპეი - პაპადოპულოსი - დრაქსლერი, ბაუმიოჰანი, ხურადო - რაული, ედუ.

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, რანოკია, ნაგატომო - ხ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი - სნეიდერი - ეტო'ო, მილიტო.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)



მანუელ ნოიერი და ჰანს შარპეი - გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში პირველად გადიან

„შალკე" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში - ამას ვინ იფიქრებდა? უარესი სენსაციებიც გვახსოვს, მაგრამ გელზენკირხენული კლუბი ბუნდესლიგაში მთელი სეზონის განმავლობაში იმდენად ცუდად გამოიყურებოდა, მართლა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ **ლევან ყენიას** გუნდი ევროპის 4 საუკეთესო კლუბს შორის მოხვედრასთან ასე ახლოს იქნებოდა. მას მერე, რაც „შალკემ" ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული მილანის „ინტერი" სტუმრად 5:2 გაანადგურა, ალბათ არ დარჩა ფეხბურთის მოყვარული, ვინც 2002 წელთან პარალელები არ გაავლო. მაშინ „ლევერკუზენი" სულაც ფინალში გავიდა, სადაც „რეალთან" 1:2 დამარცხდა. გეხსომებათ, **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ გაწვრთნილმა „ფარმაცევტებმა" ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" ბარიერი გადალახეს, რაც უდიდესი სენსაცია იყო, მანამდე კი, მეოთხედფინალში, „ლივერპული" დაიფრინეს...

პარალელების გავლება ნამდვილად შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ „ლევერკუზენს" გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავდა, ვიდრე დღეს „შალკეს" ჰყავს. თვითონ განსაჯეთ: ტოპმიოლერის შეგირდები **ჰანს-იორგ ბუტი, ლუსიო, დიეგო პლასენტე, კარსტენ რამელოვი, ბერნდ შნაიდერი, მიხაელ ბალაკი, ილდირაი ბაშთურქი, ოლივერ ნოივილი, დიმიტარ ბერბატოვი, ზე რობერტო** და თვით **ულფ კირსტენი** იყვნენ...

დავუბრუნდეთ დღევანდელ შეხვედრას: გელზენკირხენში უდიდესი ზეიმია დაგეგმილი, რადგან „შალკე" პირველად გადის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. „ხუმარების" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** დღეს გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **ჯეფერსონ ფარფანს** ვერ გამოიყენებს - პერუელი მილანში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო დისკვალიფიცირებული. „პროფესორი რალფი" მის ნაცვლად, ალბათ ახალგაზრდა **იულიან დრაქსლერს** ათამაშებს. არის ჩინელი **ხუნმინ ჰაოს** ვარიანტიც.

მიუხედავად პირველ შეხვედრაში მოპოვებული უდიდესი უპირატესობისა, რანგნიკი შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ცდილობს, თითოეულ მათგანს შთააგონოს, რომ „შალკე" ნახევარფინალში ჯერ არ გასულა. *„მერე რა, რომ პირველი თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ - საჭიროა სრული კონცენტრაცია და ასპროცენტიანი თავდადება, თორემ „ინტერი" აუცილებლად დაგვსჯის,"* - ამბობს რანგნიკი.

მილანელებს კი სასწაულის იმედი აქვთ. მართალია, „ინტერის" ფეხბურთელების უმრავლესობამ ნახევარფინალზე ხელი უკვე ჩაიქნია, მაგრამ ზოგიერთი მოთამაშე ოცნებას აგრძელებს. მაგალითად, **სამუელ ეტო'ომ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ყველას შეახსენა, რომ „ნერაძურის" ნახევარფინალზე ოცნებას მანამდე ვერ აუკრძალავენ, სანამ საპასუხო შეხვედრაში საფინალო სასტვენი არ გაისმება. არადა, „ინტერმა" „შალკეს" „ფელტინს არენაზე" მინიმუმ ოთხი გოლი უნდა გაუტანოს და თუ ერთი მაინც გაუშვა, უკვე ხუთი ექნება გასატანი. „ინტერს" დაცვის ბურჯი **ლუსიო** უბრუნდება - ფეხბურთელი, რომელიც მილანურ კლუბს პირველ შეხვედრაში აშკარად ძალიან დააკლდა. ბრაზილიელმა უკანასკნელმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და დღეს აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

იტალიის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა „ინტერმა" „კიევოსთან" 2:0 მოიგო და საფინალო სასტვენის შემდეგ, **ესტებან კამბიასომ** მეკარე **ჟულიო სეზარი** გულში ჩაიკრა, თან, საჩვენებელი და ცერა თითების კომბინაციით ნულს უჩვენებდა. ეს იმიტომ, რომ „მილანთან" 0:3-ისა და „შალკესთან" 2:5-ის შემდეგ, „ინტერმა" როგორც იქნა, კარი მშრალად შეინახა.

*„გელზენკირხენში სასეირნოდ არ მივდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს უტოპიაა, ნახევარფინალში გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ,"* - ეს სწორედ კამბიასოს სიტყვებია.

*„ერთხელ, „ბარსელონაში" თამაშისას, „ხეტაფეს" 5:1 მოვუგეთ, სტუმრად კი 0:4 დავმარცხდით და ესპანეთის თასს გამოვეთიშეთ... ჩემი აზრით, „ინტერს" გელზენკირხენში დიდი ანგარიშით მოგება ნამდვილად შეუძლია,"* - ეს კი ეტო'ოს განცხადებაა.

**მანუელ ნოიერის** კარში მინიმუმ ოთხი გოლის გატანა, დაცვა საერთოდ რომც არ არსებობდეს, ძალიან ძნელია...

# ტოტენჰემი ბედს შეურიგდა

### ჟოზესთვის მთავარი ბარსელონაა: საფრთხის ქვეშ მყოფი ფეხბურთელები სკამზე!

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ტოტენჰემი (ინგლისი) VS რეალი (ესპანეთი)**

13 აპრილი. ლონდონი. უაით ჰართ ლეინი. 22:45

**პირველი მატჩი 0:4**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ტოტენჰემი (4-4-2):** გომეში - ჩორლუკა, დოუსონი, ქაბული, ასუ-ეკოტო - ვან დერ ვაარტი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი, ბეილი - პავლიუჩენკო, დეფო.

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი - არბელოა, რაულ ალბიოლი, რ. კარვალიო, მარსელო - ლ. დიარა, ხედირა, ჩაბი ალონსო - იოზილი, კ. რონალდო - ადებაიორი.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)



„ტოტენჰემისა" და „რეალის" საპასუხო მატჩი ფაქტობრივად ფორმალობაა

თუკი „ინტერის" ფეხბურთელები ნახევარფინალზე ჯერ კიდევ ოცნებობენ და ხმამაღალ განცხადებებსაც აკეთებენ, „ტოტენჰემის" მოთამაშეებს სათქმელი არაფერი აქვთ - გარდა იმისა, რომ იბრძოლებენ და შეეცდებიან, „უაით ჰართ ლეინის" პუბლიკას გული არ დასწყვიტონ. „რეალის", თანაც **ჟოზე მოურინიოს** „რეალის" 4:0-ზე დამარცხება შეუძლებელია - ყოველ შემთხვევაში, „ტოტენჰემისთვის", თორემ, მაგალითად, „ბარსელონასთვის" რეალური იქნებოდა.

ბილბაოს „ატლეტიკთან" 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მოურინიომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და დიდია იმის შანსი, რომ „ტოტენჰემთანაც" იგივე გაიმეოროს, რადგან „სამეფო გუნდს" მომავალ უქმეებზე „ბარსელონასთან" პირველი უპრინციპულესი კლასიკო ელის. პეპე ნაღდად არ ითამაშებს, რადგან დისკვალიფიცირებულია, **კრიშტიანო რონალდოსა** და **ქარიმ ბენზემას** კი ჯერ კიდევ აწუხებთ მცირე ტრავმები და თუ ჟოზემ პირველ მატჩში გარისკა და რონალდო მაინც ათამაშა, ახლა ასეთ რისკზე წასვლა საჭირო აღარაა. სასტარტო შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს კი, გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, ნახევარფინალის პირველი მატჩისთვის დისკვალიფიკაციები ემუქრებათ და ფაქტია, რომ მოურინიოს ისინი „ბარსელონასთან" პირველ მატჩში უფრო სჭირდება, ვიდრე დღეს.

რაც ყველაზე მთავარია, ეჭვი არავის ეპარება, რომ „რეალი" ნახევარფინალში გავა, რის გამოც, აგერ უკვე რამდენიმე დღეა, ესპანური გაზეთები „ბარსასა" და „რეალის" ოთხ მოსალოდნელ დუელზე წერენ - ოთხი „კლასიკო" ორ კვირაში, ფეხბურთის გულშემატკივარმა ამაზე უკეთესი რა უნდა ინატროს.

ლონდონელები კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, დღევანდელ მატჩს პრაგმატულად უყურებენ და უკვე შეისისხლხორცეს, რომ ნახევარფინალში ვერ გადიან. მეტიც, „ტოტენჰემი" იმასაც ეგუება, რომ ზაფხულში **გარეთ ბეილი** გუნდიდან წავა. ლონდონელთა ერთადერთი მიზანი ახლა ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშების საგზურის მოპოვებაა. ამ უქმეებზე „ტოტენჰემმა" „სტოკი" 3:2 დაამარცხა და ამ შეხვედრაში **პიტერ კრაუჩმა** დუბლი შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი „რეალთან" პირველ შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს და დღეს დისკვალიფიცირებულია.

**ვილიამ გალასს** ტრავმა აწუხებს და დიდი შანსია, რომ ის დაცვის ცენტრში **ქაბულმა** შეცვალოს. თუ **ლენონმა** გამოჯანმრთელება მოასწრო, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშებს, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** კი ერთადერთი ცენტრფორვარდის უკან იმოქმედებს, ხოლო **დეფო** ან **პავლიუჩენკო** სასტარტოს მიღმა დარჩებიან.

**სერხიო რამოსს** და **ანხელ დი მარიას** თითო გაფრთხილება აქვთ, რის გამოც მოურინიო მათ დღეს ალბათ აღარ ათამაშებს. მათი ალტერნატივები **არბელოა** და **ლასანა დიარა** არიან. დისკვალიფიკაცია **კარვალიოსა** და **ალბიოლსაც** ემუქრებათ და ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, **გარაიმ** შეცვალოს. ჩვენი ესპანელი კოლეგების აზრით, მოურინიო ტაქტიკას შეცვლის და გუნდს 4-3-2-1-ით ათამაშებს, სადაც ერთადერთი ცენტრფორვარდი **ადებაიორი** იქნება, რომელსაც რონალდო და **იოზილი** მიეხმარებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათის მატჩები

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი (ინგლისი) | 2:1 | ჩელსი (ინგლისი) |

12 აპრილი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 75 000 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:0

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ნანი (75. ვალენსია), ქერიკი, გიგზი, პარკი - რუნი, ხ. ერნანდესი.

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, ალექსი (82. ფერეირა), ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი - ანელკა (61. კალუ), ტორესი (46. დროგბა), მალუდა.

**გოლები:** 1:0 ხ. ერნანდესი (43), 1:1 დროგბა (77), 2:1 პარკი (77)
**გაძევება:** რამირესი (70)

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: მანჩესტერი | |
| | პირველი კუთხური: მანჩესტერი | |
| | პირველი ჯარიმა: ჩელსი | |
| | პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი | |
| 10 (6) | დარტყმა | 17 (5) |
| 13 | ჯარიმა | 17 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)



მანჩესტერელები გოლს ზეიმობენ

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| შახტარი (უკრაინა) | 0:1 | ბარსელონა (ესპანეთი) |

12 აპრილი. დონეცკი. დონბას არენა. 46 500 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:5

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - კობინი, იშჩენკო, რაკიცკი, შევჩუკი - ჰიუბშმანი (75. ფერნანდინიო), მხითარიანი - დუგლას კოსტა (58. ედუარდო), ჟადსონი, ვილიანი - ლუიზ ადრიანო (66. მორენო).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ბუსკეტსი, პიკე (70. გ. მილიტო), ადრიანო - ჩავი (66. პედრო), მასკერანო, კეიტა - აფელაი, მესი, ვილია (75. ჟეფრენი).

**გოლი:** 0:1 მესი (43)

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ბარსელონა | |
| | პირველი კუთხური: შახტარი | |
| | პირველი ჯარიმა: შახტარი | |
| | პირველი გაფრთხილება: შახტარი | |
| 12 (5) | დარტყმა | 15 (6) |
| 22 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 38% | ბურთის ფლობა | 62% |

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

# 77-ე წუთი: როცა ინტრიგა დაიბადა და მოკვდა

## რა ბედი ელის კარლეტოს?

რა უნდა მოხდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასულ „მანჩესტერ იუნაიტედს" „შალკე" არ დაუპირისპირდეს? ან „ბარსელონას" - „რეალი"? რა თქმა უნდა, დიდი სასწაული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსრულებელი მეოთხედფინალური ეტაპის კულმინაცია წუხელ „ოლდ ტრეფორდზე" 77-ე წუთზე დადგა.

სწორედ ამ წუთს ალვწერთ დანვრილებით: **რამირესის** გაძევების გამო 10 კაცის ამარა დარჩენილი „ჩელსი" შეტევაზე გადავიდა, **ესიენმა** პასით უსარგებლო **ტორესის** ნაცვლად მოედანზე გამოსული **დროგბა** მოძებნა, **ვიდიჩი** შეეცადა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა შეექმნა და შეცდა, კოტდიუვარელმა ოსტატურად ჩამოიღო მხრით ბურთი და დიდებულად მოთამაშე **ვან დერ სარს** გაუტანა. ანგარიში 1:1 გახდა და გაჩნდა, თითქოსდა, მინავლებული ინტრიგა. ახლა **კარლო ანჩელოტის** გუნდს ერთი გოლი ნახევარფინალში გაიყვანდა. „მანჩესტერმა" თამაში ცენტრიდან დაიწყო, რუნიმ მარჯვენა ფლანგიდან **გიგზი** მოძებნა, კიდევ ერთმა დიდებულად მოთამაშე ვეტერანმა კი თავის მხრივ საჯარიმოს მარცხენა კუთხეში შევარდნილი **პარკი** დაინახა და კორეელსაც ფეხი არ აკანკალებია - 2:1 - ი-სუნ პარკის გოლმა „იუნაიტედი" ნახევარფინალში გაიყვანა. ფაქტი, რომელიც საპასუხო მატჩის განმავლობაში თითქმის არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ ამ 77-ე წუთს არ ჩავთვლით, უფრო ზუსტად, მის პირველ წამებს.

„მანჩესტერმა" პირველ ტაიმში გოლი თავიდანვე გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა მექსიკელი **ხავიერ ერნანდესი** თამაშგარე მდგომარეობაში ჩათვალა. ჩიჩარიტომ მაინც გაიტანა, 43-ე წუთზე შეტევის მარჯვენა ფრთაზე გიგზმა და **ო'შიმ** კარგი კომბინაცია გაითამაშეს, უელსელმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც დასწრებაზე ერნანდესმა იყოჩაღა. როცა 70-ე წუთზე რამირესი უხეშობისთვის მეორედ გააფრთხილეს, **რომან აბრამოვიჩი** მიხვდა, რომ მის ოცნებას ლიგის მოგებაზე არც ამ სეზონში მოუწევდა ახდენა და ცერად გახედა სათადარიგოთა სკამთან მდგომ კარლო ანჩელოტის. შემდეგ იყო 77-ე წუთი და ყველაფერი დამთავრდა...

მეორე თამაშზე რა ვთქვათ - „დონბას არენა" ძალიან კარგი სტადიონია, „შახტარი" ურიგო გუნდი არაა, გუშინ **ლუჩესკუს** ბიჭებმა „ბარსას" 6-ჯერ დაურტყეს კარში ზუსტად და... ორი მატჩის ჯამში 1:6 წააგეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ კატალონიელებს **ლეო მესი** ჰყავთ, მაგრამ ამიტომაც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ბარსამ შახტარს დონეცკშიც მოუგო

● დორტმუნდის ბორუსია




იურგენ კლოპი და მატს ჰუმელსი ჩემპიონობას უმიზნებენ

# შავი და ყვითელი თავდაჯერება

## ხუთი ქულა ხუთი ქულაა, ლევერკუზენი ვერ დაგვეწევა!

შაბათს, „ჰამბურგისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შეხვედრის 90-ე წუთზე, მოედანზე მყოფთაგან ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გაგცემდათ პასუხს კითხვაზე, „რატომ უგებდა „ჰამბურგი" დორტმუნდს". „ბორუსია" პირველიდან ბოლო წუთამდე უდიდეს უპირატესობას ფლობდა, ჩრდილოელები **რუუდ ვან ნისტელროის** დამსახურებული პენალტით იგებდნენ, მაგრამ თუ ვინმეს ჰოლანდიელის გოლამდე თუ გოლის შემდეგ უნდა გაეტანა, პირველ რიგში ეს „ბორუსიაზე" ითქმის. „შავ-ყვითლების" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** ამბობს, მეოთხე მსაჯმა დამატებული წუთები რომ გვიჩვენა, მაშინვე „კიოლნთან", „ჰანოვერთან" და „ჰოფენჰაიმთან" შეხვედრები გამახსენდაო - იმიტომ, რომ ხსენებულ მატჩებში დორტმუნდელებმა სწორედ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეძლეს უმნიშვნელოვანესი გოლების გატანა.

კაციშვილმა არ იცოდა, რატომ იგებდა „ჰამბურგი", მაგრამ რაც მთავარია, „ბორუსიამ" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ბენდერი ამბობს, ვიცოდი, რომ გავიტანდით, შეუძლებელი იყო, ვერ გაგვეტანაო: *„ოდესლაც ხომ უნდა შევარდნილიყო ეს დაწყევლილი ბურთი?"* ასეც მოხდა: **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** უძლიერესმა დარტყმამ, ჰამბურგელთა მეკარე **ფრანკ როსტს** რეაქციაზე ფიქრზეც კი უარი ათქმევინა...

ბლაშჩიკოვსკი ის კაცია, ვისზეც BVB-ს თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ჯერ კიდევ ხუთშაბათს თქვა, „კუბა" ტყუილად ნერვიულობს იმის გამო, რომ ზოგჯერ არ ვათამაშებ, ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ძალიან მაგრად მჭირდება, „ბორუსია" მის გარეშე ვერ წარმომიდგენიაო.

*„საფინალო სასტვენამდე არც ერთ გუნდს არ აქვს იმაზე ფიქრის უფლება, რომ მოგვიგო,* - ეს „ბორუსიას" დაცვის ბურჯის, **მატს ჰუმელსის** განცხადებაა. ბლაშჩიკოვსკის გოლის შემდეგ კი, დორტმუნდელებმა ისიც დაამტკიცეს, რომ როცა წამებია დარჩენილი და ერთი გოლის გატანით, წესით, მაგრად უნდა ამოისუნთქო, „ბორუსიას" მეტოქეებს არც ამ ერთი ამოსუნთქვის ილუზია უნდა ჰქონდეთ, რადგან „კუბას" გოლის დროს **ნური შაჰინმა** ბურთი მაშინვე გამოიტანა კარიდან, მოედნის ცენტრისკენ წაილო და „შავ-ყვითლები" დარჩენილ წამებში კიდევ ერთხელ მიაწყდნენ „ჰამბურგის" კარს, რათა იმ თამაშიდან სამი ქულა გამოეძერწნათ.

*„სწორედ აქედან ჩანს ამ გუნდის სიდიადე,* - ამბობს მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**, - *ბიჭებმა გადამრიეს, მართლა ძალიან მაგარი გუნდი გვყავს!"*

*„ლევერკუზენი" ხუთი ქულის დისტანციაზე მოგვიახლოვდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ვერ დაგვეწევა. წელს ჩვენ ყველაზე მეტად ვიმსახურებთ ჩემპიონობას და მჯერა, ვერავინ გაგვტეხს. დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ,"* - ეს შაჰინის სიტყვებია.

### ფრაიბურგთან ბარიოსის გარეშე

სეზონის დასრულებამდე კი ხუთი ტურია დარჩენილი - „დორტმუნდს" უდიდეს ოცნებას სწორედ ხუთი თამაში აშორებს. კლოპი და მისი ბიჭები „ვერცხლის სინისკენ" მომდევნო ნაბიჯის გადადგმას კვირას, „ფრაიბურგთან" საშინაო შეხვედრაში ეცდებიან და წარმატების მიღწევა მთავარი გოლეადორის, **ლუკას ბარიოსის** გარეშე მოუწევთ. ამ სეზონში 13 გოლის ავტორმა ფორვარდმა „ჰამბურგთან" ტრავმა მიიღო და 77-ე წუთზე ის **მოჰამედ ზიდანმა** შეცვალა. „ფრაიბურგთან", ბარიოსის ნაცვლად, წინა ხაზზე სავარაუდოდ სწორედ ზიდანს ან **რობერტ ლევანდოვსკის** ვიხილავთ. „ბორუსიას" მთავარი ექიმი **მარკუს ბრაუნი** კი იმედოვნებს, რომ ბარიოსი „გლადბახთან" მატჩისთვის (31-ე ტური) მაინც მოასწრებს გამოჯანმრთელებას.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

### ჰოფენჰაიმი ახალ მწვრთნელს ეძებს

„ჰოფენჰაიმი" ახალი მწვრთნელის ძებნას იწყებს. როგორც იცით, „სოფლელების" ხელმძღვანელებმა იანვრის დასაწყისში, პოსტიდან გადამდგარი **რალფ რანგნიკის** ნაცვლად, გუნდი მის ასისტენტ **მარკო პეცაიუოლის** ჩააბარეს, მაგრამ მათი იმედები ვერც ამ უკანასკნელმა გაამართლა, რის გამოც უკვე გადაწყდა, რომ სეზონის ბოლოს პეცაიუოლი თანამდებობას დატოვებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰოფეს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ფავორიტი „ზანკტ პაულის" თავკაცი **ჰოლგერ სტანისლავსკია**, რომლის წასვლაც ასევე გადაწყვეტილი ამბავია. „ზანკტ პაულის" კი, გერმანული პრესის ცნობით, **მაიკ ბიუსკენსი** მიხედავს, რომელიც ახლა მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ფიურტის" დამრიგებელია.

### გიუნდოგანი ალბათ მაინც დორტმუნდში

როგორც ჩანს, „ჰამბურგმა" „ნიურნბერგის" უნიჭიერეს ნახევარმცველ **ილქაი გიუნდოგანისთვის** ბრძოლა წააგო. გაზეთ „ჰამბურგერ მორგენპოსტის" ცნობით, 20 წლის ნახევარმცველი უპირატესობას დორტმუნდის „ბორუსიას" ანიჭებს. მეტიც, ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, გიუნდოგანმა უკვე მისცა დორტმუნდულ კლუბს სიტყვიერი თანხმობა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. ევროპის დიდი პრიზი

# კორეელი მსოფლიომდე გაწვრთნის

## ქართველებმა ანტალიაში რიხით დაიწყეს




ჩვენმა მშვილდოსანმა ქალებმა წარმატებით დაიწყეს გამოსვლა ანტალიაში, ევროპის „დიდ პრიზზე“. იქ ექვსი ქართველი გამოდის და გუშინ გამართული შესარჩევი ეტაპიც ერთმა მათგანმა - **ქრისტინე ესებუამ** მოიგო 1295 ქულით. **ხათუნა ნარიმანიძე** 1261-ით მეცხრე ადგილზეა, თუმცა მას ერთი ადგილით წინ წაწევის შანსიც ჰქონდა - ამდენივე ქულა დააგროვა მერვეზე გასულმა ბრიტანელმა **ამი ოლივერიმაც**, მაგრამ ჩვენებური მასთან დამატებით სერიაში ერთი ქულით დამარცხდა. ფრიად მოულოდნელად, ჩვენებურთაგან მესამე შედეგი ბათუმელმა **ლანა ვერულიძემ** აჩვენა და თან არცთუ ცუდად იასპარეზა - 1239 ქულა და 19-ე ადგილი. არადა, ვერულიძე აქამდე ნაკრებში თითქმის არც ჩანდა და ახლაც თურქეთში აჭარის მხარის დაფინანსებით წავიდა. დანარჩენი სამეულის შედეგები ასეთია: კორეელ მწვრთნელ **ან იონ სეუნის** ერთ-ერთი ფავორიტი და ალმოჩენა **თეონა კუტალაძე** 1180 ქულით 48-ეა, **ასმათ დიასამიძე** - 1178-ით 49-ე, ხოლო **ნათია ცინცაძე** 1175-ით - 53-ე. პირად პირველობაში ნაჩვენები კარგი შედეგები ავტომატურად აისახა გუნდურ ჩათვლაზეც - ჩვენი ნაკრების მოწინავე სამეულს, რომელშიც ამჯერად დიასამიძე ვერულიძემ ჩაანაცვლა, 3795 ქულა დაუგროვდა და პირველი ალმოჩნდა. მათ საგრძნობლად გაუსწრეს მეორეზე გასულ 3787-იან უკრაინას. არადა, უკრაინა მსოფლიოში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევია.



ვერ გეტყვით, ჩვენს მშვილდოსნებს კორეელის ხელი მოუხდათ თუ - ანტალიაში გავლილი შეკრება, მაგრამ პროგრესი აშკარაა. ტურნირის წინ მშვილდოსნები თურქეთში ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** მოინახულა, რომელმაც აღნიშნა, რომ სპორტსმენებს უკვე მაშინვე ეტყობოდათ მოტივაცია და მობილიზება. თან თურმე გუნდში საბრძოლო განწყობა და კონკურენტული ატმოსფერო იგრძნობოდა. მისგანვე ვიცით, რომ ანტალიაში გუშინაც ცუდი ამინდი იყო, ქარიანი, რამაც შედეგებზეც იქონია გავლენა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ საბოლოოდ გაირკვა კორეელი მწვრთნელის საკითხიც - ჯერჯერობით ის ივლისში ტურინში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატამდე იმუშავებს ნაკრების მთავარ მწვრთნელად, მერე კი დრო გვიჩვენებს. ოლიმპიადამდე მის დარჩენას სწორედ მსოფლიოზე ნაჩვენები შედეგი განსაზღვრავს. კორეელი ქალთა ნაკრებში სამივე ლიცენზიის მოპოვების პირობას გვაძლევს და საგზურს არც ვაჟებისგან გამორიცხავს. მისი ხელფასის დიდ ნაწილს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაფარავს, დანარჩენს - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ესებუამ შესარჩევი ეტაპი მაღალ დონეზე ჩაატარა, თუმცა მოკლე - 50 და 30-მეტრიან დისტანციებზე შედარებით გაუჭირდა. მან მოიგო 70 და 60-იანი დისტანციები, 50-იანზე მესამე იყო, ბოლო სერიაში კი მეცამეტემდე დაქვეითდა. მთელი შეჯიბრების განმავლობაში მას ფეხდაფეხ მისდევდა იტალიელთა მოლდოველი ლიდერი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა**, რომელმაც სწორედ მოკლე დისტანციებზე იყოჩაღა. მას ბოლო სერიაში 7-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილებამდე ერთადერთი ქულა დააკლდა, მხოლოდ ექვსი ქულით მოუგო ესებუას და საერთო ჩათვლაში ერთით ჩამორჩა - 1294 ქულა დააგროვა. პირველი სამი ეტაპის შემდეგ ნარიმანიძე მეექვსე იყო, მაგრამ ბოლო სერიაში სროლები არ წაუვიდა. მეოთხე ეტაპი მან 45-ე ადგილზე დაასრულა, თუმცა წინა სამ სერიაში დაგროვილმა მონაგარმა უშველა და მეცხრეზე მაინც გავიდა. სამი სერიის შემდეგ მე-14 იყო ვერულიძეც, რომელმაც მესამე ეტაპი მეშვიდეზეც კი ჩაამთავრა, მაგრამ ბოლო სერია მანაც ჩააგდო - 46-ზე გავიდა, თუმცა მისთვის არც მე-19 ადგილია ურიგო შედეგი. რაც მთავარია, ის ძალზე ახლოსაა ოლიმპიურ ნორმატივთან - 1250 ქულა, რასაც ესებუამ და ნარიმანიძემ გვარიანად გადააბიჯეს. წესით, მათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ შედეგის გამეორება არ უნდა გაუჭირდეთ. შეგახსენებთ, რომ ლიცენზიების მოპოვების შემდეგ სპორტსმენი ვალდებულია, ეს ნორმატივი სეზონის განმავლობაში ერთხელ მაინც აჩვენოს, თორემ საერთაშორისო ფედერაციას საგზურის ჩამორთმევა შეუძლია. ცოტა არ იყოს, ეს უცნაური კი გვგონია, მაგრამ ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

თავად ტურნირი ევროპის რეგიონისთვის უძლიერესია. ბოლო წლებში მსოფლიოს თასებს საერთაშორისო ფედერაციაც ატარებს, ევროპამ კი „დიდი პრიზის“ შეჯიბრებები დაიტოვა. ეს ევროპელთათვისაა განკუთვნილი, თუმცა ორგანიზატორებს არაევროპელთა მიწვევაც შეუძლიათ, ისიც მხოლოდ პირადში და თანაც მხოლოდ უკონკურსოდ თუ გამოვლენ. ამჯერად ტურნირში ერთადერთი არაევროპელია - ერაყელი **რანდ საადი**. ცხადია, აზიელების, ამერიკელების და სხვათა მონაწილეობა შეჯიბრებას ბევრად უფრო სოლიდურს გახდიდა, მაგრამ ევროპის მასშტაბით ახლაც უძლიერესია. ტურნირში 71 მსროლელი გამოდის. მათ შორის - ყველა ლიდერიც, უკრაინელ **ტატიანა დოროხოვას** გარდა. თურქეთის ნაკრებში სპორტში დაბრუნებული **ნატო ნასარიძეც** კი გამოდის, მაგრამ ჩვენებურმა თავი დიდად ვერ გამოიჩინა.

პლეი ოფები ხვალ გაიმართება. ესებუა პირველ ორ წრეში ისვენებს, მესამეში კი ბელარუს **ელენა იაჩნიკსა** და პოლონელ **მალგოჟატა გვინზცეკს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. პირველ წრეში ისვენებს ნარიმანიძეც, მეორეში კი ბრიტანელ **ნიკი ჰუნტსა** და თურქ **ბეგულ ლუკლუოლლუსთან** გაარკვევს ურთიერთობას. პლეი ოფში მეორე წრიდან ჩაერთვება ვერულიძეც - მისი მეტოქე თურქ **დერია ურაზსა** და ესტონელ **რეენა პარნატს** შორის გაირკვევა. დანარჩენი ჩვენებურები პირველივე წრეში იასპარეზებენ: დიასამიძეს მეტოქედ ბრიტანელი **რებეკა მარტინი** ერგო, ცინცაძეს - იტალიელი **გვენდალინა სარტორი**, კუტალაძეს - ბრიტანელი **ემმა დონიე**.

გუნდურ ტურნირში 13 ნაკრები გამოდის. ამიტომ ჩვენები პირველ წრეში ისვენებენ, მათი მეტოქე კი ბელარუსისა და პოლონეთის შეხვედრაში გაირკვევა. ბადის ამავე ნახევარში არიან გერმანია და რუმინეთიც, რუსეთი, ბრიტანეთი და უკრაინა კი მეორე მხარეს განლაგდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი


ცეცხლის ხაზზე. მარცხნიდან მესამე ნინო სალუქვაძე

# სალუქვაძის მორიგი წარმატება

**ნინო სალუქვაძემ** წარუმატებლად არც კორეულ ჩანჯოუში მიმდინარე მსოფლიოს თასი დატოვა. კვირას ის სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მერვე ადგილზე გავიდა, თუმცა რეაბილიტაცია გუშინ პნევმატური იარაღით ასპარეზობისას მოახდინა - ბრინჯაო მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სალუქვაძემ ამავე დისტანციაზე სიდნეიში გაიმარჯვა და ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც დაეუფლა. როგორც მაშინ, მან საკვალიფიკაციო ეტაპზე ახლაც 385 ქულა დააგროვა, თუმცა ამჯერად საგრძნობლად ჩამორჩა რამდენიმე კონკურენტს. კერძოდ, ტურნირის მომავალმა გამარჯვებულმა, ჩინელმა **სუნ ჩიმ** და უკრაინელთა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა** 391-391 დააგროვეს და იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობაში მათ ვერავინ შეეცილებოდა. ჩვენებურს ბელარუსთა ორგზის მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი, 387-იანი **ვიქტორია ჩაიკაც** უსწრებდა, თავად კი კორეელ **მინჯინ პარკსა** და ავსტრალიელ **დინა ასპანდიაროვასთან** ერთად IV-VI ადგილებს იყოფდა. ფინალურ ოქტეტში დანიელი ევროპის ჩემპიონი **სუსანა მეიერჰოფი** და ბულგარელი **ანტოანეტა ბონევაც** შედიოდნენ 384 ქულით. აღსანიშნავია აქამდე შედარებით შეუმჩნეველი ბონევას წლევანდელი პროგრესი - სპორტულში აქაც მესამე იყო და სიდნეიშიც, რითაც ოლიმპიური ლიცენზიაც გაინაღდა.

შესარჩევის ოთხ სერიაში სალუქვაძემ ყველაზე კარგად მესამეში იასპარეზა, როცა 10-იანს მხოლოდ ერთხელ ააცილა და 99 ქულა დააგროვა. სხვებში მისი შედეგები 97, 94 და 95 იყო. მთელ ამ ციკლში მას ორი 8-იანიც ჰქონდა.

ფინალში ჩვენებურმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე და საუკეთესო შედეგი აჩვენა - 100,7 ქულა. მართალია, ამით დაწინაურებულებს ვერ დაეწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედალს შესწვდა - ჯამში 486,7 ქულა დააგროვა. საინტერესოდ წარიმართა ოქროსთვის ბრძოლა ჩინელსა და უკრაინელს შორის - ჩემპიონის ბედი 0,1-მა გადაწყვიტა. უფრო მტკიცე ნერვები ჩინელს აღმოაჩნდა, რომელმაც ფინალში 98.9 აჩვენა, უკრაინელმა - 98.8. ამდენად, ჩის 489,9 დაუგროვდა და სამმაგ წარმატებასაც მიაღწია - ჩემპიონიც გახდა, ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა და მსოფლიოს თასის სუპერფინალშიც გავიდა, კოსტევიჩმა კი 489,8-ით დაასრულა გამოსვლა და მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა, რადგან ოლიმპიადის და სუპერფინალის საგზურები ადრევე მოიპოვა. უკრაინელი წლეულს კარგად ასპარეზობს - სიდნეიში პნევმატურში ბრინჯაო ირგუნა, სპორტულში - [illegible] და მიმდინარე სეზონში მისი მესამე მედალია ოთხი შესაძლებლიდან.

აქვე შეგახსენებთ, რომ რადიაციის საფრთხისა და გზის სიშორის გამო ჩვენები კორეაში წასვლას არც აპირებდნენ. ალბათ, არც ნანობენ, რადგან ხელცარიელნი არ დარჩენილან. მათთვის მორიგი ტურნირი კვლავაც მსოფლიოს თასი იქნება და ისევ შორ მანძილზე მოუწევთ გადაფრენა - მესამე ეტაპი 14-23 მაისს ამერიკულ ფორტ ბენინგში ჩატარდება. ბარემ აქვე გეტყვით, რომ სულ მალე მსოფლიოს თასზე მესტენდურებიც იასპარეზებენ - ეს შეჯიბრება 19-28 აპრილს სიდნეიში ჩატარდება, იქ კი საქართველოდან **დავით ქვათაძე**, **პავლე ლაკია** და **მაია გუბიევაც** გამოვლენ. აქვე შევნიშნავთ, რომ გუბიევასთვის ეს წლეულს პირველი სტარტი იქნება, რომლისთვისაც საგანგებოდ მოემზადა - ბაქოში გაიარა ათდღიანი შეკრება.

კორეული შეჯიბრების შემდეგ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეთა სიას ჩინელი ჩის გარდა, კორეელი პარკი და ავსტრალიელი ასპანდიაროვაც დაეუფლნენ. მართალია, ისინი მხოლოდ VI-VII ადგილებზე გავიდნენ, მაგრამ მათ წინ მყოფებს უკვე ჰქონდათ საგზურები და ადგილმონაცვლეობის პრინციპი ამოქმედდა. ეს ამბავი განსაკუთრებით ავსტრალიელებს გაახარებდათ, რადგან ბელარუსიდან „მწვანე კონტინენტზე“ გადაბარგებულ ასპანდიაროვას სიდნეიში ლიცენზიამდე ძალზე ცოტა დააკლდა - სულ რაღაც ერთი ქულა, რაც ფინალურ გასროლებში დათმო, თორემ თავიდან სამეულში შედიოდა. ეს ავსტრალიელებისთვის მეორე საგზურია - პირველს შარშან **ლალიტა იევლევსკაია** დაეუფლა, როცა მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა მიუნხენში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე კოლექცია ვერცხლის მედლით გაამდიდრა. აღსანიშნავია, რომ იევლევსკაიაც ბელარუსია, ოღონდ ასპანდიაროვასგან განსხვავებით, ის ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს წავიდა იქ და თან სულ სხვა გზით - იქაურ მსროლელზე გათხოვდა, მოგვიანებით კი ასპანდიაროვაც მისი რეკომენდაციით დაადგა იმ შორეულ გზას. თუმცა ჯერჯერობით ოლიმპიური ლიცენზიების რაოდენობით არა ავსტრალიელები, არამედ ჩინელები ლიდერობენ 3 საგზურით - სუნ ჩიმდე ლონდონში გამოსვლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ინგ ჩენმა** და **ჯინ იუანმა** გაინაღდეს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანამ მოგებით დაიწყო

ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი, სადაც ამ კვირაში ქართველი ასპარეზობს იოჰანესბურგის ქალთა პირველობაა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია. იქ 20 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (189) თამაშობს. პირველ წრეში კალაშნიკოვას „უაილდ ქარდით“ მიწვეული 15 წლის სამხრეთაფრიკელი **მადრი ლე რუ** დაუპირისპირდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი დააკლო - 6:2, 6:1 ჩვენებურის სასარგებლოდ. ოქსანას მეტოქე მერვედფინალში რუსი **ვალერია სავინიხია** (204). წყვილებში ის ბერძენ **ეირინი გეორგატუს** (201) შეეწყვილდა. ამ დუეტმა პირველ წრეში იოლად დაამარცხა მასპინძელთა გუნდი (**დუპლესისი, ედვარდსი**) - 6:1, 6:1 და ახლა სავინიხისა და **ნინა ბრატჩიკოვას** (რუსეთი, 132) მე-4 ნომრად განთესილ დუეტს ხვდება. კალაშნიკოვამ უკვე გაინაღდა 20 სარეიტინგო ქულა, თუკი სავინიხს აჯობებს, სამხრეთაფრიკული მარაგი გაუორმაგდება.

ამერიკულ ოსპრეიში (25 ათასი დოლარი) დიდი ხნის შესვენების შემდეგ კორტზე გასულმა **სალომე დევიძემ** ერთი მოგება იკმარა, მეორე საკვალიფიკაციო წრეში მან ბრაზილიელ **პაულა კრისტინა გონსალესთან** (536) დათმო - 2:6, 4:6.

იტალიურ პომეციაში ზედიზედ მე-2 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. წინა ტურნირის გამარჯვებულმა **მაკა ჩახნაშვილმა** (235) პირველ წრეში რუმინელ **ელორა დაბიას** (443) მოუგო - 6:3, 7:6 და ახლა ბულგარელ **მარტინა გლედაჩევას** (415) ეთამაშება. **სოფიო ქვაცაბაიამ** (419) ვერაფერი გააწყო მე-3 ნომრად განთესილ ყირგიზ **ქსენია პალკინასთან** (293) - 2:6, 2:6. **ეკა გორგოძეს** (497) ერთი მოგებაღა აშორებს და ის ანტალიის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გავა. ქართველის მეტოქე ფრანგი **შარლოტ როდიეა**.


ოქსანა კალაშნიკოვა

გაგიკვირდებათ და, ამერიკულ ტალაჰასიში 50-ათასიან ტურნირში ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი გამოჩნდა - 26 წლის **ზურაბ ჟვანიას** საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდი“ მისცეს. ჩვენებური პირველ წრეში ტაჯიკ **დიშოდ შარიფისთან** დამარცხდა - 5:7, 2:6. ანტალიაში, საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში წააგო **გიორგი რევაზიშვილმა**, მას ავსტრალიელმა **ჯერიდ მეირმა** (697) მოუგო - 7:5, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# გელაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატში

**ჯაბა გელაშვილი** ერთადერთი ქართველი სამთო-მოთხილამურეა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩა საერთაშორისო ტრასებს, სხვებისთვის კი სეზონი დასრულდა. 18 წლის სპორტსმენმა ფრანგულ ვალ ტორენსში საფრანგეთის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. 11 აპრილს ვალ ტორენსში სუპერგიგანტი გაიმართა, ჩვენმა თანამემამულემ 120-მდე მონაწილეს შორის მე-12 ადგილი დაიკავა. საფრანგეთის ჩემპიონი კი იტალიელი **მატეო დე ვიტორი** გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატზე (6-19 მაისი) დასასწრები აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ 1 მაისამდე წერილობით მიმართოთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრესსამსახურს (კოსტავას №37 ა) ან გვაცნობოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (sophonikola@hotmail.com)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# ათვლა მიხეილ მარდალეიშვილმა დაიწყო

საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონის **ვლადიმერ აფციაურის** ხელმძღვანელობით იორდანიაში მსოფლიოს პირველობაზე იმყოფებოდა. კადეტებსა და იუნიორებში 11 ჩვენებური ცდიდა ძალებს. სხვებზე უკეთ 17 წლის **მიხეილ მარდალეიშვილმა** იასპარეზა. სტარტზე მან ჯგუფში 5-დან 4 შეხვედრა მოიგო. მერე ოლიმპიური სისტემით გამართულ პაექრობებში ზედიზედ სძლია ერაყელ ალ-ჰალფი ბასის (15:9), ბელარუს სერჰეი კისელს (15:7), ამერიკელ ჟოფრეი ლოსს (15:11), გერმანელ იანიკ ობერკირშს (15:11) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც იტალიელ ლუკა კურატოლის დაუპირისპირდა. დაძაბული ორთაბრძოლა მარდალეიშვილმა დათმო და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული ფარიკაობის ისტორიაში ეს პირველი მედალია ასეთი მაღალი დონის ასპარეზობაში მოხვეჭილი.

მართლებად თუ არ ჩაგვითვლით, მსაჯებმა გვიმუხთლეს. საბოლოოდ ფინალში იტალიელი გავიდა, სადაც კორეელ ჩუნგ ჰოსთან დამარცხდა. მეორე ბრინჯაოს მედალი ასევე იტალიელ ლეონარდო აფედის ხვდა.

იუნიორებში ასევე კარგად იასპარეზა სანდრო ბაზაძემ. მართალია, იგი მედალს ვერ შესწვდა, მაგრამ მე-8 ადგილიც ჩვენთვის დიდი წარმატებაა. ქვეჯგუფში გამართული პაექრობების შემდეგ იგი 64 საუკეთესოში მოხვდა. იქ ჯერ ფრანგ აურელიო ავგუსტო პოჯიოლის დაუპირისპირდა. თავიდან ბაზაძე 7:13 აგებდა, მაგრამ გარდატეხის შეტანა შეძლო და 15:14 გაიმარჯვა. ასევე დაძაბულ პაექრობაში აჯობა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ სტანისლავ კანაპაცკის, რომელთან ერთადაც წლეულს ბაკურიანში იმყოფებოდა საქართველოს და უკრაინელ მოფარიკავეთა ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე. მერვედფინალში სანდრომ დომენიკელი დევი ლინარეს კასტრო დაჯაბნა (15:12) და თანაგუნდელ ლაშა მიქელაძის მძლეველთან რევანში აიღო. ქართველი მოფარიკავის წინსვლა უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონმა უნგრელმა ნიკოლას ილიასმა (15:8) შეაჩერა. მადიარმა საბოლოოდ მე-3 ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა უნგრული წარმოშობის გერმანელმა მათიას საბომ მოიპოვა.

აქვე მინდა გამოვყოთ ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმირ აფციაურის ქალიშვილის - თათია აფციაურის კარგი გამოსვლა. ტრავმის მიუხედავად, მან ახალგაზრდებში სამი მოხმალავე გოგონა დაამარცხა, 14 წლის ლუკა ღალანიძემ 5-6 წლის უფროსებთან პაექრობაში სტარტზე 3 მეტოქეს სძლია. მეთექვსმეტედფინალში კი იმ იტალიელთან წააგო, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა ხვდა.

რაც შეეხება მოხმალავეთა გუნდურ შეჯიბრებებს ახალგაზრდებში, 23 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მე-10 ადგილი დავიკავეთ და შარშან ბაქოში მსგავს პირველობაზე ნაჩვენები შედეგი ოთხი საფეხურით გავაუმჯობესეთ.

მართალია, მაქსიმალისტები ვართ და მეტი გვინდა, რადგან საამისო ტრადიციები გვაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე იორდანიაში მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ვარ. ყველაფერი კი იმან განაპირობა, რომ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გავიარეთ: ჯერ ბაკურიანში უკრაინის უძლიერეს ნაკრებთან, შემდეგ იტალიაში მასპინძლებთან, უნგრელებთან, ბრაზილიელებთან და იაპონელებთან ერთად. ჩვენი ბიჭებისთვის მართლაც დიდი სტიმული იყო იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონ ალდო მონტანოს გვერდით ვარჯიში. ბოლო შეკრება მინსკში გვქონდა, სტაიკებში, შესანიშნავ ბაზაზე. ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ვიასპარეზეთ პადოვასა (იტალია) და მოსკოვში. სპორტსმენებმა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება შეიძინეს და საკუთარი ძალებიც ირწმუნეს. ცხადია, ამდენს ვერ შევძლებდით, რომ არა სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარება. მადლობა მათ. მსგავსი თანადგომა მომავალშიც თუ გვექნება, ჩვენი გოგო-ბიჭები საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ გვასახელებენ.

**ვლადიმერ აფციაური:** *„დიდი ხნის განმავლობაში ვიმუშავე უცხოეთში, ამიტომ ქართველ მოფარიკავეთა ნაბიჯებს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი. ახლა სამშობლოში დავბრუნდი. ჩემი ცოდნა და გამოცდილება ქართველ მუშკეტერებს მინდა მოვახმარო. რაც შეეხება იორდანიაში გამართულ პაექრობებს, ნამდვილად კმაყოფილი დავრჩი ქართველთა თავდადებითა და შემართებით, შედეგებითაც. შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე ჩვენები 32 საუკეთესოს რომ ვერ გასცდნენ, ამჯერად საპრიზო ადგილებისთვის თამამად განაცხადეს პრეტენზია. მიხეილ მარდალეიშვილმა კი ოცნება რეალობად აქცია. კარგი თაობა მოდის. მიზანმიმართული მუშაობით უკეთესი შედეგების მოპოვება შეიძლება. მწამს, რომ ასეც იქნება. უწინდელ ტრადიციებს აუცილებლად დავიბრუნებთ".*


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მარცხნიდან: ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, კახაბერ მაღრაძე და სანდრო ბაზაძე

- მოხმალავე კადეტებში სხვადასხვა ქვეყნის 83 წარმომადგენელი იბრძოდა ჯილდოებისთვის, - გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ**. - მარდალეიშვილმა, მართლაც, შესანიშნავად იხმალავა. ნახევარფინალში კურატოლისთან, რომელთანაც წლეულს ლონდონში ევროპის თასზეც ასევე ნახევარფინალი დათმო (10:15), თავიდან 7:14-ს აგებდა. კრიტიკულ სიტუაციაში მიხეილმა შეძლო მობილიზება და ზედიზედ 7 ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს - 14:14. გამარჯვება თითქოს შორს არ იყო, მაგრამ, თავის

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

## ურთიერთობას კონკურენტთან გაარკვევს

ვეტერანმოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად რუმინელი **მიჰაი შუბა** დაწინაურდა - გუშინ მან თეთრი ფიგურებით ფრანგი **ვლადიმირ ოხოტნიკი** დაამარცხა. დანარჩენ ხუთქულიანთაგან დაზავდნენ **მარკ ცეიტლინი** (ისრაელი)-**მიშო ცებალო** (ხორვატია), **ალგიმანტას ბუტნორიუსი** (ლიტვა)-**ვიქტორ კუპრეიჩიკი** (ბელარუსი).

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ცხადია, ქართველი დიდოსტატების ორთაბრძოლებს ჰქონდა. ორივე ჩვენებურმა მონაგარი მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულით გაიმდიდრა: **ნონა გაფრინდაშვილი** გერმანელ ფიდეს ოსტატ **კლემენს ვერნერს** დაუზავდა, **თამარ ხმიადაშვილი** კი შავებით შვეიცარიელ **პეტერ ჰოჰლერს** შეუთანხმდა ყაიმზე. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა 5 ქულა მოაგროვა. მას წამოეწია რუსი **გალინა სტრუტინსკაია**, რომელმაც თეთრებით თანამემამულე **იგორ სინელნიკოვს** სძლია.

დღეს მე-8 ტურში სწორედ სტრუტინსკაია და გაფრინდაშვილი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შესაძლოა, ქალთა შორის ჩემპიონობის ბედი ამ შეხვედრაშიც გადაწყდეს. თუმცა, ქალთა ტურნირის ლიდერებს ხმიადაშვილი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება და გადაჭრით რამის თქმა ძალიან ძნელია. თბილისელი დიდოსტატი დღეს იტალიელ **ანტონიო როზინოსთან** გაარკვევს ურთიერთობას. **ელენა ფატალიბეკოვა** (რუსეთი) 4 ქულით თანამემამულე **სვეტლანა მიედნიკოვასთან** და მაკედონიელ **მირა კიერზეკთან** ერთად მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფს.



ლიდერთა ჯგუფში ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: ცებალო (5.5)-**შუბა** (6), **ტიმოშჩენკო** (5.5)-ბუტნორიუსი (5.5), კუპრეიჩიკი (5.5)-ცეიტლინი (5.5).

ვაჟა დანელია

## სამოსანთა კვინტეტი

დუბაიში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე 2 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 26 მონაწილე მეწინავეობდა. გუშინ ლიდერთა 13 შეხვედრიდან 8 ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, მათ შორის - **მერაბ გაგუნაშვილისა** და ინდოელი **ლაქსმანისა**, სომეხი **კარენ გრიგორიანისა** და **ლევან ფანცულაიასი**. 3-3 ქულა **სარხან გულიევმა** (აზერბაიჯანი), **ბაბუ ლალიდმა**, **ნეგი პარიმარიჯანმა** (ორივე-ინდოეთი), **დავით პეტროსიანმა** (სომხეთი) და **სერგეი ვოლკოვმა** (რუსეთი) მოაგროვეს.

ქართველ მოჭადრაკეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **მიხეილ მჭედლიშვილი-ჯონათან კარლსტედი** (გერმანია) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი-ამინ ბასემი** (ეგვიპტე) 0:1, **დავით არუთინიანი-ორხან აბდულოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0.5, **დავით ზარქუა-რომანი სალეხი** (ეგვიპტე) 1:0.

მე-4 ტურში ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: სალეხ სალემი (საამიროები)-მჭედლიშვილი, სერგეი ისკუსნიხი (რუსეთი)-გაგუნაშვილი, ფანცულაია-სუნდარ შიამი (ინდოეთი), ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი)-ზარქუა, კატერინა ნემკოვა (ჩეხეთი)-არუთინიანი, ნაჯიბ სალეხი (საამიროები)-ხუხაშვილი.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი



შეხვედრა სპორტის სამინისტროში

## მაკედონიელი ექსპერტის შეგვეშველება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თბილისში შეირჩა 10 საჯარო სკოლა, რომლებშიც ჩოგბურთის ფედერაცია მოსწავლეებს სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებებს აზიარებს, მასწავლებლებს გადაამზადებს და სკოლებს შორის შეჯიბრებებს ჩაატარებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩოგბურთი მკვიდრად დაიკავებს ადგილს დაწყებით კლასებში.

მემორანდუმის პირობების შესაბამისად, ჩოგბურთის ეროვნულმა ფედერაციამ შერჩეული სკოლების უმცროსკლასელებს სპორტული ინვენტარი - ჩოგნები და ბურთები გადასცა, რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტი, ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის განვითარების ფონდის წარმომადგენელი მაკედონიელი **გორან შევჩენკოც** ესწრებოდა. იგი ჩოგბურთის განვითარების საერთაშორისო პროგრამით იმყოფება თბილისში და სხვადასხვა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებს ჩოგბურთის სამწვრთნელო კურსებს ჩაუტარებს. გუშინ უცხოელი სტუმარი ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ლეილა მესხთან** ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილს** შეხვდა.

**ლადო ვარძელაშვილი:** *„სკოლებში ჩოგბურთის შეტანა და უმცროსკლასელთათვის ინვენტარის გადაცემა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, რაც ჩოგბურთის უწინდელი ტრადიციების აღდგენაში დაგვეხმარება. მაკედონიელ სტუმარ გორან შევჩენკოს საერთაშორისო ფედერაციასთან სამომავლო თანამშრომლობაზე ვესაუბრეთ. საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ ჩოგბურთი სპორტის წარმატებული სახეობა გახდეს".*

**ლეილა მესხი:** *„იმ 10 სკოლაში, სადაც სპორტული ინვენტარი შევიტანეთ, დაწყებით კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილების ნაცვლად ჩოგბურთის გაკვეთილები ჩაუტარდებათ. განათლების სამინისტროს და ჩვენი ერთობლივი პროექტი საშუალებას მოგვცემს, ქართულ ჩოგბურთს დიდი სპორტსმენები ალვუზარდოთ".*

**გორან შევჩენკო:** *„ჩოგბურთის განვითარების საერთაშორისო პროგრამის მიხედვით პროექტში 400-მდე ქართველი გოგონა და ვაჟი ჩაებმება. ისინი ადრეულ ასაკში შეისწავლიან ჩოგბურთს. საქართველოში პირველად ვარ და ძალიან მსიამოვნებს, რომ სპორტის ამ სახეობას ამგვარ ყურადღებას აქცევენ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა. ასეთი სიყვარული და თანადგომა იმის გარანტია, რომ ქართული ჩოგბურთი მალე მსოფლიო ელიტაში დაიმკვიდრებს ადგილს".*

ვაჟა დანელია

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

## სსაუ/თბილისი ჩვეულ სტიქიაშია

### სტუმრები მასპინძლებს ჩაგრავენ

**ჯემალ ცერცვაძის** სახელობის სპორტკომპლექსი მეორე დღეა, ხელბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრებს მასპინძლობს. გათამაშების ცხრილის ლიდერმა, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა „თბილისმა" საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 33:24 სძლია. „ქუთაისმა" კვლავ მარცხი ინვნია, ამჯერად „ქარიშხალასთან" თერთმეტქულიანი სხვაობით, 30:41 დამარცხდა. ჩემპიონატის სტუმრებმა აზერბაიჯანელმა ხელბურთელებმა „ბათუმი" 23:38 დაამარცხეს და რიგით მეორე გამარჯვებაც მიითვალეს.



**ზაზა დოლიძე (საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში აზერბაიჯანის ნაკრებიც ასპარეზობს. ვინაიდან აზერბაიჯანში ეროვნული ჩემპიონატი არ ტარდება, იქაური ხელბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გვთხოვეს, ტურნირში გორის გუნდის ნაცვლად მიელოთ მონაწილეობა. სამწუხაროდ, გორის მუნიციპალიტეტმა შესაბამისი სახსრები ვერ მოიძია და მათი გუნდი ჩემპიონატს გამოეთიშა. საქართველოს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მოთამაშეს ვაკვირდებით, რადგან ნაკრების ბირთვი უნდა შეიკრიბოს. ამავდროულად, 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალისთვის შესაბამისი თაობის საუკეთესო ხელბურთელები უნდა შევიგულოთ. ხელისშემწყობია ისიც, რომ თბილისში ოცდაათზე მეტმა საჯარო სკოლამ ხელბურთი სპორტის სახეობად აირჩია".

**დღეს**

ბათუმი - ქუთაისი
აზერბაიჯანი - სსაუ/თბილისი
თსუ - ქარიშხალა

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 17 | 17 | 0 | 0 | 34 |
| 2. ქუთაისი | 17 | 9 | 0 | 8 | 18 |
| 3. ქარიშხალა | 17 | 7 | 0 | 10 | 14 |
| 4. ბათუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 13 |
| 5. თსუ | 17 | 5 | 2 | 10 | 12 |

სალომე ხარატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზას ესროლეს

## ფაჩულია: თავიდან ვერ მივხვდი, ზურგში რა მომხვდა

გუშინ, **ზაზა ფაჩულიას** თავს გადამხდარი ამბავი ამერიკაში გამომავალმა ყველა სპორტულმა, თუ არასპორტულმა გამოცემამ დაწერა: „ატლანტა“-“მაიამის“ მატჩის მსვლელობისას, სირენამდე 3:29 წუთით ადრე ზაზამ ბურთი **ჯამალ კროუფორდისგან** მიიღო, ლიტველი **ჟიდრუნას ილგაუსკასის** წინააღმდეგობის მიუხედავად აიწია და ბურთი კალათში მოათავსა. ამის შემდეგ ფაჩულია საკუთარი ნახევრისკენ გაეშურა, თუმცა გაბრაზებულმა ილგაუსკასმა მას ბურთი ზურგში მოარტყა. ლიტველმა ეს არ იკმარა და ქართველისკენ გაიწია, თუმცა ზაზამ რომ შეხედა, საქმე ილგაუსკასთან ჰქონდა, არ აჰყვა. სწორადაც მოიქცა, რადგან იმ მომენტში ჩხუბში ჩართვა გუნდის დალალატებას ნიშნავდა, რადგან „ატლანტას“ საკუთარი თამაში ნაპოვნი ჰქონდა.

მსაჯებმა ილგაუსკასი დაუყოვნებლივ გააძევეს, „ჰოქსს“ კი ერთი ტექნიკური ჯარიმა ასროლინეს. ვინც მატჩი იხილა, დაგვეთანხმება, რომ ზაზას ჟიდრუნასის წინააღმდეგ უხეშად არ უთამაშია, უბრალოდ ძალისმიერი დუელი იყო. თუმცა, ლიტველმა ნამატჩევს თქვა - ზაზამ სახეში ხელი ჩამარტყაო. ამ ეპიზოდს ქართველი ცენტრი და „მაიამის“ მთავარი მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** გამოეხმაურნენ. ჯერ „ჰიტის“ დამრიგებელს მოვუსმინოთ:

*- მატჩის მსვლელობისას ატლანტელ ცენტრსა და ჩვენს კალათბურთელებს შორის ხშირი იყო კონტაქტი. თუმცა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა - ასეთი თამაშის მომსწრენი ხშირად ვართ.*

ზაზა გაკვირვებული იყო:

*- ბურთი რომ ჩავაგდე, საკუთარი ნახევრისკენ გავემართე. ზურგში რაღაცა მომხვდა, თუმცა ვერ მივხვდი, ბურთი იყო თუ ვინმემ ხელი მკრა.*

ფაჩულიამ იქვე დასძინა, როცა შენიშნა, მისკენ გაბრაზებული ილგაუსკასი იწევდა, გართულებებისთვის თავის არიდება ამჯობინა. ალბათ, იმიტომაც, რომ ჟიდრუნასი მისი ახლო მეგობარია:

*- ილგაუსკასი დიდებული პიროვნებაა. ნამდვილად არ ვიცი, რამ გაახელა ასე. მასთან დარეკვას ვაპირებ... თუმცა, სჯობს ტექსტური შეტყობინება გავუგზავნო, რადგან შესაძლოა, ჩემზე გაბრაზებულმა ტელეფონი არ აიღოს,* - ესეც ქართველის სიტყვებია.

■ ■ ■

ამერიკულ პრესაში ფაჩულიასთან დაკავშირებულ ინციდენტს დიდი გამოხმაურება იმიტომაც მოჰყვა, რომ მატჩის გადამწყვეტ მომენტში მოხდა. თან, „მაიამი ჰიტს“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილის დასაკავებლად („ბოსტონის“ გასასწრებად) „ატლანტას“ ძლევა სჭირდებოდა. მივყვეთ მოვლენებს თანამიმდევრობით.

ზაზა ფაჩულია მოედანზე მატჩის მერვე წუთზე გავიდა, პირველი მეოთხედის ბოლო წამზე ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და ჩააგდო - 23:28.

მეორე თორმეტწუთეულში ჩვეულად ათამაშდნენ **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი** და დიდი შესვენებისთვის 16-ქულიანი ფორა დაიბევეს - 62:46. მაიამელებმა ეს არ იკმარეს და მესამე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 20-ქულიან სხვაობას მიაღწიეს - 74:54.

მალე მოედანზე ფაჩულია გამოვიდა, მას შეუერთდნენ **ჯამალ კროუფორდი, ჯეფ ტიგი, ჯოშ პაუელი და დამიენ უილკინსი**.

*- ამ ხუთეულმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ სასტარტოების მოედანზე შეყვანა მატჩის ბოლომდე აღარც მიფიქრია,* - თქვა მწვრთნელმა, ლარი დრიუმ. მან ტაქტიკაც შეცვალა: რადგან ჯეიმსსა და უეიდს ინდივიდუალურად ვერ უმკლავდებოდნენ, ატლანტელები ზონურ დაცვაზე გადაერთვნენ და შედეგიც „მოიმკეს“ - 20-ქულიანმა სხვაობამ ლღობა სწრაფად იწყო, რაშიც დიდი წვლილი ფაჩულიასაც მიუძღოდა. იგი დაცვაშიც მყარად იდგა და შეტევისასაც კარგად მოქმედებდა. გადამწყვეტი იერიშისას ზაზამ ჯერ, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ჯოშ პაუელი „ერთი-ერთზე“ გაიყვანა (85:86), შემდეგ ჯამალ კროუფორდის პასი შეირგო, ორქულიანი ჩააგდო და - 87:88. სწორედ ამ ეპიზოდში გაცხარდა ილგაუსკასი და „ატლანტამ“ ტექნიკური ჯარიმის ტყორცნის უფლება მიიღო. სროლა კროუფორდმა შეასრულა - 88:88.

ეს უკვე გარდატეხა იყო, უეიდი და ჯეიმსი „ატლანტას“ დაცვის წინააღმდეგ ვერაფერს აწყობდნენ, მასპინძლებს კი თვითრწმენა დაუბრუნდათ... მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად მატჩის ბედის გადაწყვეტა წილად ხვდა „მაიამის“ სათადარიგო **ჯეიმს ჯონსს**: სირენამდე 3:16 წუთით ადრე მოედნის კიდიდან სამქულიანი ჩააგდო, ზედ ჯარიმა მიაყოლა და - 92:88. მალე იმავე ჯონსმა მეორე სამიანი გამოიყენა და „ატლანტას“ ისღა დარჩენოდა, ბედს შეგუებოდა.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე „ქორებს“ ერთი მატჩიღა დარჩათ - 13 აპრილს „შარლოტთან“ სტუმრად ითამაშებენ.



| ატლანტა-მაიამი | 90:98 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 32:10 წუთი, 9 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

ქრონოლოგია

| I პერიოდი | |
|---|---|
| 03:59 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:37 | საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 19:26) |
| 00:42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 00:01 | ორქულიანი: 4ძ (23:28) |
| **II პერიოდი** | |
| 05:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:02 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 04:38 | შეცდომა: 1 |
| 02:24 | ფოლი: 1 |
| 01:23 | საჯარიმოები: 2/1 (5ძ, 42:54) |
| 00:15 | უილკინსმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:26 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 02:22 | ფოლი: 2 |
| 01:24 | პასი: 1 (სმითი 2ძ, 65:77) |
| 01:00 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 00:42 | საჯარიმოები: 2/0 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:21 | ორქულიანი: 7 (69:79) |
| 10:20 | ჩაჭრა: 1 (ჩელმერსს ჩაუჭრა) |
| 07:27 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 05:16 | პასი: 2 (პაუელი 2ძ, 85:86) |
| 03:54 | ფოლი: 3 |
| 03:29 | ორქულიანი: 9ძ (87:88) |

პერსპექტივა

# ბურჯანაძე საიტალიოდ ემზადება

ევროთასის წლევანდელ გათამაშებაში თამაშობდნენ **მანუჩარ მარკოიშვილი, ტორინ გრინი, ტაირონ ელისი,** მაგრამ მათმა კლუბებმა ფინალურ ოთხეულამდე ვერ მიაღწიეს. ევროთასს შერჩა ახალგაზრდა ქართველის, **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლი“, რომელიც ნახევარფინალში იტალიურ „ბენეტონს“ დაუპირისპირდება. მეორე წყვილი რუსულმა „უნიქსმა“ და ხორვატულმა „ცედევიტამ“ შეადგინეს.



ფინალური ოთხეულის მატჩები სწორედ „ბენეტონის“ მოედანზე, ტრევიზოში გაიმართება. ნახევარფინალები 16 აპრილს ჩატარდება. „კახასოლთან“ ერთად იტალიაში წასასვლელად აქტიურად ემზადება 17 წლის ბექა ბურჯანაძე...

*- ჩემი თანატოლების გუნდი ანდალუზიის ჩემპიონატის სათამაშოდ ხაენში გაემგზავრა. თუმცა, მე არ გავყევი, რადგან „კახასოლთან“ ერთად ევროთასის ფინალური ოთხეულისთვის ვემზადები,* - გვითხრა ბექამ და იქვე დასძინა:

*- გუნდი დიდი ბრძოლისთვის ემზადება. „ბენეტონთან“ წარმატების იმედი გვაქვს. მწვრთნელი, ხოან პლაზა ძალიან გაბრაზებულია - ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „კახასოლი“ აუტსაიდერ „მენორკასთან“ დამარცხდა. მეტოქემ ჩვენს ფარზე ბურთი 24-ჯერ მოხსნა... საერთოდ, ჩემი გუნდი ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში არადამაჯერებლადასპარეზობს, ამიტომ ევროთასს დიდ ყურადღებას აქცევს...*

ესპანეთის ჩემპიონატში „მენორკას“ წინააღმდეგ ბურჯანაძეს არ უთამაშია. მან „კახასოლის“ დუბლშემადგენლობასთან ერთად გასულ უქმეებზე EBA-ს ლიგაზე იასპარეზა. სევილიელებმა „გენილთან“ სტუმრად 73:80 დათმეს.

73-დან 20 ქულა ბექას ანგარიშზე იყო. გარდა ამისა, ქართველმა ფორვარდმა ბურთი 3-ჯერ მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

*- ება-ს ლიგის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. „კახასოლი“ მერვე ადგილზეა და პლეიოფში გასვლის შანსი აღარ აქვს,* - განგვიმარტა ბურჯანაძემ.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. III ტური



# თბილისი მორჩა, რიგში თერჯოლაა

თბილისი

12 აპრილი

| თსუ-ქუთაისი | 59:44 |
|---|---|

19:15, 9:12, 13:6, 18:11

**თსუ:** ცხაკაია (18ქ), ურუშაძე (14ქ)...

**ქუთაისი:** ყორყოლიანი (22ქ)...

| ზესტაფონი-რუსთავი | 92:50 |
|---|---|

16:12, 19:16, 22:17, 35:5

**ზესტაფონი:** ბალდოიანი (29ქ), პეტროსიანი (15ქ)...

**რუსთავი:** საჯაია (19ქ), ფუტკარაძე (12ქ)...

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრე გუშინ დასრულდა. ვაკეში, „აკადემიას“ დარბაზში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „ზესტაფონი“-“რუსთავი“ და თსუ-“ქუთაისი“. ჩემპიონატის ლიდერმა „ზესტაფონმა“ მიმდინარე სეზონში ერთადერთი მარცხი სწორედ „რუსთავისგან“ იწვნია. აქედან გამომდინარე, ამ გუნდების გუშინდელ შეხვედრას ყველა ინტერესით ელოდა...

რუსთაველებმა მოინდომეს და მესამე მეოთხედამდე შანსს ინარჩუნებდნენ, თუმცა ბოლო ათწუთეულში ზესტაფონელებმა იყოჩაღეს. სომეხი ლეგიონერებით გაძლიერებულმა იმერულმა გუნდმა რუსთაველებს მეოთხე პერიოდი 35:5 მოუგო და საბოლოოდ 42 ქულით იმარჯვა. „ზესტაფონში“ ორი ანა გამოირჩა **ბალდოიანი და პეტროსიანი**.

მესამე წრის ბოლო მატჩში მოსალოდნელი შედეგი დაფიქსირდა: თსუ-მ „ქუთაისი“ დაამარცხა და მეორე ადგილი შეინარჩუნა. მომდევნო, მე-4 წრე თერჯოლაში, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს გაიმართება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 642:451 | 17 |
| 2. თსუ | 9 | 6 | 3 | 573:464 | 15 |
| 3. რუსთავი | 9 | 4 | 5 | 515:548 | 13 |
| 4. ქუთაისი | 9 | 0 | 9 | 351:623 | 9 |

დანაშაული და სასჯელი

# 21-ე ტურის ორი დასჯილი

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს 21-ე ტურში მომხდარი ინციდენტები.

შეგახსენებთ, რომ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის შსს-“არმიას“ მატჩისას **ბექა ნივნივაძე** მსაჯმა **მაკა კუპატაძემ** მოედნიდან გააძევა.

ამისთვის ბექამ სადისციპლინო კომიტეტისგან სასჯელად 2 მატჩის გამოტოვება მიიღო. გარდა ამისა, მას 100 დოლარის გადახდა მოუწევს.

შსს-ს კიდევ ერთ კალათბურთელს **გიორგი მარკოიშვილს** სკამის დაზიანებისთვის 100-დოლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

# დანინაურდნენ ბათუმი, ჯიქები და თი ბი სი



საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველი მარცხი იწვნია გათამაშების ერთ-ერთმა სავარაუდო ფავორიტმა თბილისის „ხულიგანამ“. **მამუკა ტყეშელაშვილის** სამწყსომ ვერაფერი გააწყო პირველ ლიგაში წლეულს დაწინაურებულ თბილისის „ჯიქებთან“ - 10:33.

„ჯიქებმა“, დებიუტანტის კვალობაზე, ასპარეზობა წარმატებულად დაიწყეს. ორი მატჩიდან ორი გამარჯვება შესანიშნავი შედეგია და სერიოზული განაცხადია უმაღლეს ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლაში.

**გიორგი ამირხანაშვილის** ბიჭები მომდევნო, მესამე ტურში „თი ბი სი“-ს დაუპირისპირდებიან, რომელიც ორი ტურის შემდეგ ასევე დაუმარცხებელია. ამ გუნდმა მეორე ტურში სტუმრად მოუგო ფოთის „რაინდებს“.

„ჯიქებს“, როგორც ჩანს, სერიოზულ კონკურენციას უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებული „ბათუმი XV“ გაუწევს. ბათუმელებმა შინ დამაჯერებლად სძლიეს საკმაოდ ძლიერ ქუთაისის „ბაგრატს“ - 31:7 და დაგროვილი ქულების უკეთესი სხვაობის წყალობით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან. შავიზღვისპირელებს მესამე ტურში უძნელესი გამოცდა ელით, ისინი თბილისში „ხულიგანას“ ეთამაშებიან. „ბათუმი XV“-ს ნამდვილი ძალაც ამ თამაშში გამოჩნდება.

ტურის მეოთხე მატჩში თბილისის „დევებმა“ სტუმრად დიდი ანგარიშით დაამარცხეს ოზურგეთის „არწივები“ - 64:14.

**II ტური**

**ჯიქები-ხულიგანა 33:10, არწივები-დევები 14:64, რაინდები-თი ბი სი 3:15, ბათუმი XV-ბაგრატი 31:7**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბათუმი XV - 4 ქულა, 2. ჯიქები - 4, 3. თი ბი სი - 4, 4. ხულიგანა - 2, 5. დევები - 2, 6. ბაგრატი - 0, 7. რაინდები - 0, 8. არწივები - 0**

**III ტური**

**ბაგრატი-არწივები, ხულიგანა-ბათუმი XV, თი ბი სი-ჯიქები, დევები-რაინდები**

● ზე რაგბი

# სამხრეთში ჯვაროსნები დომინირებენ



სონი ბილ ვილიამსი

ზე რაგბის გათამაშების მე-8 ტურში ყველაზე მოულოდნელი ანგარიში ახალ ზელანდიაში, ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზისა“ და შარშანდელი ჩემპიონის, პრეტორიის „ბლუ ბულზის“ შეხვედრაში დაფიქსირდა. „ჯვაროსნებმა“ მრისხანე მეტოქე მშრალი ანგარიშით 27:0 დაამარცხეს.

სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად ექვსი კრუსეიდერზელი რომ მოხვდა, **სონი ბილ ვილიამსი, რობი ფრანი, ბენ ფრენქსი, კრის ჯეკი, მეთ ტოდდი** და **კირან რიდი** მართლაც შეუდარებელნი იყვნენ და სანახევროდ მსოფლიოს ჩემპიონებით დაკომპლექტებულ სამხრეთაფრიკულ გუნდს კუდით ქვა ასროლინეს.

ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავს საუკეთესოთა შორის სიდნეის „ვორათაზს“, ბრისბენის „რედსს“, კანბერას „ბრამბიზს“ და დანიდინის „ჰაილენდერზს“

**სიმბოლური ნაკრები**

**15. ბენ სმითი (ჰაილენდერზი), 14. ჰენრი სპითი (ბრამბიზი), 13. რობი ფრანი, 12. სონი ბილ ვილიამსი (ორივე- კრუსეიდერზი), 11. დრიუ მიტჩელი (ვორათაზი), 10. ქუადე კუპერი (რედსი), 9. ლუკ ბარჯესი (ვორათაზი).**

**1. ბენ ალექსანდერი (ბრამბიზი), 2. ბისმარკ დუ პლესი (ნატალ შარქსი), 3. ბენ ფრენქსი (კრუსეიდერზი), 4. ჯიმი ჰორვილი (რედსი), 5. კრის ჯეკი (კრუსეიდერზი), 6. ადამ თომსონი (ჰაილენდერზი), 7. მეთ ტოდდი, 8. კირან რიდი (ორივე-კრუსეიდერზი).**

● ჰაინეკენის თასი

# ექვსი ირლანდიელი ხუმრობა როდია




ჰაინეკენის თასის ნახევარფინალში ორმა ფრანგულმა კლუბმა გააღწია. საოცარია, მაგრამ ამ პრესტიჟული ევროპული თასის გათამაშების სიმბოლურ ნაკრებში ერთ-ერთი ნახევარფინალისტის, კატალონური „პერპინიანის“ არც ერთი მოთამაშე არ მოხვდა.მაშინ, როცა მისგან ძლეული „ტულონიდან“, საუკეთესოთა შორის ორი მორაგბეა, მესამეხაზელები ავსტრალიელი **ჯორჯ სმითი** და სამხრეთაფრიკელი **ჯო ფან ნიკერკი.**

სამი მოთამაშე მიავლინა სიმბოლურ ნაკრებში კიდევ ერთმა ფრანგულმა კლუბმა, გათამაშების ყველაზე რეალურმა ფავორიტმა „ტულუზმა“, **კლემან პუატრენო, ვენსან კლერი** და **ჟან ბუიუ.**

ყველაზე მეტი, ექვსი მოთამაშე გამოარჩიეს ირლანდიური „ლენსტერიდან“, რომელმაც გათამაშებას ინგლისური „ლესტერი“ გამოთიშა.

ოთხი მოთამაშე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში ინგლისური „ნორსჰემპთონიდან“, მათ შორის ინგლისური და მსოფლიო რაგბის ვარსკვლავი **კრის ეშტონი**. შეგახსენებთ, რომ ნორსჰემპთონელებმა მეოთხედფინალში ირლანდიური „ალსტერი“ დაამარცხეს.

**სიმბოლური ნაკრები**

**15. ისა ნასევა (ლენსტერი), 14. კრის ეშტონი (ნორსჰემპთონი), 13. ბრაიან ოდრისკოლი (ლენსტერი), 12. კლემან პუატრენო, 11. ვენსან კლერი (ორივე-ტულუზი), 10. ჯონათან სექსტონი (ლენსტერი), 9. ლი დიქსონი (ნორსჰემპთონი).**

**1. კინ ჰილი, 2. რიჩარდ სტრაუსი (ორივე-ლენსტერი), 3. ბრაიან მუჯატი (ნორსჰემპთონი), 4. ლეო კალენი (ლენსტერი), 5. კორტნი ლოუ (ნორსჰემპთონი), 6. ჟან ბუიუ (ტულუზი), 7.ჯორჯ სმითი, 8. ჯო ფან ნიკერკი (ორივე-ტულონი)**

● მამა და შვილი




# მორაგბე მემკვიდრეობით

წარსულში ქუთაისის „აიას“ მწვრთნელი **დუგლას კავთელაშვილი**, რომლის სახელთანაც ქუთათურთა გუნდის ყველაზე დიდი წარმატებებია დაკავშირებული, ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე მოსკოვის „სპარტაკს“ ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ მისი ვაჟიც, **გიორგი ვინოგრადოვი** (დედის გვარზეა) მამის მიერ გაკვალულ გზას დაადგა. მან თავისი ძალები კლასიკურ, თხუთმეტკაცა რაგბიშიც მოსინჯა და რაგბი ლიგაშიც, ამჟამად კი რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე მოსკოვის „სლავას“ ღირსებას იცავს.

ერთ-ერთ რუსულ სარაგბო საიტზე გიორგისთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან.

**- თქვენი მამა რაგბის ცნობილი სპეციალისტია. ცხადია, დიდხანს არ გიფიქრიათ, სპორტის რომელი სახეობისთვის უნდა დაგეკავშირებინათ ბედი...**

- ის, რომ დღემდე ვთამაშობ, მხოლოდ ჩემი მონდომების და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. არადა, მშობლები მეუბნებოდნენ, რაგბი ის არ არის, რასაც ცხოვრება უნდა დაუკავშიროო. თუ წარმატებას ვერ მიაღწევ, მაშინ სხვა სფეროშიც მოვსინჯავ ძალებს. მაგალითად, სამეცნიერო ასპარეზზე. დღესდღეობით, რუსეთის საარქივო საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ვარ.

**- რაგბი ლიგაში რუსეთის ნაკრების წევრი იყავით და საკმაოდ წარმატებული კარიერაც გქონდათ. რაგბიში გადმობარგებით კი ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოგიწიათ. რატომ მოიქეცით ასე?**

- რუსეთში რაგბი ლიგა სამოყვარულოა. მას შემდეგ, რაც შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა გახდა, მთელი ფინანსები იქით გადაქაჩეს. რაც შემეხება მე, მსოფლიოში ძალიან ბევრია მაგალითი, როცა მოთამაშეები რაგბის ორივე სახეობაში წარმატებულნი არიან. შვიდკაცას მე ვერ ვითამაშებ, მორკინალი ვარ და იქ სათამაშოდ სხვა სისწრაფეა საჭირო. თანაც, მართალი გითხრათ, არ მომწონს ეგ შვიდკაცა რაგბი. როგორც ჩემმა ერთმა ახლო მეგობარმა თქვა, „შვიდკაცა ეს არის მძლეოსნობა ბურთით ხელში“.

**- მამათქვენი, დუგლას კავთელაშვილი მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია...**

- დამფუძნებელი მამუკა ლოსაბერიძეა, რომელიც ქუთაისური რაგბის სკოლის, კერძოდ მამაჩემის გაზრდილია. მამა გუნდის მთავარი მწვრთნელია. „სპარტაკის“ არსებობის პირველი სეზონი მის შემადგენლობაში გავატარე, პარალელურად კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ რაგბი ლიგის გუნდში ვთამაშობდი. ვფიქრობ, „სპარტაკი“ ნელ-ნელა პროგრესირებს. მიმდინარე სეზონში „სლავასთან“ ფრედ ითამაშა, როცა ერთი წლის წინ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა.

**- საუბრობთ თუ არა მამასთან რუსულ რაგბიში მიმდინარე მოვლენებზე? როგორ ფიქრობთ, რაგბი ჩვენს ქვეყანაში პროგრესს განიცდის?**

- მაშინ, როცა დუგლას კავთელაშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონების მწვრთნელი იყო, ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობდნენ გუნდები საქართველოდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან. ყველას თავისი, განსხვავებული თამაშის მანერა ჰქონდა. მაგალითად, მიაჩნდათ, რომ ქართველი მორაგბეები ტექნიკურები არიან, რუსები კი ფიზიკური გამძლეობის ხარჯზე გადიოდნენ ფონს.

ამჟამად, მსგავსი „ერთიანი ქვაბი“ აღარ არის. ამიტომ შედარების გაკეთება ცოტა ძნელია. მიმაჩნია, რომ კარგი იქნებოდა, თუ შევძლებდით ისეთი სარაგბო ტურნირის ორგანიზებას, როგორიც ჰოკეის კონტინენტალური ლიგაა. რაგბი ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშია პოპულარული. საქართველოში, რაგბი სულაც სპორტის ნომერ პირველი სახეობაა. ეს იმიტომ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა დიდ წარმატებებს მიაღწია და მომავალი თაობა ოცნებობს, თავიანთი გმირების ნაკვალევს გაჰყვეს.

ვფიქრობ, თუ რუსეთის ნაკრები წლეულს მსოფლიო თასზე ერთ თამაშს მაინც მოიგებს, რაგბის თამაშს გაცილებით მეტი ბავშვი მოინდომებს. ოვალური ბურთით გატაცება ბევრად პოპულარული გახდება.

**- მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, რაგბიში აპირებთ დარჩენას?**

- რა პერსპექტივა მექნება, თუ რაგბიში დავრჩები? ამ შემთხვევაში უნდა ვიყო ან მწვრთნელი, ან მსაჯი ანაც ჩინოვნიკი. ვერ ვიტყვი, რომ მსგავსი რამისთვის მზად ვარ. მეორე მხრივ, შესაძლებელია მონაწილეობა მივიღო რაიმე ბიზნეს პროექტში. საკუთარი კლუბის დაარსება და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა, საკამაოდ მიმზიდველი იდეაა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი



ადამ ლარსონი

# მომავალი ვარსკვლავები

ჰოკეის ეროვნული ლიგის სკაუტთა ბიურომ გამოაქვეყნა ახალგაზრდა ჰოკეისტთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 2011 წლის დრაფტზე. როგორც წესი, შედგა ორი სია - ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის მოთამაშეებისთვის.

სია ჰოკეისტთა რეიტინგის მიხედვით შეადგინეს. ჩრდილოამერიკელ მოთამაშეებს შორის ლიდერობს ფორვარდი **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი**, ხოლო საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება:

1. **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი (თავ)**
2. **გაბრიელ ლანდესკოგი (თავ)**
3. **ჯონათან ჰუბერდო (თავ)**
4. **დაგ ჰემილტონი (მცვ)**
5. **ნათან ბეულიე (მცვ)**

ევროპულ სიაში პირველ ადგილზეა შვედი მცველი **ადამ ლარსონი.**

1. **ადამ ლარსონი (მცვ, შვედ)**
2. **მიკა ზიბენჯადი (თავს, შვედ)**
3. **იონას ბროდინი (მცვ, შვედ)**
4. **ჯოელ არმია (თავ, ფინ)**
5. **დმიტრი იაშკინი (ფორ, ჩეხ)**

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მომავალი დრაფტის პირველი ნომერი, სავარაუდოდ, ლარსონი გახდება. თუ ეს ასე მოხდა, ლარსონი იქნება პირველი შვედი 1989 წლის შემდეგ, ვისაც დრაფტის პირველ ნომრად აირჩევენ. ბოლოს ასეთი პატივი ლეგენდარულ **მატს სუნდინს** ერგო, როცა ის პირველ ნომრად „კვებეკ ნორდიქსმა" აიყვანა.

სულ მალე ლიგა გამოაქვეყნებს 2011 წლის დრაფტის ლატარიის შედეგებს. პირველი ნომრის აყვანის ყველაზე კარგი შანსი აქვს „ედმონტონ ოილერზს", რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა რეგულარულ ჩემპიონატში. „მენავთობეებს" პირველი ნომრის მიღების 50-პროცენტიანი ალბათობა გააჩნიათ.

## ამბები

ჰოკეი

### უიღბლო მწვრთნელებს იშორებენ

ბოლო ორი დღის განმავლობაში ჰოკეის ეროვნული ლიგის სამ გუნდს ჩამოაშორეს მთავარი მწვრთნელი. **კორი კრუსტონისა** და **პიტერ დებურის** შემდეგ, უმუშევარი დარჩა „მინესოტას" დამრიგებელი **ტოდ რიჩარდსი**.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს „ველურებმა" „დალასი" დაამარცხეს, მაგრამ კონფერენციაში მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავეს, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტეს.

44 წლის რიჩარდსი ორი სეზონი მუშაობდა „მინესოტაში", მაგრამ გუნდი პლეი ოფში ერთხელაც ვერ გაიყვანა.

### პატრიოტი ტორონტოელები

პლეი ოფის მიღმა დარჩენილი „ტორონტოს" სამმა ჰოკეისტმა მოისურვა მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ნაკრებში თამაში. ესენი არიან: მეკარე **ჯეიმს რეიმერი**, მცველები - **ლუკ შენი** და **დიონ ფანოფი**. კანადელები პლანეტის პირველობას 29 აპრილს ბელარუსთან მატჩით დაიწყებენ.

ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ „ტორონტოს" საუკეთესო ფორვარდს **ფილ კესელს** ამერიკის ნაკრებში უხმეს, მაგრამ მან უარი თქვა ამ შეთავაზებაზე.

### რეგულარული ევროპაში დაიწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ევროპის სამი ქვეყნის დედაქალაქში დაგეგმა 2011-12 წლების სეზონის სტარტი. 7-8 ოქტომბერს „რეინჯერსი", „ლოს ანჯელესი", „ბაფალო" და „ანაჰაიმი" ბერლინში, სტოკჰოლმსა და ჰელსინკიში ითამაშებენ.

პარასკევს, 7 ოქტომბერს „ანაჰაიმისა" და „ბაფალოს" შეხვედრა ჰელსინკის „ჰარტვალ არენაზე" ჩაივლის, „რეინჯერსი" და „ლოს ანჯელესი" სტოკჰოლმში „გლობ არენაზე" ითამაშებენ. მომდევნო დღეს „ბაფალო" და „ლოს ანჯელესი" ბერლინის „O2-არენაზე" გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო სტოკჰოლმში „რეინჯერსისა" და „ანაჰაიმის" მატჩია დაგეგმილი.

კალათბურთი

### რეალმა ლიდერი დაკარგა

მადრიდის „რეალმა" ხანგრძლივი პერიოდით დაკარგა თავისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **სერხიო ლიული**. ამ მცველმა ტრავმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბარსელონასთან" მატჩისას მიიღო. ერთ-ერთ ეპიზოდში ლიული იატაკზე დაეცა და სხვების დახმარებით დატოვა მოედანი.

ექიმების დიაგნოზი არასახარბიელო აღმოჩნდა: მარცხენა ფეხზე კუნთის გაწყვეტა. ასე რომ, ამ სეზონში „რეალის" საუკეთესო სნაიპერი სამ კვირას გამოტოვებს და უცნობია, რა ფორმაში შეხვდება ევროლიგის „ოთხთა ფინალს", რომელიც 6 მაისს ბარსელონაში დაიწყება.

ლიული ამ სეზონში საშუალოდ 11.5 ქულასა და 3.1 პასს აგროვებს ევროლიგის გათამაშებაში.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აღმოსავლეთი დაწყვილდა

ორი დღე და დასრულდება რეგულარული ჩემპიონატი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მორიგი სათამაშო დღის შემდეგ გაირკვა აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე გუნდის ვინაობა. ეს გახლავთ „მაიამი ჰიტი", რომელმაც ეს პოზიცია გუშინ „ატლანტას" დამარცხების შემდეგ გაინაღდა. გარდა ამისა, იმავე აღმოსავლეთში გამოიკვეთა მეოთხედფინალური წყვილების კონტურები. მაგალითად, წინ არაფერი უდგას „ატლანტასა" და „ორლანდოს" დაპირისპირებას. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „მაიამი" „ფილადელფიას" შეხვდება, „ბოსტონი" - „ნიუ იორკს", ხოლო აღმოსავლეთის ჩემპიონი „ჩიკაგო" - „ინდიანას".

## კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსისა" და „ოკლაჰომა თანდერის" ფორვარდები **კარმელო ენტონი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი გასულ კვირას 28.3 ქულას და 9.5 მოხსნას აგროვებდა. ამის წყალობით „ნიუ იორკმა" ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ენტონი 52.9-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა სამქულიანებს და ორ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა. კარმელო ზედიზედ მეორე კვირაა სახელდება აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშედ.

დასავლეთში საუკეთესო დურანტმაც თავის გუნდს ოთხიდან ოთხჯერ მოაგებინა, მათ შორის „ლეიკერსის" (პირველად 2006 წლის 12 მარტის შემდეგ) და „დენვერის" (2007 წლის 28 მარტის შემდეგ) წინააღმდეგ. დურანტი გასულ კვირას საშუალოდ 30.0 ქულასა და 6.8 მოხსნას აგროვებდა. კევინი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია 27.8 ქულით.

## ენტონის კვირა

**5 აპრილი. ნიუ იორკი-ტორონტო 131:118.** 23 ქულა, 9 მოხსნა.

**6 აპრილი. ფილადელფია-ნიუ იორკი 92:97.** 31 ქულა, 11 მოხსნა, 2 დაფარება.

**8 აპრილი. ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 93:116.** 25 ქულა, 14.

**10 აპრილი. ინდიანა-ნიუ იორკი 109:110.** 34 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება და 2 ჩაჭრა.

## დურანტის კვირა

**5 აპრილი. დენვერი-ოკლაჰომა 94:101.** 32 ქულა, 9 მოხსნა.

**6 აპრილი. ოკლაჰომა-კლიპერსი 112:108.** 29 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი.

**8 აპრილი. ოკლაჰომა-დენვერი 104:89.** 28 ქულა, 7 მოხსნა.

**10 აპრილი. ლეიკერსი-ოკლაჰომა 106:120.** 31 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ტაი ლოუსონი** („დენვერი"), **როდნი სტაკი** („დეტროიტი"), **დევიდ ლი** („გოლდენ სტეიტი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი") და **ტონი პარკერი** („სან ანტონიო სპურსი").

**ატლანტა-მაიამი 90:98**

23:28, 23:34, 21:17, 23:19

**ა:** სმიტი (17+6 მოხსნა), კროუფორდი (13), უილიამსი (11), ჯონსონი (10+5 პასი), ტიგი (10).

**მ:** ჯეიმსი (34+10 მოხსნა+7 პასი), უეიდი (21+6 პასი+5 მოხსნა), ბოში (15+9 მოხსნა), ბიბი (10).

**ნიუ ჯერსი-შარლოტი 103:105**

29:25, 24:24, 20:30, 30:26

**ნ-ჯ:** ლოპესი (31), ფარმარი (20+9 პასი), ვუიაჩიჩი (19), რაიტი (10).

**შ:** კანინგემი (21), დიაო (20+6 პასი), ოგუსტინი (19+11 პასი), ჰენდერსონი (14), ბრაუნი (11+7 მოხსნა).

**ფილადელფია-ორლანდო 85:95**

25:34, 22:16, 15:26, 23:19

**ფ:** ბრენდი (22+5 მოხსნა), ჰოლიდეი (15+11 პასი), ნოჩიონი (13+6 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (19+13 მოხსნა), ნელსონი (19+7 პასი), ანდერსონი (18+14 მოხსნა), რიჩარდსონი (12+5 პასი).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 95:94 (ო)**

19:23, 18:21, 23:16, 24:24, 11:10

**ვ:** უოლი (24+9 მოხსნა), კროუფორდი (17+6 პასი), ბლეტჩი (16), მაკგი (13+9 მოხსნა), იანლიანი (6+10 მოხსნა).

**ბ:** გრინი (20+15 მოხსნა), დევისი (20), ჯ.ო'ნილი (15+13 მოხსნა), უესტი (11+5 მოხსნა+5 პასი), უაფერი (11).

**დეტროიტი-კლივლენდი 101:110**

33:23, 24:33, 18:30, 26:24

**დ:** სტაკი (29+14 პასი), უილკოქსი (16+7 მოხსნა), ჰემილტონი (13), მონრო (10+10 მოხსნა), მაქსიელი (4+14 მოხსნა).

**კ:** ჰიქსონი (20+11 მოხსნა), სეშენსი (17+9 პასი), გიბსონი (17), გი (16), ეიენგა (13), ჰოლინზი (12+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-იუტა 78:90**

21:29, 16:18, 20:23, 21:20

**ნ-ო:** პოლი (15+5 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (13), სმიტი (12+6 მოხსნა), გრინი (12).

**ი:** მაილზი (18+5 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (16+6 მოხსნა), ჰეივორდი (14).

**მილუოკი-ტორონტო 93:86**

25:33, 21:18, 23:20, 24:15

**მ:** სალმონსი (24+7 მოხსნა), ჯენინგსი (21+6 მოხსნა), გუდენი (19+11 მოხსნა+5 პასი).

**ტ:** ბეილესი (20+5 პასი), დეროზანი (17), დევისი (15+11 მოხსნა), ჯონსონი (12), დორსი (10+20 მოხსნა).

**ჰიუსტონი-დალასი 91:98 (ო)**

23:20, 24:23, 24:24, 15:19, 5:12

**ჰ:** მარტინი (28), დრაგიჩი (15+10 მოხსნა+7 პასი), ლი (12+8 მოხსნა), მილერი (12+8 მოხსნა), ჰეიესი (10+12 მოხსნა).

**დ:** ნოვიცკი (23+12 მოხსნა), მერიონი, ტერი (21), ჩენდლერი (8+12 მოხსნა).

**დენვერი-გ. სტეიტი 134:111**

31:32, 23:22, 44:37, 36:20

**დ:** სმიტი (22+5 მოხსნა), კუფოსი (18+9 მოხსნა), ფელტონი (15+10 პასი), ანდერსენი (4+12 მოხსნა), ლოუსონი (14+9 პასი+6 მოხსნა), მარტინი (14+7 მოხსნა), ნენე (12), აფლალო (10).

**გ-ს:** კარი (27+5 მოხსნა+5 პასი), რაიტი (27+5 მოხსნა), უილიამსი (17), ლი (10+5 მოხსნა+5 პასი).

**ფინიქსი-მინესოტა 135:127 (ო)**

24:33, 34:32, 34:27, 29:29, 14:6

**ფ:** ფრაი (33), დადლი (26+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჩილდი (21+8 პასი), გორატი (17+8 მოხსნა), ურიკი (11), ნეში (8+16 პასი).

**მ:** ბიზლი (26+6 მოხსნა), რენდოლფი (24+10 მოხსნა), ტოლივერი (22+10 მოხსნა), რიდნური (21+9 მოხსნა+9 პასი), პეკოვიჩი (10).

**საკრამენტო-ოკლაჰომა 112:120**

20:24, 37:27, 26:36, 29:33

**ს:** კაზინსი (30+9 მოხსნა), უდრიხი (21+7 მოხსნა+7 პასი), ტომპსონი (21+9 მოხსნა+6 ჩაჭრა), ტომპსონი (16), გარსია (11).

**ო:** დურანტი (32+8 მოხსნა), უესტბრუკი (30+9 პასი+6 მოხსნა), იბაკა (14+8 მოხსნა+6 დაფარება), ჰარდენი (12+6 მოხსნა), მუჰამედი (10+5 მოხსნა).



კარმელო ენტონი

კრივი

# ვიტალიმ ბრძოლა გააუქმა

სუპერმძიმეწონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** უარი თქვა 2011 წლის ივნისში რინგზე გასვლაზე, არადა, უკრაინელს მორიგი საჩემპიონო ბრძოლის გამართვა სწორედ ამ თვეში ჰქონდა დაგეგმილი. უფროსი კლიჩკოს მორიგი მეტოქე პოლონელი **ტომაშ ადამეკი** იქნება. ბრძოლა სექტემბერში გაიმართება.



ვიტალი კლიჩკო

მარტში ვიტალიმ ჩემპიონის ტიტული დაიცვა კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** ბრძოლაში - ის შეხვედრა პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა. ამ ბრძოლის შემდეგ ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ ვიტალიმ, შესაძლოა, შემდეგი ბრძოლა ივნისის დასაწყისში ჩაატაროს. სავარაუდო თარიღი 4 ივნისი იყო. ამასთან, არ დასახელებულა კლიჩკოს მეტოქე. უკრაინული მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ამერიკულ ტელევიზიებთან ამ ბრძოლის ტრანსლირებაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ახლა ირკვევა, რომ კლიჩკომ უარი განაცხადა ივნისში ჩხუბზე.

ვიტალისა და ადამეკის ბრძოლა პოლონეთში 10 სექტემბერს გაიმართება. შეხვედრას ან ვარშავა, ან ვროცლავი უმასპინძლებს.

ადამეკმა სულ ახლახანს ჩაატარა ბოლო ბრძოლა, როცა ამერიკელ **კევინ მაკბრაიდს** შეხვდა და ქულებით დამაჯერებლად გაიმარჯვა.

მძლეოსნობა

# სემენია ივლისში გაირბენს

სკანდალურად ცნობილი მორბენლის, 800 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონის **კასტერ სემენიას** მენეჯერმა **იუკა ჰარკონენმა** განაცხადა, რომ მისი შეგირდი „ბრილიანტის ლიგის" მეოთხე ეტაპზე გამოვა, რომელიც 4 ივლისს ამერიკის ქალაქ იუჯინშია დაგეგმილი. ამ ინფორმაციას ESPN ავრცელებს. გარდა ამისა, ჰარკონენი ამბობს, რომ სემენია პრესტიჟული სერიის შემდეგ ეტაპზეც გამოვა - ეს გახლავთ ტურნირი ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, თუმცა ამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

გასულ უქმეებზე ზურგის ტრავმისგან განკურნებულმა 20 წლის მორბენალმა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატი მოიგო 800 და 1500 მეტრ დისტანციებზე. სამხრეთ აფრიკის ფარგლებს გარეთ მისი პირველი გამოსვლა იქნება IAAF-ის World Challenge-ის ტურნირი დაკარში, რომელიც 28 მაისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ფეტელი: მხოლოდ ორი რბოლა მოვიგე

„რედ ბულის" პილოტმა სებასტიან ფეტელმა იდეალურად დაიწყო ახალი სეზონი. ფორმულა 1-ის ისტორიაში არ ყოფილა ბევრი ისეთი ჩემპიონი, რომელიც ტიტულის აღების შემდეგაც აგრძელებდა მოგებას. ასე რომ, გერმანელი ავტომრბოლი კმაყოფილია განვითარებული მოვლენებით.

მიუხედავად ამისა, სებასტიანი და „რედ ბული" მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და ნებისმიერი გართულებისთვის მზად არიან...



ფეტელის მადლობა

**- ვარაუდობდით, რომ პირველი ორი რბოლის შემდეგ ჩემპიონატის აშკარა ლიდერი გახდებოდით?**

- კმაყოფილი ვარ იმით, როგორც ვითარდება მოვლენები, მაგრამ მხოლოდ ორი ეტაპია გასული, ასე რომ, ჩემპიონობაზე ფიქრი ნაადრევია. რა თქმა უნდა, თითოეული მოპოვებული ქულა ძალიან მნიშვნელოვანია - მე ამაში შარშანდელი სეზონისას დავრწმუნდი. თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ.

19-დან მხოლოდ ორი რბოლა მოვიგე და ტიტულისთვის ბრძოლაში დასკვნებს ჯერ ვერ გამოვიტანთ: წინ კიდევ 17 ეტაპია. მართალია, მათემატიკაში ძლიერი არ ვარ, მაგრამ თვლა ვიცი. მანქანის საიმედოობა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს, მით უმეტეს, რომ შარშან სეზონის ამ ფაზაში გარკვეული პრობლემები გვქონდა.

**- თუ გავიხსენებთ თქვენს სიჩქარეს კვალიფიკაციაში, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვარჯიშებისას არ ჩქარობთ მანქანის რეალური პოტენციალის გამოვლენას?**

- შესაძლოა, თავიდან საქმე ისე კარგად არ წავიდა, როგორც კვალიფიკაციაში. თუმცა რეალურად მნიშვნელოვანი სწორედ შაბათის შედეგებია. კვალიფიკაციაში თავიდანვე ყველაფერი კარგად განვითარდა და მეთოდურად ვემზადებოდით საფინალო სწრაფი წრისთვის, რომელზეც მე საუკეთესო დრო ვაჩვენე. მაგრამ ბრძოლა მართლაც ძალიან დაძაბული იყო და ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ იმით, რომ პოულიდან ავიღე სტარტი.

**- კვირას მაქსიმალურ შედეგს მიაღწიეთ. ბოლომდე კმაყოფილი ხართ რბოლის მსვლელობით?**

- რა თქმა უნდა. როცა ყველაფერი ასე იდეალურად ვითარდება, უფრო დიდი სიამოვნების მიღება შეუძლებელია.. თუმცა რბოლა მართლაც რთული იყო. „მაკლარენის" პილოტები მუდმივად კვალში გვედგნენ, მაგრამ პირველი ნაწილის შემდეგ ოდნავ უკეთესად ვიმუშავეთ, ვიდრე მათ. ამით შესაძლებლობა მივიღეთ დავკვირვებოდით მეტოქის მოქმედებას, პიტსტოპებს, საბურავების არჩევანს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საბურავი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა, რადგან მისი ცვეთის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო და რთული გახლდათ იმის გამოთვლა, რამდენად შესაძლებელი იყო იერიშზე გადასვლა.

**- ამბობენ, რომ „რედ ბული" რაღაც საიდუმლო ალფაბეტს იყენებს: რბოლის შუაში ინჟინრებმა A გეგმიდან B-ზე გადასვლის ბრძანება მოგცეს. ეს რას ნიშნავს?**

- ეს ჩვენი ერთ-ერთი ტაქტიკური სქემის კოდური აღნიშვნაა, მაგრამ რბოლის შემდეგაც არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

**- რბოლამ იდეალურად ჩაიარა, მაგრამ პრობლემა წარმოიშვა KERS-ის სისტემასთან დაკავშირებით. რამდენად გაღელვებთ ეს საკითხი მომავალი რბოლის წინ?**

- ასე ვთქვათ: დისტანციის დიდ ნაწილზე სისტემა მწყობრში იყო, მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ გარკვეულ მომენტებში მისი გათიშვამ მიწევდა.

მონაცემთა ანალიზის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის გარკვევა, რატომ მოგვიწია KERS-ის გათიშვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან რეკუპერაციის სისტემის გარეშე წრეებს გაცილებით ნელა გავდიოდით. მაგრამ ასეთი რბოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ KERS-მა სტარტზე იმუშაოს: ეჭვი მაქვს, რომ მის გარეშე ვერ შევძლებდი პირველ მოსახვევში ლიდერობის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში რბოლა სულ სხვაგვარად განვითარდებოდა.

**- რამდენად ძლიერი იყო პრესინგი „მაკლარენის" მხრიდან?**

- ვფიქრობ, დისტანციის დასაწყისში ეს ზეწოლა უფრო იგრძნობდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ბოლო ნაწილი უკეთ გავიარეთ, რადგან ვაკონტროლებდით რბოლის მსვლელობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლუის ჰემილტონს პრობლემები შეექმნა.

შეიძლება სიტყვებით ეს მარტივად მოსჩანს, მაგრამ ასე არ არის. რბოლა რთული იყო. ჩვენ ისევ ბევრი ახალი გავიგეთ „პირელის" საბურავების შესახებ: აქამდე არ ვიცოდით რა მდგომარეობაში იქნებოდა საბურავი მაღალი ტემპერატურის პირობებში, მაგრამ ახლა გვაქვს ასეთი ინფორმაცია.

რა თქმა უნდა, ჩინეთში შემდეგი რბოლა შეიძლება სულ სხვანაირად წარიმართოს, ამიტომაც ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**- როცა რბოლა სიცხეში მიმდინარეობს, ყოველთვის დგება საკითხი ფიზიკური ფორმის შესახებ. დატვირთვა მართლაც დიდი იყო?**

- ფიზიკური დატვირთვების მხრივ, მალაიზიაში ერთ-ერთი ურთულესი რბოლა იმართება, რადგან აქ არა მარტო ცხელი, არამედ ნესტიანი კლიმატია. სუნთქვა ჭირს, განსაკუთრებით ბოქსებში, სადაც ჰაერი არ მოძრაობს.

**- ჩინეთის გრან-პრი ერთ კვირაშია. როგორ გაატარებთ დარჩენილ დღეებს?**

- შეიძლება ვინმეს ჩემმა პასუხმა იმედი გაუცრუოს, მაგრამ რბოლის შემდეგ რაც შეიძლება მალე დაძინება მინდოდა. შანხაიში გამგზავრებამდე მცირე შვებულებას ავიღებ, შემდეგ ვარჯიშებს შევუდგები, ხოლო ხუთშაბათიდან ისევ ტრასაზე შევხვდებით ერთმანეთს.

# ფერარი კურსს იცვლის?



ფერარის უჭირს

„რედბულისგან" განსხვავებით, არც ისე წარმატებული სტარტი გამოუვიდა ჩემპიონატის მეორე ფავორიტს - „ფერარის". იტალიური საჯინიბოს წევრები ჯერ არ ასულან პოდიუმზე. ამის გამო, „სკუდერიას" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** განაცხადა, რომ უკვე უახლოეს პერიოდში გუნდმა, შესაძლოა, გადახედოს წლევანდელი ბოლიდის განვითარების პროგრამას.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩინეთის გრანპრისთვის მომზადებული ტექნიკური სიახლეები დადებით ეფექტს არ მოიტანენ.

*„ვაანალიზებთ ყველა წვრილმანს იმის გასაგებად, რატომ არ იმუშავა განვითარების ამ ეტაპზე რამდენიმე ტექნიკურმა სიახლემ. იმედი მაქვს ჩინეთში ყველაფერი წესრიგში იქნება. ამ შემთხვევაში კურსს არ გადავუხვევთ. მაგრამ თუ განახლებებმა შედეგი არ მოიტანეს, მაშინ ალტერნატიულ გეგმას ავამუშავებთ. ასეთი პროგრამა მომზადებული გვაქვს და რაც შეიძლება სწრაფად გადავალთ მასზე.*

*ბევრი დრო არ გვაქვს. ჩინეთში მივემგზავრებით, სადაც უნდა გადავწყვიტოთ - გავაგრძელოთ მუშაობა ამჟამინდელ აეროდინამიკურ პაკეტზე თუ შევცვალოთ განვითარების კურსი"*, - ამბობს დომენიკალი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| ბარნსლი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| დერბი-ლიდსი | 2:1 |
| დონკასტერი-პრესტონი | 1:1 |
| იფსვიჩი-მიდლსბრო | 3:3 |
| ლესტერი-კრ. პალასი | 1:1 |
| მილუოლი-ბრისტოლი | 0:0 |
| ნოტინგემი-ბარნსლი | 2:0 |
| პორტსმუთი-ქოვენთრი | 0:3 |
| სკანთორპი-რედინგი | 0:2 |
| შეფილდი-კარდიფი | 0:2 |
| სუონსი-ჰალი | 1:1 |
| უოტფორდი-ნორვიჩი | 2:2 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ბრაიტონი-დაგენჰემი | 4:3 |
| ლეიტონი-კარლაილი | 0:0 |
| როჩდეილი-საუთჰემპტონი | 2:0 |
| უოლსოლი-ბრენტფორდი | 3:2 |
| იეოვილი-ნოტსი | 2:1 |

| II ლიგა | |
|---|---|
| ბერი-ბარტონი | 1:0 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ქროული-ლუტონი | 1:1 |
| გეიტშიდი-ისტბურნი | 3:0 |
| ჰისტონი-დარლინგტონი | 0:1 |
| მენსფილდი-ბაროუ | 1:1 |

**გერმანია**

| რეგიონალლიგა (დას) | |
|---|---|
| კაიზერი A-ვიდენბრუკი | 1:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 0:1 |

| I დივიზიონი | |
|---|---|
| პარტიკი-ფალკირკი | 1:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ფორფარი-სტენჰაუზმური | 2:0 |
| ბრეჩინი-ეირი | 0:3 |

**ავსტრია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-ვენა | 3:2 |
| ადმირა-გრიოდიგი | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. ანდრე | 2:0 |
| სტ. პოლტენი-ლუშტენაუ | 1:0 |

| ფინეთის თასი | |
|---|---|
| ტურკუ-ვაასა | 1:1 პენ. 5:4 |

| ჩეხეთის თასი | |
|---|---|
| ბოლესლავი-პლზენი | 2:1 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| დინამო (ბ)-უნირეა | 3:1 |
| გლორია-ვასლუი | 1:1 |

**[illegible]**

| Under 19 | |
|---|---|
| ჩერნოგორია-საბერძნეთი | 0:0 |
| ბელარუსი-მოლდოვა | 2:0 |

| Under 18 | |
|---|---|
| იტალია-ინგლისი | 1:1 |
| ჩეხეთი-ბელარუსი | 2:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

| აზია | |
|---|---|
| ნაგოია-ალ აინი | 4:0 |

**კალათბურთი**

| საფრანგეთის თასი | |
|---|---|
| ანტიბი-ლიმოჟი | 69:81 |
| ბურჟი-შალონი | 79:85 |
| ვილერბანი-ვიში | 72:80 |
| ნანსი-ჰავრი | 92:71 |

| რუსეთი | |
|---|---|
| ენისეი-ტრიუმფი | 98:97 |
| დინამო-უნიქსი | 70:84 |
| ხიმკი-სპარტაკი | 104:95 |
| ლოკომოტივი-კრ. კრილია | 67:63 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ატლანტი-ს. იულიაევი | 2:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 5:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-აისბარენი | 1:3 |

| დანია | |
|---|---|
| ჰერნინგი-ფრედრიკშავენი | 4:3 (ო) |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 5:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| შელეფტეო-ფერიესტადი | 1:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

| ATP. მონაკო | |
|---|---|
| ბელუჩი-სიმონი | 3:6, 2:6 |
| მილო-გარსია ლოპესი | 2:6, 4:6 |
| ცონგა-ლუბიჩიჩი | 6:7, 4:6 |
| მონტანიესი-მალისე | 6:4, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-ფ. ლოპესი | 6:4, 3:6, 6:7 |
| მ. გონსალესი-ჰანესკუ | 3:6, 7:5, 6:1 |
| კოლშრაიბერი-ფედერერი | 2:6, 1:6 |
| ფონინი-ანდერსონი | 3:6, 6:2, 6:2 |
| რიბა-სტარაჩე | 4:6, 6:3, 6:3 |
| გულბისი-რაონიჩი | 4:6, 5:7 |
| ო. როხუსი-ბერდიჩი | 2:6, 3:6 |

TV პროგრამა

**13 აპრილი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ნაპოლი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ-ჰერენვენი.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-რომა.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ტულუზა.
**20:50** უნიბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-სან ლორენცო.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლანსი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
**22:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
**23:55** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.

**I არხი**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-რეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ესტუდიანტესი-კრუზეირო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მილუოკი (LIVE).

**SPORT+**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-რეალი (LIVE).

**EUROSPORT**

**17:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა


რუსები კრიზისში არიან

# რუსების გარეშე

მონტე კარლოს მასტერსის პირველი სათამაშო დღე რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. დღის პირველი მატჩი სწორედ სენსაციების კატეგორიას განეკუთვნებოდა - მთავარ კორტზე განთესვის მეცხრე ნომერმა **მიხაილ იუჟნიმ** გერმანელ **ფლორიან მაიერთან** წააგო. სხვათა შორის, რუსი ზედიზედ მესამედ გამოვარდა მონაკოს მასტერსის პირველი წრიდან. ასე რომ, თუ ამ მატჩს სტატისტიკური კუთხით განვიხილავთ, განსაცვიფრებელი არც არაფერი მომხდარა.

პირველივე დღის შემდეგ მონაკოს მასტერსი რუსი ჩოგბურთელების გარეშე დარჩა. ერთ დროს მრისხანე **ნიკოლაი დავიდენკო** ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** დამარცხდა. ეს მატჩი მდიდარი იყო ბრეიკ-პოინტების რაოდენობით. მარტო დავიდენკოს მეტოქის გეიმის აღების 17 შანსი ჰქონდა და ხუთი გამოიყენა, ჰაასემ კი ბრეიკ-პოინტების აღების უკეთესი პროცენტი დააფიქსირა - 13-დან ექვსი. სხვათა შორის, ამ მატჩამდე ჰოლანდიელს ზედიზედ ოთხ ტურნირში ჰქონდა წაგებული პირველი წრე, ასე რომ, რობინმა ამჯერად ნავსი გატეხა.

სხვა მხრივ, დღემ მშვიდად ჩაიარა. ორმა ფრანგმა ცენტრალურ კორტზე რთული, მაგრამ პროგნოზირებადი გამარჯვება მოიპოვა.

**რიშარ გასკე დენის ისტომინს** ეთამაშებოდა. ფრანგს ამ მატჩში 15 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და გადამწყვეტი ბრეიკი მესამე სეტის მეცხრე გეიმში აიღო, რის შემდეგაც მატჩზე ჩააწოდა. ეს მოგება მეორეა რიშარ გასკესთვის ისტომინთან დაპირისპირებაში.

**ჟო-ვილფრიდ ცონგამ** ჩააგდო პირველი სეტი არგენტინელ **ხუან მონაკოსთან** შეხვედრაში, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში მეტოქის ექვსი გეიმი აიღო და მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ ორსაათნახევარში გადაწყვიტა. სხვათა შორის სასტარტო სეტში არგენტინელმა სამიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, მაგრამ საერთო ჯამში ფრანგს 15 ბრეიკ-პოინტი დაუგროვდა და გასაკვირი არ არის, რომ ის მაინც გამარჯვებული გამოვიდა ამ დუელში.

დღის ცენტრალური მატჩი გაიმართა **რადეკ შტეპანეკსა** და **მარკო ბაღდატისს** შორის. კვიპროსელმა ATP-ის ტურში ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო, არადა, გამარჯვების ძალიან კარგი შანსი ჰქონდა. მესამე სეტის ტაი-ბრეიკში მარკოსმა ორი მატჩბოლი გაანიავა, რის შემდეგაც შტეპანეკმა აღარ აპატია მას ასეთი უპასუხისმგებლობა.

**ნიკოლას ალმაგრომ მარსელ გრანოლერსი** დაამარცხა, ძირითადად კარგი პირველი მოწოდების ხარჯზე. **ვიქტორ ტროიცკიმ** ტურნირს გამოთიშა მონაკოს ერთადერთი წარმომადგენელი **ჟან-რენე ლისნარი**, თუმცა ამისთვის კორტზე ორი საათის გატარებამ მოუწია. **მარინ ჩილიჩმა** კი დღის ყველაზე იოლი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში - ხორვატმა **ფილიპო ვოლანდრი** 65 წუთში გაიმარჯვა.

**ATP**

**Monte-Carlo Rolex Masters**

მონტე კარლო. გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**I წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუს, 10)**-ფლორიან მაიერი (გერ) 3:6, 6:2, 3:6; **დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6, 7:5; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 11)**-ჟან-რენე ლისნარი (მონ) 7:6, 6:1; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:4, 5:7, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:3, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:4, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 13)**-დენის ისტომინი (უზბ) 5:7, 6:3, 6:4; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:1, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 3:6, 6:1, 7:6; **ერნესტ გულბისი (ლატ)**ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 14) 6:1, 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:3, 0:6, 6:0; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:5, 4:6, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ანდრეი გოლუბევი (გერ) 5:7, 7:6, 6:4.

# ჩესკამ კაროს მოუგო

ამ კვირას ქალი ჩოგბურთელები WTA-ის ტურნირებისგან ისვენებენ და ფედერაციის თასის მატჩებს ელიან. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებმაც უარი თქვეს ნაკრებში თამაშზე და ინდივიდუალურად ემზადებიან მომავალი ტურნირებისთვის. მაგალითად, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და როლან გაროსის ჩემპიონმა **ფრანჩესკა სკიავონემ** მონაკოში ჩაატარეს საჩვენებელი შეხვედრა. მათ იქაური საჩოგბურთო კომპლექსის ცენტრალურ კორტზე ერთი სეტი ითამაშეს.

ადგილობრივი პუბლიკა აქტიურად უჭერდა მხარს სკიავონეს და ფრანჩესკამაც გაამართლა მათი იმედები - იტალიელმა სეტი 6:4 მოიგო.

*„ჩემთვის დიდი პატივია აქ თამაში, თანაც ისეთი კარგი ჩოგბურთელის წინააღმდეგ, როგორიც ფრანჩესკაა. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში - სტადიონთან ახლოს მდებარე ქუჩაზე ვცხოვრობ. ფრანჩესკას აქ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. მათ ჩვენი მატჩი გაამხიარულეს“*, - განაცხადა ვოზნიაცკიმ.


საჩვენებელი მატჩის მონაწილეები

# ნადალი: შარშანდელს ვერ გავიმეორებ!

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** რეიტინგში ლიდერობისთვის ძალიან დაძაბულ ბრძოლას წინასწარმეტყველებს. ესპანელი აცხადებს, რომ უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი და დარწმუნებული არ არის, რომ შეძლებს ამის გაკეთებას.

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** კარგი ფორმისა და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მონდომების გათვალისწინებით რაფაელ ნადალი ვარაუდობს, რომ ვერ შეძლებს შარშანდელი წარმატებების გამეორებას. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის სეზონში რაფამ გრუნტის ყველა ტურნირი მოიგო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო (სამი მასტერსი - მონტე კარლო, რომი, მადრიდი და კიდევ როლან გაროსი). ამჟამად გრუნტზე მისი მოგებათა სერია 22 მატჩს შეადგენს. ამასთან, რაფამ შარშან გრუნტის სეზონში მხოლოდ ორი სეტი (!) დათმო.

*„ის, რაც შარშან გავაკეთე - სამი მასტერსისა და როლან გაროსის მოგება - ისტორიული მომენტია. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ შევძლებ ამ შედეგის გამეორებას მიმდინარე სეზონში. ასეთი რამ 50-60 წელია არ მომხდარა, ასე რომ, დარწმუნებული ვარ - ვერ მოვახერხებ ამის ზედიზედ ორჯერ გაკეთებას“*, - განაცხადა „დიდი სლემის“ ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონმა.

მსოფლიო რეიტინგში ლიდერობის პრეტენდენტებზე ლაპარაკისას ნადალმა თავისი მუდმივი და შეურიგებელი მეტოქე როჯერ ფედერერი და სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი დაასახელა. ამ უკანასკნელს წლევანდელ სეზონში 23-დან 23 მოგება აქვს. ესპანელის მტკიცებით, ამ წლის ბოლოს რეიტინგში ლიდერობის მოსაპოვებლად ძალიან დაძაბული ბრძოლა იქნება.

*„რა თქმა უნდა, ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი. როჯერს აქვს შანსი, ისევე როგორც ჯოკოვიჩს. დიახ, მე ჯერ დამაჯერებლად ვლიდერობ კლასიფიკაციას, მაგრამ არასოდეს იცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ნოვაკი ბრწყინვალედ თამაშობს, მას უდიდესი პოტენციალი და ფენომენალური სერია აქვს. ეს მას დამატებით ძალებს მატებს. ასე რომ, მხოლოდ წლის ბოლოს შევიტყობთ, რომელი ჩვენგანი დაასრულებს სეზონს პირველი ჩოგანის რანგში“*, - დაამატა მონტე კარლოს მასტერსის ექვსგზის ჩემპიონმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


რაფაელ ნადალი




ლელო

77 წელიწადი თაობებთან ერთად

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 აპრილი ოთხშაბათი 2011

№085 (13382) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბრამოვიჩი და ლიგა: რომანი არ გამოდის




**მანჩესტერი და ბარსელონა ნახევარფინალში გავიდნენ რეალს და შალკეს დღეს ველით**

9

მანჩესტერელთა ვეტერანი მეკარე ედვინ ვან დერ სარი ამ შეხვედრაშიც შეუდარებელი იყო



## ნინოს კიდევ ერთი ჯილდო

**სალუქვაძე ჩანჯოუდან ბრინჯაოთი მოდის**

10

# ქართული ფეხბურთის ჩვეულებრივი უჩვეულობანი

## დაუნიშნავი პენალტები, კარატე და სტუმარი ადრე ქვის ხანიდან







**რა იყო და როგორ სამტრედიაში: ვერსიები**

2

ეროვნული ბიბლიოთეკა



● თემა განსჯისათვის

# იქნებ ღირს დაფიქრება

ქვემოთ შემოთავაზებული იდეა ბევრს გავანდე, რჩევა და აზრი დავეკითხე, საჯაროდ კი ახლა გამომაქვს. იმედია, სპეციალისტები და ფეხბურთის ქომაგები საქმიანი წინადადებებით და კონკრეტული მოსაზრებებით გამოგვეხმაურებიან. ვიმსჯელოთ!

იდეის არსი ასეთია: ყოველწლიურად ფეხბურთში ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გამორჩეული ორი გუნდის ბაზაზე შეიქმნას ორი - „ლიხსიქითა“ და „ლიხსაქეთა“ ნაკრები გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან მონაცვლეობით (მატჩების სიხშირე და ვადები დადგინდება) ლიხსიქითა და ლიხსაქეთა სტადიონებზე. ვფიქრობ, ნაკრების საბაზო გუნდში თამაშის შესაძლებლობა უნდა მიეცეს 18-წლამდელებსაც (შეთანხმებული კვოტით), რომელსაც შეარჩევს საბაზო (ნაკრების) გუნდის მწვრთნელი (შესაძლებელია ქომაგთა რეკომენდაციის გათვალისწინებაც).

მატჩები დამკვიდრდება ტრადიციად და დიდი ალბათობით: ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს მიეცემათ კარგი შესაძლებლობა, უფრო პრინციპულსა და შედარებით მაღალი დონის თამაშებში დააკვირდნენ ნიჭიერ ფეხბურთელებს; რაც დრო გავა, ასპარეზობა უფრო პრესტიჟული გახდება; გაჩნდება დამატებითი მოტივაცია, გუნდებმა ეროვნულ ჩემპიონატში მიაღწიონ უკეთეს შედეგს და მოიპოვონ ნაკრების საბაზო გუნდის სტატუსი; ფეხბურთელებს მიეცემათ ოსტატობის ამაღლებისა და საქართველოს ნაკრებში მოხვედრის დამატებითი შესაძლებლობა; მატჩები უთუოდ მოიზიდავს მრავალრიცხოვან მაყურებელს; ასეთი თამაშები არ დარჩება სპონსორთა ყურადღების მიღმა; ორივე ნაკრების გაერთიანებული გუნდი, თუ სურვილი იქნება, ამხანაგურ მატჩებს გამართავს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის გუნდებთან; ამასთან, ყოველწლიურად ჩატარდება მატჩი ლიხსიქითა და ლიხსაქეთა გაერთიანებულ გუნდსა და საქართველოს ჩემპიონს შორის გაზეთ „ლელოს“ გარდამავალ თასზე. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები გაერთიანებულ ნაკრებში არ ითამაშებენ.

მაშ, ასე: მზად ხართ დისკუსიისთვის? ჩვენ მზად ვართ!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

● ხმაურიანი ეპიზოდი



ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტოები



# კარატე, ქვა, დაუნიშნავი პენალტები...

## სამტრედიაში გოლის გარდა ყველაფერი იყო

"სამტრედია"-"სპარტაკის" მატჩს უხმაუროდ არ ჩაუვლია. შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა და ამ შედეგმა არც მასპინძლები დააკმაყოფილა და არც – სტუმრები. რაც ყველაზე საინტერესოა, თამაშში მრავლად იყო სადავო მომენტიც და ვნებათაღელვაც.

ყველაზე თვალში საცემი ის ეპიზოდია, როცა არბიტრმა **დავით ხარიტონაშვილმა** "სამტრედიას" კარში პენალტი არ დანიშნა. არადა, მასპინძელთა მცველმა **ხუმარაშვილმა** "სპარტაკის" შემტევი **ბუზალაძე** სპორტის საბრძოლო სახეობის ილეთით შეაჩერა. თავის მხრივ, სტუმართა კარში დაუნიშნავ თერთმეტმეტრიანზე "სამტრედიას" ქომაგებსაც ჰქონდათ პრეტენზია. ამას გარდა, მავანმა სამტრედიელმა ვაიგულშემატკივარმა "სპარტაკის" თავკაც **ბადრი კვარაცხელიას** ქვა ესროლა.

მომხდარზე კომენტარის გასაკეთებლად ორივე კლუბის წარმომადგენლებს მივმართეთ.

**დავით ბურკაძე,** "სამტრედიას" გუნდის უფროსი: *"ჩვენმა ფეხბურთელმა "სპარტაკის" მოთამაშე უდავოდ აკრძალული ილეთით შეაჩერა, მაგრამ მსაჯმა პენალტი ალბათ, იმიტომ არ დანიშნა, რომ მანამდე სპარტაკელმა თავად დაარღვია თამაშის წესი – ბურთი ხელით გაისწორა (არადა, კუთხური დაინიშნა. რედ.). ფაქტია, რომ თავიდან ხარიტონაშვილი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ დაიძრა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურსასმენის საშუალებით სიტუაციაში თანამსაჯმა გაარკვია. მსაჯობის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს, ხარიტონაშვილი საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად მიმაჩნია. "სამტრედია" არაობიექტური მსაჯობით არაერთხელ და ზარალებულა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბოლო ტურებში აღარ ვიჩაგრებით".*

**ბადრი კვარაცხელია,** "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი: *"ლაინსმენმა კოკაიამ ხარიტონაშვილი შეცდომაში შეიყვანა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. არ მინდა, სხვა რამ ვიფიქრო, მაგრამ სწორედ ეს კოკაია იყო სამტრედიაში, მეორე წრის მატჩში, 0:0-ზე 95-ე წუთზე არარსებული ჯარიმა რომ დააფიქსირა ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან, რასაც გოლი მოჰყვა.*

*არ მიყვარს მსაჯობაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს მეცხრე თამაში იყო, რომელშიც მსაჯების შეცდომების გამო ქულები დავკარგეთ. ამ დაკარგული ქულების ნახევარი რომ გვქონდეს, მინიმუმ მეხუთე-მეექვსე ადგილებზე ვიქნებოდით. ხარიტონაშვილი გამოცდილი მსაჯია და კარგად გაუძლვა ამ მატჩს, მაგრამ მას მაღალი დონის ლაინსმენები უნდა ჰყოლოდა გვერდით.*

*პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებიც ითხოვდნენ პენალტს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ იმ ეპიზოდში თერთმეტმეტრიანი არ იყო. ბოიომომ ვარდნა სუფთად შეასრულა და ვიდეოჩანაწერიდანაც კარგად ჩანს, რომ კონტაქტი არ ყოფილა. სამტრედიაში რომელი მსაჯი არ დანიშნავს რეალურ პენალტს?*

*რაც შეეხება ქვის სროლას, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, გულშემატკივრის საქციელი არ არის და ვანდალიზმია. ჩვენ რომ ვყოფილიყავით მასპინძლები და ვინმეს ქვა ესროლა მეტოქე გუნდის მწვრთნელისთვის, კოლეგას პირველი დავუდგებოდი მხარში.*

*როგორ შეიძლება, სულ ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდებოდნენ მსაჯები? ჩემი შრომა ჯანდაბას, ჩემი ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელები მეცოდებიან. ჩვენ სუფთად ვთამაშობთ და სულ "სპარტაკია" შეცდომების მსხვერპლი. არ მინდა, დავიჯერო, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება. რბილად რომ ვთქვა, ეს უსამართლობაა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი



ჯაბა კანკავა სანაკრებოდ მზად იქნება

# კანკავა მცირე ხნით იუქმებს

გაირკვა მიზეზი, რის გამოც უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში **ჯაბა კანკავა** "კრივბასს" დონეცკის "მეტალურგთან" მატჩში ვერ დაეხმარა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს ფეხი დაუჩირქდა და მცირე ქირურგიული ჩარევა გახდა აუცილებელი. რამდენიმე დღის განმავლობაში მას ვარჯიში აკრძალული აქვს, მაგრამ საგანგაშო არაფერია, მოედანს მალე დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს. არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება. შეხვედრა 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35

"არგენტინის სახლისა" და "ზეარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტურის გმირი

# ნუ ინერვიულებ, შენი თამაში ითამაშე




## დინამოს ზესტაფონელმა გაუტანა. ერთადერთმა და ნამდვილმა

მატჩის მინურულს "დინამოს" კარში გატანილი გოლით "ზესტაფონმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ჩემპიონატის ერთ-ერთ საკვანძო შეხვედრაში კი გადამწყვეტი ბურთი იმერელთა 19 წლის ნახევარმცველმა გიორგი ჭანკოტაძემ შეაგდო. "ზესტაფონის" თავკაცი გია გეგუჩაძე კრიტიკულ მომენტში თამამად ენდო და მანაც ეს ნდობა სრულად გაამართლა. ასე გაიცნო გულშემატკივარმა "ზესტაფონის" კიდევ ერთი ნიჭიერი აღზრდილი, რომელსაც "ლელოს" მკითხველსაც უფრო ახლოს გავაცნობთ.

**- თავიდანვე გოლის მომენტი გავიხსენოთ. ზუსტად ისე დაარტყი, როგორც ჩაიფიქრე თუ ყველაფერი თავისით გამოვიდა?**

- ფიქრისთვის ბევრი დრო არც მქონია. მივილე თუ არა საბა ლომიას გადაცემა, უცებ გავიფიქრე, რომ აუცილებლად უნდა გამეტანა და ღვთის მადლით, მიზანსაც მივაღწიე. ის კი ნამდვილად არ დამიგეგმავს, კონკრეტულად რომელ კუთხეში უნდა წასულიყო ბურთი. ეს ჩემი ცხოვრებისა და კარიერის უბედნიერესი დღე იყო.

**- ელოდი, რომ მოედანზე გასვლა მოგიწევდა?**

- ბუნებრივია, დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ იმედი ნამდვილად მქონდა. ფსიქოლოგიურად კარგად შევემზადე და თამაშის დაწყებისთანავე საკუთარ თავს მოედანზე ვხედავდი. კარგად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, თუ მწვრთნელი ჩემს თამაშს საჭიროდ მიიჩნევდა.

**- რა დაგავალა გია გეგუჩაძემ მოედანზე გასვლის წინ?**

- მითხრა, ნუ ინერვიულებ და შენი ფეხბურთი ითამაშეო. მარცხნიდან შეტევა დამავალა, შოთა გრიგალაშვილმა კი ცენტრში გადაინაცვლა. თუმცა ისე მოხდა, რომ გოლისას შეტევის მარჯვენა ფლანგზე აღმოვჩნდი.

**- ლომიასთან იდეალურად ჩანხარ შეთამაშებული.**

- დიდი ხანია, დუბლებში ერთად ვთამაშობთ და ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა წყვილმა მთავარ გუნდშიც შეძლო თავის გამოჩენა. დუბლებში საბას უმეტესად ჩემი პასებით გააქვს ხოლმე, ახლა კი პირიქით, მისი გადაცემით გავიტანე. შესანიშნავი პასი იყო და ვალდებული ვიყავი, კომბინაცია გოლით დამესრულებინა. მე და საბამ მეორე დღეს "დინამოს" დუბლშემადგენლობის წინააღმდეგაც ვითამაშეთ. ის შეხვედრა ფრედ დასრულდა.

**- "ზესტაფონის" მთავარ გუნდში ერთადერთი ზესტაფონელი ხარ.**

- ასეა და ძალიან ბედნიერი ვარ, მშობლიური ქალაქის გუნდში რომ ვთამაშობ. მინდა, აქ არაერთი სეზონი გავატარო და "ზესტაფონის" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე. სხვათა შორის, რუსთავში დავიბადე და ბავშვობა იქ გავატარე, ზესტაფონში კი ბოლო ხუთი წელია, ვცხოვრობ. ამის მიუხედავად, ჩემი ოჯახი ზესტაფონიდანაა და თავს ნამდვილ ზესტაფონელად მივიჩნევ. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი ზურაბ ბოჭორიშვილს, რომელიც "ზესტაფონის" ასაკობრივ გუნდებში ჩემი მწვრთნელი იყო, და, რა თქმა უნდა, გია გეგუჩაძეს, რომელმაც დიდი ნდობა გამომიცხადა და საოცარი მოტივაცია მომცა.

**- ოდესმე თუ ყოფილხარ საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების კანდიდატი?**

- სამწუხაროდ, არა. ბედნიერი ვიქნები, თუ ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს მომცემენ.

**- "დინამოსთან" არც სადებიუტო უმაღლესლიგური მატჩი ჩაგიტარებია და გოლიც არ ყოფილა პირველი.**

- დიახ, უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჯერ კიდევ შარშანწინ, ახალციხის "მესხეთთან" მატჩში მქონდა და ძირითად გუნდში არც ამ სეზონში მითამაშია პირველად, გოლი კი წინა სეზონში ზუგდიდის "ბაიას" გავუტანე. პირველი გუნდის სრულუფლებიან წევრად კი "დინამოსთან" შეხვედრამდეც ვგრძნობდი თავს. ხანდახან უმაღლესი ლიგის მატჩების განაცხადშიც ვხვდებოდი და "ზესტაფონის" შემადგენლობაში ესპანურ შეკრებაზეც ვითამაშე, რამაც ახალი გამოცდილება შემძინა.

**- ასეთი მნიშვნელოვანი გოლის შემდეგ დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატში თამაშისთვის განწყობა ხომ არ გაგიჭირდება?**

- არავითარ შემთხვევაში. კარგად ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად კიდევ ბევრი შრომა დამჭირდება და მანამდე ვალდებული ვარ, საკუთარი შესაძლებლობები ისევ დუბლებში დავამტკიცო. ისიც ვიცი, რომ შრომა დამიფასდება და საკუთარ შანსს მოთმინებით დაველოდები.

**- "დინამოს" დამარცხებამ "ზესტაფონი" ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად აქცია.**

- ფავორიტობა ბევრს არაფერს ნიშნავს, ჩემპიონობამდე სხვა მატჩების მოგებაც გვჭირდება. კარგია, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია. დიდი იმედი მაქვს, რომ გაუთვალისწინებელ ქულებს აღარ დავკარგავთ. "ზესტაფონი" ჩემპიონობას იმსახურებს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. მიზნის მისაღწევად გუნდი და ქომაგები გაერთიანებულები ვართ. ზესტაფონელი გულშემატკივარი ჩვენთვის ნამდვილად მეთორმეტე მოთამაშეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● რეგიონი

ალბათ, ყველას გახსოვთ, **მიხეილ სააკაშვილმა** ფეხბურთის ფედერაციის მაშინ ჯერ კიდევ ახალ თავკაც **ზვიად სიჭინავას** „გურიას" სტადიონის რეკონსტრუქცია რომ „წამოაცდენინა" და თან გრიგოლეთის საფეხბურთო კომპლექსის მიხედვაც დაავალა. არადა, სიჭინავა უახლოეს მომავალში გრიგოლეთით დაინტერესებას არ აპირებდა — წინასაარჩევნოდ გურიაში გაპიარების შემდეგ (რა დროსაც, სხვათა შორის, „წამოსცდა", ამ ბაზის შესყიდვა მე მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეო) გურიის ზღვისპირა კომპლექსი „გრძელვადიანებში", ანუ უფრო მოგვიანებით „გასაკეთებელ პროექტებში" გადაიტანა. აი, რას ამბობდა ქვეყნის პრეზიდენტის ჩარევამდე ფედერაციის თავკაცი: *„რაც შეეხება გრიგოლეთის ბაზას... ჩემთვის მნიშვნელოვანია, სად მოემზადებიან ნაკრები გუნდები და კლუბები, და მეორე — ამ ეტაპისთვის ჩვენი უმთავრესი მიზანი ქუთაისისა და ბათუმის ბაზების მოწყობაა. თუმცა არც გრიგოლეთს დავივიწყებთ. რაც შეიძლება ბევრი სტადიონი და საწვრთნელი ბაზა უნდა გვქონდეს. გრიგოლეთის რეკონსტრუქციაც აუცილებლად დაიგეგმება. შევადგენთ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების 5-წლიან პროგრამას. შესაძლოა, გრიგოლეთი 2010 წლის პროექტებში არ შევიდეს, მაგრამ 2011 ან 2012 წლის გეგმებში ნამდვილად იქნება. საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა რაიონში ავაშენებდი სტადიონს, მაგრამ ახლა გარკვეული გრაფიკი გვჭირდება".*

თუმცა სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადების შემდეგ ლანჩხუთში სჯეროდათ, რომ ყველა გრაფიკს უნდა გადმოეწია, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი პირის განცხადება პიარი არ იყო, როგორც აქამდე, თუნდაც „გურიასთან" მიმართებაში. როცა ქუთაისის სტადიონი გაკეთდა და სიჭინავამ სააკაშვილს ბათუმისა და ფოთის გეგმების შესახებ ამცნო, ქვეყნის პრეზიდენტმა მკაფიოდ უთხრა — „გურია" და გრიგოლეთის ბაზა არ გამოგვრჩესო!

მოგეხსენებათ, ახლახან საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს შეხვდა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ შეხვედრის შემდეგ კონკრეტული პროექტების განხორციელება დაიწყება.

*„დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ახალი მოედანი გაკეთდება, თუმცა ჯერ ქალაქებს ვერ დავაკონკრეტებ"* — აღნიშნა სიჭინავამ.

მართალია, ქართული ფეხბურთის მესაჭემ ქალაქების დაკონკრეტება არ ისურვა, მაგრამ ჩვენ დავინტერესდით, მოხვდა თუ არა მათ შორის ლანჩხუთის „გურიას" მთავარი არენა. რატომღაც ბოლო დროს ლანჩხუთი ფეხბურთის კუთხით ჩრდილში მოექცა. არადა, ასეთ მოქცევას თუნდაც კლუბის ტრადიციები ნამდვილად არ იმსახურებს.

იმის გასარკვევად, არის თუ არა სახელმწიფო პროგრამაში „გურია" და მიხეილ სააკაშვილის მიერ ხსენებული ლანჩხუთის სტადიონი, სააკაშვილ-სიჭინავას შეხვედრის მონაწილეს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილს** დავუკავშირდით:

***— თქვენ ესწრებოდით შეხვედრას ქვეყნის პრეზიდენტსა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს შორის, სადაც საუბარი იყო სტადიონების რეაბილიტაციაზე. არის თუ არა მათ შორის ლანჩხუთის სტადიონი, რომელიც დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია?***

*— ამ ეტაპზე ვიწყებთ ბათუმის, ფოთისა და სამტრედიის სტადიონებს. 2012 წლის ბოლოსკენ სტადიონების მშენებლობა დასრულებული გვექნება და მათ შორის იქნება ლანჩხუთიც.*

## SOS!

# გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა

### გაპარტახებული „ევგრაფი შევარდნაძე" სახელმწიფო პროექტში „ჯერ" ვერ მოხვდა



## სტალინგრადი ლანჩხუთში



## აქ თუ დაჯექი, ველარ ადგები



თუმცა მომავლის პერსპექტივა „ევგრაფი შევარდნაძეს" დიდად არ წაადგება, ერთ დროს ქვეყნის მასშტაბით თავმომწონე არენა სავალალო მდგომარეობაშია, უმეტეს ადგილზე კი მაყურებლისთვის დაჯდომა — სახიფათო. ჯერ კიდევ **მერაბ ჟორდანიას** პრეზიდენტობისას ამბობდნენ, რომ „ევგრაფი შევარდნაძეს" ფიფა-უეფას ფინანსური დახმარებით კეთილმოაწყობდნენ, მაგრამ ჟორდანიას ისე დაატოვებინეს პოსტი, ყოველივე მხოლოდ იდეად დარჩა. **ნოდარ ახალკაცის** დროსაც ლაპარაკობდნენ ამაზე, მაგრამ ლანჩხუთი მის ოპოზიციაში იდგა და გასაგებია, რომ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. ზვიად სიჭინავას მოსვლას და მის განცხადებებს გურული ქომაგი იმედით შეხვდა, თუმცა ლანჩხუთი თანდათან უკანა პლანზე გადადის. არადა, „გურია" სიჭინავასთვის არცთუ შორეულ წარსულში პრიორიტეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, ამას თავად ამბობდა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

***P.S.*** ***ისე, კარგი იქნება, სტადიონების გარემონტების გრაფიკის შემდგენლებმა, თუ ქალაქებში არ ჩავლენ, ეს ფოტოები მაინც ნახონ!***

● ლეგიონერები



კახა ცხადაძე

## მჟავანაძე დისკვალიფიკაციას გადაურჩა, ცხადაძე 1000 მანათს – ვერა

ბაქოს "ინტერის" ქართველ მცველ **კახა მჟავანაძეს** "ნეფთჩისთან" დედაქალაქურ დერბიში მიღებული მეორე ყვითელი ბარათი გაუუქმეს. აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა, რომ მას ხელით განზრახ არ უთამაშია. გაძევების გაუქმებასთან ერთად, გაუქმდა მჟავანაძის დისკვალიფიკაციაც.

"ინტერის" ქართველი მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობისთვის 1000 მანათით დააჯარიმეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა მჟავანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები




## რევიშვილი მაგრად დგას

მახაჩყალის "ანჟისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესოთა შორისაა. ოთხ ტურში მან სამჯერ შეინახა კარი მშრალად და ამ მონაცემით მხოლოდ "კრასნოდარისა" და "რუბინის" მეკარეები უტოლდებიან. სამაგიეროდ, "ჩემპიონატ.რუს" შეფასებებით, რევიშვილი დღეისთვის რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეა, რადგან მათ შორის ყველაზე მაღალი ქულა (6,25) აქვს და ოთხი ტურის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მე-2-მე-4 ადგილებს იყოფს.

ნუკრიმ ბოლო ტურში "ტომთანაც" მშვენივრად ითამაშა და "სოვეტსკი სპორტმა" მახაჩყალელთა შორის საუკეთესო ბალი 4,0 (5-ბალიანი სისტემით) რევიშვილსა და "ანჟის" კაპიტან **რობერტო კარლოსს** მიაკუთვნა.

"ჩემპიონატ.რუს" სიაში 31-ე ადგილზეა "კრასნოდარის" კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი** (5,88 ქულა), 37-ზე - **გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე** კი - 45-ზე.

"ევროსპორტ.რუმ" კი "როსტოვის" კარში **გოჩა ხოჯავას** გატანილი გოლი ტურის გოლად აღიარა.

"ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" შედეგს შესაშური მონდომებით აღწევს და ამას ეფექტურადაც ახერხებს. "როსტოვთან" გასვლაზე გუნდმა ისეთი გოლები გაიტანა, ყველას გემოვნებას რომ დააკმაყოფილებდა. რომ არა ეს გუნდი, მეოთხე ტური უფერული იქნებოდა. "ვოლგამ" კვლავ სამი გოლი გაიტანა, მაგრამ ყველაზე ლამაზის ავტორი ხოჯავა იყო. გია გრიგალავამ ცენტრში ბურთი ჩაჭრა, შემდეგ იაშინმა საჯარიმოსთან ქართველი პლეიმეიკერი მოძებნა – ხოჯავამ საჯარიმოს კუთხიდან მოულოდნელად დაარტყა და "ცხრიანში" იდეალურად გაიტანა" – წერს "ევროსპორტ.რუ".

**მერაბ მამულაშვილი**

## კორლალიძე მოლდოვის ჩემპიონატს აფერადებს


ლევან კორლალიძე

მოლდოვაში სეზონი გახურდა, **ლევან კორლალიძის, დავით გამეზარდაშვილისა და მამუკა ლომიძის** "დაჩია" ჩემპიონატს ლიდერობს და ტური ისე არ ჩაივლის, კარგი ამბები არ შევიტყოთ.

კორლალიძე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში: ინტერნეტ-ტელევიზია "სპორტი" ყოველთვიურად "მარადონა ტროფით" მოლდოვის ჩემპიონატში ყველაზე თავგამოჩენილ მწვრთნელს ან ფეხბურთელს აჯილდოებს.

მარტში საუკეთესო და, შესაბამისად, მარადონას სახელობის პრიზის მფლობელი "დაჩიას" პლეიმეიკერი კორლალიძე გახდა. მოლდოველი ჟურნალისტების აზრით, ლევანი თვის ყველაზე "მკვეთრი ფერი" იყო.

მედიის წარმომადგენლები სწორედ მის დირიჟორულ თვისებებსა და შედეგიან თამაშს მიაწერენ "დაჩიას" ლიდერობას.

ჟურნალისტების გამოკითხვაში კორლალიძემ 184 ხმა მიიღო და მოლდოვის ნაკრებისა და რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდარის" თავდამსხმელ **იგორ პიკუშჩაკს** (166 ხმა) გაასწრო.

აღსანიშნავია, რომ კორლალიძემ "მარადონა ტროფი" სეზონში უკვე მეორედ მოიპოვა. ასე რომ, თუ ტემპი არ შეანელა, ის მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის უდავო კანდიდატი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

## დემეტრაძეს დღემდე ეჭიდავებიან

### უკრაინაში ჯერაც TOP ფორვარდია

**გიორგი დემეტრაძე** უკრაინის ჩემპიონატში 2008 წლის შემდეგ აღარ თამაშობს. ამის მიუხედავად, ჩემპიონატის ტოპ-ფორვარდებს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდის შედეგიანობის გაუმჯობესება დღემდე უჭირთ.

ასე, მაგალითად: სერბმა თავდამსხმელმა **მარკო დევიჩმა** ხარკოვის "მეტალისტის" შემადგენლობაში 52-ე გოლი გაიტანა. ის ნატურალიზებული ფეხბურთელია და უკრაინის ნაკრებში 10 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

დევიჩი უკრაინის უმაღლეს ლიგაში 11 წელია თამაშობს, "მეტალისტში" კი მეექვსე სეზონს ატარებს. აღმოჩნდა, რომ მან მხოლოდ ახლა გაიტანა უკრაინის ჩემპიონატში იმდენი გოლი, რამდენიც გიორგიმ შვიდ სეზონში – ეს მოვლენა უკრაინულ მედიაში ამიტომ გამოარჩიეს.

უკრაინის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირებში დემეტრაძე 27-ე ადგილზეა. უინტერესო არ უნდა იყოს, რომ გიორგის დარად მხოლოდ ცხრა მოთამაშემ შეძლო "პოკერის" (ერთ შეხვედრაში ოთხი გოლის) შესრულება.

ამ სიაში ყველაზე სწრაფად გატანილი გოლების მიხედვით გიორგი მეორე ადგილზეა: 2000 წლის 27 აგვისტოს (მაშინ კიევის "დინამოში" თამაშობდა) ტერნოპოლის "ნივას" მე-2 წუთზე შეუგდო. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელ **ბრანდაუს** აქვს, რომელმაც 2005 წელს ხარკოვის "მეტალისტი" პირველივე წუთზე დაამწუხრა.

**მერაბ მამულაშვილი**

● უცხოელი ფეხბურთელები და მწვრთნელები საქართველოში

# ლეგიონის გაგვიძვირდა...

## კლებადობის ტენდენცია

ეს სეზონი ახალი დაწყებული იყო, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელი ფეხბურთელების კლებადობის ტენდენციაზე რომ ვისაუბრეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინა ჩემპიონატში (უმაღლეს ლიგას ვგულისხმობთ) ჩვენთან 25-მა უცხოელმა ფეხბურთელმა ითამაშა. ამ სეზონის დაწყების წინ კი ხუთილა შემოგვრჩა: პორტუგალიელი **ედნილსონი,** ბრაზილიელი **რობერტინიო,** კამერუნელი **ჯუისი** (სამივე-„დინამო“), კამერუნელი **ბოიომო,** კოტ'დივუარელი **კლოვისი** (ორივე-„სპარტაკი“). უცხოელ ფეხბურთელთა ნაკადის შემცირებას მაშინ ერთადერთი მიზეზი მოვუძებნეთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ზვიად სიჭინავას** რეკომენდაციით, XXII ჩემპიონატში ყოველი ახალი ლეგიონერის დამატებაზე კლუბს ფედერაციის ბიუჯეტში 15000 ლარი უნდა შეეტანა. ოღონდ, ეს თანხა უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის იყო განკუთვნილი, რამეთუ პირველ და მეორე ლიგის გუნდებს ბევრად ნაკლები უნდა გადაეხადათ (შესაბამისად, 5000 და 2000 ლარი). სწორედ ამის გამოც იყო, რომ ერთობ პესიმისტური პროგნოზი გავაკეთეთ: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერთა მოზღვავებას არ უნდა ველოდოთ-თქო. ასეც მოხდა: ზემოთ ნახსენებ ხუთეულს კიდევ ექვსი უცხოელი ფეხბურთელი დაემატა და დღესდღეობით უმაღლეს ლიგაში 11 ლეგიონერი ასპარეზობს. ყველაზე მეტი „დინამოსა“ ჰყავს: 28 წლის სერბი მცველი **მარკო მაროვიჩი,** 30 წლის ჩეხი მცველი **ირჟი ჰომოლა,** 24 წლის სერბი ნახევარმცველი **სამირ ჰაჯიბულიჩი,** 28 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი **ედნილსონი,** 21 წლის კამერუნელი შემტევი **დონალდ ჯუისი,** 22 წლის ბრაზილიელი გარემარბი **რობერტინიო** და 24 წლის ბოსნიელი თავდამსხმელი **პეტარ ელიჩი.** შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ლეგიონერად ითვლება „დინამოს“ ახალწვეულთაგან, უდავოდ საუკეთესო, **ზურაბ არზიანი** — 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი რუსეთის მოქალაქეა.


ზურაბ არზიანი

კიდევ ერთი უცხოელი „ზესტაფონში“ გამოჩნდა, თუმცა 25 წლის ხორვატ მცველს **გორან გრუიცას** საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ჯერჯერობით არ ჰქონია. მოკლედ, ლეგიონერებზე დაწესებულმა ლიმიტმა მეტ-ნაკლებად ამბიციური გუნდების ხელმძღვანელები სერიოზულად დააფიქრა: თითოეულ უცხოელ ფეხბურთელზე 15000 ლარის გადახდას, ისევ ქართველების დამატება რომ ამჯობინეს, ალბათ, არავის უნდა გაჰკვირვებოდა. თანაც, ლეგიონერებსაც ხომ გააჩნია, — რამდენჯერ ყოფილა, როცა დიდი „ზარ-ზეიმით“ ჩამოყვანილ უცხოელ ფეხბურთელს... „ელემენტარული რალაცებიც“ კი არ სცოდნია. თუმცა, ამ საკითხზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია და ასეთ „ვითომ-ლეგიონერებს“ ერთი-ორჯერ ... სპეციალური რუბრიკაც („სიცრუის დეტექტორი“) მივუძღვენით. უფრო ზუსტად, აქ ჩამოსული უცხოელები რომ „გვაბრუებდნენ“ ხოლმე - ჩემი ქვეყნის ყველა ასაკობრივ ნაკრებში მაქვს ნათამაშები და ეროვნულშიც რამდენიმე მატჩი ჩამიტარებიაო (მერე იმათ მონაყოლს გადავამოწმებდით და აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ვიღებდით). თუმცა, რაღა ზოგადად ვსაუბრობთ: „დინამოს“ ნახევარმცველმა ედნილსონმა ინტერვიუში გვითხრა, პორტუგალიის ნაკრებში რამდენიმე მატჩი მაქვს ნათამაშებიო, მაგრამ თარიღი და მეტოქეები... ვერაფრით გაიხსენა. ახლა კი, ეს არცთუ ურიგო საყრდენი ნახევარმცველი აფრიკის თასზე მოასპარეზე... გვინეაბისაუს ნაკრებშია მიწვეული. არადა, ედნილსონს „მთლად ურცხვად“ არ მოუტყუებივართ: პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა და ეროვნულ გუნდშიც რამდენჯერმე იყო გამოძახებული, უბრალოდ, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია.

## სხვადასხვა დონე

XXII ჩემპიონატი იმითაც არის „განსაკუთრებული“, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოხდა, როცა უმაღლეს ლიგაში უცხოელი სპეციალისტი არ მოღვაწეობს! არადა, პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს არაერთ უცხოელ მწვრთნელს უმუშავია ჩვენთან და მათ შორის ისეთებიც ყოფილან, ქართულ ფეხბურთში გარკვეული კვალი რომ დაუტოვებიათ; თუმცა, საპირისპირო შემთხვევებიც (თანაც, უფრო მეტი) მრავლად გვახსოვს, როცა უცხოეთიდან ჩამოყვანილი „გაპიარებული“ მწვრთნელები ჩვენს სპეციალისტებს არათუ ვერაფერში ჯობდნენ, კვალიფიკაციაში ბევრად ჩამოუვარდებოდნენ კიდეც. ხვდებით, ალბათ, რომ საკლუბო დონეზე ვსაუბრობთ, თორემ იმავე **კლაუს ტოპმიოლერისა** თუ **ჰექტორ კუპერის** „მოღვაწეობის“ დროს საქართველოს ნაკრებს რა ნინსვლაც ჰქონდა, იმედია, ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს. **იოჰან ბოსკამპი** (ჰოლანდია), **ვლადიმერ ზემლიანოი, ალექსანდრ შტელინი, ვიქტორ კაშჩეი, ანატოლი პისკოვეცი** (ყველა-უკრაინა), **ივო შუშაკი** (ხორვატია), **ლუის ცაკარიასი** (პერუ), **დუშან უჰრინი** (ჩეხეთი), **რაინერ ცობელი** (გერმანია), **ანდრეი ჩერნიშოვი** (რუსეთი), **ჯანი კარნევალე** (იტალია), — აი ის უცხოელი მწვრთნელებიც, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წარმატებით რომ მუშაობდნენ საქართველოს ჩემპიონატში. თუმცა, ამ სეზონში ერთი ლეგიონერი მწვრთნელი კიდევ „შემოგვრჩა“: იმის მიუხედავად, რომ „გაგრა“ პირველ ლიგაში დაქვეითდა, ამ გუნდის უკრაინელმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა კვლავაც საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა. ისე, კლუბის ხელმძღვანელებმა ნამდვილად მართებული გადაწყვეტილება მიიღეს, ამ გამოცდილ სპეციალისტს კონტრაქტის გახანგრძლივება რომ შესთავაზეს: ანატოლი პისკოვეცის ხელმძღვანელობით „გაგრა“ დამაჯერებლად ლიდერობს პირველი ლიგის გათამაშებას და, ალბათ, სასწაული უნდა მოხდეს, გუნდი უმაღლეს ლიგაში რომ არ დაბრუნდეს. ამას გარდა, „გაგრამ“ სხვა, უფრო ზუსტად „ნაღდი“ სასწაული უკვე მოახდინა, როცა თასის მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს“ აჯობა ორრაუნდიან დაპირისპირებაში და ამჟამად ნახევარფინალშია გასული! როგორ გგონიათ, პირველ ლიგაში მხოლოდ პისკოვეცია ერთადერთი ლეგიონერი? ჯერ მარტო „გაგრაში“ სამი ლეგიონერი ასპარეზობს: 29 წლის **მიკოლა ნაკონეჩნი,** 25 წლის **ვლადიმირ ორდინსკი** (ორივე-უკრაინა) და 18 წლის **აბაიომო ოვონიკოკო** (ნიგერია). ამათ გარდა, პირველ ლიგაში სხვა ლეგიონერებიც ასპარეზობენ: განაცხადში ყველაზე მეტი უცხოელი კიდევ ერთ ლიდერს, მარტვილის „მერანს“ ჰყავს: 36 წლის **ადონის პაპადოპულოსი** (საბერძნეთი) პირველ ეტაპზე მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ, 20 წლის **მელოდეკი ზონი** (კოტ'დივუარი) და ასევე 20 წლის **ლორენცო ლარკი** (ლიბერია) მეორე წრეში, ფაქტობრივად, აღარ სჩანან ძირითადში, სამაგიეროდ, 20 წლის **ჟოელ იატრო** და 22 წლის **მუგნინი ტაპე** (ორივე — კოტ'დივუარი) ამ გუნდის წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნევიან.


ანატოლი პისკოვეცი

## რეკორდსმენი და გეოგრაფია

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ჩემპიონატში 250-მდე უცხოელ ფეხბურთელს უთამაშია; რა თქმა უნდა, გამორჩეული ოსტატებიც გვახსოვს, ჩვენს პირველობას ეშხსა და ლაზათს რომ მატებდნენ: **ზაურ ხაპოვი** (რუსეთი), **რობერტას ფრიდრიკასი, არვიდას კონციავიჩუსი, ვირგილიუს ბალტუშნიკასი, რიმას მაჟეიკისი** (ყველა-ლიტვა), **დე პორასი** (არგენტინა), **ტიაგო, კარლოსი, ვიეირა, აკინო ფრაგა** (ყველა-ბრაზილია), **ანდრეი პოროშინი** (უკრაინა), **პოლ კესანი, დიდიე ოვონო, ჯორჯ აკირემი, ერნესტ აკუასაგა** (ყველა-გაბონი), **ერიკ-რომეო ჩასემი** (კამერუნი), **დენი დონდტი** (ბელგია), **მილოშ კრშკო** (სლოვაკეთი), **ნედ ზელიჩი** (ავსტრალია) და ასე შემდეგ; ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა ამ 21 წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატში სხვა ეროვნების ფეხბურთელებსაც უასპარეზიათ: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უზბეკეთი, ნიგერია, განა, პერუ, ეკვადორი, ჩერნოგორია, კორეა, ჩეხეთი, კონგო, სერბეთი, მაკედონია, ზამბია, კოტ'დივუარი, პორტუგალია, საფრანგეთი და ასე შემდეგ. ამ სეზონში, ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ლეგიონერთა გეოგრაფია რომ გაიზარდოს; მანამდე კი, რეკორდსმენი-ლეგიონერები ვახსენოთ: უკრაინელმა ანდრეი პოროშინმა სამი სეზონის განმავლობაში 27 გოლი გაიტანა (საუკეთესო შედეგია), ხოლო ანდერსონ აკინომ წინა სეზონში 31 მატჩში 26 გოლი გაიტანა და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და „ლელოს“ ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელიც. თუმცა, აბსოლუტური რეკორდსმენი მაინც ცხინვალის „სპარტაკის“ 28 წლის მცველი ფრიდოლინ ბოიომო გახლავთ: სამ ქართულ გუნდშიც იასპარეზა (მანამდე ჯერ „სიონში“ თამაშობდა, მერე — „ზესტაფონში“) და საერთოდაც ერთადერთი ლეგიონერია, ვინც ხუთ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ბოიომოს კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის — პირველი ლეგიონერია, ვინც საქართველოს ჩემპიონატში ასზე მეტი (სულ-104) მატჩი ჩაატარა!..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# როზერტო მანჩინი: შევცდი!



შაბათს „მანჩესტერ სიტის" სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი ელის — ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება, მაგრამ, ბედი არ გინდა, მაინცდამაინც ახლა დაუშავდა **კარლოს ტევესი.** მოგეხსენებათ, ორშაბათს, პრემიერლიგის 32-ე ტური „ენფილდ როუდზე" „ლივერპულისა" და „სიტის" შეხვედრით დასრულდა. ეს გახლდათ მატჩი, რომელშიც ისტლენდელებს ძალიან არ გაუმართლათ. ამას ანგარიში 3:0-იც ადასტურებს. მერსისაიდელთაგან სამიდან ორი გოლი ახალშეძენილმა **ენდი ქეროლმა** შეაგდო, სტუმრების მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** კი ნაგებაზე მეტად, ალბათ, ტევესის დაშავება ეწყინა. არგენტინელი მე-16 წუთზევე შესაცვლელი გახდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მანჩინიმ განაცხადა, რომ ტევესის თამაში არათუ შაბათს, არამედ კიდევ ორი კვირის განმავლობაში გამორიცხულია. მანჩესტერული დერბის შემდეგ „სიტის" „ბლექბერნსა" და „ვესტ ჰემთან" აქვს სათამაშო.

*„კარლოსს ორთავა კუნთი ეტკინა, რაც შაბათისთვის მდგომარეობას ძალიან გვირთულებს. ახლა მის გარეშე მოსამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ხუთი დღე გვრჩება. ძალიან ვეცდებით ტევესი შემდგომი ორი თამაშისთვის მაინც გამოვაჯანმრთელოთ, მაგრამ ეს ძნელი იქნება. ალბათ, მოვლენებს არ დავაჩქარებთ, რადგან მაისში სხვა თამაშებიც გვაქვს და ჯობს თავდამსხმელმა იქ გამოიჩინოს თავი".*

ქეროლის გარდა „მანჩესტერ სიტის" კარში ჰოლანდიელმა **დირკ კუიტმაც** შეაგდო, თუმცა სტუმართა მეკარე **ჯო ჰარტი** რომ არა, მერსისაიდელები, ალბათ, კიდევ უფრო მეტ გოლს გაიტანდნენ. მანჩინიმ უხარისხო თამაშის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად იკისრა და განაცხადა, რომ ოქტომბრის მერე ყველაზე დიდ ფიასკოში ფეხბურთელები უდანაშაულონი არიან.

*„მე შევცდი - ვაჟკაცურად თქვა ისტლენდელთა თავკაცმა - თამაში ჩამ გამონავაგეთ. მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ შეცდომას დროულად მივხვდი. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არასწორად ვხელმძღვანელობდი გუნდს. ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან. გარდა ამისა, „ლივერპულმა" პირველი 20 წუთის განმავლობაში დიდებულად ითამაშა. ჩვენ მათ სივრცეები დავუტოვეთ და მათაც ამ უპირატესობით ისარგებლეს. ისინი ძალიან აგრესიულები იყვნენ. ამ დღეს გუნდს სამი დასვენებული ფეხბურთელი მივაშველე, მაგრამ ყურადღების კონცენტრაცია გვაკლდა. თუმცა, არ ვნერვიულობ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილსაც მოვიპოვებთ და ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალშიც გავალთ".*

ორი გოლის გატანისთვის დიდი ქება დაიმსახურა ენდი ქეროლმა. რა არ დაწერეს გაზეთებმა: „დენდი ენდი" თუ „ფერნანდო... ვინ?" — აქაოდა, მასთან შედარებით ტორესი ვინლა არისო. თავად ფეხბურთელმა თქვა:

*„დიდებული დღე იყო. „ლივერპულში" ჩემი პირველი გოლი გავიტანე და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა".*

„წითლების" მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა,** რომელმაც ამ დღეს 18 წლის დებიუტანტი **ჯონ ფლენაგანი** ათამაშა, თქვა, რომ ეს იანვრის ანუ მწვრთნელის პოსტზე დაბრუნების შემდეგ მისი საუკეთესო თამაში იყო.

*„ფლენაგანმა კი ინგლისის ნაკრების წევრ ჯეიმს მილნერის წინააღმდეგ ითამაშა და წარბიც არ შეუხრია".*

სამომავლო ფიქრი

# ზეედორფი ანუ კაცი ლიგა



საკვირველი ამბავი თუ გნებავთ, ეს არის: „მანჩესტერ სიტიმ" „მილანს" ჰოლანდიელი ვეტერანის, **კლარენს ზეედორფის** შეძენაზე ჩამოუგდო სიტყვა. ისტლენდელებს ზაფხულში 35 წლის ნახევარმცველის შეძენა გადაუწყვეტიათ. ეს ინფორმაცია გაზეთმა „დეილი მეილმა" მოიპოვა. მანვე გაიგო, რომ ზეედორფის დამატებას სასარგებლო ნაბიჯად პირადად „სიტის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** მიიჩნევს.

როგორც ჩანს, ვეტერანის შეძენას ის აზრი აქვს, რომ მომავალი სეზონიდან „მანჩესტერ სიტი" შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაში გამოვიდეს, ზეედორფს კი ლიგაში თამაშის უდიდესი გამოცდილება აქვს. თავად განსაჯეთ, ნახევარმცველს ამ შეჯიბრებაში 117 მატჩი აქვს ჩატარებული. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში აქვს მოპოვებული. პირველად ზეედორფმა ჩემპიონთა თასი 1995 წელს აღმართა, როდესაც „აიაქსში" თამაშობდა. მეორედ მან იგივე 1998 წელს, „რეალის" მაისურით მოახერხა, მესამედ და მეოთხედ კი უკვე „მილანის" შავ-წითელი ფორმა ეცვა — ეს, შესაბამისად, 2003 და 2007 წლებში მოხდა. სხვათა შორის, გასული კვირის მიწურულს ის ამბობდა, რომ მართალია „მილანთან" კონტრაქტის ვადა ეწურება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ „როსონერისთან" ახალ ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი.

*„ჩემ შესახებ უამრავი ჭორი მესმის - თქვა ზეედორფმა - თუმცა, უპირველეს ყოვლისა „მილანს" დაველოდები. არ არის გამორიცხული, რომ ისევ „სან სიროზე" განვაგრძო თამაში. შემოთავაზებები კი ბრაზილიიდანაც მაქვს და ევროპის სხვადასხვა კლუბიდანაც. ოღონდ, სანამ სატრანსფერო ამბებზე დავფიქრდები, მინდა მთელი ყურადღება სკუდეტოსთვის ბრძოლას დავუთმო".*

და ვინ არის „მანჩესტერ სიტის" კონკურენტი ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში? უპირველეს ყოვლისა, „ტოტენჰემ ჰოთსპური", რომელსაც დღეს მძიმე დღე აქვს: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალს" ხვდება, პირველ შეხვედრაში კი 4:0 აქვს წაგებული. თუ ვერც „რეალს" მოუხერხა რამე და ვერც „სიტის" აჯობა პრემიერლიგაში, მაშინ **ჰარი რედნაპის** გუნდი მომავალ სეზონში ევროასპარეზს მიღმა დარჩება. ბრაზილიელი მეკარე ეურელიო გომეში შიშობს, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საუკეთესო ფეხბურთელები, **გარეთ ბეილი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გუნდიდან გაიქცნენ.

გომეში ამბობს: *„როდესაც ჩემპიონთა ლიგაში გამოდიხარ, ყველა ფეხბურთელს შენთან ყოფნა უნდა, ყველა „სფურზის" წევრობაზე ოცნებობს. აი, ლიგის გარეშე კი ახალი ვარსკვლავების დამატებაც გაჭირდება და ძველების შენარჩუნებაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბეილის დატოვება გახლავთ".*

„სფურზის" მიმართ დაუნდობელია კალენდარიც. რედნაპის შეგირდებს პრემიერლიგაში უძლიერესებთან დარჩა სათამაშო: „ჩელსისთან", „არსენალთან", „ლივერპულთან" და ზემოთ ნახსენებ „მანჩესტერ სიტისთან". მაგრამ გომეში იხტიბარს არ იტეხს:

*„თუკი ამ გუნდებს გასულ სეზონში ვაჯობეთ, ამ სეზონში რატომაც არ უნდა ვაჯობოთ?"*

პრემიერლიგური ბიზნესი

# ტრადიცია და ამბიცია, სტენ!

როგორც კი „არსენალის" შეძენასთან დაკავშირებულ საბუთებს გააფორმებს, **სტენ კროენკი არსენ ვენგერს** ახალი ფეხბურთელების საყიდელ ფულს მისცემს. მოგეხსენებათ, ამერიკელმა მილიარდერმა თავისი წილი 63 პროცენტამდე გაზარდა — **დენი ფრიზმანისა** (16,1 პროცენტი) და ლედი **ნინა ბრეისველ სმითისგან** (15,9 პროცენტი) 233,2 მილიონი ფუნტის აქციები იყიდა და თავისას დაამატა. კლუბისთვის, რომელსაც 2005 წლის შემდეგ ტიტული არ მოუგია, სატრანსფერო ბაზარში 40 მილიონის „გატანება", კროენკის აზრით, ძალიან დიდი საქმე იქნება. ახალი მეპატრონის გამოჩენის შემდეგ „არსენალის" ერთი აქციის ფასი 11, 75 ფუნტი გახდა და კლუბის საერთო ღირებულებამ 731 მილიონ ფუნტს მიაღწია.

63 წლის კროენკს ამერიკულ სპორტულ კლუბებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან თქვა:

*„აღფრთოვანებული ვარ, „არსენალში" ფულისა და ენერგიის დახარჯვის საშუალება რომ მომეცა. მინდა გუნდმა ახალი ჯილდოები მოიპოვოს. იმედი მაქვს, რომ პიტერ ჰილ-ვუდი პატივს დაგვდებს და თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს".*

სტენ კროენკი უმდიდრესი ადამიანია, რომელიც „არსენალის" მეწილე 2008 წლიდან გახლავთ. ახლა მას ჩრდილოლონდონური კლუბის დარჩენილი წილის გამოსყიდვაც უნდა, თუმცა ცნობილია, რომ თავისი ჯიბიდან ფულის დადებას არ აპირებს. მოგეხსენებათ, „არსენალის" ერთ-ერთი მთავარი აქციონერი, აქციათა 27 პროცენტის მფლობელი არის უზბეკი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი,** რუსული „მეტალოინვესტის" მთავარი ფიგურა. ამბობენ, რომ უსმანოვი ჯერჯერობით ფიქრობს, გაყიდოს თუ არა „არსენალის" წილი.

არსენ ვენგერი: *„სტენ კროენკთან რამდენიმე წელიწადია რაც ვთანამშრომლობ და დარწმუნებული ვარ, რომ მას „არსენალის" გაძლიერება გულით სწადია. კროენკს კარგად ესმის, რა ტრადიციისა და ამბიციის კლუბთანაც აქვს საქმე და იცის, რომ ჩვენ ისეთი საფუძვლის ჩაყრა გვჭირდება, რომელიც მომავალში ხანგრძლივ წარმატებებს უზრუნველყოფს".*

„არსენალის" თავმჯდომარე **ჰილვუდი:** *„დირექტორატის წევრები და მე ვგრძნობთ, რომ უპირველეს ყოვლისა გუნდის სული უნდა დავიცვათ. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ მართალია მისტერ კროენკი „არსენალში" შედარებით ახალი კაცია, მაგრამ უკვე დაამტკიცა, „მეთოფეთა" ისტორიისა და ტრადიციების პატივისცემა. „არსენალი" ხომ სპეციფიური კლუბია. იმედი მაქვს, რომ ის პოზიციას არც მომავალში შეიცვლის".*

კლუბის აღმასრულებელი შეფი **აივან გაზიდისი:** *„არსენს ჩვენთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. რაც ახლა ხდება აშკარად ეპოქის დასასრული გახლავთ, თუმცა ეს ახალი ეპოქის დასაწყისიც არის. არა მგონია, ახალმა მეპატრონემ მოღვაწეობა რადიკალური ცვლილებებით დაიწყოს. მისტერ კროენკი სპორტში ჭიპმოჭრილი ადამიანია".*



კროენკი (მარცხნივ) და ჰილვუდი

არსენალი

# კლიშის მომავალი

„არსენალის" მარცხენა მცველმა **გაელ კლიშიმ** განაცხადა, რომ ამ ზაფხულს გუნდიდან არ წავა. ეს საკითხი კი იმიტომ წამოიჭრა, რომ ბევრი მიმომხილველის აზრით, „მეთოფეები" ვერც ამ სეზონში მოიგებენ ჯილდოს და გულაცრუებული **არსენ ვენგერი** ფეხბურთელთა მოზრდილ ჯგუფს გამოცვლის. ამბობენ, რომ იმ ფეხბურთელთა შორის, რომელთაც ვენგერი გაყიდის, კლიშიც იქნება, თუმცა ფრანგი, რომელიც მომავალ წელს თავისუფალი აგენტი გახდება, მოწადინებულია, რომ ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი. კლიშიმ თქვა:

*„აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდოდა ოსტატობა დამეხვეწა. ეს ნებისმიერი მოთამაშისთვის ბუნებრივი სურვილია. იმხანად ბევრი გუნდი მიწვევდა, მაგრამ ვენგერმა დამარწმუნა, რომ ჯობდა „არსენალში" გადავსულიყავი და მას მერე ერთსა და იმავეს ვიმეორებ: ჩემი აწმყო და მომავალი „მეთოფეებთან" არის დაკავშირებული. რაც შეეხება ახალ კონტრაქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას, ის, მთლიანად ჩემს აგენტს მივანდე, თავად კი ფეხბურთზე გავაკეთე სრული კონცენტრაცია. ვიცი, ბევრს ჭორაობენ, თითქოს სადღაც მივდივარ, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ყოველთვის ვოცნებობდი ისეთ გუნდში მეთამაშა, სადაც თავს კარგად ვიგრძნობდი. დიდი ხელფასი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფრის გადამწყვეტი ფაქტორი არ არის. ჩემი ოცნება ინგლისის ჩემპიონობაა".*

სახალისო ამბავი

# მტირალა

როგორი ხასიათის კაცია სერბი ფეხბურთელი **ნემანია ვიდიჩი?** ამ კითხვაზე ნებისმიერი გულშემატკივარი სხარტ პასუხს გაგცემთ: შეუვალი მცველი, რომლის წყალობითაც სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდის დაცვა მტკიცედ იგერიებს მოწინააღმდეგეთა შეტევებს, ძლიერი ადამიანია! მაგრამ, თურმე, სინამდვილეში სულ სხვანაირად ყოფილა საქმე. 29 წლის, 189 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრალური მცველი თავად აღიარებს, რომ... მტირალაა. მას რომანტიკულ ფილმ „რვეულზე" ბევრი უქვითინია.

ვიდიჩმა თქვა: *„ვიცი, რომ ჩემი თამაშის შემყურე ბევრს უგულო, მტკიცე ნერვების მქონე, შეუვალი მებრძოლი ვგონივარ, მაგრამ ვაგლახ, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი გახლავართ. ცხოვრებაში ნებისმიერ სევდიან ამბავზე თვალი მიცრემლიანდება. იყო ასეთი ფილმი, „რვეული", რომელმაც ძალიან შემძრა. მარტო ვიჯექი სიბნელეში და ამბავმა ძლიერ ჩამითრია. კინაღამ ავქვითინდი... კინაღამ"*




გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი

# ბერლუსკონი: ჯერ სკუდეტო, მერე რონალდო

## იბრა უფრო მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე ნაპოლის ძირითადი შემადგენლობა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მორიგ სამმატჩიან დისკვალიფიკაციაზე იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან ბევრი იწერება. შეგახსენებთ, „ფიორენტინა“-“მილანის“ პაექრობაში შვედმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ არბიტრს, რისთვისაც გააძევეს მოედნიდან - მეორე დღეს, ზლატანის საქციელი სადისციპლინო კომიტეტის განსჯის საგანი გახდა და სასჯელმაც არ დააყოვნა: სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია. იბრას არავინ უკარგავს იმას, რაც გუნდისთვისაც გააკეთა და ჟურნალისტებსაც კარგად ესმით, რომ „მილანის“ ლიდერობა მისი დამსახურებაც გახლავთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაალალატა გუნდი და უპრინციპულესი პაექრობების გამოტოვება უწევს. გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ზლატანს **ადრიანო გალიანი** ესაუბრა და გონს მოსვლისკენ მოუწოდა - ამ ამბავს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი“ პრაქტიკულად ადასტურებს კიდეც:




*„იბრაჰიმოვიჩთან ნამდვილად მქონდა შეხვედრა, მაგრამ საუბარმა ნორმალურ ატმოსფეროში ჩაიარა და არავითარი დაძაბულობა ჩვენ შორის არ ყოფილა. ჟურნალისტებს უყვართ ბუზისგან სპილოს ქცევა და ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუმცა, იმას არ უარვყოფ, რომ არ მოვუწონე შვედს საქციელი და ვუთხარი, რომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საქმეს. უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია გუნდისთვის და არ შეიძლება, რომ ასეთი აბსურდული მიზეზების გამო, პრინციპული პაექრობები გამოტოვოს. დავუწესებთ თუ არა ფინანსურ ჯარიმას? - ამ საკითხზე ჯერ არ გვიმსჯელია და პასუხს ვერ გაგცემთ. არ არის გამორიცხული, რომ დავაჯარიმოთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს სერიოზული სასჯელი იყოს ფეხბურთელისთვის. თუ ადამიანმა არ გაიაზრა მომხდარი და გააცნობიერა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, ვერანაირი ჯარიმა მას ვერ გამოასწორებს. იბრას კარგად ვიცნობ, მჯერა, რომ ასეთ შეცდომას აღარასოდეს გაიმეორებს“.*

საინტერესო სტატია გამოაქვეყნა „კორიერე დელო სპორტმა“, რომელშიც ზლატან იბრაჰიმოვიჩის წლიურ ჯამაგირზეა საუბარი. თავად განსაჯეთ, „ნაპოლის“ ძირითადი შემადგენლობა, ანუ ის თერთმეტი ფეხბურთელი, რომლებიც სხვებზე ხშირად ხვდებიან სასტარტოში, ერთობლივად სეზონში 11 მილიონ ევროს გამოიმუშავებენ, მაშინ, როდესაც მხოლოდ იბრაჰიმოვიჩი წელიწადში 12 მილიონ ევროს იღებს. დიახ, იბრა ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა ევროპაში, მისი საქციელი კი რბილად რომ ვთქვათ უპასუხისმგებლოა და გამართლება არ აქვს. ცნობისთვის, **ედინსონ კავანი,** რომელმაც უკვე 25 გოლი გაიტანა მიმდინარე სეზონში, მხოლოდ 1.8 მილიონ ევროს იღებს - „ნაპოლის“ ძირითადი შემადგენლობის სხვა ფეხბურთელების უმეტესობა კი წლიურად 500 000-ს სჯერდება.

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „მილანის“ მესვეურები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში **კრიშტიანო რონალდოს** გადაბირებას შეეცდებიან. პორტუგალიელი შემტევი სამეფო კლუბის ლიდერია და ძნელად წარმოსადგენია, რომ ესპანელებმა მასთან განშორება მოისურვონ. თუმცა, **სილვიო ბერლუსკონი** ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამაში მისი სიტყვები დაგარწმუნებთ: *„ჯერჯერობით, მხოლოდ მიმდინარე სეზონის ფინიშზე ვართ კონცენტრირებული და გვჯერა, რომ ჩემპიონები სწორედ ჩვენ გავხდებით. „ინტერის“ და „ნაპოლის“ მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ ადგილს სწორედ ჩვენ ვიმსახურებთ. ეს უშუალო შეხვედრებშიც დამტკიცდა, მთავარი კონკურენტები სამბურთიანი უპირატესობით დავამარცხეთ. მართალია, ჯერ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდზე არ ვფიქრობთ, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთქვა - თუ სკუდეტო მოვიგეთ, კრიშტიანო რონალდოს ვიყიდით. დიახ, ამის საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს და სიტყვებს რომ ჰაერზე არ ვისვრი, ყველას კარგად მოგეხსენებათ“.*

„მილანი“ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია - ჟურნალისტები შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გაესაუბრონ. „ფიორენტინასთან“ მატჩის წინ, „როსონერის“ თავკაცმა ხაზგასმით განაცხადა, რომ თამაში გადამწყვეტი იქნებოდა სკუდეტოსთვის ბრძოლაში - გამარჯვების შემდეგ კი „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს გაესაუბრა და შემდეგი განუცხადა: *„დიახ, მართლაც უპრინციპულესი თამაში მოვიგეთ და დიდი ნაბიჯი გადავდგით სკუდეტოსკენ. ფლორენციაში უპირობო გამარჯვებას ვერავინ დაგეგმავს და შესაბამისად, აღებულ ქულებს ოქროს ფასი აქვს. მით უმეტეს, „ვიოლამ“ საკმაოდ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და სერიოზული ბრძოლის გადატანა მოგვიხდა. კმაყოფილი ვარ შეგირდების თამაშით და ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდით. იბრაჰიმოვიჩის საქციელი? - ველაპარაკე ზლატანს და მითხრა, რომ მსაჯისთვის არ შეუგინებია, თავისთვის ლაპარაკობდა. სიმართლე გითხრათ, აღარც ჩავძიებივარ ამ ამბავს, რადგან გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება. ნებისმიერ შემთხვევაში, ფეხბურთელებს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ“.*

**ლაშა ნიკლაური**

● მეკარეები

# ჰანდანოვიჩი: პრემიერლიგაში მეკარეების დეფიციტია

## ბუფონი არსად მიდის

სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ **ჯანლუიჯი ბუფონმა** შესაძლოა ზაფხულში დატოვოს „იუვენტუსი“ და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. ეს ხმები მას შემდეგ უფრო გახშირდა, რაც ჯიჯიმ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად კარში ჩამდგარმა **მარკო სტორარიმ** კიდევ ერთხელ გამოავლინა საკმაოდ მაღალი ოსტატობა. განსაკუთრებით კარგად სტორარი „რომასთან“ პაექრობაში წარმოჩნდა, რის შემდეგაც ჟურნალისტებთან საუბარში პროვოკაციული განცხადებაც კი გააკეთა. მისი თქმით, მხოლოდ ბრმას არ შეუძლია იმის დანახვა, რასაც მოედანზე აკეთებს და იქვე, იმედი გამოთქვა, რომ „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი ბრმა არ არის. „რომას“ თავკაცმა **ვინჩენცო მონტელამ** მისი გუნდის ტურინელებთან მარცხი მთლიანად მარკო სტორარის „გადააბრალა“ - რომ არა მეტოქეთა კიპერის ბრწყინვალე გარჯა, მინიმუმ ქულას ავიღებდითო. მოკლედ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს მარკო სტორარის სახით, სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯიჯი არ აპირებს ტურინიდან აბარგებას და ამის შესახებ მკაფიო განცხადებას აკეთებს:

*„ტურინში თავს იმაზე უფრო ბედნიერად ვგრძნობ, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ კარიერა სხვა გუნდში გავაგრძელო და შესაბამისად, „იუვენტუსში“ ვაპირებ დარჩენას. მით უმეტეს, კლუბთან კიდევ 2.5-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის გაწყვეტის აზრსაც ვერ ვხედავ. შემოთავაზებები ნამდვილად მაქვს, ერთ-ერთი დაინტერესებული გუნდი „მანჩესტერ სიტია“ და მოლაპარაკების დაწყებასაც მთავაზობენ, მაგრამ ჩემი სურვილის შესახებ უკვე გითხარით და პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ“.*

სატრანსფერო ჭორები „უდინეზეს“ არაერთი ფეხბურთელის შესახებაც ვრცელდება და ეს არ გახლავთ გასაკვირი, რადგან ფრიულელები მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობენ.




შესანიშნავად თამაშობს მეკარე **სამირ ჰანდანოვიჩი**, რომელიც ჯანლუიჯი ბუფონისგან განსხვავებით, სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ გუნდი გამოიცვალოს და მაგალითად, ინგლისის პრემიერლიგაში გადაბარგდეს. მოვუსმინოთ „უდინეზეს“ სლოვენიელ კიპერს: *„ინგლისის ჩემპიონატის თამაშებს ხშირად ვადევნებ თვალს და სიმართლე გითხრათ, იქაური ატმოსფერო ძალიან მომწონს. შესაბამისად, წინააღმდეგი არ ვიქნები, რომ პრემიერლიგის გუნდის ღირსება დავიცვა. მით უმეტეს, ჩემი დაკვირვებით ალბიონზე მაღალი კლასის მეკარეების დეფიციტია და ადგილის დამკვიდრება არ უნდა გამიჭირდეს. თუმცა, ჯერ მიმდინარე სეზონის დასრულებაზე ვარ კონცენტრირებული და სატრანსფერო საკითხებზე, უფრო კონკრეტულად ივნისის თვეში ვისაუბროთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერვიუ. არიენ რობენი



არიენ რობენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი ვერ გააქვს

# სამხრეთ აფრიკა განსაკუთრებული იყო

**“ბაიერნის” ნახევარმცველი არიენ რობენი ორიოდე დღის წინ ფიფას ოფიციალური საიტის დამთვალიერებლებთან ერთად დაჯდა ვებსივრცეში და მათ შეკითხვებს გულწრფელად უპასუხა. ბუნებრივი იყო, რომ შეკითხვები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ თემატიკას შეეხო. უმთავრესად ხალხი მაინც ორი საკითხით ინტერესდებოდა – ფეხბურთით და პირადი ცხოვრებით. საიტის ადმინისტრაციამ მთელი ეს კონფერენცია შეაჯამა და მკითხველს ის ინტერვიუს სახით შესთავაზა. ინტერვიუში ფეხბურთელი იხსენებს კარიერის საუკეთესო მომენტებს და მოკლედ ლაპარაკობს ოჯახურ ცხოვრებაზე. მაშ ასე, თქვენ წინაშეა არიენ რობენი...**

**- რომელი გრძნობა უფრო ძლიერი იყო 2010 წლის ჩემპიონატის ფინალში დამარცხების შემდეგ, გულის დაწყვეტა, რომ გადამწყვეტი მატჩი წააგეთ, თუ სიამაყე, რომ ფინალში გასვლა შეძელით?**

- რაღაც საშუალო. როცა ვიხსენებ, რომ ჩემი ნაკრები ფინალში გავიდა, ვამაყობ, რადგან მიმაჩნია, რომ დიდი მიღწევაა. თუმცა როცა საბოლოო ნაბიჯამდე ასე ცოტა გაკლდება, საშინელებაა შინ ხელცარიელი გამგზავრება.

**- რას ნიშნავს თქვენისთანა გამოცდილი ფეხბურთელისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი? განსხვავებულ გრძნობებს განიცდით იმის გამო, რომ თქვენი სამშობლო გიყურებთ?**

- რა თქმა უნდა! შენი ქვეყნის სახელის დაცვა უზარმაზარი პატივია და არა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ან რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე. მსოფლიოს პირველობას კი მთელი პლანეტა უყურებს. შარშან ჩვენ მთელი ჰოლანდია ჭკუაზე გადავიყვანეთ. ყველას აინტერესებდა ჩვენი შედეგები. ასეთ ამბებში მონაწილეობა ჯადოსნური იყო.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის წინ “ბაიერნის” რიგებში ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეთ. როგორ მოახერხეთ ამ რამდენიმე თვის გადატანა? თანაც, თქვენ ხომ ტრავმით თამაშობდით?**

- ფეხბურთელს გონებაში ყოველთვის რჩება ბოლო მატჩი. “ბაიერნისთვის” ეს იყო ლიგის ფინალი, ნაკრებისთვის - მსოფლიოს ჩემპიონატის. და მაინც, წინა სეზონს როცა ვიხსენებ, ყველაფერი დაუჯერებლად მაგარი იყო. უბრალოდ ორივე ფინალი რომ მომეგო, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა. ბედნიერება იმით, რომ ჩვენ იქამდე მივაღწიეთ, აჭარბებს ფინალების წაგების წუხილს. ამ შეხვედრებს არასოდეს დავივიწყებ.

**- თქვენ უნივერსალური მოთამაშე ხართ. მაინც რომელ პოზიციაზე გრძნობთ თავს ყველაზე კომფორტულად?**

- სწორედ იქ, რომელზეც ახლა ვთამაშობ - მარჯვენა ფლანგზე. ფეხბურთელებს ხანდახან მაინც უხდებათ “არასამუშაო” ფეხით გარჯა, მაგალითად, ასე ვიყავი “ჩელსიში”. “რეალში” უფრო მეტად სწორედ მარჯვნივ ვთამაშობდი. რახან ცაცია ვარ, ამიტომ ადვილად გამომდის ცენტრისკენ გადანაცვლება და იქ თამაში.

**- შეიძლება თქვენი იოჰან კრუიფთან შედარება?**

- არა მგონია. კრუიფი ჰოლანდიაში ლეგენდაა. ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და ამის წყალობით დღემდე ყველგან ცნობენ, სადაც უნდა გაემგზავროს. არ არის საჭირო ჩემი მასთან შედარება. ის განსაკუთრებული იყო...

**- ბავშვობაში ვინ იყო თქვენი საყვარელი ფეხბურთელი?**

- რომარიო. ის მაშინ “ეინდჰოვენში” თამაშობდა.

**- ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფეხბურთელებიდან ვინ ტოვებს თქვენზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას?**

- ძნელი სათქმელია. ჩემს თაობაში არის რამდენიმე ფეხბურთელი, რომლითაც ჰოლანდიას შეუძლია იამაყოს, მაგრამ ისინი უკვე 26-27 წლისები არიან. თუკი საქმე უფრო ახალგაზრდებზე მიდგება, მაშინ “აიაქსის” მარჯვენა მცველი გრეგორი ვან დერ ვილი.

**- რა არის იმ ჩემპიონატების მთავარი განსხვავება, სადაც გითამაშიათ?**

- ყველა ჩემპიონატში არის თავისებური კულტურა, ინდივიდუალური ნიშნები. ზოგადად კი ფეხბურთი ყველგან განსხვავებულია. ინგლისში ძირითადად ფიზიკურ ძალას ექცევა ყურადღება, ესპანეთში - ტექნიკურ მონაცემებს, რადგან ამ ქვეყანაში ყველას ლამაზად უნდა ფეხბურთის თამაში. გერმანიაში საფეხბურთო სტანდარტები ასევე ძალიან მაღალია. “ფიზიკაში” ყველას ყველაფერი წესრიგში აქვს, ამასთან, წარმოუდგენლად დისციპლინებულნი და კარგად ორგანიზებულნი არიან.

**- კარიერის საუკეთესო წლები სად გაატარეთ?**

- სასიამოვნოდ მახსენდება ყველა კლუბი, სადაც მითამაშია. შეუძლებელია რომელიმე მათგანი გამოვყო. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან გექნება კარგი და ცუდი პერიოდი. მშვენიერი სეზონები გავატარე “ჩელსისა” და “რეალში”, ახლა კი “ბაიერნში” თამაშიც მსიამოვნებს.

**- დაასახელეთ საუკეთესო მცველი, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ.**

- კონკრეტულად ერთს ვერ გამოვყოფ. ჩემი მეტოქეები ჩემგან ყოველთვის მონდომებით იცავდნენ თავს, თუმცა ყველა მათგანს აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი წერტილი, რომელსაც მე ვიყენებ ხოლმე.

**- კარიერის საუკეთესო გოლს თუ გაიხსენებთ?**

- სამწუხაროდ, ვერც ამ შეკითხვაზე გავცემ კონკრეტულ პასუხს. საუკეთესო გოლები ისინია, რომელიც გუნდისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მაგალითად, “ბაიერნისთვის” შარშან “ფიორენტინასთან” და “მანჩესტერ იუნაიტედთან” მნიშვნელოვანი ბურთები შევაგდე, ასევე თასზე “შალკეს” წინააღმდეგ. ეს გოლები გადამწყვეტი გამოდგა ჩემი გუნდისთვის.

**- როგორ ახერხებთ ბალანსის დაცვას სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის?**

- ჩემთვის ოჯახს განსაკუთრებული როლი აქვს ცხოვრებაში. კარიერის განმავლობაში რამდენჯერმე მომიხდა ერთი ქალაქიდან მეორეში საცხოვრებლად გადასვლა, ოჯახი ყოველთვის თან მომყვებოდა, რაც რთულია. მაშინ, როცა სახლის კარებს ზურგს უკან ვხურავ, ფეხბურთი და სამუშაო მავიწყდება. შინ მე ფეხბურთელი არიენ რობენი არ ვარ, მაშინ მე ქმარი და მამა არიენი ვხდები. მათზე მნიშვნელოვანი ჩემთვის არავინ არსებობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები



### ტრეზეგე მარსელში გადავა

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას ესპანური "ერკულესიდან" 33 წლის **დავიდ ტრეზეგეს** გადაბირებას შეეცდება. თუ ეს მოხდება, ვეტერანი თავდამსხმელისთვის ეს იქნება მხოლოდ მეორე კლუბი შინაურ პირველობაზე. შეგახსენებთ, რომ ლიგა 1-ის ერთადერთი კლუბი, რომლის ღირსება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფეხბურთელს დაუცავს, "მონაკოა", სადაც 1995-დან 2000 წლამდე ასპარეზობდა. ტრეზეგემ მონაგასკელთა რიგებში 5 წელიწადში 93 მატჩში 52 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც 10 წელი "იუვენტუსს" მიუძღვნა (245 მატჩი, 138 გოლი). მიმდინარე სეზონში კი პრიმერას აუტსაიდერ კლუბში თამაშის მიუხედავად, მის ანგარიშზე 20 მატჩში 10 გოლია.

### პსჟ-ს აუქციონზე გაიტანენ

ამერიკული საინვესტიციო ფონდი "კოლონი კეპიტალი" "პარი სენ-ჟერმენის" აქციათა 95,8%-ს ფლობს. საფრანგეთის დედაქალაქში ამერიკელები 2006 წელს გამოჩნდნენ და მას შემდეგ კლუბში 100 მილიონ ევრომდე ჩადეს, თუმცა თავადაც იცით, რომ ამ პერიოდში პსჟ-ს რაიმე ხელშესახებ წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მეტიც დრო და დრო ის ცხრილში აუტსაიდერთა შორისაც კი ჩნდებოდა. გაზეთ "პარიზიენის" ინფორმაციით, ხსენებული ფონდის ევროპული განყოფილების დირექტორმა **სებასტიან ბაზენმა** უკვე მიმართა საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ კლუბის სარფიანად გაყიდვაში ხელი შეუწყონ.

### უკრაინამ შეხვედრის თარილი დათქვა

უკრაინის ნაკრები გამალებით ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის და საამისოდ ფეხბურთის ფედერაციაც მაქსიმალურად მობილიზებულია. ის ფაქტი, რომ უკრაინელები ესტონელებთან თამაშს აპირებდნენ, ჯერ კიდევ მარტის მიწურულს იყო ცნობილი, თუმცა თარილი გარკვეული ჯერ არ იყო. გუშინ ფიფას საიტზე უკვე გადაწყვეტილად დაიწერა, რომ ეს ნაკრებები ერთმანეთს 11 ოქტომბერს ტალინის "ა ლე კოკ არენაზე" შეხვდებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტურის მიმოხილვა

# შემდეგი გაჩერება ელ კლასიკო

## ზედმეტი ბურთები: მოედანზე და ვილიარეალის კარში

ესპანეთის ჩემპიონატის სრულ მიმოხილვას, ტრადიციულად, ორშაბათის მატჩით დავიწყებთ, რომლითაც არაგონელებმა ოდნავ გამოიკეთეს მდგომარეობა, „ხეტაფეს" 2:1 მოუგეს და გავარდნის ზონას ზუსტად 3 ქულით დაშორდნენ. ყველა გოლი პირველ ტაიმში გავიდა, თავიდან „სარაგოსას" 29 წლის არგენტინელმა ნახევარმცველმა **ლეონარდო პონსიომ** წამოიღო ბურთი ცენტრიდან და შორიდან დაარტყა, ეპიზოდს მეკარე **უსტარის** შეცდომაც დაერთო და ანგარიში გაიხსნა. „ხეტაფემ" შეუტია და... კონტრშეტევა გაეპარა, **ბუტაჰარმა ბერტოლო** მოძებნა - 2:0. ტაიმის მიწურულს კაპიტანმა **კასკერომ** მეტოქის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ერთი ბურთი გაქვითა. მეორე ტაიმში **მიჩელის** გუნდმა ერთხელ „უჩხვლიტა" მწარედ მასპინძლებს, შემდეგ კი უპირატესობა „სარაგოსასი" იყო და **ხავიერ აგირეს** გუნდმაც დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბოლო წუთებზე, როცა თამაში მიმდინარეობდა, „სარაგოსას" სათადარიგოთა სკამიდან ვილაცამ მეორე ბურთი შეაგდო, მეორეს კიდევ ერთი მოჰყვა... რამაც სტუმართა ბანაკში აღშფოთება გამოიწვია. მატჩის შემდეგ ხავიერ აგირეს ბოდიშის მოხდამაც მოუწია ამის გამო.

„სარაგოსას" შეტევები დიდად ტრიოს, პონსიო-**გაბი-ანდერის** შემოქმედებაზეა დამოკიდებული. ძალიან კარგად შეეწყო პრიმერას 22 წლის მარცხენა მცველი **ივან ობრადოვიჩი**, სერბი დღითი დღე „იზრდება".

**ხავიერ აგირე** (სარაგოსა): *„წინასწარ ზეიმი არ შეიძლება, რომელ შემობრუნებაზე ლაპარაკი, როცა ჩვენ ისევ მე-17 ადგილზე ვართ, როგორც ერთი კვირის წინ... როგორც სამი თვის წინ. კალენდარიც რთული გვაქვს, მომავალ ორშაბათს ისეთ გუნდს ვხვდებით, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის".*

### ლეო VS რონალდო... დუელი 31

როგორც იქნა, „დუელი" ისევ ვიხილეთ, ორივემ ითამაშა (**მესიმ** 90 წუთი, **რონალდო** მეორე ტაიმში შევიდა), ორივემ გაიტანა. ვინ, როგორ ითამაშა?

მესი: „ალმერიასთან" ოთხმატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა, თანაც დუბლი შეასრულა. არგენტინელმა ჯერ **ვილიას** მოპოვებული პენალტი გამოიყენა, შემდეგ კუთხურიდან **ტიაგო ალკანტარას** დაასვა ბურთი თავზე, ბოლოს კი მეტოქის მცველის შეცდომით ისარგებლა და **დიეგო ალვეში** ხახამშრალი დატოვა. 2 გოლი და საგოლე პასი.

რონალდო: 61-ე წუთზე გამოჩნდა და 9 წუთში გოლი გაიტანა - მან გრანეროსგან შორეული პასი მიიღო, **სან ხოსეს** თავბრუ დაახვია და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

| - | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლები | 2 | 1 |
| დარტყმა | 4 (2) | 2 (1) |
| საგოლე პასი | 1 | 0 |
| დაკარგვა | 15 | 6 |
| მოპოვება | 1 | 3 |
| goal.com | 7,5 | 6,5 |

შემდეგი შეხვედრა ელ კლასიკო!

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| ასაკი | 23 | 26 |
| სიმაღლე | 170 | 185 |
| წონა | 65 | 75 |
| კასტროლის რეით. | 1 | 2 |
| ქულები | 1239 | 986 |
| რეალის (ბარსას) წინ. | 9 | 6 |
| გოლები | 7 | 0 |
| პასები | 5 | 0 |
| მოგება | 6 | 1 |
| წაგება | 2 | 4 |
| გაფრთხილება | 3 | 3 |

### პირველი... გოლი სეზონში

„ბარსელონას" შემტევმა ნახევარმცველმა ამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა პრიმერადივიზიონში და ეს მან ერთი დღით ადრე მოახერხა, ვიდრე 20 წლის გახდებოდა. ტიაგოზე უკვე ბევრი დაწერილა: ის მსოფლიოს ჩემპიონ **მაზინიოს** ვაჟია, თუმცა ესპანეთისა და იტალიის (დედით იტალიელია და იტალიაშია დაბადებული) მოქალაქეა, თამაშობს ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2008/09 წლების სეზონში მან პირველად მოირგო „ბარსას" ფორმა, მაისში „მალიორკასთან" მატჩის ბოლო წუთებზე **ეიდურ გუდიონსენი** შეცვალა. შემდეგ სეზონშიც მხოლოდ ერთხელ ითამაშა ტიაგომ, მაგრამ სწორედ იმ შეხვედრაში გაიტანა პირველი გოლი ესპანეთის ჩემპიონატში. ამ სეზონში მან უკვე 8 თამაში ითამაშა.

#### ტურის სიმბოლური ნაკრები

(Goal.com. 3-4-3)

**მეკარე**

**ხუან კალატაიუდი** (ერკულესი): რომ არა ის, სტუმარი „ესპანიოლი" აუცილებლად შეძლებდა უამრავი მომენტიდან ერთის გამოყენებას მაინც.

**მცველები**

**რაულ ალბიოლი** (რეალი): **ფერნანდო ლორენტეს** აჯობა.

**ლორა** (სპორტინგი): „ოსასუნას" ფორვარდები „სპორტინგის" საჯარიმოს არ გააკარა.

**ფილიპე ლუიში** (ატლეტიკო): გაიტანა სუპერგოლი, აიკლო მარცხენა ფლანგი.

**ნახევარმცველები**

**ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა): გაიტანა გადამწყვეტი გოლი, ძალზე სწრაფად მკვიდრდება გუნდში.

**კაკა** (რეალი): მართალია, ორივე გოლი პენალტით გაიტანა, თუმცა ხანდახან ის სწორედ ძველ კაკას გვაგონებდა.

**ჯონათან დე გუზმანი** (მალიორკა): შუახაზი დაიპყრო, გაიტანა ბრწყინვალე გოლი „სევილიას" კარში.

**ანხელ დი მარია** (რეალი): ბასკეთში შეუდარებელი იყო.

**თავდამსხმელები**

**ხუან მატა** (ვალენსია): „ვილიარეალის" კარში დუბლი შეასრულა, მოედანზე საუკეთესო იყო. ტურის გმირი.

**რობერტო სოლდადო** (ვალენსია): 2 თამაშში 6 გოლი! აი, შედეგიანობაც ამას ჰქვია.

**ლეო მესი** (ბარსელონა): 2 გოლი და საგოლე პასი. მერე რა, რომ „ალმერიაა"...




### ტურის ფრაზები

*„მეტოქის ყველა ფეხბურთელს ბოდიშს ვუხდი. აუცილებლად გავარკვევ ვინ ისროლა ბურთი ჩვენი სათადარიგოთა სკამიდან და დავსჯი. მართალია, ფეხბურთი კეთილშობილ ქალთა პანსიონატი არ არის, მაგრამ სამართლიანი თამაშის პრინციპი უნდა შევინარჩუნოთ"*, - **ხავიერ აგირე** „ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე.

*„მადლობა ღმერთს, ამ საშინელი კუნძულიდან ქულა მაინც მიგვაქვს შინ"*, - **გრეგორიო მანსანო** „მალიორკასთან" 2:2-ის შემდეგ.

*„ეჭვიც არ შეგეპაროთ, „ბერნაბეუზე" მოსაგებად მივდივართ"*, - **ხოსეპ გვარდიოლა** „ალმერიასთან" მატჩის შემდეგ.

*„ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ არის რაღაც, რაც ვერ ამიხსნია, რაც „რეალმა" უკეთ შეძლო"* - „ბილბაოს" ფეხბურთელი **პაბლო ორბაისი**.

*„ძალიან გამიჭირდა ფორლანის სათადარიგოთა სკამზე დატოვება, მაგრამ ეს საჭირო იყო"*, - **კიკე ფლორესი** „რეალ სოსიედადთან" მატჩის შემდეგ.

*„ბიჭებმა სადღაც დაკარგეს თავიანთი ნაქები მებრძოლი ხასიათი. კიდევ კარგი, არ წავაგეთ"*, - მარსელინო „ლევანტესთან" 1:1-ის შემდეგ.

*„ფანებს სწორედ ასეთი თამაშები სჭირდებათ"* - **უნაი ემერი** ვალენსიურ დერბიში 5:0 გამარჯვების შემდეგ.

### ტურის მსხვერპლნი

„რასინგის" ფორვარდმა **ივან ბოლადომ** სწორედ ის მარცხენა მუხლი დაიზიანა, რომელზეც ახლახან ოპერაცია გადაიტანა.

**ხოსე მანუელ პინტოს** გმირობა ძვირი დაუჯდა, მან ტრავმირებული კოჭით ითამაშა „ალმერიასთან" მატჩში და დაზიანება კიდევ უფრო გაიმიზეზა.

**როისტონ დრენტე** „ესპანიოლთან" მატჩში მიღებული დაზიანების მეორე დღეს ჩვეულებრივად გამოცხადდა ვარჯიშზე, თუმცა მოედანზე გასვლა ველარ შეძლო.

**ბოიან კრკიჩი** „ალმერიასთან" ისე დაშავდა, რომ სეზონი ნაადრევად დაასრულა.

#### ტურის სტატისტიკა

25 გოლი, 2,5 გოლი მატჩში

**მასპინძლებმა მოიგეს 5 შეხვედრა, 4 ფრედ დასრულდა, 1 კი სტუმრებმა მოიგეს.**

53 ყვითელი ბარათი და 1 გაძევება

#### ყველაზე, ყველაზე...

**მეტი დარტყმა კარისკენ:** 20 - ატლეტიკო

**დარტყმა (ზუსტი):** 11 - ატლეტიკო

**მეტი ჯარიმა:** 23 - სარაგოსა

**მეტი კუთხური:** 13 - ვალენსია

**მეტი თამაშგარე:** 9 - სარაგოსა

**მეტი ბურთის ფლობის პროცენტი:** 73% - ბარსელონა

**მეტი მაყურებელი:** 80 452 - კამპ ნოუ

**ცოტა მაყურებელი:** 15 000 - ონოესტადი

| TOP-10 დონ ბალონის მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 211 (28) | 7,54 |
| 2. რონალდო | რეალი | 200 (28) | 7,14 |
| 3. როსი | ვილიარ. | 205 (29) | 7,07 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 217 (31) | 7,00 |
| 5. ბ. ვალერო | ვილიარ. | 201 (29) | 6,93 |
| 6. კასორლა | ვილიარ. | 207 (30) | 6,90 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 212 (31) | 6,84 |
| 8. რეიესი | ატლეტიკო | 190 (28) | 6,79 |
| 9. დ. ალვეში | ბარსელონა | 189 (28) | 6,75 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 174 (26) | 6,69 |

### გეპატიჟებით ყველას!

შაბათს, საქართველოს დროით შუაღამე რომ დადგება, „სანტიაგო ბერნაბეუზე" სეზონის მეორე „ელ კლასიკო" დაიწყება. დაე, თქვან, რომ ლა ლიგაში ყველაფერი გადაწყვეტილია, ჩვენ კი მაინც გვჯერა, რომ დიდი მატჩი გველის...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტურის საუკეთესო ფეხბურთელს, ხუან მატას ვილიარეალის კარში მორიგი გოლი გააქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი



თომას კრაფტი ბაიერნის პრეზიდენტს შემოსწყრა, ლევერკუზენთან მას სავარაუდოდ ისევ სკამზე დასვამენ

# კრაფტმა ჰიონესს შეუტია

## იონკერის ამოცანა გასაგებია: დარჩენილ ხუთ ტურში ჰანოვერზე მეტი ქულა

მაშ ასე: **ლუის ვან გაალი** „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის, რეკორდმაისტერს სეზონის დარჩენილ 5 შეხვედრაში მისი ასისტენტი **ანდრეას იონკერი** მიხედავს, ზაფხულიდან კი გუნდს სათავეში **იუპ ჰაინკესი** ჩაუდგება. მანამდე ჯერ კიდევ დიდი დრო და „ბაიერნისთვის" ხუთი უმნიშვნელოვანესი თამაშია. 29 ტურის შემდეგ „ბაიერნი" მეოთხე ადგილზეა და 48 წლის ჰოლანდიელი იონკერის ამოცანა ცხადზე უცხადესია: მან გუნდი მესამე ადგილზე უნდა გაიყვანოს, რათა „ბაიერნი" საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დარჩეს.

*„როცა გადაწყდა, რომ ვან გაალი წავიდოდა და დროებითი მწვრთნელის პოსტი შემომთავაზეს, ჯერ ლუისს ვკითხე, ხომ არ გეწყინება, რომ დავთანხმდე-მეთქი და მხოლოდ მისი დასტურის შემდეგ ვუთხარი „ბაიერნის" ხელმძღვანელებს, რომ თანახმა ვიყავი, გუნდი ჩამებარებინა,* - ასე დაიწყო რეკორდმაისტერის დროებითმა თავკაცმა პრესკონფერენცია, მერე კი მიზნებზე ისაუბრა - *ცხადია, ჩვენი ამოცანა მესამე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. დარჩენილი მატჩებიდან „ჰანოვერზე" მეტი ქულა უნდა ავიღოთ."*

იონკერის აზრით, მისმა მენტორმა ვან გაალმა „ბაიერნში" ძალიან კარგად იმუშავა და მისთვის გამოცანაა, რატომ მოუხდა დროზე ადრე წასვლა. ლუისისგან განსხვავებით, იონკერი მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებთან ხშირად ილაპარაკებს და მათ რჩევებს აუცილებლად გაითვალისწინებს. ცხადია, რომ მას ასეთი პირობები თვითონ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** წამოუყენეს.

რეკორდმაისტერს კვირას ურთულესი თამაში ელის მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან", რომლის მოგებაც „ბაიერნისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით უცნობია, დატოვებს თუ არა იონკერი პირველ ნომრად ახალგაზრდა **თომას კრაფტს** - გამორიცხული არაა, რომ ჰიონესმა და რუმენიგემ მას კარში **ჰანს-იორგ ბუტის** დაბრუნება უბრძანონ.

რაკი კრაფტი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბაიერნში" ახალი სკანდალია მოსალოდნელი. როგორც იცით, ვან გაალის გათავისუფლების შემდეგ, ჰიონესმა თქვა, ჩვენთან მონასტერი მას მერე აირია, რაც ლუისმა კარში კრაფტი ჩააყენაო. თომასი ბოლო დროს ბევრ შეცდომას უშვებს და „ნიურნბერგთანაც" (1:1) საბედისწეროდ შეცდა, რაზეც ჰიონესმა თქვა, ამის ყურება დიდხანს არ შეიძლებაო. ახალგაზრდა მეკარემ ულის პასუხი „ფრანკფურტ ალგემაინე ცაიტუნგისთვის" მიცემული ინტერვიუდან გასცა.

*„პრეზიდენტი გუნდის მეკარეზე ასეთ რამეს არ უნდა ამბობდეს. ვაღიარებ, რომ „ნიურნბერგმა" გოლი ჩემი შეცდომის მერე გაგვიტანა, მაგრამ იმ შეხვედრის ვერმოგებაში მხოლოდ ჩემი დადანაშაულება დიდი შეცდომაა,"* - ამბობს კრაფტი.

სწორედ ამიტომ ვარაუდობენ ჩვენი გერმანელი კოლეგები, რომ „ლევერკუზენთან" „ბაიერნის" კარს ისევ ბუტი დაიცავს...

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

CHAMPIONS LEAGUE

# ნახევარფინალის კარი ღიაა: შალკე უნდა შევიდეს!

## სამუელ ეტოო: ოცნების უფლება ხომ გვაქვს? კი ბატონო, იოცნებეთ...

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**შალკე (გერმანია) VS ინტერი (იტალია)**

13 აპრილი. გელზენკირხენი. აუფ შალკე. 22:45

**პირველი მატჩი 5:2**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-1-3-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, შარპეი - პაპადოპულოსი - დრაქსლერი, ბაუმიოჰანი, ხურადო - რაული, ედუ.

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, რანოკია, ნაგატომო - ხ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი - სნეიდერი - ეტო'ო, მილიტო.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)



მანუელ ნოიერი და ჰანს შარპეი - გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში პირველად გადიან

„შალკე" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში - ამას ვინ იფიქრებდა? უარესი სენსაციებიც გვახსოვს, მაგრამ გელზენკირხენული კლუბი ბუნდესლიგაში მთელი სეზონის განმავლობაში იმდენად ცუდად გამოიყურებოდა, მართლა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ **ლევან ყენიას** გუნდი ევროპის 4 საუკეთესო კლუბს შორის მოხვედრასთან ასე ახლოს იქნებოდა. მას მერე, რაც „შალკემ" ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული მილანის „ინტერი" სტუმრად 5:2 გაანადგურა, ალბათ არ დარჩა ფეხბურთის მოყვარული, ვინც 2002 წელთან პარალელები არ გაავლო. მაშინ „ლევერკუზენი" სულაც ფინალში გავიდა, სადაც „რეალთან" 1:2 დამარცხდა. გეხსომებათ, **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ გაწვრთნილმა „ფარმაცევტებმა" ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" ბარიერი გადალახეს, რაც უდიდესი სენსაცია იყო, მანამდე კი, მეოთხედფინალში, „ლივერპული" დაიფრინეს...

პარალელების გავლება ნამდვილად შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ „ლევერკუზენს" გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავდა, ვიდრე დღეს „შალკეს" ჰყავს. თვითონ განსაჯეთ: ტოპმიოლერის შეგირდები **ჰანს-იორგ ბუტი, ლუსიო, დიეგო პლასენტე, კარსტენ რამელოვი, ბერნდ შნაიდერი, მიხაელ ბალაკი, ილდირაი ბაშთურქი, ოლივერ ნოივილი, დიმიტარ ბერბატოვი, ზე რობერტო** და თვით **ულფ კირსტენი** იყვნენ...

დავუბრუნდეთ დღევანდელ შეხვედრას: გელზენკირხენში უდიდესი ზეიმია დაგეგმილი, რადგან „შალკე" პირველად გადის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. „ხუმარების" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** დღეს გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **ჯეფერსონ ფარფანს** ვერ გამოიყენებს - პერუელი მილანში მიღებული მეორე გაფრთხილების გამოა დისკვალიფიცირებული. „პროფესორი რალფი" მის ნაცვლად, ალბათ ახალგაზრდა **იულიან დრაქსლერს** ათამაშებს. არის ჩინელი **ხუნმინ ჰაოს** ვარიანტიც.

მიუხედავად პირველ შეხვედრაში მოპოვებული უდიდესი უპირატესობისა, რანგნიკი შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ცდილობს, თითოეულ მათგანს შთააგონოს, რომ „შალკე" ნახევარფინალში ჯერ არ გასულა. *„მერე რა, რომ პირველი თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ - საჭიროა სრული კონცენტრაცია და ასპროცენტიანი თავდადება, თორემ „ინტერი" აუცილებლად დაგვსჯის,"* - ამბობს რანგნიკი.

მილანელებს კი სასწაულის იმედი აქვთ. მართალია, „ინტერის" ფეხბურთელების უმრავლესობამ ნახევარფინალზე ხელი უკვე ჩაიქნია, მაგრამ ზოგიერთი მოთამაშე ოცნებას აგრძელებს. მაგალითად, **სამუელ ეტო'ომ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ყველას შეახსენა, რომ „ნერაძურის" ნახევარფინალზე ოცნებას მანამდე ვერ აუკრძალავენ, სანამ საპასუხო შეხვედრაში საფინალო სასტვენი არ გაისმება. არადა, „ინტერმა" „შალკეს" „ფელტინს არენაზე" მინიმუმ ოთხი გოლი უნდა გაუტანოს და თუ ერთი მაინც გაუშვა, უკვე ხუთი ექნება გასატანი. „ინტერს" დაცვის ბურჯი **ლუსიო** უბრუნდება - ფეხბურთელი, რომელიც მილანურ კლუბს პირველ შეხვედრაში აშკარად ძალიან დააკლდა. ბრაზილიელმა უკანასკნელმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და დღეს აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

იტალიის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა „ინტერმა" „კიევოსთან" 2:0 მოიგო და საფინალო სასტვენის შემდეგ, **ესტებან კამბიასომ** მეკარე **ჟულიო სეზარი** გულში ჩაიკრა, თან, საჩვენებელი და ცერა თითების კომბინაციით ნულს უჩვენებდა. ეს იმიტომ, რომ „მილანთან" 0:3-ისა და „შალკესთან" 2:5-ის შემდეგ, „ინტერმა" როგორც იქნა, კარი მშრალად შეინახა.

*„გელზენკირხენში სასეირნოდ არ მივდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს უტოპიაა, ნახევარფინალში გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ,"* - ეს სწორედ კამბიასოს სიტყვებია.

*„ერთხელ, „ბარსელონაში" თამაშისას, „ხეტაფეს" 5:1 მოვუგეთ, სტუმრად კი 0:4 დავმარცხდით და ესპანეთის თასს გამოვეთიშეთ... ჩემი აზრით, „ინტერს" გელზენკირხენში დიდი ანგარიშით მოგება ნამდვილად შეუძლია,"* - ეს კი ეტო'ოს განცხადებაა.

**მანუელ ნოიერის** კარში მინიმუმ ოთხი გოლის გატანა, დაცვა საერთოდ რომც არ არსებობდეს, ძალიან ძნელია...

# ტოტენჰემი ბედს შეურიგდა

## ჟოზესთვის მთავარი ბარსელონაა: საფრთხის ქვეშ მყოფი ფეხბურთელები სკამზე!

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ტოტენჰემი (ინგლისი) VS რეალი (ესპანეთი)**

13 აპრილი. ლონდონი. უაით ჰართ ლეინი. 22:45

**პირველი მატჩი 0:4**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ტოტენჰემი (4-4-2):** გომეში - ჩორლუკა, დოუსონი, ქაბული, ასუ-ეკოტო - ვან დერ ვაარტი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი, ბეილი - პავლიუჩენკო, დეფო.

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი - არბელოა, რაულ ალბიოლი, რ. კარვალიო, მარსელო - ლ. დიარა, ხედირა, ჩაბი ალონსო - იოზილი, კ. რონალდო - ადებაიორი.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)



„ტოტენჰემისა" და „რეალის" საპასუხო მატჩი ფაქტობრივად ფორმალობაა

თუკი „ინტერის" ფეხბურთელები ნახევარფინალზე ჯერ კიდევ ოცნებობენ და ხმამაღალ განცხადებებსაც აკეთებენ, „ტოტენჰემის" მოთამაშეებს სათქმელი არაფერი აქვთ - გარდა იმისა, რომ იბრძოლებენ და შეეცდებიან, „უაით ჰართ ლეინის" პუბლიკას გული არ დასწყვიტონ. „რეალის", თანაც **ჟოზე მოურინიოს** „რეალის" 4:0-ზე დამარცხება შეუძლებელია - ყოველ შემთხვევაში, „ტოტენჰემისთვის", თორემ, მაგალითად, „ბარსელონასთვის" რეალური იქნებოდა.

ბილბაოს „ატლეტიკთან" 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მოურინიომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და დიდია იმის შანსი, რომ „ტოტენჰემთანაც" იგივე გაიმეოროს, რადგან „სამეფო გუნდს" მომავალ უქმეებზე „ბარსელონასთან" პირველი უპრინციპულესი კლასიკო ელის. პეპე ნაღდად არ ითამაშებს, რადგან დისკვალიფიცირებულია, **კრიშტიანო რონალდოსა** და **ქარიმ ბენზემას** კი ჯერ კიდევ აწუხებთ მცირე ტრავმები და თუ ჟოზემ პირველ მატჩში გარისკა და რონალდო მაინც ათამაშა, ახლა ასეთ რისკზე წასვლა საჭირო აღარაა. სასტარტო შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს კი, გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, ნახევარფინალის პირველი მატჩისთვის დისკვალიფიკაციები ემუქრებათ და ფაქტია, რომ მოურინიოს ისინი „ბარსელონასთან" პირველ მატჩში უფრო სჭირდება, ვიდრე დღეს.

რაც ყველაზე მთავარია, ეჭვი არავის ეპარება, რომ „რეალი" ნახევარფინალში გავა, რის გამოც, აგერ უკვე რამდენიმე დღეა, ესპანური გაზეთები „ბარსასა" და „რეალის" ოთხ მოსალოდნელ დუელზე წერენ - ოთხი „კლასიკო" ორ კვირაში, ფეხბურთის გულშემატკივარმა ამაზე უკეთესი რა უნდა ინატროს.

ლონდონელები კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, დღევანდელ მატჩს პრაგმატულად უყურებენ და უკვე შეისისხლხორცეს, რომ ნახევარფინალში ვერ გადიან. მეტიც, „ტოტენჰემი" იმასაც ეგუება, რომ ზაფხულში **გარეთ ბეილი** გუნდიდან წავა. ლონდონელთა ერთადერთი მიზანი ახლა ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშების საგზურის მოპოვებაა. ამ უქმეებზე „ტოტენჰემმა" „სტოკი" 3:2 დაამარცხა და ამ შეხვედრაში **პიტერ კრაუჩმა** დუბლი შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი „რეალთან" პირველ შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს და დღეს დისკვალიფიცირებულია.

**ვილიამ გალასს** ტრავმა აწუხებს და დიდი შანსია, რომ ის დაცვის ცენტრში **ქაბულმა** შეცვალოს. თუ **ლენონმა** გამოჯანმრთელება მოასწრო, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშებს, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** კი ერთადერთი ცენტრფორვარდის უკან იმოქმედებს, ხოლო **დეფო** ან **პავლიუჩენკო** სასტარტოს მიღმა დარჩებიან.

**სერხიო რამოსს** და **ანხელ დი მარიას** თითო გაფრთხილება აქვთ, რის გამოც მოურინიო მათ დღეს ალბათ აღარ ათამაშებს. მათი ალტერნატივები **არბელოა** და **ლასანა დიარა** არიან. დისკვალიფიკაცია **კარვალიოსა** და **ალბიოლსაც** ემუქრებათ და ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, **გარაიმ** შეცვალოს. ჩვენი ესპანელი კოლეგების აზრით, მოურინიო ტაქტიკას შეცვლის და გუნდს 4-3-2-1-ით ათამაშებს, სადაც ერთადერთი ცენტრფორვარდი **ადებაიორი** იქნება, რომელსაც რონალდო და **იოზილი** მიეხმარებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათის მატჩები

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი (ინგლისი) | 2:1 | ჩელსი (ინგლისი) |

12 აპრილი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 75 000 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:0

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ნანი (75. ვალენსია), ქერიკი, გიგზი, პარკი - რუნი, ხ. ერნანდესი.

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, ალექსი (82. ფერეირა), ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი - ანელკა (61. კალუ), ტორესი (46. დროგბა), მალუდა.

**გოლები:** 1:0 ხ. ერნანდესი (43), 1:1 დროგბა (77), 2:1 პარკი (77)
**გაძევება:** რამირესი (70)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მანჩესტერი
პირველი კუთხური: მანჩესტერი
პირველი ჯარიმა: ჩელსი
პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი

| | | |
|---|---|---|
| 10 (6) | დარტყმა | 17 (5) |
| 13 | ჯარიმა | 17 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)


მანჩესტერელები გოლს ზეიმობენ

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| შახტარი (უკრაინა) | 0:1 | ბარსელონა (ესპანეთი) |

12 აპრილი. დონეცკი. დონბას არენა. 46 500 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:5

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - კობინი, იშჩენკო, რაკიცკი, შევჩუკი - ჰიუბშმანი (75. ფერნანდინიო), მხითარიანი - დუგლას კოსტა (58. ედუარდო), ჟადსონი, ვილიანი - ლუიზ ადრიანო (66. მორენო).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ბუსკეტსი, პიკე (70. გ. მილიტო), ადრიანო - ჩავი (66. პედრო), მასკერანო, კეიტა - აფელაი, მესი, ვილია (75. ჟეფრენი).

**გოლი:** 0:1 მესი (43)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა
პირველი კუთხური: შახტარი
პირველი ჯარიმა: შახტარი
პირველი გაფრთხილება: შახტარი

| | | |
|---|---|---|
| 12 (5) | დარტყმა | 15 (6) |
| 22 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 38% | ბურთის ფლობა | 62% |

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

# 77-ე წუთი: როცა ინტრიგა დაიბადა და მოკვდა

## რა ბედი ელის კარლეტოს?

რა უნდა მოხდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასულ „მანჩესტერ იუნაიტედს" „შალკე" არ დაუპირისპირდეს? ან „ბარსელონას" - „რეალი"? რა თქმა უნდა, დიდი სასწაული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსრულებელი მეოთხედფინალური ეტაპის კულმინაცია წუხელ „ოლდ ტრეფორდზე" 77-ე წუთზე დადგა.

სწორედ ამ წუთს ალვწერთ დაწვრილებით: **რამირესის** გაძევების გამო 10 კაცის ამარა დარჩენილი „ჩელსი" შეტევაზე გადავიდა, **ესიენმა** პასით უსარგებლო **ტორესის** ნაცვლად მოედანზე გამოსული **დროგბა** მოძებნა, **ვიდიჩი** შეეცადა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა შეექმნა და შეცდა, კოტდიუვარელმა ოსტატურად ჩამოილო მხრით ბურთი და დიდებულად მოთამაშე **ვან დერ სარს** გაუტანა. ანგარიში 1:1 გახდა და გაჩნდა, თითქოსდა, მინავლებული ინტრიგა. ახლა **კარლო ანჩელოტის** გუნდს ერთი გოლი ნახევარფინალში გაიყვანდა. „მანჩესტერმა" თამაში ცენტრიდან დაიწყო, რუნიმ მარჯვენა ფლანგიდან **გიგზი** მოძებნა, კიდევ ერთმა დიდებულად მოთამაშე ვეტერანმა კი თავის მხრივ საჯარიმოს მარცხენა კუთხეში შევარდნილი **პარკი** დაინახა და კორეელსაც ფეხი არ აკანკალებია - 2:1 - ი-სუნ პარკის გოლმა „იუნაიტედი" ნახევარფინალში გაიყვანა. ფაქტი, რომელიც საპასუხო მატჩის განმავლობაში თითქმის არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ ამ 77-ე წუთს არ ჩავთვლით, უფრო ზუსტად, მის პირველ წამებს.

„მანჩესტერმა" პირველ ტაიმში გოლი თავიდანვე გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა მექსიკელი **ხავიერ ერნანდესი** თამაშგარე მდგომარეობაში ჩათვალა. ჩიჩარიტომ მაინც გაიტანა, 43-ე წუთზე შეტევის მარჯვენა ფრთაზე გიგზმა და **ო'შიმ** კარგი კომბინაცია გაითამაშეს, უელსელმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც დასწრებაზე ერნანდესმა იყოჩაღა. როცა 70-ე წუთზე რამირესი უხეშობისთვის მეორედ გააფრთხილეს, **რომან აბრამოვიჩი** მიხვდა, რომ მის ოცნებას ლიგის მოგებაზე არც ამ სეზონში მოუწევდა ახდენა და ცერად გახედა სათადარიგოთა სკამთან მდგომ კარლო ანჩელოტის. შემდეგ იყო 77-ე წუთი და ყველაფერი დამთავრდა...

მეორე თამაშზე რა ვთქვათ - „დონბას არენა" ძალიან კარგი სტადიონია, „შახტარი" ურიგო გუნდი არაა, გუშინ **ლუჩესკუს** ბიჭებმა „ბარსას" 6-ჯერ დაურტყეს კარში ზუსტად და... ორი მატჩის ჯამში 1:6 წააგეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ კატალონიელებს **ლეო მესი** ჰყავთ, მაგრამ ამიტომაც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ბარსამ შახტარს დონეცკშიც მოუგო

● დორტმუნდის ბორუსია



იურგენ კლოპი და მატს ჰუმელსი ჩემპიონობას უმიზნებენ

# შავი და ყვითელი თავდაჯერება

## ხუთი ქულა ხუთი ქულაა, ლევერკუზენი ვერ დაგვეწევა!

შაბათს, „ჰამბურგისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შეხვედრის 90-ე წუთზე, მოედანზე მყოფთაგან ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გაგცემდათ პასუხს კითხვაზე, „რატომ უგებდა „ჰამბურგი" დორტმუნდს". „ბორუსია" პირველიდან ბოლო წუთამდე უდიდეს უპირატესობას ფლობდა, ჩრდილოელები **რუუდ ვან ნისტელროის** დამსახურებული პენალტით იგებდნენ, მაგრამ თუ ვინმეს ჰოლანდიელის გოლამდე თუ გოლის შემდეგ უნდა გაეტანა, პირველ რიგში ეს „ბორუსიაზე" ითქმის. „შავ-ყვითლების" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** ამბობს, მეოთხე მსაჯმა დამატებული წუთები რომ გვიჩვენა, მაშინვე „კიოლნთან", „ჰანოვერთან" და „ჰოფენჰაიმთან" შეხვედრები გამახსენდაო - იმიტომ, რომ ხსენებულ მატჩებში დორტმუნდელებმა სწორედ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეძლეს უმნიშვნელოვანესი გოლების გატანა.

კაციშვილმა არ იცოდა, რატომ იგებდა „ჰამბურგი", მაგრამ რაც მთავარია, „ბორუსიამ" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ბენდერი ამბობს, ვიცოდი, რომ გავიტანდით, შეუძლებელი იყო, ვერ გაგვეტანაო: *„ოდესღაც ხომ უნდა შევარდნილიყო ეს დაწყევლილი ბურთი?"* ასეც მოხდა: **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** უძლიერესმა დარტყმამ, ჰამბურგელთა მეკარე **ფრანკ როსტს** რეაქციაზე ფიქრზეც კი უარი ათქმევინა...

ბლაშჩიკოვსკი ის კაცია, ვისზეც BVB-ს თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ჯერ კიდევ ხუთშაბათს თქვა, „კუბა" ტყუილად ნერვიულობს იმის გამო, რომ ზოგჯერ არ ვათამაშებ, ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ძალიან მაგრად მჭირდება, „ბორუსია" მის გარეშე ვერ წარმომიდგენიაო.

*„საფინალო სასტვენამდე არც ერთ გუნდს არ აქვს იმაზე ფიქრის უფლება, რომ მოგვიგო,* - ეს „ბორუსიას" დაცვის ბურჯის, **მატს ჰუმელსის** განცხადებაა. ბლაშჩიკოვსკის გოლის შემდეგ კი, დორტმუნდელებმა ისიც დაამტკიცეს, რომ როცა წამებია დარჩენილი და ერთი გოლის გატანით, წესით, მაგრად უნდა ამოისუნთქო, „ბორუსიას" მეტოქეებს არც ამ ერთი ამოსუნთქვის ილუზია უნდა ჰქონდეთ, რადგან „კუბას" გოლის დროს **ნური შაჰინმა** ბურთი მაშინვე გამოიტანა კარიდან, მოედნის ცენტრისკენ წაილო და „შავ-ყვითლები" დარჩენილ წამებში კიდევ ერთხელ მიაწყდნენ „ჰამბურგის" კარს, რათა იმ თამაშიდან სამი ქულა გამოეძერწათ.

*„სწორედ აქედან ჩანს ამ გუნდის სიდიადე,* - ამბობს მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**, - *ბიჭებმა გადამრიეს, მართლა ძალიან მაგარი გუნდი გვყავს!"*

*„ლევერკუზენი" ხუთი ქულის დისტანციაზე მოგვიახლოვდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ვერ დაგვეწევა. წელს ჩვენ ყველაზე მეტად ვიმსახურებთ ჩემპიონობას და მჯერა, ვერავინ გაგვტეხს. დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ,"* - ეს შაჰინის სიტყვებია.

### ფრაიბურგთან ბარიოსის გარეშე

სეზონის დასრულებამდე კი ხუთი ტურია დარჩენილი - „დორტმუნდს" უდიდეს ოცნებას სწორედ ხუთი თამაში აშორებს. კლოპი და მისი ბიჭები „ვერცხლის სინისკენ" მომდევნო ნაბიჯის გადადგმას კვირას, „ფრაიბურგთან" საშინაო შეხვედრაში ეცდებიან და წარმატების მიღწევა მთავარი გოლეადორის, **ლუკას ბარიოსის** გარეშე მოუწევთ. ამ სეზონში 13 გოლის ავტორმა ფორვარდმა „ჰამბურგთან" ტრავმა მიიღო და 77-ე წუთზე ის **მოჰამედ ზიდანმა** შეცვალა. „ფრაიბურგთან", ბარიოსის ნაცვლად, წინა ხაზზე სავარაუდოდ სწორედ ზიდანს ან **რობერტ ლევანდოვსკის** ვიხილავთ. „ბორუსიას" მთავარი ექიმი **მარკუს ბრაუნი** კი იმედოვნებს, რომ ბარიოსი „გლადბახთან" მატჩისთვის (31-ე ტური) მაინც მოასწრებს გამოჯანმრთელებას.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

### ჰოფენჰაიმი ახალ მწვრთნელს ეძებს

„ჰოფენჰაიმი" ახალი მწვრთნელის ძებნას იწყებს. როგორც იცით, „სოფლელების" ხელმძღვანელებმა იანვრის დასაწყისში, პოსტიდან გადამდგარი **რალფ რანგნიკის** ნაცვლად, გუნდი მის ასისტენტ **მარკო პეცაიუოლის** ჩააბარეს, მაგრამ მათი იმედები ვერც ამ უკანასკნელმა გაამართლა, რის გამოც უკვე გადაწყდა, რომ სეზონის ბოლოს პეცაიუოლი თანამდებობას დატოვებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰოფეს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ფავორიტი „ზანკტ პაულის" თავკაცი **ჰოლგერ სტანისლავსკია**, რომლის წასვლაც ასევე გადაწყვეტილი ამბავია. „ზანკტ პაულის" კი, გერმანული პრესის ცნობით, **მაიკ ბიუსკენსი** მიხედავს, რომელიც ახლა მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ფიურტის" დამრიგებელია.

### გიუნდოგანი ალბათ მაინც დორტმუნდში

როგორც ჩანს, „ჰამბურგმა" „ნიურნბერგის" უნიჭიერეს ნახევარმცველ **ილქაი გიუნდოგანისთვის** ბრძოლა წააგო. გაზეთ „ჰამბურგერ მორგენპოსტის" ცნობით, 20 წლის ნახევარმცველი უპირატესობას დორტმუნდის „ბორუსიას" ანიჭებს. მეტიც, ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, გიუნდოგანმა უკვე მისცა დორტმუნდულ კლუბს სიტყვიერი თანხმობა.

**გოტფრიდ ლენცი**

მშვილდოსნობა. ევროპის დიდი პრიზი

# კორეელი მსოფლიომდე გაწვრთნის

## ქართველებმა ანტალიაში რიხით დაიწყეს




ჩვენმა მშვილდოსანმა ქალებმა წარმატებით დაიწყეს გამოსვლა ანტალიაში, ევროპის „დიდ პრიზზე". იქ ექვსი ქართველი გამოდის და გუშინ გამართული შესარჩევი ეტაპიც ერთმა მათგანმა - **ქრისტინე ესებუამ** მოიგო 1295 ქულით. **ხათუნა ნარიმანიძე** 1261-ით მეცხრე ადგილზეა, თუმცა მას ერთი ადგილით წინ წაწევის შანსიც ჰქონდა - ამდენივე ქულა დააგროვა მერვეზე გასულმა ბრიტანელმა **ამი ოლივერიმაც**, მაგრამ ჩვენებური მასთან დამატებით სერიაში ერთი ქულით დამარცხდა. ფრიად მოულოდნელად, ჩვენებურთაგან მესამე შედეგი ბათუმელმა **ლანა ვერულიძემ** აჩვენა და თან არცთუ ცუდად იასპარეზა - 1239 ქულა და 19-ე ადგილი. არადა, ვერულიძე აქამდე ნაკრებში თითქმის არც ჩანდა და ახლაც თურქეთში აჭარის მხარის დაფინანსებით წავიდა. დანარჩენი სამეულის შედეგები ასეთია: კორეელ მწვრთნელ **ან იონ სეუნის** ერთ-ერთი ფავორიტი და აღმოჩენა **თეონა კუტალაძე** 1180 ქულით 48-ეა, **ასმათ დიასამიძე** - 1178-ით 49-ე, ხოლო **ნათია ცინცაძე** 1175-ით - 53-ე. პირად პირველობაში ნაჩვენები კარგი შედეგები ავტომატურად აისახა გუნდურ ჩათვლაზეც - ჩვენი ნაკრების მოწინავე სამეულს, რომელშიც ამჯერად დიასამიძე ვერულიძემ ჩაანაცვლა, 3795 ქულა დაუგროვდა და პირველი აღმოჩნდა. მათ საგრძნობლად გაუსწრეს მეორეზე გასულ 3787-იან უკრაინას. არადა, უკრაინა მსოფლიოში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევია.



ვერ გეტყვით, ჩვენს მშვილდოსნებს კორეელის ხელი მოუხდათ თუ - ანტალიაში გავლილი შეკრება, მაგრამ პროგრესი აშკარაა. ტურნირის წინ მშვილდოსნები თურქეთში ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** მოინახულა, რომელმაც აღნიშნა, რომ სპორტსმენებს უკვე მაშინვე ეტყობოდათ მოტივაცია და მობილიზება. თან თურმე გუნდში საბრძოლო განწყობა და კონკურენტული ატმოსფერო იგრძნობოდა. მისგანვე ვიცით, რომ ანტალიაში გუშინაც ცუდი ამინდი იყო, ქარიანი, რამაც შედეგებზეც იქონია გავლენა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ საბოლოოდ გაირკვა კორეელი მწვრთნელის საკითხიც - ჯერჯერობით ის ივლისში ტურინში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატამდე იმუშავებს ნაკრების მთავარ მწვრთნელად, მერე კი დრო გვიჩვენებს. ოლიმპიადამდე მის დარჩენას სწორედ მსოფლიოზე ნაჩვენები შედეგი განსაზღვრავს. კორეელი ქალთა ნაკრებში სამივე ლიცენზიის მოპოვების პირობას გვაძლევს და საგზურს არც ვაჟებისგან გამორიცხავს. მისი ხელფასის დიდ ნაწილს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაფარავს, დანარჩენს - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ესებუამ შესარჩევი ეტაპი მაღალ დონეზე ჩაატარა, თუმცა მოკლე - 50 და 30-მეტრიან დისტანციებზე შედარებით გაუჭირდა. მან მოიგო 70 და 60-იანი დისტანციები, 50-იანზე მესამე იყო, ბოლო სერიაში კი მეცამეტემდე დაქვეითდა. მთელი შეჯიბრების განმავლობაში მას ფეხდაფეხ მისდევდა იტალიელთა მოლდოველი ლიდერი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა**, რომელმაც სწორედ მოკლე დისტანციებზე იყოჩაღა. მას ბოლო სერიაში 7-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილებამდე ერთადერთი ქულა დააკლდა, მხოლოდ ექვსი ქულით მოუგო ესებუას და საერთო ჩათვლაში ერთით ჩამორჩა - 1294 ქულა დააგროვა. პირველი სამი ეტაპის შემდეგ ნარიმანიძე მეექვსე იყო, მაგრამ ბოლო სერიაში სროლები არ წაუვიდა. მეოთხე ეტაპი მან 45-ე ადგილზე დაასრულა, თუმცა წინა სამ სერიაში დაგროვილმა მონაგარმა უშველა და მეცხრეზე მაინც გავიდა. სამი სერიის შემდეგ მე-14 იყო ვერულიძეც, რომელმაც მესამე ეტაპი მეშვიდეზეც კი ჩაამთავრა, მაგრამ ბოლო სერია მანაც ჩააგდო - 46-ზე გავიდა, თუმცა მისთვის არც მე-19 ადგილია ურიგო შედეგი. რაც მთავარია, ის ძალზე ახლოსაა ოლიმპიურ ნორმატივთან - 1250 ქულა, რასაც ესებუამ და ნარიმანიძემ გვარიანად გადააბიჯეს. წესით, მათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ შედეგის გამეორება არ უნდა გაუჭირდეთ. შეგახსენებთ, რომ ლიცენზიების მოპოვების შემდეგ სპორტსმენი ვალდებულია, ეს ნორმატივი სეზონის განმავლობაში ერთხელ მაინც აჩვენოს, თორემ საერთაშორისო ფედერაციას საგზურის ჩამორთმევა შეუძლია. ცოტა არ იყოს, ეს უცნაური კი გვგონია, მაგრამ ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

თავად ტურნირი ევროპის რეგიონისთვის უძლიერესია. ბოლო წლებში მსოფლიოს თასებს საერთაშორისო ფედერაციაც ატარებს, ევროპამ კი „დიდი პრიზის" შეჯიბრებები დაიტოვა. ეს ევროპელთათვისაა განკუთვნილი, თუმცა ორგანიზატორებს არაევროპელთა მიწვევაც შეუძლიათ, ისიც მხოლოდ პირადში და თანაც მხოლოდ უკონკურსოდ თუ გამოვლენ. ამჯერად ტურნირში ერთადერთი არაევროპელია - ერაყელი **რანდ საადი**. ცხადია, აზიელების, ამერიკელების და სხვათა მონაწილეობა შეჯიბრებას ბევრად უფრო სოლიდურს გახდიდა, მაგრამ ევროპის მასშტაბით ახლაც უძლიერესია. ტურნირში 71 მსროლელი გამოდის. მათ შორის - ყველა ლიდერიც, უკრაინელ **ტატიანა დოროხოვას** გარდა. თურქეთის ნაკრებში სპორტში დაბრუნებული **ნატო ნასარიძეც** კი გამოდის, მაგრამ ჩვენებურმა თავი დიდად ვერ გამოიჩინა.

პლეი ოფები ხვალ გაიმართება. ესებუა პირველ ორ წრეში ისვენებს, მესამეში კი ბელარუს **ელენა იაჩნიკსა** და პოლონელ **მალგოჟატა გვინზცეკს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. პირველ წრეში ისვენებს ნარიმანიძეც, მეორეში კი ბრიტანელ **ნიკი ჰუნტსა** და თურქ **ბეგულ ლუკლუოლლუსთან** გაარკვევს ურთიერთობას. პლეი ოფში მეორე წრიდან ჩაერთვება ვერულიძეც - მისი მეტოქე თურქ **დერია ურაზსა** და ესტონელ **რეენა პარნატს** შორის გაირკვევა. დანარჩენი ჩვენებურები პირველივე წრეში იასპარეზებენ: დიასამიძეს მეტოქედ ბრიტანელი **რებეკა მარტინი** ერგო, ცინცაძეს - იტალიელი **გვენდალინა სარტორი**, კუტალაძეს - ბრიტანელი **ემმა დონიე**.

გუნდურ ტურნირში 13 ნაკრები გამოდის. ამიტომ ჩვენები პირველ წრეში ისვენებენ, მათი მეტოქე კი ბელარუსისა და პოლონეთის შეხვედრაში გაირკვევა. ბადის ამავე ნახევარში არიან გერმანია და რუმინეთიც, რუსეთი, ბრიტანეთი და უკრაინა კი მეორე მხარეს განლაგდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი



ცეცხლის ხაზზე. მარცხნიდან მესამე ნინო სალუქვაძე

# სალუქვაძის მორიგი წარმატება

**ნინო სალუქვაძემ** წარუმატებლად არც კორეულ ჩანჯოუში მიმდინარე მსოფლიოს თასი დატოვა. კვირას ის სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მერვე ადგილზე გავიდა, თუმცა რეაბილიტაცია გუშინ პნევმატური იარაღით ასპარეზობისას მოახდინა - ბრინჯაო მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სალუქვაძემ ამავე დისტანციაზე სიდნეიში გაიმარჯვა და ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც დაეუფლა. როგორც მაშინ, მან საკვალიფიკაციო ეტაპზე ახლაც 385 ქულა დააგროვა, თუმცა ამჯერად საგრძნობლად ჩამორჩა რამდენიმე კონკურენტს. კერძოდ, ტურნირის მომავალმა გამარჯვებულმა, ჩინელმა **სუნ ჩიმ** და უკრაინელთა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა** 391-391 დააგროვეს და იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობაში მათ ვერავინ შეეცილებოდა. ჩვენებურს ბელარუსთა ორგზის მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი, 387-იანი **ვიქტორია ჩაიკაც** უსწრებდა, თავად კი კორეელ **მინჯინ პარკსა** და ავსტრალიელ **დინა ასპანდიაროვასთან** ერთად IV-VI ადგილებს იყოფდა. ფინალურ ოქტეტში დანიელი ევროპის ჩემპიონი **სუსანა მეიერჰოფი** და ბულგარელი **ანტოანეტა ბონევაც** შედიოდნენ 384 ქულით. აღსანიშნავია აქამდე შედარებით შეუმჩნეველი ბონევას წლევანდელი პროგრესი - სპორტულში აქაც მესამე იყო და სიდნეიშიც, რითაც ოლიმპიური ლიცენზიაც გაინაღდა.

შესარჩევის ოთხ სერიაში სალუქვაძემ ყველაზე კარგად მესამეში იასპარეზა, როცა 10-იანს მხოლოდ ერთხელ ააცილა და 99 ქულა დააგროვა. სხვებში მისი შედეგები 97, 94 და 95 იყო. მთელ ამ ციკლში მას ორი 8-იანიც ჰქონდა.

ფინალში ჩვენებურმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე და საუკეთესო შედეგი აჩვენა - 100,7 ქულა. მართალია, ამით დაწინაურებულებს ვერ დაეწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედალს შესწვდა - ჯამში 486,7 ქულა დააგროვა. საინტერესოდ წარიმართა ოქროსთვის ბრძოლა ჩინელსა და უკრაინელს შორის - ჩემპიონის ბედი 0,1-მა გადაწყვიტა. უფრო მტკიცე ნერვები ჩინელს აღმოაჩნდა, რომელმაც ფინალში 98.9 აჩვენა, უკრაინელმა - 98.8. ამდენად, ჩის 489,9 დაუგროვდა და სამმაგ წარმატებასაც მიაღწია - ჩემპიონიც გახდა, ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა და მსოფლიოს თასის სუპერფინალშიც გავიდა, კოსტევიჩმა კი 489,8-ით დაასრულა გამოსვლა და მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა, რადგან ოლიმპიადის და სუპერფინალის საგზურები ადრევე მოიპოვა. უკრაინელი წლეულს კარგად ასპარეზობს - სიდნეიში პნევმატურში ბრინჯაო ირგუნა, სპორტულში - გამარჯვება, ეს მიმდინარე სეზონში მისი მესამე მედალია ოთხი შესაძლებლიდან.

აქვე შეგახსენებთ, რომ რადიაციის საფრთხისა და გზის სიშორის გამო ჩვენები კორეაში წასვლას არც აპირებდნენ. ალბათ, არც ნანობენ, რადგან ხელცარიელნი არ დარჩენილან. მათთვის მორიგი ტურნირი კვლავაც მსოფლიოს თასი იქნება და ისევ შორ მანძილზე მოუწევთ გადაფრენა - მესამე ეტაპი 14-23 მაისს ამერიკულ ფორტ ბენინგში ჩატარდება. ბარემ აქვე გეტყვით, რომ სულ მალე მსოფლიოს თასზე მესტენდურებიც იასპარეზებენ - ეს შეჯიბრება 19-28 აპრილს სიდნეიში ჩატარდება, იქ კი საქართველოდან **დავით ქვათაძე, პავლე ლაკია** და **მაია გუბიევაც** გამოვლენ. აქვე შევნიშნავთ, რომ გუბიევასთვის ეს წლეულს პირველი სტარტი იქნება, რომლისთვისაც საგანგებოდ მოემზადა - ბაქოში გაიარა ათდღიანი შეკრება.

კორეული შეჯიბრების შემდეგ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილეთა სიას ჩინელი ჩის გარდა, კორეელი პარკი და ავსტრალიელი ასპანდიაროვაც დაეუფლნენ. მართალია, ისინი მხოლოდ VI-VII ადგილებზე გავიდნენ, მაგრამ მათ წინ მყოფებს უკვე ჰქონდათ საგზურები და ადგილმონაცვლეობის პრინციპი ამოქმედდა. ეს ამბავი განსაკუთრებით ავსტრალიელებს გაახარებდათ, რადგან ბელარუსიდან „მწვანე კონტინენტზე" გადაბარგებულ ასპანდიაროვას სიდნეიში ლიცენზიამდე ძალზე ცოტა დააკლდა - სულ რაღაც ერთი ქულა, რაც ფინალურ გასროლებში დათმო, თორემ თავიდან სამეულში შედიოდა. ეს ავსტრალიელებისთვის მეორე საგზურია - პირველს შარშან **ლალიტა იევლევსკაია** დაეუფლა, როცა მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა მიუნხენში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე კოლექცია ვერცხლის მედლით გაიმდიდრა. აღსანიშნავია, რომ იევლევსკაიაც ბელარუსია, ოღონდ ასპანდიაროვასგან განსხვავებით, ის ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს წავიდა იქ და თან სულ სხვა გზით - იქაურ მსროლელზე გათხოვდა, მოგვიანებით კი ასპანდიაროვაც მისი რეკომენდაციით დაადგა იმ შორეულ გზას. თუმცა ჯერჯერობით ოლიმპიური ლიცენზიების რაოდენობით არა ავსტრალიელები, არამედ ჩინელები ლიდერობენ 3 საგზურით - სუნ ჩიმდე ლონდონში გამოსვლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ინგ ჩენმა** და **ჯინ იუანმა** გაინაღდეს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანამ მოგებით დაიწყო

ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი, სადაც ამ კვირაში ქართველი ასპარეზობს იოჰანესბურგის ქალთა პირველობაა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია. იქ 20 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (189) თამაშობს. პირველ წრეში კალაშნიკოვას „უაილდ ქარდით" მიწვეული 15 წლის სამხრეთაფრიკელი **მადრი ლე რუ** დაუპირისპირდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი დააკლო - 6:2, 6:1 ჩვენებურის სასარგებლოდ. ოქსანას მეტოქე მერვედფინალში რუსი **ვალერია სავინიხია** (204). წყვილებში ის ბერძენ **ეირინი გეორგატუს** (201) შეუწყვილდა. ამ დუეტმა პირველ წრეში იოლად დაამარცხა მასპინძელთა გუნდი (**დუპლესისი, ედვარდსი**) - 6:1, 6:1 და ახლა სავინიხისა და **ნინა ბრატჩიკოვას** (რუსეთი, 132) მე-4 ნომრად განთესილ დუეტს ხვდება. კალაშნიკოვამ უკვე გაინაღდა 20 სარეიტინგო ქულა, თუკი სავინიხს აჯობებს, სამხრეთაფრიკული მარაგი გაუორმაგდება.

ამერიკულ ოსპრეიში (25 ათასი დოლარი) დიდი ხნის შესვენების შემდეგ კორტზე გასულმა **სალომე დევიძემ** ერთი მოგება იკმარა, მეორე საკვალიფიკაციო წრეში მან ბრაზილიელ **პაულა კრისტინა გონსალესთან** (536) დათმო - 2:6, 4:6.

იტალიურ პომეციაში ზედიზედ მე-2 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. წინა ტურნირის გამარჯვებულმა **მაკა ჩახნაშვილმა** (235) პირველ წრეში რუმინელ **ელორა დაბიას** (443) მოუგო - 6:3, 7:6 და ახლა ბულგარელ **მარტინა გლეჩევას** (415) ეთამაშება. **სოფიო ქვაცაბაიამ** (419) ვერაფერი გააწყო მე-3 ნომრად განთესილ ყირგიზ **ქსენია პალკინასთან** (293) - 2:6, 2:6. **ეკა გორგოძეს** (497) ერთი მოგებალა აშორებს და ის ანტალიის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გავა. ქართველის მეტოქე ფრანგი **შარლოტ როდიეა**.




გაგიკვირდებათ და, ამერიკულ ტალაჰასიში 50-ათასიან ტურნირში ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი გამოჩნდა - 26 წლის **ზურაბ ჟვანიას** საკვალიფიკაციო ბადეში „უაილდ ქარდი" მისცეს. ჩვენებური პირველ წრეში ტაჯიკ **დიშოდ შარიფისთან** დამარცხდა - 5:7, 2:6. ანტალიაში, საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში წააგო **გიორგი რევაზიშვილმა**, მას ავსტრალიელმა **ჯერიდ მეირმა** (697) მოუგო - 7:5, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# გელაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატში

**ჯაბა გელაშვილი** ერთადერთი ქართველი სამთო-მოთხილამურეა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩა საერთაშორისო ტრასებს, სხვებისთვის კი სეზონი დასრულდა. 18 წლის სპორტსმენმა ფრანგულ ვალ ტორენსში საფრანგეთის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. 11 აპრილს ვალ ტორენსში სუპერგიგანტი გაიმართა, ჩვენმა თანამემამულემ 120-მდე მონაწილეს შორის მე-12 ადგილი დაიკავა. საფრანგეთის ჩემპიონი კი იტალიელი **მატეო დე ვიტორი** გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატზე (6-19 მაისი) დასასწრები აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ 1 მაისამდე წერილობით მიმართოთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრესსამსახურს (კოსტავას №37 ა) ან გვაცნობოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (sophonikola@hotmail.com)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# ათვლა მიხეილ მარდალეიშვილმა დაიწყო

საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონის **ვლადიმერ აფციაურის** ხელმძღვანელობით იორდანიაში მსოფლიოს პირველობაზე იმყოფებოდა. კადეტებსა და იუნიორებში 11 ჩვენებური ცდიდა ძალებს. სხვებზე უკეთ 17 წლის **მიხეილ მარდალეიშვილმა** იასპარეზა. სტარტზე მან ჯგუფში 5-დან 4 შეხვედრა მოიგო. მერე ოლიმპიური სისტემით გამართულ პაექრობებში ზედიზედ სძლია ერაყელ ალ-ჰალფი ბასის (15:9), ბელარუს სერჰეი კისელს (15:7), ამერიკელ ჟოფრეი ლოსს (15:11), გერმანელ იანიკ ობერკირშს (15:11) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც იტალიელ ლუკა კურატოლის დაუპირისპირდა. დაძაბული ორთაბრძოლა მარდალეიშვილმა დათმო და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული ფარიკაობის ისტორიაში ეს პირველი მედალია ასეთი მაღალი დონის ასპარეზობაში მოხვეჭილი.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მარცხნიდან: ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, კახაბერ მაღრაძე და სანდრო ბაზაძე

- მოხმალავე კადეტებში სხვადასხვა ქვეყნის 83 წარმომადგენელი იბრძოდა ჯილდოებისთვის, - გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ.** - მარდალეიშვილმა, მართლაც, შესანიშნავად იხმალავა. ნახევარფინალში კურატოლისთან, რომელთანაც წლეულს ლონდონში ევროპის თასზეც ასევე ნახევარფინალი დათმო (10:15), თავიდან 7:14-ს აგებდა. კრიტიკულ სიტუაციაში მიხეილმა შეძლო მობილიზება და ზედიზედ 7 ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს - 14:14. გამარჯვება თითქოს შორს არ იყო, მაგრამ, თავის მართლებად თუ არ ჩაგვითვლით, მსაჯებმა გვიმუხთლეს. საბოლოოდ ფინალში იტალიელი გავიდა, სადაც კორეელ ჩუნგ ჰოსთან დამარცხდა. მეორე ბრინჯაოს მედალი ასევე იტალიელ ლეონარდო აფედის ხვდა.

იუნიორებში ასევე კარგად იასპარეზა სანდრო ბაზაძემ. მართალია, იგი მედალს ვერ შესწვდა, მაგრამ მე-8 ადგილიც ჩვენთვის დიდი წარმატებაა. ქვეჯგუფში გამართული პაექრობების შემდეგ იგი 64 საუკეთესოში მოხვდა. იქ ჯერ ფრანგ აურელიო ავგუსტო პოჯიოლის დაუპირისპირდა. თავიდან ბაზაძე 7:13 აგებდა, მაგრამ გარდატეხის შეტანა შეძლო და 15:14 გაიმარჯვა. ასევე დაძაბულ პაექრობაში აჯობა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ სტანისლავ კანაპაცკის, რომელთან ერთადაც წლეულს ბაკურიანში იმყოფებოდა საქართველოს და უკრაინელ მოფარიკავეთა ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე. მერვედფინალში სანდრომ დომენიკელი დევი ლინარეს კასტრო დაჯაბნა (15:12) და თანაგუნდელ ლაშა მიქელაძის მძლეველთან რევანში აიღო. ქართველი მოფარიკავის წინსვლა უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონმა უნგრელმა ნიკოლას ილიასმა (15:8) შეაჩერა. მადიარმა საბოლოოდ მე-3 ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა უნგრული წარმოშობის გერმანელმა მათიას საბომ მოიპოვა.

აქვე მინდა გამოვყოთ ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილის - თათია აფციაურის კარგი გამოსვლა. ტრავმის მიუხედავად, მან ახალგაზრდებში სამი მოხმალავე გოგონა დაამარცხა, 14 წლის ლუკა ლალანიძემ 5-6 წლის უფროსებთან პაექრობაში სტარტზე 3 მეტოქეს სძლია. მეთექვსმეტედფინალში კი იმ იტალიელთან წააგო, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა ხვდა.

რაც შეეხება მოხმალავეთა გუნდურ შეჯიბრებებს ახალგაზრდებში, 23 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მე-10 ადგილი დავიკავეთ და შარშან ბაქოში მსგავს პირველობაზე ნაჩვენები შედეგი ოთხი საფეხურით გავაუმჯობესეთ.

მართალია, მაქსიმალისტები ვართ და მეტი გვინდა, რადგან საამისო ტრადიციები გვაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე იორდანიაში მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ვარ. ყველაფერი კი იმან განაპირობა, რომ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გავიარეთ: ჯერ ბაკურიანში უკრაინის უძლიერეს ნაკრებთან, შემდეგ იტალიაში მასპინძლებთან, უნგრელებთან, ბრაზილიელებთან და იაპონელებთან ერთად. ჩვენი ბიჭებისთვის მართლაც დიდი სტიმული იყო იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონ ალდო მონტანოს გვერდით ვარჯიში. ბოლო შეკრება მინსკში გვქონდა, სტაიკებში, შესანიშნავ ბაზაზე. ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ვიასპარეზეთ პადოვასა (იტალია) და მოსკოვში. სპორტსმენებმა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება შეიძინეს და საკუთარი ძალებიც ირწმუნეს. ცხადია, ამდენს ვერ შევძლებდით, რომ არა სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარება. მადლობა მათ. მსგავსი თანადგომა მომავალშიც თუ გვექნება, ჩვენი გოგო-ბიჭები საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ გვასახელებენ.

**ვლადიმერ აფციაური:** *„დიდი ხნის განმავლობაში ვიმუშავე უცხოეთში, ამიტომ ქართველ მოფარიკავეთა ნაბიჯებს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი. ახლა სამშობლოში დავბრუნდი. ჩემი ცოდნა და გამოცდილება ქართველ მუშკეტერებს მინდა მოვახმარო. რაც შეეხება იორდანიაში გამართულ პაექრობებს, ნამდვილად კმაყოფილი დავრჩი ქართველთა თავდადებითა და შემართებით, შედეგებითაც. შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე ჩვენები 32 საუკეთესოს რომ ვერ გასცდნენ, ამჯერად საპრიზო ადგილებისთვის თამამად განაცხადეს პრეტენზია. მიხეილ მარდალეიშვილმა კი ოცნება რეალობად აქცია. კარგი თაობა მოდის. მიზანმიმართული მუშაობით უკეთესი შედეგების მოპოვება შეიძლება. მწამს, რომ ასეც იქნება. უწინდელ ტრადიციებს აუცილებლად დავიბრუნებთ“.*

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი




შეხვედრა სპორტის სამინისტროში

# მაკედონიელი ექსპერტის შეგვეშველება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თბილისში შეირჩა 10 საჯარო სკოლა, რომლებშიც ჩოგბურთის ფედერაცია მოსწავლეებს სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებებს აზიარებს, მასწავლებლებს გადაამზადებს და სკოლებს შორის შეჯიბრებებს ჩაატარებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩოგბურთი მკვიდრად დაიკავებს ადგილს დაწყებით კლასებში.

მემორანდუმის პირობების შესაბამისად, ჩოგბურთის ეროვნულმა ფედერაციამ შერჩეული სკოლების უმცროსკლასელებს სპორტული ინვენტარი - ჩოგნები და ბურთები გადასცა, რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტი, ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის განვითარების ფონდის წარმომადგენელი მაკედონიელი **გორან შევჩენკოც** ესწრებოდა. იგი ჩოგბურთის განვითარების საერთაშორისო პროგრამით იმყოფება თბილისში და სხვადასხვა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებს ჩოგბურთის სამწვრთნელო კურსებს ჩაუტარებს. გუშინ უცხოელი სტუმარი ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ლეილა მესხთან** ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილს** შეხვდა.

**ლადო ვარძელაშვილი:** *„სკოლებში ჩოგბურთის შეტანა და უმცროსკლასელთათვის ინვენტარის გადაცემა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, რაც ჩოგბურთის უწინდელი ტრადიციების აღდგენაში დაგვეხმარება. მაკედონიელ სტუმარ გორან შევჩენკოს საერთაშორისო ფედერაციასთან სამომავლო თანამშრომლობაზე ვესაუბრეთ. საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ ჩოგბურთი სპორტის წარმატებული სახეობა გახდეს“.*

**ლეილა მესხი:** *„იმ 10 სკოლაში, სადაც სპორტული ინვენტარი შევიტანეთ, დაწყებით კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილების ნაცვლად ჩოგბურთის გაკვეთილები ჩაუტარდებათ. განათლების სამინისტროს და ჩვენი ერთობლივი პროექტი საშუალებას მოგვცემს, ქართულ ჩოგბურთს დიდი სპორტსმენები ალვუზარდოთ“.*

**გორან შევჩენკო:** *„ჩოგბურთის განვითარების საერთაშორისო პროგრამის მიხედვით პროექტში 400-მდე ქართველი გოგონა და ვაჟი ჩაებმება. ისინი ადრეულ ასაკში შეისწავლიან ჩოგბურთს. საქართველოში პირველად ვარ და ძალიან მსიამოვნებს, რომ სპორტის ამ სახეობას ამგვარ ყურადღებას აქცევენ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა. ასეთი სიყვარული და თანადგომა იმის გარანტია, რომ ქართული ჩოგბურთი მალე მსოფლიო ელიტაში დაიმკვიდრებს ადგილს“.*

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ურთიერთობას კონკურენტთან გაარკვევს

ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად რუმინელი **მიჰაი შუბა** დაწინაურდა - გუშინ მან თეთრი ფიგურებით ფრანგი **ვლადიმირ ოხოტნიკი** დაამარცხა. დანარჩენ ხუთქულიანთაგან დაზავდნენ **მარკ ცეიტლინი** (ისრაელი)-**მიშო ცებალო** (ხორვატია), **ალგიმანტას ბუტნორიუსი** (ლიტვა)-**ვიქტორ კუპრეიჩიკი** (ბელარუსი).

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ცხადია, ქართველი დიდოსტატების ორთაბრძოლებს ჰქონდა. ორივე ჩვენებურმა მონაგარი მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულით გაიმდიდრა: **ნონა გაფრინდაშვილი** გერმანელ ფიდეს ოსტატ **კლემენს ვერნერს** დაუზავდა, **თამარ ხმიადაშვილი** კი შავებით შვეიცარიელ **პეტერ ჰოჰლერს** შეუთანხმდა ყაიმზე. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა 5 ქულა მოაგროვა. მას წამოეწია რუსი **გალინა სტრუტინსკაია**, რომელმაც თეთრებით თანამემამულე **იგორ სინელნიკოვს** სძლია.

დღეს მე-8 ტურში სწორედ სტრუტინსკაია და გაფრინდაშვილი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შესაძლოა, ქალთა შორის ჩემპიონობის ბედი ამ შეხვედრაშიც გადაწყდეს. თუმცა, ქალთა ტურნირის ლიდერებს ხმიადაშვილი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება და გადაჭრით რამის თქმა ძალიან ძნელია. თბილისელი დიდოსტატი დღეს იტალიელ **ანტონიო როზინოსთან** გაარკვევს ურთიერთობას. **ელენა ფატალიბეკოვა** (რუსეთი) 4 ქულით თანამემამულე **სვეტლანა მიედნიკოვასთან** და მაკედონიელ **მირა კიერზეკთან** ერთად მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფს.



ლიდერთა ჯგუფში ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: ცებალო (5.5)-**შუბა** (6), **ტიმოშჩენკო** (5.5)-ბუტნორიუსი (5.5), კუპრეიჩიკი (5.5)-ცეიტლინი (5.5).

ვაჟა დანელია

# სამოსანთა კვინტეტი

დუბაიში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე 2 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 26 მონაწილე მეწინავეობდა. გუშინ ლიდერთა 13 შეხვედრიდან 8 ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, მათ შორის - **მერაბ გაგუნაშვილისა** და ინდოელი **ლაქსმანისა,** სომეხი **კარენ გრიგორიანისა** და **ლევან ფანცულაიასი.** 3-3 ქულა **სარხან გულიევმა** (აზერბაიჯანი), **ბაბუ ლალიდმა, ნეგი პარიმარიჯანმა** (ორივე-ინდოეთი), **დავით პეტროსიანმა** (სომხეთი) და **სერგეი ვოლკოვმა** (რუსეთი) მოაგროვეს.

ქართველ მოჭადრაკეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **მიხეილ მჭედლიშვილი-ჯონათან კარლსტედი** (გერმანია) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი-ამინ ბასემი** (ეგვიპტე) 0:1, **დავით არუთინიანი-ორხან აბდულოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0.5, **დავით ზარქუა-რომანი სალეხი** (ეგვიპტე) 1:0.

მე-4 ტურში ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: სალეხ სალემი (საამიროები)-მჭედლიშვილი, სერგეი ისკუსნიხი (რუსეთი)-გაგუნაშვილი, ფანცულაია-სუნდარ შიამი (ინდოეთი), ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი)-ზარქუა, კატერინა ნემკოვა (ჩეხეთი)-არუთინიანი, ნაჯიბ სალეხი (საამიროები)-ხუხაშვილი.

ვაჟა დანელია

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# სსაუ/თბილისი ჩვეულ სტიქიაშია

## სტუმრები მასპინძლებს ჩაგრავენ

**ჯემალ ცერცვაძის** სახელობის სპორტკომპლექსი მეორე დღეა, ხელბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრებს მასპინძლობს. გათამაშების ცხრილის ლიდერმა, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა „თბილისმა“ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 33:24 სძლია. „ქუთაისმა“ კვლავ მარცხი ივნია, ამჯერად „ქარიშხალასთან“ თერთმეტქულიანი სხვაობით, 30:41 დამარცხდა. ჩემპიონატის სტუმრებმა აზერბაიჯანელმა ხელბურთელებმა „ბათუმი“ 23:38 დაამარცხეს და რიგით მეორე გამარჯვებაც მიითვალეს.

**ზაზა დოლიძე (საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში აზერბაიჯანის ნაკრებიც ასპარეზობს. ვინაიდან აზერბაიჯანში ეროვნული ჩემპიონატი არ ტარდება, იქაური ხელბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გვთხოვეს, ტურნირში გორის გუნდის ნაცვლად მიეღოთ მონაწილეობა. სამწუხაროდ, გორის მუნიციპალიტეტმა შესაბამისი სახსრები ვერ მოიძია და მათი გუნდი ჩემპიონატს გამოეთიშა. საქართველოს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მოთამაშეს ვაკვირდებით, რადგან ნაკრების ბირთვი უნდა შეიკრიბოს. ამავდროულად, 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალისთვის შესაბამისი თაობის საუკეთესო ხელბურთელები უნდა



შევიგულოთ. ხელისშემწყობია ისიც, რომ თბილისში ოცდაათზე მეტმა საჯარო სკოლამ ხელბურთი სპორტის სახეობად აირჩია“.

**დღეს**

**ბათუმი - ქუთაისი**
**აზერბაიჯანი - სსაუ/თბილისი**
**თსუ - ქარიშხალა**

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 17 | 17 | 0 | 0 | 34 |
| 2. ქუთაისი | 17 | 9 | 0 | 8 | 18 |
| 3. ქარიშხალა | 17 | 7 | 0 | 10 | 14 |
| 4. ბათუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 13 |
| 5. თსუ | 17 | 5 | 2 | 10 | 12 |

სალომე ხარატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზას ესროლეს

## ფაჩულია: თავიდან ვერ მივხვდი, ზურგში რა მომხვდა

გუშინ, **ზაზა ფაჩულიას** თავს გადამხდარი ამბავი ამერიკაში გამომავალმა ყველა სპორტულმა, თუ არასპორტულმა გამოცემამ დაწერა: „ატლანტა“-“მაიამის“ მატჩის მსვლელობისას, სირენამდე 3:29 წუთით ადრე ზაზამ ბურთი **ჯამალ კროუფორდისგან** მიიღო, ლიტველი **ჟიდრუნას ილგაუსკასის** წინააღმდეგობის მიუხედავად აიწია და ბურთი კალათში მოათავსა. ამის შემდეგ ფაჩულია საკუთარი ნახევრისკენ გაეშურა, თუმცა გაბრაზებულმა ილგაუსკასმა მას ბურთი ზურგში მოარტყა. ლიტველმა ეს არ იკმარა და ქართველისკენ გაიწია, თუმცა ზაზამ რომ შეხედა, საქმე ილგაუსკასთან ჰქონდა, არ აჰყვა. სწორადაც მოიქცა, რადგან იმ მომენტში ჩხუბში ჩართვა გუნდის დალალატებას ნიშნავდა, რადგან „ატლანტას“ საკუთარი თამაში ნაპოვნი ჰქონდა.

მსაჯებმა ილგაუსკასი დაუყოვნებლივ გააძევეს, „ჰოქსს“ კი ერთი ტექნიკური ჯარიმა ასროლინეს. ვინც მატჩი იხილა, დაგვეთანხმება, რომ ზაზას ჟიდრუნასის წინააღმდეგ უხეშად არ უთამაშია, უბრალოდ ძალისმიერი დუელი იყო. თუმცა, ლიტველმა ნამატჩევს თქვა - ზაზამ სახეში ხელი ჩამარტყაო. ამ ეპიზოდს ქართველი ცენტრი და „მაიამის“ მთავარი მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** გამოეხმაურნენ. ჯერ „ჰიტის“ დამრიგებელს მოვუსმინოთ:

*- მატჩის მსვლელობისას ატლანტელ ცენტრსა და ჩვენს კალათბურთელებს შორის ხშირი იყო კონტაქტი. თუმცა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა - ასეთი თამაშის მომსწრენი ხშირად ვართ.*

ზაზა გაკვირვებული იყო:

*- ბურთი რომ ჩავაგდე, საკუთარი ნახევრისკენ გავემართე. ზურგში რაღაცა მომხვდა, თუმცა ვერ მივხვდი, ბურთი იყო თუ ვინმემ ხელი მკრა.*

ფაჩულიამ იქვე დასძინა, როცა შენიშნა, მისკენ გაბრაზებული ილგაუსკასი იწევდა, გართულებებისთვის თავის არიდება ამჯობინა. ალბათ, იმიტომაც, რომ ჟიდრუნასი მისი ახლო მეგობარია:

*- ილგაუსკასი დიდებული პიროვნებაა. ნამდვილად არ ვიცი, რამ გაახელა ასე. მასთან დარეკვას ვაპირებ... თუმცა, სჯობს ტექსტური შეტყობინება გავუგზავნო, რადგან შესაძლოა, ჩემზე გაბრაზებულმა ტელეფონი არ აილოს,* - ესეც ქართველის სიტყვებია.

■ ■ ■

ამერიკულ პრესაში ფაჩულიასთან დაკავშირებულ ინციდენტს დიდი გამოხმაურება იმიტომაც მოჰყვა, რომ მატჩის გადამწყვეტ მომენტში მოხდა. თან, „მაიამი ჰიტს“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილის დასაკავებლად („ბოსტონის“ გასასწრებად) „ატლანტას“ ძლევა სჭირდებოდა. მივყვეთ მოვლენებს თანამიმდევრობით.

ზაზა ფაჩულია მოედანზე მატჩის მერვე წუთზე გავიდა, პირველი მეოთხედის ბოლო წამზე ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და ჩააგდო - 23:28.

მეორე თორმეტწუთეულში ჩვეულად ათამაშდნენ **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი** და დიდი შესვენებისთვის 16-ქულიანი ფორა დაიბევეს - 62:46. მაიამელებმა ეს არ იკმარეს და მესამე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 20-ქულიან სხვაობას მიაღწიეს - 74:54.

მალე მოედანზე ფაჩულია გამოვიდა, მას შეუერთდნენ **ჯამალ კროუფორდი, ჯეფ ტიგი, ჯოშ პაუელი** და **დამიენ უილკინსი**.

*- ამ ხუთეულმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ სასტარტოების მოედანზე შეყვანა მატჩის ბოლომდე აღარც მიფიქრია,* - თქვა მწვრთნელმა, ლარი დრიუმ. მან ტაქტიკაც შეცვალა: რადგან ჯეიმსსა და უეიდს ინდივიდუალურად ვერ უმკლავდებოდნენ, ატლანტელები ზონურ დაცვაზე გადაერთვნენ და შედეგიც „მოიმკეს“ - 20-ქულიანმა სხვაობამ ლღობა სწრაფად იწყო, რაშიც დიდი წვლილი ფაჩულიასაც მიუძღოდა. იგი დაცვაშიც მყარად იდგა და შეტევისასაც კარგად მოქმედებდა. გადამწყვეტი იერიშისას ზაზამ ჯერ, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ჯოშ პაუელი „ერთი-ერთზე“ გაიყვანა (85:86), შემდეგ ჯამალ კროუფორდის პასი შეირგო, ორქულიანი ჩააგდო და - 87:88. სწორედ ამ ეპიზოდში გაცხარდა ილგაუსკასი და „ატლანტამ“ ტექნიკური ჯარიმის ტყორცნის უფლება მიიღო. სროლა კროუფორდმა შეასრულა - 88:88.

ეს უკვე გარდატეხა იყო, უეიდი და ჯეიმსი „ატლანტას“ დაცვის წინააღმდეგ ვერაფერს აწყობდნენ, მასპინძლებს კი თვითრწმენა დაუბრუნდათ... მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად მატჩის ბედის გადაწყვეტა წილად ხვდა „მაიამის“ სათადარიგო **ჯეიმს ჯონსს**: სირენამდე 3:16 წუთით ადრე მოედნის კიდიდან სამქულიანი ჩააგდო, ზედ ჯარიმა მიაყოლა და - 92:88. მალე იმავე ჯონსმა მეორე სამიანი გამოიყენა და „ატლანტას“ ისღა დარჩენოდა, ბედს შეგუებოდა.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე „ქორებს“ ერთი მატჩიღა დარჩათ - 13 აპრილს „შარლოტთან“ სტუმრად ითამაშებენ.



| ატლანტა-მაიამი | 90:98 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 32:10 წუთი, 9 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:59 | ზაზამ კროუფორდი შეცვალა |
| 01:37 | საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 19:26) |
| 00:42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 00:01 | ორქულიანი: 4ძ (23:28) |
| **II პერიოდი** | |
| 05:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:02 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 04:38 | შეცდომა: 1 |
| 02:24 | ფოლი: 1 |
| 01:23 | საჯარიმოები: 2/1 (5ძ, 42:54) |
| 00:15 | უილკინსმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:26 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 02:22 | ფოლი: 2 |
| 01:24 | პასი: 1 (სმითი 2ძ, 65:77) |
| 01:00 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 00:42 | საჯარიმოები: 2/0 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:21 | ორქულიანი: 7 (69:79) |
| 10:20 | ჩაჭრა: 1 (ჩელმერსს ჩაუჭრა) |
| 07:27 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 05:16 | პასი: 2 (პაუელი 2ძ, 85:86) |
| 03:54 | ფოლი: 3 |
| 03:29 | ორქულიანი: 9ძ (87:88) |

პერსპექტივა

# ბურჯანაძე საიტალიოდ ემზადება

ევროთასის წლევანდელ გათამაშებაში თამაშობდნენ **მანუჩარ მარკოიშვილი, ტორინ გრინი, ტაირონ ელისი**, მაგრამ მათმა კლუბებმა ფინალურ ოთხეულამდე ვერ მიაღწიეს. ევროთასს შერჩა ახალგაზრდა ქართველის, **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლი“, რომელიც ნახევარფინალში იტალიურ „ბენეტონს“ დაუპირისპირდება. მეორე წყვილი რუსულმა „უნიქსმა“ და ხორვატულმა „ცედევიტამ“ შეადგინეს.



ფინალური ოთხეულის მატჩები სწორედ „ბენეტონის“ მოედანზე, ტრევიზოში გაიმართება. ნახევარფინალები 16 აპრილს ჩატარდება. „კახასოლთან“ ერთად იტალიაში წასასვლელად აქტიურად ემზადება 17 წლის ბექა ბურჯანაძე...

*- ჩემი თანატოლების გუნდი ანდალუზიის ჩემპიონატის სათამაშოდ ხაენში გაემგზავრა. თუმცა, მე არ გავყევი, რადგან „კახასოლთან“ ერთად ევროთასის ფინალური ოთხეულისთვის ვემზადები,* - გვითხრა ბექამ და იქვე დასძინა:

*- გუნდი დიდი ბრძოლისთვის ემზადება. „ბენეტონთან“ წარმატების იმედი გვაქვს. მწვრთნელი, ხოან პლაზა ძალიან გაბრაზებულია - ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „კახასოლი“ აუტსაიდერ „მენორკასთან“ დამარცხდა. მეტოქემ ჩვენს ფარზე ბურთი 24-ჯერ მოხსნა... საერთოდ, ჩემი გუნდი ამ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში არადამაჯერებლად ასპარეზობს, ამიტომ ევროთასს დიდ ყურადღებას აქცევს...*

ესპანეთის ჩემპიონატში „მენორკას“ წინააღმდეგ ბურჯანაძეს არ უთამაშია. მან „კახასოლის“ დუბლშემადგენლობასთან ერთად გასულ უქმეებზე EBA-ს ლიგაზე იასპარეზა. სევილიელებმა „გენილთან“ სტუმრად 73:80 დათმეს.

73-დან 20 ქულა ბექას ანგარიშზე იყო. გარდა ამისა, ქართველმა ფორვარდმა ბურთი 3-ჯერ მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

*- ება-ს ლიგის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. „კახასოლი“ მერვე ადგილზეა და პლეი ოფში გასვლის შანსი აღარ აქვს,* - განგვიმარტა ბურჯანაძემ.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. III ტური



# თბილისი მორჩა, რიგში თერჯოლაა

| თბილისი | |
|---|---|
| 12 აპრილი | |
| **თსუ-ქუთაისი** | **59:44** |
| 19:15, 9:12, 13:6, 18:11 | |
| **თსუ:** ცხაკაია (18ქ), ურუშაძე (14ქ)... | |
| **ქუთაისი:** ჟორჟოლიანი (22ქ)... | |
| **ზესტაფონი-რუსთავი** | **92:50** |
| 16:12, 19:16, 22:17, 35:5 | |
| **ზესტაფონი:** ბალდოიანი (29ქ), პეტროსიანი (15ქ)... | |
| **რუსთავი:** საჯაია (19ქ), ფუტკარაძე (12ქ)... | |

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრე გუშინ დასრულდა. ვაკეში, „აკადემიას“ დარბაზში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „ზესტაფონი“-“რუსთავი“ და თსუ-“ქუთაისი“. ჩემპიონატის ლიდერმა „ზესტაფონმა“ მიმდინარე სეზონში ერთადერთი მარცხი სწორედ „რუსთავისგან“ იწვნია. აქედან გამომდინარე, ამ გუნდების გუშინდელ შეხვედრას ყველა ინტერესით ელოდა...

რუსთაველებმა მოინდომეს და მესამე მეოთხედამდე შანსს ინარჩუნებდნენ, თუმცა ბოლო ათწუთეულში ზესტაფონელებმა იყოჩაღეს. სომეხი ლეგიონერებით გაძლიერებულმა იმერულმა გუნდმა რუსთაველებს მეოთხე პერიოდი 35:5 მოუგო და საბოლოოდ 42 ქულით იმარჯვა. „ზესტაფონში“ ორი ანა გამოირჩა **ბალდოიანი და პეტროსიანი**.

მესამე წრის ბოლო მატჩში მოსალოდნელი შედეგი დაფიქსირდა: თსუ-მ „ქუთაისი“ დაამარცხა და მეორე ადგილი შეინარჩუნა. მომდევნო, მე-4 წრე თერჯოლაში, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს გაიმართება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 642:451 | 17 |
| 2. თსუ | 9 | 6 | 3 | 573:464 | 15 |
| 3. რუსთავი | 9 | 4 | 5 | 515:548 | 13 |
| 4. ქუთაისი | 9 | 0 | 9 | 351:623 | 9 |

დანაშაული და სასჯელი

# 21-ე ტურის ორი დასჯილი

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს 21-ე ტურში მომხდარი ინციდენტები.

შეგახსენებთ, რომ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის შსს-“არმიას“ მატჩისას **ბექა ნივნივაძე** მსაჯმა **მაკა კუპატაძემ** მოედნიდან გააძევა.

ამისთვის ბექამ სადისციპლინო კომიტეტისგან სასჯელად 2 მატჩის გამოტოვება მიიღო. გარდა ამისა, მას 100 დოლარის გადახდა მოუწევს.

შსს-ს კიდევ ერთ კალათბურთელს **გიორგი მარკოიშვილს** სკამის დაზიანებისთვის 100-დოლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

# დანინაურდნენ ბათუმი, ჯიქები და თი ბი სი



საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველი მარცხი ივნია გათამაშების ერთ-ერთმა სავარაუდო ფავორიტმა თბილისის „ხულიგანამ". **მამუკა ტყეშელაშვილის** სამწყსომ ვერაფერი გააწყო პირველ ლიგაში წლეულს დაწინაურებულ თბილისის „ჯიქებთან" - 10:33.

„ჯიქებმა", დებიუტანტის კვალობაზე, ასპარეზობა წარმატებულად დაიწყეს. ორი მატჩიდან ორი გამარჯვება შესანიშნავი შედეგია და სერიოზული განაცხადია უმაღლეს ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლაში.

**გიორგი ამირხანაშვილის** ბიჭები მომდევნო, მესამე ტურში „თი ბი სი"-ს დაუპირისპირდებიან, რომელიც ორი ტურის შემდეგ ასევე დაუმარცხებელია. ამ გუნდმა მეორე ტურში სტუმრად მოუგო ფოთის „რაინდებს".

„ჯიქებს", როგორც ჩანს, სერიოზულ კონკურენციას უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებული „ბათუმი XV" გაუწევს. ბათუმელებმა შინ დამაჯერებლად სძლიეს საკმაოდ ძლიერ ქუთაისის „ბაგრატს" - 31:7 და დაგროვილი ქულების უკეთესი სხვაობის წყალობით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან. შავიზღვისპირელებს მესამე ტურში უძნელესი გამოცდა ელით, ისინი თბილისში „ხულიგანას" ეთამაშებიან. „ბათუმი XV"-ს ნამდვილი ძალაც ამ თამაშში გამოჩნდება.

ტურის მეოთხე მატჩში თბილისის „დევებმა" სტუმრად დიდი ანგარიშით დაამარცხეს ოზურგეთის „არწივები" - 64:14.

**II ტური**

**ჯიქები-ხულიგანა 33:10, არწივები-დევები 14:64, რაინდები-თი ბი სი 3:15, ბათუმი XV-ბაგრატი 31:7**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბათუმი XV - 4 ქულა, 2. ჯიქები - 4, 3. თი ბი სი - 4, 4. ხულიგანა - 2, 5. დევები - 2, 6. ბაგრატი - 0, 7. რაინდები - 0, 8. არწივები - 0**

**III ტური**

**ბაგრატი-არწივები, ხულიგანა-ბათუმი XV, თი ბი სი-ჯიქები, დევები-რაინდები**

● ზე რაგბი

# სამხრეთში ჯვაროსნები დომინირებენ

ზე რაგბის გათამაშების მე-8 ტურში ყველაზე მოულოდნელი ანგარიში ახალ ზელანდიაში, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა" და შარშანდელი ჩემპიონის, პრეტორიის „ბლუ ბულზის" შეხვედრაში დაფიქსირდა. „ჯვაროსნებმა" მრისხანე მეტოქე მშრალი ანგარიშით 27:0 დაამარცხეს.

სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად ექვსი კრუსეიდერზელი რომ მოხვდა, **სონი ბილ ვილიამსი, რობი ფრანი, ბენ ფრენქსი, კრის ჯეკი, მეთ ტოდდი** და **კირან რიდი** მართლაც შეუდარებელნი იყვნენ და სანახევროდ მსოფლიოს ჩემპიონებით დაკომპლექტებულ სამხრეთაფრიკულ გუნდს კუდით ქვა ასროლინეს.

ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავს საუკეთესოთა შორის სიდნეის „ვორათაზს", ბრისბენის „რედსს", კანბერას „ბრამბიზს" და დანიდინის „ჰაილენდერზს"

**სიმბოლური ნაკრები**

**15. ბენ სმითი (ჰაილენდერზი), 14. ჰენრი სპითი (ბრამბიზი), 13. რობი ფრანი, 12. სონი ბილ ვილიამსი (ორივე- კრუსეიდერზი), 11. დრიუ მიტჩელი (ვორათაზი), 10. ქუადე კუპერი (რედსი), 9. ლუკ ბარჯესი (ვორათაზი).**

**1. ბენ ალექსანდერი (ბრამბიზი), 2. ბისმარკ დუ პლესი (ნატალ შარქსი), 3. ბენ ფრენქსი (კრუსეიდერზი), 4. ჯიმი ჰორვილი (რედსი), 5. კრის ჯეკი (კრუსეიდერზი), 6. ადამ თომსონი (ჰაილენდერზი), 7. მეთ ტოდდი, 8. კირან რიდი (ორივე-კრუსეიდერზი).**



სონი ბილ ვილიამსი

● ჰაინეკენის თასი

# ექვსი ირლანდიელი ხუმრობა როდია



ჰაინეკენის თასის ნახევარფინალში ორმა ფრანგულმა კლუბმა გააღწია. საოცარია, მაგრამ ამ პრესტიჟული ევროპული თასის გათამაშების სიმბოლურ ნაკრებში ერთ-ერთი ნახევარფინალისტის, კატალონური „პერპინიანის" არც ერთი მოთამაშე არ მოხვდა.მაშინ, როცა მისგან ძლეული „ტულონიდან", საუკეთესოთა შორის ორი მორაგბეა, მესამეხაზელები ავსტრალიელი **ჯორჯ სმითი** და სამხრეთაფრიკელი **ჯო ფან ნიკერკი.**

სამი მოთამაშე მიავლინა სიმბოლურ ნაკრებში კიდევ ერთმა ფრანგულმა კლუბმა, გათამაშების ყველაზე რეალურმა ფავორიტმა „ტულუზმა", **კლემან პუატრენო, ვენსან კლერი** და **ჟან ბუიუ.**

ყველაზე მეტი, ექვსი მოთამაშე გამოარჩიეს ირლანდიური „ლენსტერიდან", რომელმაც გათამაშებას ინგლისური „ლესტერი" გამოთიშა.

ოთხი მოთამაშე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში ინგლისური „ნორსჰემპთონიდან", მათ შორის ინგლისური და მსოფლიო რაგბის ვარსკვლავი **კრის ეშტონი**. შეგახსენებთ, რომ ნორსჰემპთონელებმა მეოთხედფინალში ირლანდიური „ალსტერი" დაამარცხეს.

**სიმბოლური ნაკრები**

**15. ისა ნასევა (ლენსტერი), 14. კრის ეშტონი (ნორსჰემპთონი), 13. ბრაიან ოდრისკოლი (ლენსტერი), 12. კლემან პუატრენო, 11. ვენსან კლერი (ორივე-ტულუზი), 10. ჯონათან სექსტონი (ლენსტერი), 9. ლი დიქსონი (ნორსჰემპთონი).**

**1. კინ ჰილი, 2. რიჩარდ სტრაუსი (ორივე-ლენსტერი), 3. ბრაიან მუჯატი (ნორსჰემპთონი), 4. ლეო კალენი (ლენსტერი), 5. კორტნი ლოუ (ნორსჰემპთონი), 6. ჟან ბუიუ (ტულუზი), 7.ჯორჯ სმითი, 8. ჯო ფან ნიკერკი (ორივე-ტულონი)**

● მამა და შვილი



# მორაგბე მემკვიდრეობით

ნარსულში ქუთაისის „აიას" მწვრთნელი **დუგლას კავთელაშვილი**, რომლის სახელთანაც ქუთათურთა გუნდის ყველაზე დიდი წარმატებებია დაკავშირებული, ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე მოსკოვის „სპარტაკს" ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ მისი ვაჟიც, **გიორგი ვინოგრადოვი** (დედის გვარზეა) მამის მიერ გაკვალულ გზას დაადგა. მან თავისი ძალები კლასიკურ, თხუთმეტკაცა რაგბიშიც მოსინჯა და რაგბი ლიგაშიც, ამჟამად კი რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე მოსკოვის „სლავას" ღირსებას იცავს.

ერთ-ერთ რუსულ სარაგბო საიტზე გიორგისთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან.

**- თქვენი მამა რაგბის ცნობილი სპეციალისტია. ცხადია, დიდხანს არ გიფიქრიათ, სპორტის რომელი სახეობისთვის უნდა დაგეკავშირებინათ ბედი...**

- ის, რომ დღემდე ვთამაშობ, მხოლოდ ჩემი მონდომების და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. არადა, მშობლები მეუბნებოდნენ, რაგბი ის არ არის, რასაც ცხოვრება უნდა დაუკავშირო. თუ წარმატებას ვერ მიაღწევ, მაშინ სხვა სფეროშიც მოვსინჯავ ძალებს. მაგალითად, სამეცნიერო ასპარეზზე. დღესდღეობით, რუსეთის საარქივო საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ვარ.

**- რაგბი ლიგაში რუსეთის ნაკრების წევრი იყავით და საკმაოდ წარმატებული კარიერაც გქონდათ. რაგბიში გადმობარგებით კი ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოგიწიათ. რატომ მოიქეცით ასე?**

- რუსეთში რაგბი ლიგა სამოყვარულოა. მას შემდეგ, რაც შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა გახდა, მთელი ფინანსები იქით გადაქაჩეს. რაც შემეხება მე, მსოფლიოში ძალიან ბევრია მაგალითი, როცა მოთამაშეები რაგბის ორივე სახეობაში წარმატებულნი არიან. შვიდკაცას მე ვერ ვითამაშებ, მორკინალი ვარ და იქ სათამაშოდ სხვა სისწრაფეა საჭირო. თანაც, მართალი გითხრათ, არ მომწონს ეგ შვიდკაცა რაგბი. როგორც ჩემმა ერთმა ახლო მეგობარმა თქვა, „შვიდკაცა ეს არის მძლეოსნობა ბურთით ხელში".

**- მამათქვენი, დუგლას კავთელაშვილი მოსკოვის „სპარტაკის" ერთ-ერთი დამფუძნებელია...**

- დამფუძნებელი მამუკა ლოსაბერიძეა, რომელიც ქუთაისური რაგბის სკოლის, კერძოდ მამაჩემის გაზრდილია. მამა გუნდის მთავარი მწვრთნელია. „სპარტაკის" არსებობის პირველი სეზონი მის შემადგენლობაში გავატარე, პარალელურად კი მოსკოვის „ლოკომოტივის" რაგბი ლიგის გუნდში ვთამაშობდი. ვფიქრობ, „სპარტაკი" ნელ-ნელა პროგრესირებს. მიმდინარე სეზონში „სლავასთან" ფრედ ითამაშა, როცა ერთი წლის წინ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა.

**- საუბრობთ თუ არა მამასთან რუსულ რაგბიში მიმდინარე მოვლენებზე? როგორ ფიქრობთ, რაგბი ჩვენს ქვეყანაში პროგრესს განიცდის?**

- მაშინ, როცა დუგლას კავთელაშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონების მწვრთნელი იყო, ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობდნენ გუნდები საქართველოდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან. ყველას თავისი, განსხვავებული თამაშის მანერა ჰქონდა. მაგალითად, მიაჩნდათ, რომ ქართველი მორაგბეები ტექნიკურები არიან, რუსები კი ფიზიკური გამძლეობის ხარჯზე გადიოდნენ ფონს.

ამჟამად, მსგავსი „ერთიანი ქვაბი" აღარ არის. ამიტომ შედარების გაკეთება ცოტა ძნელია. მიმაჩნია, რომ კარგი იქნებოდა, თუ შევძლებდით ისეთი სარაგბო ტურნირის ორგანიზებას, როგორიც ჰოკეის კონტინენტალური ლიგაა. რაგბი ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშია პოპულარული. საქართველოში, რაგბი სულაც სპორტის ნომერ პირველი სახეობაა. ეს იმიტომ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა დიდ წარმატებებს მიაღწია და მომავალი თაობა ოცნებობს, თავიანთი გმირების ნაკვალევს გაჰყვეს.

ვფიქრობ, თუ რუსეთის ნაკრები წლეულს მსოფლიო თასზე ერთ თამაშს მაინც მოიგებს, რაგბის თამაშს გაცილებით მეტი ბავშვი მოინდომებს. ოვალური ბურთით გატაცება ბევრად პოპულარული გახდება.

**- მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, რაგბიში აპირებთ დარჩენას?**

- რა პერსპექტივა მექნება, თუ რაგბიში დავრჩები? ამ შემთხვევაში უნდა ვიყო ან მწვრთნელი, ან მსაჯი ანაც ჩინოვნიკი. ვერ ვიტყვი, რომ მსგავსი რამისთვის მზად ვარ. მეორე მხრივ, შესაძლებელია მონაწილეობა მივიღო რაიმე ბიზნეს პროექტში. საკუთარი კლუბის დაარსება და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა, საკამაოდ მიმზიდველი იდეაა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი



ადამ ლარსონი

# მომავალი ვარსკვლავები

ჰოკეის ეროვნული ლიგის სკაუტთა ბიურომ გამოაქვეყნა ახალგაზრდა ჰოკეისტთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 2011 წლის დრაფტზე. როგორც წესი, შედგა ორი სია - ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის მოთამაშეებისთვის.

სია ჰოკეისტთა რეიტინგის მიხედვით შეადგინეს. ჩრდილოამერიკელ მოთამაშეებს შორის ლიდერობს ფორვარდი **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი**, ხოლო საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება:

1. **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი (თავ)**
2. **გაბრიელ ლანდესკოგი (თავ)**
3. **ჯონათან ჰუბერდო (თავ)**
4. **დაგ ჰემილტონი (მცვ)**
5. **ნათან ბულიე (მცვ)**

ევროპულ სიაში პირველ ადგილზეა შვედი მცველი **ადამ ლარსონი**.

1. **ადამ ლარსონი (მცვ, შვედ)**
2. **მიკა ზიბენჯადი (თავს, შვედ)**
3. **იონას ბროდინი (მცვ, შვედ)**
4. **ჯოელ არმია (თავ, ფინ)**
5. **დმიტრი იაშკინი (ფორ, ჩეხ)**

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მომავალი დრაფტის პირველი ნომერი, სავარაუდოდ, ლარსონი გახდება. თუ ეს ასე მოხდა, ლარსონი იქნება პირველი შვედი 1989 წლის შემდეგ, ვისაც დრაფტის პირველ ნომრად აირჩევენ. ბოლოს ასეთი პატივი ლეგენდარულ **მატს სუნდინს** ერგო, როცა ის პირველ ნომრად „კვებეკ ნორდიქსმა" აიყვანა.

სულ მალე ლიგა გამოაქვეყნებს 2011 წლის დრაფტის ლატარიის შედეგებს. პირველი ნომრის აყვანის ყველაზე კარგი შანსი აქვს „ედმონტონ ოილერზს", რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა რეგულარულ ჩემპიონატში. „მენავთობეებს" პირველი ნომრის მიღების 50-პროცენტიანი ალბათობა გააჩნიათ.

● ამბები

**ჰოკეი**

### უიღბლო მწვრთნელებს იშორებენ

ბოლო ორი დღის განმავლობაში ჰოკეის ეროვნული ლიგის სამ გუნდს ჩამოაშორეს მთავარი მწვრთნელი. **კორი კრუსტონისა და პიტერ დებურის** შემდეგ, უმუშევარი დარჩა „მინესოტას" დამრიგებელი **ტოდ რიჩარდსი**.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს „ველურებმა" „დალასი" დაამარცხეს, მაგრამ კონფერენციაში მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავეს, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტეს.

44 წლის რიჩარდსი ორი სეზონი მუშაობდა „მინესოტაში", მაგრამ გუნდი პლეი ოფში ერთხელაც ვერ გაიყვანა.

### პატრიოტი ტორონტოელები

პლეი ოფის მიღმა დარჩენილი „ტორონტოს" სამმა ჰოკეისტმა მოისურვა მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ნაკრებში თამაში. ესენი არიან: მეკარე **ჯეიმს რეიმერი**, მცველები - **ლუკ შენი** და **დიონ ფანოფი**. კანადელები პლანეტის პირველობას 29 აპრილს ბელარუსთან მატჩით დაიწყებენ.

ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ „ტორონტოს" საუკეთესო ფორვარდს **ფილ კესელს** ამერიკის ნაკრებში უხმეს, მაგრამ მან უარი თქვა ამ შეთავაზებაზე.

### რეგულარული ევროპაში დაიწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ევროპის სამი ქვეყნის დედაქალაქში დაგეგმა 2011-12 წლების სეზონის სტარტი. 7-8 ოქტომბერს „რეინჯერსი", „ლოს ანჯელესი", „ბაფალო" და „ანაჰაიმი" ბერლინში, სტოკჰოლმსა და ჰელსინკიში ითამაშებენ.

პარასკევს, 7 ოქტომბერს „ანაჰაიმისა" და „ბაფალოს" შეხვედრა ჰელსინკის „ჰარტვალ არენაზე" ჩაივლის, „რეინჯერსი" და „ლოს ანჯელესი" სტოკჰოლმში „გლობ არენაზე" ითამაშებენ. მომდევნო დღეს „ბაფალო" და „ლოს ანჯელესი" ბერლინის „O2-არენაზე" გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო სტოკჰოლმში „რეინჯერსისა" და „ანაჰაიმის" მატჩია დაგეგმილი.

**კალათბურთი**

### რეალმა ლიდერი დაკარგა

მადრიდის „რეალმა" ხანგრძლივი პერიოდით დაკარგა თავისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **სერხიო ლიული**. ამ მცველმა ტრავმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბარსელონასთან" მატჩისას მიიღო. ერთ-ერთ ეპიზოდში ლიული იატაკზე დაეცა და სხვების დახმარებით დატოვა მოედანი.

ექიმების დიაგნოზი არასახარბიელო აღმოჩნდა: მარცხენა ფეხზე კუნთის გაწყვეტა. ასე რომ, ამ სეზონში „რეალის" საუკეთესო სნაიპერი სამ კვირას გამოტოვებს და უცნობია, რა ფორმაში შეხვდება ევროლიგის „ოთხთა ფინალს", რომელიც 6 მაისს ბარსელონაში დაიწყება.

ლიული ამ სეზონში საშუალოდ 11.5 ქულასა და 3.1 პასს აგროვებს ევროლიგის გათამაშებაში.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აღმოსავლეთი დაწყვილდა

ორი დღე და დასრულდება რეგულარული ჩემპიონატი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მორიგი სათამაშო დღის შემდეგ გაირკვა აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე გუნდის ვინაობა. ეს გახლავთ „მაიამი ჰიტი", რომელმაც ეს პოზიცია გუშინ „ატლანტას" დამარცხების შემდეგ გაინაღდა. გარდა ამისა, იმავე აღმოსავლეთში გამოიკვეთა მეოთხედფინალური წყვილების კონტურები. მაგალითად, წინ არაფერი უდგას „ატლანტასა" და „ორლანდოს" დაპირისპირებას. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „მაიამი" „ფილადელფიას" შეხვდება, „ბოსტონი" - „ნიუ იორკს", ხოლო აღმოსავლეთის ჩემპიონი „ჩიკაგო" - „ინდიანას".

### კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსისა" და „ოკლაჰომა თანდერის" ფორვარდები **კარმელო ენტონი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი გასულ კვირას 28.3 ქულას და 9.5 მოხსნას აგროვებდა. ამის წყალობით „ნიუ იორკმა" ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ენტონი 52.9-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა სამქულიანებს და ორ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა. კარმელო ზედიზედ მეორე კვირაა სახელდება აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშედ.

დასავლეთში საუკეთესო დურანტმაც თავის გუნდს ოთხიდან ოთხჯერ მოაგებინა, მათ შორის „ლეიკერსის" (პირველად 2006 წლის 12 მარტის შემდეგ) და „დენვერის" (2007 წლის 28 მარტის შემდეგ) წინააღმდეგ. დურანტი გასულ კვირას საშუალოდ 30.0 ქულასა და 6.8 მოხსნას აგროვებდა. კევინი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია 27.8 ქულით.

### ენტონის კვირა

**5 აპრილი. ნიუ იორკი-ტორონტო 131:118.** 23 ქულა, 9 მოხსნა.

**6 აპრილი. ფილადელფია-ნიუ იორკი 92:97.** 31 ქულა, 11 მოხსნა, 2 დაფარება.

**8 აპრილი. ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 93:116.** 25 ქულა, 14.

**10 აპრილი. ინდიანა-ნიუ იორკი 109:110.** 34 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება და 2 ჩაჭრა.

### დურანტის კვირა

**5 აპრილი. დენვერი-ოკლაჰომა 94:101.** 32 ქულა, 9 მოხსნა.

**6 აპრილი. ოკლაჰომა-კლიპერსი 112:108.** 29 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი.

**8 აპრილი. ოკლაჰომა-დენვერი 104:89.** 28 ქულა, 7 მოხსნა.

**10 აპრილი. ლეიკერსი-ოკლაჰომა 106:120.** 31 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ტაი ლოუსონი** („დენვერი"), **როდნი სტაკი** („დეტროიტი"), **დევიდ ლი** („გოლდენ სტეიტი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი") და **ტონი პარკერი** („სან ანტონიო სპურსი").

**ატლანტა-მაიამი 90:98**

**23:28, 23:34, 21:17, 23:19**

ა: სმიტი (17+6 მოხსნა), კროუფორდი (13), უილიამსი (11), ჯონსონი (10+5 პასი), ტიგი (10).

მ: ჯეიმსი (34+10 მოხსნა+7 პასი), უეიდი (21+6 პასი+5 მოხსნა), ბოში (15+9 მოხსნა), ბიბი (10).

**ნიუ ჯერსი-შარლოტი 103:105**

**29:25, 24:24, 20:30, 30:26**

ნ-ჯ: ლოპესი (31), ფარმარი (20+9 პასი), ვუიაჩიჩი (19), რაიტი (10).

შ: კანინგემი (21), დიაო (20+6 პასი), ოგუსტინი (19+11 პასი), ჰენდერსონი (14), ბრაუნი (11+7 მოხსნა).

**ფილადელფია-ორლანდო 85:95**

**25:34, 22:16, 15:26, 23:19**

ფ: ბრენდი (22+5 მოხსნა), ჰოლიდეი (15+11 პასი), ნოჩიონი (13+6 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (19+13 მოხსნა), ნელსონი (19+7 პასი), ანდერსონი (18+14 მოხსნა), რიჩარდსონი (12+5 პასი).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 95:94 (ო)**

**19:23, 18:21, 23:16, 24:24, 11:10**

ვ: უოლი (24+9 მოხსნა), კროუფორდი (17+6 პასი), ბლეტჩი (16), მაკგი (13+9 მოხსნა), იანლიანი (6+10 მოხსნა).

ბ: გრინი (20+15 მოხსნა), დევისი (20), ჯ.ო'ნილი (15+13 მოხსნა), უესტი (11+5 მოხსნა+5 პასი), უაფერი (11).

**დეტროიტი-კლივლენდი 101:110**

**33:23, 24:33, 18:30, 26:24**

დ: სტაკი (29+14 პასი), უილკოქსი (16+7 მოხსნა), ჰემილტონი (13), მონრო (10+10 მოხსნა), მაქსიელი (4+14 მოხსნა).

კ: ჰიქსონი (20+11 მოხსნა), სეშენსი (17+9 პასი), გიბსონი (17), გი (16), ეიენგა (13), ჰოლინზი (12+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-იუტა 78:90**

**21:29, 16:18, 20:23, 21:20**

ნ-ო: პოლი (15+5 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (13), სმიტი (12+6 მოხსნა), გრინი (12).

ი: მაილზი (18+5 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (16+6 მოხსნა), ჰეივორდი (14).

**მილუოკი-ტორონტო 93:86**

**25:33, 21:18, 23:20, 24:15**

მ: სალმონსი (24+7 მოხსნა), ჯენინგსი (21+6 მოხსნა), გუდენი (19+11 მოხსნა+5 პასი).

ტ: ბეილესი (20+5 პასი), დეროზანი (17), დევისი (15+11 მოხსნა), ჯონსონი (12), დორსი (10+20 მოხსნა).

**ჰიუსტონი-დალასი 91:98 (ო)**

**23:20, 24:23, 24:24, 15:19, 5:12**

ჰ: მარტინი (28), დრაგიჩი (15+10 მოხსნა+7 პასი), ლი (12+8 მოხსნა), მილერი (12+8 მოხსნა), ჰეიესი (10+12 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (23+12 მოხსნა), მერიონი, ტერი (21), ჩენდლერი (8+12 მოხსნა).

**დენვერი-გ. სტეიტი 134:111**

**31:32, 23:22, 44:37, 36:20**

დ: სმიტი (22+5 მოხსნა), კუფოსი (18+9 მოხსნა), ფელტონი (15+10 პასი), ანდერსენი (4+12 მოხსნა), ლოუსონი (14+9 პასი+6 მოხსნა), მარტინი (14+7 მოხსნა), ნენე (12), აფლალო (10).

გ-ს: კარი (27+5 მოხსნა+5 პასი), რაიტი (27+5 მოხსნა), უილიამსი (17), ლი (10+5 მოხსნა+5 პასი).

**ფინიქსი-მინესოტა 135:127 (ო)**

**24:33, 34:32, 34:27, 29:29, 14:6**

ფ: ფრაი (33), დადლი (26+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჩილდრი (21+8 პასი), გორატი (17+8 მოხსნა), უორიკი (11), ნეში (8+16 პასი).

მ: ბიზლი (26+6 მოხსნა), რენდოლფი (24+10 მოხსნა), ტოლივერი (22+10 მოხსნა), რიდნური (21+9 მოხსნა+9 პასი), პეკოვიჩი (10).

**საკრამენტო-ოკლაჰომა 112:120**

**20:24, 37:27, 26:36, 29:33**

ს: კაზინსი (30+9 მოხსნა), უდრიხი (21+7 მოხსნა+7 პასი), ტომპსონი (21+9 მოხსნა+6 ჩაჭრა), ტომპსონი (16), გარსია (11).

ო: დურანტი (32+8 მოხსნა), უესტბრუკი (30+9 პასი+6 მოხსნა), იბაკა (14+8 მოხსნა+6 დაფარება), ჰარდენი (12+6 მოხსნა), მუჰამედი (10+5 მოხსნა).



კარმელო ენტონი

● კრივი

# ვიტალიმ ბრძოლა გააუქმა

სუპერმძიმეწონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** უარი თქვა 2011 წლის ივნისში რინგზე გასვლაზე, არადა, უკრაინელს მორიგი საჩემპიონო ბრძოლის გამართვა სწორედ ამ თვეში ჰქონდა დაგეგმილი. უფროსი კლიჩკოს მორიგი მეტოქე პოლონელი **ტომაშ ადამეკი** იქნება. ბრძოლა სექტემბერში გაიმართება.



ვიტალი კლიჩკო

მარტში ვიტალიმ ჩემპიონის ტიტული დაიცვა კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** ბრძოლაში - ის შეხვედრა პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა. ამ ბრძოლის შემდეგ ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ ვიტალიმ, შესაძლოა, შემდეგი ბრძოლა ივნისის დასაწყისში ჩაატაროს. სავარაუდო თარიღი 4 ივნისი იყო. ამასთან, არ დასახელებულა კლიჩკოს მეტოქე. უკრაინული მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ამერიკულ ტელევიზიებთან ამ ბრძოლის ტრანსლირებაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ახლა ირკვევა, რომ კლიჩკომ უარი განაცხადა ივნისში ჩხუბზე.

ვიტალისა და ადამეკის ბრძოლა პოლონეთში 10 სექტემბერს გაიმართება. შეხვედრას ან ვარშავა, ან ვროცლავი უმასპინძლებს.

ადამეკმა სულ ახლახანს ჩაატარა ბოლო ბრძოლა, როცა ამერიკელ **კევინ მაკბრაიდს** შეხვდა და ქულებით დამაჯერებლად გაიმარჯვა.

● მძლეოსნობა

# სემენია ივლისში გაირბენს

სკანდალურად ცნობილი მორბენლის, 800 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონის **კასტერ სემენიას** მენეჯერმა **იუკა ჰარკონენმა** განაცხადა, რომ მისი შეგირდი „ბრილიანტის ლიგის" მეოთხე ეტაპზე გამოვა, რომელიც 4 ივლისს ამერიკის ქალაქ იუჯინშია დაგეგმილი. ამ ინფორმაციას ESPN ავრცელებს. გარდა ამისა, ჰარკონენი ამბობს, რომ სემენია პრესტიჟული სერიის შემდეგ ეტაპზეც გამოვა - ეს გახლავთ ტურნირი ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, თუმცა ამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

გასულ უქმეებზე ზურგის ტრავმისგან განკურნებულმა 20 წლის მორბენალმა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატი მოიგო 800 და 1500 მეტრ დისტანციებზე. სამხრეთ აფრიკის ფარგლებს გარეთ მისი პირველი გამოსვლა იქნება IAAF-ის World Challenge-ის ტურნირი დაკარში, რომელიც 28 მაისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფეტელი: მხოლოდ ორი რბოლა მოვიგე

„რედ ბულის“ პილოტმა სებასტიან ფეტელმა იდეალურად დაიწყო ახალი სეზონი. ფორმულა 1-ის ისტორიაში არ ყოფილა ბევრი ისეთი ჩემპიონი, რომელიც ტიტულის აღების შემდეგაც აგრძელებდა მოგებას. ასე რომ, გერმანელი ავტომრბოლი კმაყოფილია განვითარებული მოვლენებით.

მიუხედავად ამისა, სებასტიანი და „რედ ბული“ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და ნებისმიერი გართულებისთვის მზად არიან...

**- ვარაუდობდით, რომ პირველი ორი რბოლის შემდეგ ჩემპიონატის აშკარა ლიდერი გახდებოდით?**

- კმაყოფილი ვარ იმით, როგორც ვითარდება მოვლენები, მაგრამ მხოლოდ ორი ეტაპია გასული, ასე რომ, ჩემპიონობაზე ფიქრი ნაადრევია. რა თქმა უნდა, თითოეული მოპოვებული ქულა ძალიან მნიშვნელოვანია - მე ამაში შარშანდელი სეზონისას დავრწმუნდი. თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ.

19-დან მხოლოდ ორი რბოლა მოვიგე და ტიტულისთვის ბრძოლაში დასკვნებს ჯერ ვერ გამოვიტანთ: წინ კიდევ 17 ეტაპია. მართალია, მათემატიკაში ძლიერი არ ვარ, მაგრამ თვლა ვიცი. მანქანის საიმედოობა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს, მით უმეტეს, რომ შარშან სეზონის ამ ფაზაში გარკვეული პრობლემები გვქონდა.

**- თუ გავიხსენებთ თქვენს სიჩქარეს კვალიფიკაციაში, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვარჯიშებისას არ ჩქარობთ მანქანის რეალური პოტენციალის გამოვლენას?**

- შესაძლოა, თავიდან საქმე ისე კარგად არ წავიდა, როგორც კვალიფიკაციაში. თუმცა რეალურად მნიშვნელოვანი სწორედ შაბათის შედეგებია. კვალიფიკაციაში თავიდანვე ყველაფერი კარგად განვითარდა და მეთოდურად ვემზადებოდით საფინალო სწრაფი წრისთვის, რომელზეც მე საუკეთესო დრო ვაჩვენე. მაგრამ ბრძოლა მართლაც ძალიან დაძაბული იყო და ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ იმით, რომ პოულიდან ავიღე სტარტი.

**- კვირას მაქსიმალურ შედეგს მიაღწიეთ. ბოლომდე კმაყოფილი ხართ რბოლის მსვლელობით?**

- რა თქმა უნდა. როცა ყველაფერი ასე იდეალურად ვითარდება, უფრო დიდი სიამოვნების მიღება შეუძლებელია.. თუმცა რბოლა მართლაც რთული იყო. „მაკლარენის“ პილოტები მუდმივად კვალში გვედგნენ, მაგრამ პირველი ნაწილის შემდეგ ოდნავ უკეთესად ვიმუშავეთ, ვიდრე მათ. ამით შესაძლებლობა მივიღეთ დავკვირვებოდით მეტოქის მოქმედებას, პიტსტოპებს, საბურავების არჩევანს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.



ფეტელის მადლობა

საბურავი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა, რადგან მისი ცვეთის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო და რთული გახლდათ იმის გამოთვლა, რამდენად შესაძლებელი იყო იერიშზე გადასვლა.

**- ამბობენ, რომ „რედ ბული“ რაღაც საიდუმლო ალფაბეტს იყენებს: რბოლის შუაში ინჟინრებმა A გეგმიდან B-ზე გადასვლის ბრძანება მოგცეს. ეს რას ნიშნავს?**

- ეს ჩვენი ერთ-ერთი ტაქტიკური სქემის კოდური აღნიშვნაა, მაგრამ რბოლის შემდეგაც არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

**- რბოლამ იდეალურად ჩაიარა, მაგრამ პრობლემა წარმოიშვა KERS-ის სისტემასთან დაკავშირებით. რამდენად გაღელვებთ ეს საკითხი მომავალი რბოლის წინ?**

- ასე ვთქვათ: დისტანციის დიდ ნაწილზე სისტემა მწყობრში იყო, მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ გარკვეულ მომენტებში მისი გათიშვამ მიწევდა.

მონაცემთა ანალიზის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის გარკვევა, რატომ მოგვიწია KERS-ის გათიშვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან რეკუპერაციის სისტემის გარეშე წრეებს გაცილებით ნელა გავდიოდით. მაგრამ ასეთი რბოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ KERS-მა სტარტზე იმუშაოს: ეჭვი მაქვს, რომ მის გარეშე ვერ შევძლებდი პირველ მოსახვევში ლიდერობის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში რბოლა სულ სხვაგვარად განვითარდებოდა.

**- რამდენად ძლიერი იყო პრესინგი „მაკლარენის“ მხრიდან?**

- ვფიქრობ, დისტანციის დასაწყისში ეს ზეწოლა უფრო იგრძნობდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ბოლო ნაწილი უკეთ გავიარეთ, რადგან ვაკონტროლებდით რბოლის მსვლელობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლუის ჰემილტონს პრობლემები შეექმნა.

შეიძლება სიტყვებით ეს მარტივად მოსჩანს, მაგრამ ასე არ არის. რბოლა რთული იყო. ჩვენ ისევ ბევრი ახალი გავიგეთ „პირელის“ საბურავების შესახებ: აქამდე არ ვიცოდით რა მდგომარეობაში იქნებოდა საბურავი მაღალი ტემპერატურის პირობებში, მაგრამ ახლა გვაქვს ასეთი ინფორმაცია.

რა თქმა უნდა, ჩინეთში შემდეგი რბოლა შეიძლება სულ სხვანაირად წარიმართოს, ამიტომაც ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**- როცა რბოლა სიცხეში მიმდინარეობს, ყოველთვის დგება საკითხი ფიზიკური ფორმის შესახებ. დატვირთვა მართლაც დიდი იყო?**

- ფიზიკური დატვირთვების მხრივ, მალაიზიაში ერთ-ერთი ურთულესი რბოლა იმართება, რადგან აქ არა მარტო ცხელი, არამედ ნესტიანი კლიმატია. სუნთქვა ჭირს, განსაკუთრებით ბოქსებში, სადაც ჰაერი არ მოძრაობს.

**- ჩინეთის გრან-პრი ერთ კვირაშია. როგორ გაატარებთ დარჩენილ დღეებს?**

- შეიძლება ვინმეს ჩემმა პასუხმა იმედი გაუცრუოს, მაგრამ რბოლის შემდეგ რაც შეიძლება მალე დაძინება მინდოდა. შანხაიში გამგზავრებამდე მცირე შვებულებას ავიღებ, შემდეგ ვარჯიშებს შევუდგები, ხოლო ხუთშაბათიდან ისევ ტრასაზე შევხვდებით ერთმანეთს.

# ფერარი კურსს იცვლის?



ფერარის უჭირს

„რედბულისგან“ განსხვავებით, არც ისე წარმატებული სტარტი გამოუვიდა ჩემპიონატის მეორე ფავორიტს - „ფერარის“. იტალიური საჯინიბოს წევრები ჯერ არ ასულან პოდიუმზე. ამის გამო, „სკუდერიას“ შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** განაცხადა, რომ უკვე უახლოეს პერიოდში გუნდმა, შესაძლოა, გადახედოს წლევანდელი ბოლიდის განვითარების პროგრამას.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩინეთის გრანპრისთვის მომზადებული ტექნიკური სიახლეები დადებით ეფექტს არ მოიტანენ.

*„ვაანალიზებთ ყველა წვრილმანს იმის გასაგებად, რატომ არ იმუშავა განვითარების ამ ეტაპზე რამდენიმე ტექნიკურმა სიახლემ. იმედი მაქვს ჩინეთში ყველაფერი წესრიგში იქნება. ამ შემთხვევაში კურსს არ გადავუხვევთ. მაგრამ თუ განახლებებმა შედეგი არ მოიტანეს, მაშინ ალტერნატიულ გეგმას ავამუშავებთ. ასეთი პროგრამა მომზადებული გვაქვს და რაც შეიძლება სწრაფად გადავალთ მასზე.*

*ბევრი დრო არ გვაქვს. ჩინეთში მივემგზავრებით, სადაც უნდა გადავწყვიტოთ - გავაგრძელოთ მუშაობა ამჟამინდელ აეროდინამიკურ პაკეტზე თუ შევცვალოთ განვითარების კურსი“*, - ამბობს დომენიკალი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბარნსლი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| დერბი-ლიდსი | 2:1 |
| დონკასტერი-პრესტონი | 1:1 |
| იფსვიჩი-მიდლსბრო | 3:3 |
| ლესტერი-კრ. პალასი | 1:1 |
| მილუოლი-ბრისტოლი | 0:0 |
| ნოტინგემი-ბარნლი | 2:0 |
| პორტსმუთი-ქოვენთრი | 0:3 |
| სკანთორფი-რედინგი | 0:2 |
| შეფილდი-კარდიფი | 0:2 |
| სუონსი-ჰალი | 1:1 |
| უოტფორდი-ნორვიჩი | 2:2 |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-დაგენჰემი | 4:3 |
| ლეიტონი-კარლაილი | 0:0 |
| როჩდეილი-საუთჰემპტონი | 2:0 |
| უოლსოლი-ბრენტფორდი | 3:2 |
| იეოვილი-ნოტსი | 2:1 |
| **II ლიგა** | |
| ბერი-ბარტონი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-ლუტონი | 1:1 |
| გეიტშიდი-ისტბურნი | 3:0 |
| ჰისტონი-დარლინგტონი | 0:1 |
| მენსფილდი-ბაროუ | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კაიზერი A-ვიდენბრუკი | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 0:1 |
| **I დივიზიონი** | |
| პარტიკი-ფალკირკი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ფორფარი-სტენჰაუზმური | 2:0 |
| ბრეჩინი-ეირი | 0:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ვენა | 3:2 |
| ადმირა-გრიოდიგი | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. ანდრე | 2:0 |
| სტ. პოლტენი-ლუშტენაუ | 1:0 |
| **ფინეთის თასი** | |
| ტურკუ-ვაასა | 1:1 პენ. 5:4 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ბოლესლავი-პლზენი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| დინამო (ბ)-უნირეა | 3:1 |
| გლორია-ვასლუი | 1:1 |

| | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| **Under 19** | |
| ჩერნოგორია-საბერძნეთი | 0:0 |
| ბელარუსი-მოლდოვა | 2:0 |
| **Under 18** | |
| იტალია-ინგლისი | 1:1 |
| ჩეხეთი-ბელარუსი | 2:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ნაგოია-ალ აინი | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთის თასი** | |
| ანტიბი-ლიმოჟი | 69:81 |
| ბურჟი-შალონი | 79:85 |
| ვილერბანი-ვიში | 72:80 |
| ნანსი-ჰავრი | 92:71 |
| **რუსეთი** | |
| ენისეი-ტრიუმფი | 98:97 |
| დინამო-უნიქსი | 70:84 |
| ხიმკი-სპარტაკი | 104:95 |
| ლოკომოტივი-კრ. კრილია | 67:63 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-ს. იულიაევი | 2:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 5:2 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 1:3 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 4:3 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ფერიესტადი | 1:2 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო** | |
| ბელუჩი-**სიმონი** | 3:6, 2:6 |
| მილო-**გარსია ლოპესი** | 2:6, 4:6 |
| ცონგა-**ლუბიჩიჩი** | 6:7, 4:6 |
| **მონტანიესი**-მალისე | 6:4, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-**ფ. ლოპესი** | 6:4, 3:6, 6:7 |
| **მ. გონსალესი**-ჰანესკუ | 3:6, 7:5, 6:1 |
| კოლშრაიბერი-**ფედერერი** | 2:6, 1:6 |
| **ფონინი**-ანდერსონი | 3:6, 6:2, 6:2 |
| **რიბა**-სტარაჩე | 4:6, 6:3, 6:3 |
| გულბისი-**რაონიჩი** | 4:6, 5:7 |
| ო. როხუსი-**ბერდიჩი** | 2:6, 3:6 |

TV პროგრამა

**13 აპრილი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ნაპოლი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ-ჰერენვენი.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-რომა.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ტულუზა.
**20:50** უნიბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-სან ლორენცო.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლანსი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
**22:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
**23:55** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.

**I არხი**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-რეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ესტუდიანტესი-კრუზეირო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მილუოკი (LIVE).

**SPORT+**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტოტენჰემი-რეალი (LIVE).

**EUROSPORT**

**17:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა


რუსები კრიზისში არიან

# რუსების გარეშე

მონტე კარლოს მასტერსის პირველი სათამაშო დღე რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. დღის პირველი მატჩი სწორედ სენსაციების კატეგორიას განეკუთვნებოდა - მთავარ კორტზე განთესვის მეცხრე ნომერმა **მიხაილ იუჟნიმ** გერმანელ **ფლორიან მაიერთან** წააგო. სხვათა შორის, რუსი ზედიზედ მესამედ გამოვარდა მონაკოს მასტერსის პირველი წრიდან. ასე რომ, თუ ამ მატჩს სტატისტიკური კუთხით განვიხილავთ, განსაცვიფრებელი არც არაფერი მომხდარა.

პირველივე დღის შემდეგ მონაკოს მასტერსი რუსი ჩოგბურთელების გარეშე დარჩა. ერთ დროს მრისხანე **ნიკოლაი დავიდენკო** ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** დამარცხდა. ეს მატჩი მდიდარი იყო ბრეიკ-პოინტების რაოდენობით. მარტო დავიდენკოს მეტოქის გეიმის აღების 17 შანსი ჰქონდა და ხუთი გამოიყენა, ჰაასემ კი ბრეიკ-პოინტების აღების უკეთესი პროცენტი დააფიქსირა - 13-დან ექვსი. სხვათა შორის, ამ მატჩამდე ჰოლანდიელს ზედიზედ ოთხ ტურნირში ჰქონდა წაგებული პირველი წრე, ასე რომ, რობინმა ამჯერად ნავსი გატეხა.

სხვა მხრივ, დღემ მშვიდად ჩაიარა. ორმა ფრანგმა ცენტრალურ კორტზე რთული, მაგრამ პროგნოზირებადი გამარჯვება მოიპოვა.

**რიშარ გასკე დენის ისტომინს** ეთამაშებოდა. ფრანგს ამ მატჩში 15 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და გადამწყვეტი ბრეიკი მესამე სეტის მეცხრე გეიმში აიღო, რის შემდეგაც მატჩზე ჩააწოდა. ეს მოგება მეორეა რიშარ გასკესთვის ისტომინთან დაპირისპირებაში.

**ჟო-ვილფრიდ ცონგამ** ჩააგდო პირველი სეტი არგენტინელ **ხუან მონაკოსთან** შეხვედრაში, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში მეტოქის ექვსი გეიმი აიღო და მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ ორსაათნახევარში გადაწყვიტა. სხვათა შორის სასტარტო სეტში არგენტინელმა სამიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, მაგრამ საერთო ჯამში ფრანგს 15 ბრეიკ-პოინტი დაუგროვდა და გასაკვირი არ არის, რომ ის მაინც გამარჯვებული გამოვიდა ამ დუელში.

დღის ცენტრალური მატჩი გაიმართა **რადეკ შტეპანეკსა** და **მარკო ბაღდატისს** შორის. კვიპროსელმა ATP-ის ტურში ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო, არადა, გამარჯვების ძალიან კარგი შანსი ჰქონდა. მესამე სეტის ტაი-ბრეიკში მარკოსმა ორი მატჩბოლი გაანიავა, რის შემდეგაც შტეპანეკმა აღარ აპატია მას ასეთი უპასუხისმგებლობა.

**ნიკოლას ალმაგრომ მარსელ გრანოლერსი** დაამარცხა, ძირითადად კარგი პირველი მოწოდების ხარჯზე. **ვიქტორ ტროიცკიმ** ტურნირს გამოთიშა მონაკოს ერთადერთი წარმომადგენელი **ჟან-რენე ლისნარი**, თუმცა ამისთვის კორტზე ორი საათის გატარებამ მოუწია. **მარინ ჩილიჩმა** კი დღის ყველაზე იოლი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში - ხორვატმა **ფილიპო ვოლანდრი** 65 წუთში გაიმარჯვა.

**ATP**

**Monte-Carlo Rolex Masters**

**მონტე კარლო. გრუნტი**

**საპრიზო ფონდი: 2 227 500 ევრო**

**I წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუს, 10)**-ფლორიან მაიერი (გერ) 3:6, 6:2, 3:6; **დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6, 7:5; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 11)**-ჟან-რენე ლისნარი (მონ) 7:6, 6:1; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:4, 5:7, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:3, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:4, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 13)**-დენის ისტომინი (უზბ) 5:7, 6:3, 6:4; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:1, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 3:6, 6:1, 7:6; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 14) 6:1, 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:3, 0:6, 6:0; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:5, 4:6, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ანდრეი გოლუბევი (გერ) 5:7, 7:6, 6:4.

# ნადალი: შარშანდელს ვერ გავიმეორებ!

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** რეიტინგში ლიდერობისთვის ძალიან დაძაბულ ბრძოლას წინასწარმეტყველებს. ესპანელი აცხადებს, რომ უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი და დარწმუნებული არ არის, რომ შეძლებს ამის გაკეთებას.

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** კარგი ფორმისა და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მონდომების გათვალისწინებით რაფაელ ნადალი ვარაუდობს, რომ ვერ შეძლებს შარშანდელი წარმატებების გამეორებას. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის სეზონში რაფამ გრუნტის ყველა ტურნირი მოიგო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო (სამი მასტერსი - მონტე კარლო, რომი, მადრიდი და კიდევ როლან გაროსი). ამჟამად გრუნტზე მისი მოგებათა სერია 22 მატჩს შეადგენს. ამასთან, რაფამ შარშან გრუნტის სეზონში მხოლოდ ორი სეტი (!) დათმო.

*„ის, რაც შარშან გავაკეთე - სამი მასტერსისა და როლან გაროსის მოგება - ისტორიული მომენტია. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ შევძლებ ამ შედეგის გამეორებას მიმდინარე სეზონში. ასეთი რამ 50-60 წელია არ მომხდარა, ასე რომ, დარწმუნებული ვარ - ვერ მოვახერხებ ამის ზედიზედ ორჯერ გაკეთებას“*, - განაცხადა „დიდი სლემის“ ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონმა.

მსოფლიო რეიტინგში ლიდერობის პრეტენდენტებზე ლაპარაკისას ნადალმა თავისი მუდმივი და შეურიგებელი მეტოქე როჯერ ფედერერი და სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი დაასახელა. ამ უკანასკნელს წლევანდელ სეზონში 23-დან 23 მოგება აქვს. ესპანელის მტკიცებით, ამ წლის ბოლოს რეიტინგში ლიდერობის მოსაპოვებლად ძალიან დაძაბული ბრძოლა იქნება.

*„რა თქმა უნდა, ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი. როჯერს აქვს შანსი, ისევე როგორც ჯოკოვიჩს. დიახ, მე ჯერ დამაჯერებლად ვლიდერობ კლასიფიკაციას, მაგრამ არასოდეს იცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ნოვაკი ბრწყინვალედ თამაშობს, მას უდიდესი პოტენციალი და ფენომენალური სერია აქვს. ეს მას დამატებით ძალებს მატებს. ასე რომ, მხოლოდ წლის ბოლოს შევიტყობთ, რომელი ჩვენგანი დაასრულებს სეზონს პირველი ჩოგანის რანგში“*, - დაამატა მონტე კარლოს მასტერსის ექვსგზის ჩემპიონმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


რაფაელ ნადალი

# ჩესკამ კაროს მოუგო

ამ კვირას ქალი ჩოგბურთელები WTA-ის ტურნირებისგან ისვენებენ და ფედერაციის თასის მატჩებს ელიან. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებმაც უარი თქვეს ნაკრებში თამაშზე და ინდივიდუალურად ემზადებიან მომავალი ტურნირებისთვის. მაგალითად, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და როლან გაროსის ჩემპიონმა **ფრანჩესკა სკიავონემ** მონაკოში ჩაატარეს საჩვენებელი შეხვედრა. მათ იქაური საჩოგბურთო კომპლექსის ცენტრალურ კორტზე ერთი სეტი ითამაშეს.

ადგილობრივი პუბლიკა აქტიურად უჭერდა მხარს სკიავონეს და ფრანჩესკამაც გაამართლა მათი იმედები - იტალიელმა სეტი 6:4 მოიგო.

*„ჩემთვის დიდი პატივია აქ თამაში, თანაც ისეთი კარგი ჩოგბურთელის წინააღმდეგ, როგორიც ფრანჩესკაა. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში - სტადიონთან ახლოს მდებარე ქუჩაზე ვცხოვრობ. ფრანჩესკას აქ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. მათ ჩვენი მატჩი გაამხიარულეს“*, - განაცხადა ვოზნიაცკიმ.


საჩვენებელი მატჩის მონაწილეები

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე“

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავროთ უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან - 16-მდე.



FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO